კვირის პალიტრა

გზა

N43 (228) 2 ... ლი 60 თ.

1168
2004

„ჩემმა ყოფილმა ცოლმა ეს წაიკითხოს და თავისი თავი ამოიცნოს“

გზავნილები —

პირველად პრესის ისტორიაში — ყოფილი კანონიერი ქურდი სპარტაკ ბურდულაძე რედაქციაში გვეწვია...

ალსარება — 2

„გზის“ სტატიას იაპონური პრესა გამოეხმაურა



კაბუ — როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როდესაც ბავშვი ეკითხება: საიდან გავჩნდი?..

შონზოს ცოლის გასუქება და...

...შვილის წვალება ბრალდება

ტრანსპორტიების

ბავშვი

გაცვლითი ფოლიანტი

TV ბავშვი

ხელოვნური ბავშვი

ყველაზე საინტერესო ჟურნალები

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№43 (228)
21 - 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 2004
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲘᲑᲔᲠᲔᲛᲓᲔ“ ᲐᲜᲣ ᲝᲗᲮᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ
● ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲣᲩᲔᲜᲡ 6
● ᲠᲣᲡᲔᲗᲘ „ᲚᲣᲙᲝᲘᲚᲡ“ ᲓᲐᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ 7
● ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲑᲐᲠᲔᲚᲘ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘ 126 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲠᲓᲔᲡ 8
ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ
ᲡᲐᲛᲣᲠᲐᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ „ᲒᲖᲘᲡ“ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲢᲧᲝ 9
ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ
ᲜᲝᲑᲐᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲗᲔᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ 10
ᲡᲐᲡᲘᲫᲝ
172 ᲙᲒ-ᲘᲐᲜᲘ ᲒᲝᲚᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲘᲨᲕᲔᲚ ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲝᲒᲔᲪ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓ... 11
ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲝ
„ᲘᲡᲔᲗᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲓᲐᲛᲔᲐ, ᲓᲐᲕᲮᲣᲭᲐᲕ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲐᲢᲠᲔᲑ...“ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
● ᲥᲣᲠᲓᲣᲚ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ 14
● 18 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ 17
ᲝᲯᲐᲮᲘ
ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲣᲜᲓᲔᲑᲣᲚ ᲨᲝᲜᲒᲝᲡ ᲪᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲰᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ... 18
ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ
ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲔᲥᲡᲢᲐᲖᲘᲓᲐᲜ – ᲡᲐᲝᲮᲐᲮᲝ ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ 20
ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲡ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ – ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲩᲜᲓᲘ?.. 22
ᲗᲔᲛᲐ
ᲪᲐᲪᲘᲐ – ᲜᲐᲙᲚᲘ, ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲨᲠᲗᲮᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ? 24
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„...ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲡ ᲘᲡᲔ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲒᲐᲠᲔᲣᲚᲝ „ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲡ“ 27
ᲒᲐᲠᲔᲛᲝ
● ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲞᲣᲢᲐᲕᲡ ᲗᲣᲗᲘᲘᲧᲣᲨᲘ ᲑᲣᲛᲑᲣᲚᲡ 30
● ᲐᲒᲐᲕᲐ, ᲐᲚᲝᲔ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲩᲝᲔ 31
ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲐ
● ᲠᲫᲔ – ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ 32
● ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ 33

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ „ᲒᲖᲘᲡ“ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲢᲧᲝ

日本とユーラシア
グルジア人の若者
オタル・ナチケビア氏

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲛᲐ �გᲐᲖᲔᲗᲛᲐ – „ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ – ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲢᲧᲕᲔᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲘᲒᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲢᲧᲕᲔ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲩᲣᲧᲔᲑᲔᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲐᲖᲔᲗᲛᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲓᲐᲣᲗᲛᲝ ᲐᲛ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ...

9

„ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ ᲜᲐᲔᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ... ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲔᲗ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ...“

„...ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲠᲝᲪᲐ „ᲥᲔᲗᲝ ᲓᲐ ᲙᲝᲢᲔ“ ᲕᲜᲐᲮᲔ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲔᲬᲝᲜᲐ ᲥᲔᲗᲝᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲑᲐ. ᲑᲔᲑᲘᲐᲩᲔᲛᲡ ᲕᲔᲮᲕᲔᲬᲔᲑᲝᲓᲘ – ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲘᲙᲔᲠᲔ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ. ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲘᲛ ᲙᲐ-ᲑᲘᲗ ᲔᲑᲝᲨᲘ ᲩᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲑᲘᲭᲡ ᲓᲐᲕᲔᲜᲐᲮᲔ...“

54

ᲥᲣᲠᲓᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ



ᲠᲝᲒᲝᲠᲦᲐᲪ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ „ᲒᲖᲘᲡ“ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ HTB-ᲖᲔ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ ᲠᲣᲡᲘ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘᲡ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲣᲠᲓᲘᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲩᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲐ... ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ...

36

ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲣᲜᲓᲔᲑᲣᲚ ᲨᲝᲜᲒᲝᲡ ᲪᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲰᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ...



„ᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲚᲘᲐ... ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ ᲡᲐᲮᲘᲜᲙᲚᲔᲨᲘ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲕᲐᲛᲩᲜᲘᲔ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲛᲐᲒᲐ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ.“

18

• ამინდის ცვლილება იმუნიტეტზე მოქმედებს 33
• ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები 34

ტაძარი
რა უნდა ვიცოდეთ საეკლესიო მცნებებთან დაკავშირებით 35

აღსარება
ქურდყოფილის მოგონებები (გაგრძელება) 36

ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 38

ოფსაიტი
დონ დიეგო ამხანაგ ფიდელის სამფლობელოში დაბრუნდა 40

საფეხბურთო მინდვრებზე 41

რომანი
რუსუდან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი
ჰილარი სუონკის თავბრუდამხვევი კარიერა 46

ბომონდი 48

ასპარეზი
კორუმპირებული ფილა, ახალი წესები იანვრიდან და რატომ აწუხებთ ქართველ ფალავნებს წონის პრობლემა 49

ავტო 52

დეტექტორი
რაში დახარჯავს დეპუტატი ლადო გეგელაშვილი 2 მილიონ დოლარს? 53

პირველი პაემანი
ნატო ნიქარაძე: „ბედისწერა ნამდვილად არსებობს... დაელოდეთ სიყვარულს...“ 54

მოგონება
ცნობილი მომღერლების აღმგზდელი ციცინო ციცქიშვილი საკუთარი მანქანის საპოვნელად ტაქსის ქირაობდა 58

ჰოროსკოპი
კვირის (25-31 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი
ხასიათის თავისებურებანი და იდეალური პარტნიორები 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ცაცია – ნაკლი, ღირსება თუ საფრთხის ნიშანი?



როგორები არიან ე.წ. მემარცხენე ანუ ცაცია ადამიანები? რატომ სჯიდნენ მათ საუკუნეების წინ, კოცონზე დაწვითაც კი, რის შედეგად შეიცვალა მათდამი დამოკიდებულება და რას ფიქრობენ ცაციებზე დღეს?..

24

172 კგ-იანი გოლა თითქმის შიშველ სპპატარძლოზეც თანახმაა, ოღონდ...



„ხანდახან დედაჩემი მეტყვის – ცოლი რომ მოგეყვანა, უფრო მშვიდად ვიქნებოდიო... ხდება ისეც, რომ გოგოს მირიგებენ, მაგრამ როგორი ლამაზი და კარგი გოგოც არ უნდა იყოს, თუ დაგაძალებენ, თითქოს არ მოგწონს... თუმცა, როგორც ვაკვირდები, გარიგებით შექმნილი ოჯახი უფრო მყარია...“

11

ჰილარი სუონკის თავბრუდამხვევი კარიერა

მან იშვიათი შანსი მიიღო, საპირისპირო სქესის ცხოვრებით ეცხოვრა. კუნთების დასაყენებლად და ხმის ტემბრის შესაცვლელად სახმო სიმების ვარჯიშებს ექვსი კვირა დასჭირდა, ბოლოს, გრძელი თმაც მოკლედ შეიკრიჭა...

46

მტაცებლის ინსტინქტი

„აქა მშვიდობა და ხალხთა შორის სოლიდარობა! – ცოტა ხანს ახლა სასტუმრო ოთახის ზღურბლზე იქანავა კახამ. ბოლოს, გვერდიგვერდ მდგარ სავარძლამდე ბარბაცით მიაღწია, ერთ-ერთში მოწყვეტით ჩაეშვა, მეორეზე კი ხელი დაატყაპუნა და მეგი თავისთან შინაურულად მიიხმო: – მოდი აქ, ჩემ გვერდით დასკუპდი!“

42

„სწავლა სიბერემდე" ანუ ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა პარლამენტში

მას შემდეგ, რაც ჩვენი ხელისუფლებაც მიხვდა, რომ ქვეყანაში ბევრი რამაა დასალაგებელი და ხელი კაპიტალურ „უბორკას" მიჰყო, მეც ჩავთვალე, რომ ჩემი, როგორც პროვოკატორის ფუნქცია ამოწურულია და გადავწყვიტე, ახალი სამსახური მეპოვა. მართლაც ვიპოვე გაზეთში ერთი საინტერესო განცხადება: „პარლამენტის ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა სამუშაოდ იწვევს რეფორმატორულად მოაზროვნე პედაგოგებს"... თურმე, ჩვენს დეპუტატებს სხდომების შემდეგ, გაკვეთილებზე იტოვებენ, რომ ის აუცილებელი ცოდნა მიაღებინონ, რაც თავის დროზე არ მიუღიათ. გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ პირველი კლასის პროგრამით დაწყება იყო საჭირო და ასე შეუქმნიათ დაწყებითი სკოლა.

ჩემ მიერ ოდესღაც აღებულ დიპლომებს მტვერი მოვაცალე და აღმოვაჩინე კიდეც პედაგოგის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი. გასაუბრებაზე მისული, სკოლის დირექტორმა – ქალბატონმა ნინომ და სასწავლო ნაწილის გამგემ – ბატონმა მიხეილმა მიმიღეს და მომიბოდიშეს, რომ ვაკანტური ადგილი აღარ ჰქონდათ. მაგრამ ამ დროს საკლასო ოთახის კარი გაიღო და ასაკოვანი ქალბატონი შურდულივით გამოვარდა, რომელსაც ცალ ხელში ქუსლმოტეხილი ფეხსაცმელი ეჭირა, მეორე ხელით კი ზურგზე მიკრულ წარწერას – „ნადირაძე+კალანდაძე=დაქალებს" – იცილებდა. დირექტორი რომ დაინახა, ამათ მასწავლებელი კი არა, მხეცების მომთვინიერებელი ესაჭიროებათო – ზესტაფონ-ხარაგაულის ელმავალივით მოგვაკივლა და გარეთ გავარდა.

– აი, თავისუფალი შტატიც გამოჩნდა, გაგიმართლათ! – მომახარა სასწავლო ნაწილის გამგემ და მივხვდი, რომ ჯობდა, არ გამმართლებოდა.

დირექტორმა გაკვეთილების ცხრილი მომაწოდა, რომელშიც ეწერა: 1. მშობლიური ენა; 2. მათემატიკა; 3. ეთიკა და უნარ-ჩვევები; 4. გაძლიერებული ინგლისური; 5. შესუსტებული რუსული; 6. ხმისმიცემი პულტით სარგებლობის წესები...

სასწავლო ნაწილმა შიში შემატყო და გასამხნევებლად ბუფეტში ჩამიყვანა, სადაც ერთი დეპუტატი მადიანად ილუკმებოდა.

– დავითაშვილი, რატომ არ ხარ გაკვეთილზე?! – ჰკითხა ბატონმა მიშამ.

– მივდივარ, მასწ. – უპასუხა დეპუტატმა, ქაბაბი და კორჟიკი ერთად ჩაკბიჩა, ხაჭაპური კი ჯიბეში ჩაიდო და გაიქცა.

– აბა, სულმოუთქმელად გადაკარი – მომაწოდა 100 გრამ სამედიცინო სპირტში შერეული 30 წვეთი ვალერიანი და წარმატებული დებიუტი მისურვა.

საკლასო ოთახამდე დირექტორმა მიმაცილა და კარი შეაღო. მის დანახვაზე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ რამდენიმე ჩაძინებული დეპუტატის ხვრინვა ტრაქტორის გრუხუნივით გაისმა.

– ესენი, ჯობია, არ გააღვიძო. ჩარჩენილები არიან, უკვე 8 წელია, აქ სწავლობენ – წამჩურჩულა ქალბატონმა ნინომ და კარი გაიხურა. თუმცა, დარბაზში უფრო ბევრჯერ ჩარჩენილებიც დავინახე, რომლებიც უკვე 12 წელია, აქ „სწავლობენ".

– არველაძე – სიის ამოკითხვას შევუდექი.

– არველაძე, ბოკერია, გაბაშვილი და თევდორაძე სტრასბურგში არიან ექსკურსიაზე, მასწ., – მიპასუხა ვიღაცამ.

– ბექაური?

– ბექაური, თარგამაძე და სხვები ჯარში არიან, მასწ...

მივხვდი, რომ სიის ამოკითხვას აზრი არ ჰქონდა და გაკვეთილის გამოკითხვა დავიწყე.

– ლექსი გვქონდა, მასწ., სასწავლი.

– ჰოდა, ბარემ მოგვიყევი, გამყრელიძე – წავათამამე ბოლო მერხზე მჯდომი.

– „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი".

– სიკვდილი და არ გადარჩენა შენ! – მიაქოქოლა უმრავლესობიდან რომელიღაც ქალბატონმა და გაკვეთილი ავტომატურად გადაიზარდა „ეთიკის ნორმების" შესწავლაში:

თავდაცვის კომიტეტის წევრებმა ქაღალდის თვითმფრინავით საჰაერო იერიში მიიტანეს ოპოზიციაზე, განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ კი შექსპირი მოიშველია და სულ „არარაობა" ეძახა უმრავლესობის ქალბატონებს, მაჟორიტარების თავკაცმა კი „ბაბოლის" ბუშტი გაბერა და სულ აუდღაბნა ვიღაცას ძვირად ღირებული მაკიაჟი. თავს გარეთ გამოქცევით ვუშველე და მივხვდი, რომ ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო.

ძველ პროფესიას დაბრუნებული, სიამოვნებით შევუდექი მორიგი პროვოკაციების წერას. ასეა, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს: მე – ვწერო, დეპუტატებმა კი კანონები უნდა მიიღონ, თან დაწყებით სკოლაში ისწავლონ. ერთი მხრივ კარგია: მომავალში არჩევნებიც აღარ ჩატარდება; დეპუტატობის მსურველები აბიტურიენტებივით გაივლიან ტესტირებას და მხოლოდ საათანადოდ მომზადებულები მოხვდებიან პარლამენტში. საარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილ მილიონებს კი პირდაპირ ბიუჯეტში შეიტანენ. ამით ჩვენც გვეშველება და ქვეყანასაც.

P.S. პარლამენტის რამდენიმე დეპუტატი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანის „ბუნდესტაგში" გაგზავნეს. სატელეფონო საუბარი პარლამენტის თავმჯდომარესთან:

– ძალიან კმაყოფილი ვარ, ქალბატონო ნინო, კარგ ოჯახში მოვხვდი ბავშვის მომვლელად. მართალია, ცოტა ცელქია, მაგრამ ქართული უკვე ისწავლა. მალე ჩამოვალ და სანამ განბაჟების ფასი მოიმატებს, „ოპელ-ვექტრასაც" ჩამოვიყვან...

პროვოკატორი

„აფხაზეთი ბოევიკებით გაივსო...“

— საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთში ბოევიკების შესვლის ფაქტს ადასტურებს. თქვენი აზრით, რა დავალება უნდა შეასრულონ დაქირავებულმა მებრძოლებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე?

ირაკლი ალასანია, *აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:*

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აფხაზეთის რეგიონში რუსეთის ფედერაციიდან დაიწყო, ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი შეიარაღებული ჯგუფების შემოსვლა. საქართველოს დაზვერვის სამსახურის მონაცემებით, აფხაზეთში 3 ოქტომბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რუსეთიდან რეგიონში ჩრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაციის არაერთი წარმომადგენელი და სპეცდანიშნულების რაზმი იქნა შეყვანილი. მათ შორის არიან ისეთი პირები, რომლებიც ტერორისტული აქტების ჩადენის ბრალდებით, რუსეთის ფედერაციის მიერ იძებნებოდნენ. გარდა ამისა, რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ 1000-ზე მეტი სპეცრაზმელი შეიყვანა რეგიონში. კონფედერაციის ლიდერები არც მალავენ, რომ აფხაზეთში მოსკოვის ფავორიტის რაულ ხაჯიმბას მხარდასაჭერად ჩავიდნენ და ბაღაფშის გაპრეზიდენტებას ვერ შეეგუებიან. იმ პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რომელიც დღეს აფხაზეთშია შექმნილი, ბოევიკების შეყვანა ცეცხლთან თამაშს ნიშნავს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ათასობით შეიარაღებული პირი საფრთხეს შეუქმნის მხოლოდ გალის რაიონის ქართველ მოსახლეობას, ძალიან ცდება. ოპოზიციის წარმომადგენლები საფუძვლიანად არიან შეიარაღებული. ერთი ტყვიის გავარდნაც კი საკმარისია, რომ აფხაზეთის რეგიონში სრულიად უმართავი პროცესები დაიწყოს, რაც რუსეთის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. ■

„ზამთარში გაზი გვექნება“

— კომპანია „თბილგაზში“ თქვენი დანიშვნის დღიდან, პოლიტიკურ წრეებში მუსირებს აზრი, რომ „თბილგაზის“ გაყიდვის მიზნით, გარკვეული ძალები მიზანმიმართულად ცდილობენ მის გაკოტრებას...

დავით მორჩილაძე, *„თბილგაზის“ ხელმძღვანელი:*

— „თბილგაზს“ ვალი ამ უწყებაში ჩემს მოსვლამდე ჰქონდა დაგროვილი, ამიტომ იმის მტკიცება, თითქოს დავალიანებები ახლა გაჩნდა, უსამართლობაა. არავითარ მიზანმიმართულ გაკოტრებას ადგილი არა აქვს. ენერგეტიკის სამინისტრომ სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 3 მილიონ ლარზე მეტი უკვე გადმორიცხა. როცა მე ამ თანამდებობაზე დავინიშნე, „თბილგაზის“ ანგარიშები დაყადაღებული, ხოლო „გაზპრომთან“ მისი ურთიერთობა — გართულებული იყო, რამაც რუსეთიდან გაზის მოწოდების შეწყვეტის საფრთხის წინაშე დაგვაყენა და ასეც მოხდა... ჩემი დანიშვნის დღიდან, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა შესრულდეს და მოსახლეობამ გაზი კვლავ მიიღოს. გარწმუნებთ, რომ თბილისელებს ზამთარში გაზი ექნებათ, რადგან „გაზპრომთან“ ურთიერთობა მოგვარებულია. „თბილგაზის“ გაყიდვაზე კი, საუბარი დღის წესრიგში არ დამდგარა. ■

ვინც ფულს გადაიხდის, ელექტროენერგიასაც მას ექნება...

— ხელისუფლება მოსახლეობას 24-საათიან ელექტრომომარაგებას ჰპირდებოდა. მიუხედავად ამისა, თბილისში შეზღუდვები უკვე დაიწყო, ზოგიერთ რაიონს კი ელექტროენერგია საერთოდ არ მიეწოდება...

ნიკა გილაური, *ენერგეტიკის მინისტრი:*

— ამ ეტაპზე შეზღუდვები 2 ცენტრალური ანძის დაზიანების გამო გვაქვს, რომლის სარემონტო სამუშაოები 10 დღის განმავლობაში უნდა დასრულდეს. ამუშავდება „ვარდნილჰესის“ 70-მეგავატიანი აგრეგატიც, რაც გაუმჯობესებს მდგომარეობას. დასრულებულია მოლაპარაკება სომხეთთან, საიდანაც ყველაზე დაბალ ფასად — 2,5 ცენტად დაიწყო ელექტროენერგიის იმპორტი. თავის მხრივ, სომხეთთან „თელასიც“ აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის წარმატებით დასრულებაც თბილისის მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება 24-საათიან გრაფიკს, მოსახლეობისთვის ასეთი დაპირება არ მიგვიცია, რადგან არსებულ სიტუაციაში, უწყვეტი ელექტრომომარაგება ალბათ ვერ მოხერხდება. თუმცა, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ უკეთესი ზამთარი გვქონდეს. სავარაუდოდ, რაიონებში 8-საათიანი გრაფიკით შემოვიფარგლებით. დიდ ქალაქებს კი უნდა ჰქონდეთ 20-საათიანი მომარაგება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფორსმაჟორული სიტუაციები არ შეიქმნა. ელექტროსადგურებზე ხშირია დივერსიის ფაქტი. ბოლო პერიოდში, მხოლოდ „ქართლი 2“-ის აფეთქების 4 მცდელობა იყო. აღდგენითი სამუშაოები კი დროს მოითხოვს. გარდა ამისა, მოსახლეობამ ელექტროენერგიის საფასური უნდა გადაიხადოს, რადგან იმ რაიონებს, სადაც გადახდის ცუდი მაჩვენებელია, ელექტროენერგიას მკაცრი შეზღუდვით მივაწვდით. ■

„შს სამინისტროზე ალავიძის გავლენა აღდგა“

— საკრებულოს წევრები ირაკლი ოქრუაშვილთან შეხვედრას ითხოვენ. მათი მტკიცებით, შს სამინისტრო სოსო ალავიძის კადრებით ივსება. თქვენ რა გაძლევთ ამ განცხადების საფუძველს?

პაატა ზაქარეიშვილი, *საკრებულოს წევრი:*

— შს მინისტრისთვის რამდენიმე კითხვის დასმა მინდოდა, მაგრამ საგანგებოდ მასთან შესახვედრად მოწვეულ საკრებულოს სხდომაზე ოქრუაშვილი არ გამოცხადდა. ჩემი ინფორმაციით, შს სამინისტროზე სოსო ალავიძის გავლენა აღდგა, უფრო მეტიც — დღეს ის ჩრდილში მდგომ, რეალურ მინისტრად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითისთვის, გეტყვით: ლევან გვაზავა — ქალაქის სამმართველოს უფროსი, თემურ ანჯაფარიძე — კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი, გია კაჭარავა — სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსი, დავით იაშვილი — ვაკე-საბურთალოს პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი, დავით ცინცაძე — ქალაქის კრიმინალური სამსახურის უფროსი, დავით ბედია (ალავიძის დეიდაშვილი) ისანი-სამგორის პოლიციის უფროსი... ჩემ მიერ დასახელებული პირები ალავიძის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენლები არიან. თავის დროზე, სოსო ალავიძემ თბილისის პოლიციის სამმართველოში მისვლისთანავე, ეს ადამიანები შემოიკრიბა და ისინი დღემდე, მასთან დაახლოებულ პირებად ითვლებიან. შეუძლებელია, რომ ეს ოქრუაშვილმა არ იცოდეს, მაგრამ მინისტრი კადრების დეფიციტს განიცდის. მასთან ყველაზე დაახლოებული — გივი თარგამაძე ამ საკითხის გადაწყვეტაში ეხმარება. რაკი თარგამაძე ძალოვან სტრუქტურებში არსებულ სიტუაციას იცნობს, ოქრუაშვილი მას ენდობა და მის მიერ შეთავაზებულ კადრებს ნიშნავს. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ ამ სამთა ინტერესები რაღაც წერტილში გადაიკვეთა. კონკრეტულად რაზეა გათვლილი ეს „თანამშრომლობა“, მალე გავიგებთ. მანამდე კი, ჩვენი პოლიციის მუშაობა სოსო ალავიძისეულ ხელწერას უახლოვდება: მაშინ ხომ პოლიცია, ადამიანის წამებაში გაწვრთნილი საბრძოლო რაზმი იყო?!. როცა ალავიძის კადრები ძალოვან სტრუქტურებში უფრო გაიმყარებენ პოზიციებს, პოლიციის მაგივრად, კვლავ მივიღებთ უფორმო წარმონაქმნს იმ განშტოებებით, რომლებიც შევარდნაძის დროს არსებობდა. რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ, ასეთი საფრთხე საკაშვილმა რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს. ■

„ПРЕСИС ТИАВИСУФЛЕБИС ГАРАНТИ, ЕКОНОМИКУРИ ДАМОУКИДЕБЛОБАА“

— ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები 2007 წლამდე, პრესისთვის გადასახადებზე მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვენ. დაუჭერს თუ არა პარლამენტი მხარს მათ ინიციატივას?

ვასილ მაღლაფერიძე, *პარლამენტის წევრი:*

— ჩემი აზრით, მოგების გადასახადი ყველამ უნდა გადაიხადოს. სხვა სახის გადასახადები შესაძლებელია გაუქმდეს. პრესის შემოავათებზე საუბარი ამჟამადაც მიმდინარეობს. ზოგადად ამ დებულებას მხარს ვუჭერ, მაგრამ საგადასახადო კოდექსში შესაბამისი მუხლი ჯერ არ მინახავს. შემოავათები უნდა შეეხოს როგორც ბეჭდვით ორგანოებს, ასევე საინფორმაციო სააგენტოებს. ყველა თანაბარ პირობებში უნდა მოექცეს. გადასახადებისგან პრესის გათავისუფლებას ძალზე მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს: საგადასახადო წნეხისგან გათავისუფლებული მედია, კორუფციული და პიარგარიგებების გარეშე შეძლებს საკუთარი თავის შენახვას, ფეხზე დადგება და აღარ იქნება სხვისგან მართული. სიტყვის თავისუფლების გარანტი უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური დამოუკიდებლობაა. ■

„რეფორმატორები“ სასწავლო დაწესებულებებზე მაცარ კონტროლს აწესებენ“

— როგორც ვარაუდობენ, განათლების შესახებ კანონპროექტის განხილვას სახელისუფლებო ბლოკის წევრებს შორისაც სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვება. თქვენ რა შენიშვნები გაქვთ ამ დოკუმენტთან დაკავშირებით?

ფიქრია ჩიხრაძე, *„მემარჯვენე ოპოზიცია“:*

— მოხარული ვიქნები, თუ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით უმრავლესობამ თავისი პრინციპული პოზიცია დააფიქსირა. ამ თემაზე აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არსებობს. თუმცა პარლამენტის კომიტეტებში სხვა საკითხების განხილვის დროსაც შევსწრებივარ დიდ ვნებათაღელვას, მაგრამ ეს განწყობა სხდომათა დარბაზში აღარ გადასულა. არადა, პოლიტიკური გარემოს გასაჯანსაღებლად აუცილებელია განსხვავებული აზრების დაფიქსირება. რაც შეეხება განათლების შესახებ კანონპროექტს, მე ამ დოკუმენტს რეფორმისტულ პროექტს ვერ ვუწოდებ. ეს არის კანონი დირექტორების დანიშვნისა და ტესტირების შემოღების შესახებ. მასში არ არის ასახული, თუ რა საგანმანათლებლო პოლიტიკა უნდა გატარდეს, რა ტიპის ადამიანი უნდა ჩამოვაყალიბოთ, რა გახდება პრიორიტეტული. საუბარი არ არის დაფინანსების წყაროებზეც. როგორც ჩანს, „რეფორმატორების“ მთავარი მიზანი ის არის, რომ უმკაცრესი კონტროლი დააწესონ სასწავლო დაწესებულებებზე. ეს კი, როგორც საგანმანათლებლო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ■

„სახელისუფლებო ბლოკი ბიუჯეტს არ ჩაგდებს“

— პარლამენტი 2005 წლის ბიუჯეტის ჩაგდებით იმუქრება. თქვენი აზრით, დეპუტატები აიძულებენ მთავრობას, შეცვალოს კანონპროექტი თუ პარლამენტის დათხოვნის შიშით, წარმოდგენილი პარამეტრების მიღებაზე დათანხმდებიან?

ზურაბ ტყემალაძე, *პარლამენტის წევრი:*

— თუ საკანონმდებლო ორგანო პრინციპული აღმოჩნდება და ბიუჯეტს ჩაგდებს, საკონსტიტუციო ცვლილების შესაბამისად, პრეზიდენტმა ან მინისტრთა კაბინეტი უნდა დაითხოვოს, ან პარლამენტი. ვის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს ააკაშვილი, ვერ გეტყვით, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ სახელისუფლებო ბლოკის წევრებმა მთავრობის ზეწოლას გაუძლონ და მხარი არ დაუჭირონ წარმოდგენილ ბიუჯეტს. არადა, მისი მიღება დაუშვებელია. როგორც ჩანს, ნოღაიდელი პრიორიტეტებს ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრავს. ყველაზე მინიმალური გათვლებით, თავდაცვის სამინისტროს 157 მილიონი ლარი სჭირდება, მაგრამ 119 მილიონია გამოყოფილი. საგარეო საქმეთა სამინისტროს მილიონ-ნახევრით უმცირდება დაფინანსება, საზღვრის დაცვისთვის საჭირო თანხის ნახევარია ბიუჯეტში გათვალისწინებული. გარდა ამისა, არსებობს გამჭვირვალობის პრობლემაც, რადგან კანონპროექტში თანხები დეტალურად არ არის გაწერილი. როცა მილიონობით ლარზეა საუბარი, მთავრობამ უნდა წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა იმისა, თუ რა დანიშნულებით იხარჯება ფული. ნოღაიდელი პარლამენტში მობრძანებას არ კადრულობს, საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ მისი მოადგილეები დადიან, რომლებიც ბიუჯეტის ზრდაზე გვესაუბრებიან. თუ საზღვარი ვერ დავიცავით, თუ მოსახლეობა საარსებო მინიმუმით ვერ დავაკმაყოფილეთ, ბიუჯეტის ზრდა რაღაში გამოიხატება?.. ალბათ ჩინოვნიკებისთვის ხელფასების გაათმაგებაში. მოსახლეობა კი, კვლავ დაუცველია. ■

ნავთობის ფასის ზრდა და ახალი სტანდარტები საქართველოს სერიოზულ საზრუნავს უჩენს



ემა ტუხიაშვილი

წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როდესაც თბილისში კანტიკუნტად შემორჩენილ ავტოგასამართ სადგურებზე ხალხი ღამეებს ათენებდა და ქანცგაწყვეტილი ელოდა თავის რიგს, რათა უკვე გაძვირებული და დეფიციტურ პროდუქციად ქცეული ბენზინი შეეძინა. მაშინ 60-კაპიკიანი საწვავი ეძვირებოდათ და იმ დროს იხსენებდნენ, როდესაც მაღალი ხარისხის ბენზინი მხოლოდ 8 კაპიკი ღირდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, ნავთობპროდუქტების ფასებიც და იმდენჯერ, რომ ქრონოლოგიის დაცვა ნამდვილად გაგვიჭირდება. მხოლოდ გასულ წელიწადს შეგახსენებთ. ბენზინის ფასი საქართველოში 70 თეთრიდან 1,10 თეთრამდე მერყეობდა. ნავთობპროდუქტების დიდი წილი ერგნეთის საგუშაგოს გავლით შემოდიოდა. როგორც იმპორტიორებმა მითხრეს, ამ გზით შემოსული 1 ლიტრი ბენზინი მხოლოდ 25-30 თეთრი უჯდებოდათ. შემდეგ ეს საწვავი ავტოგასამართ სადგურებში სხვადასხვა მინარევის წყალობით ზოგი „ნორმალად“, „რეგულარად“ თუ „სუპერად“ ინათლებოდა და საკუთარ მომხმარებელს ელოდა. ზოგს ბენზინის ამგვარი კლასიფიკაცია თავხედობაში გადაეზარდა და შეეძლო მომხმარებლისთვის „სუპერპლუსი“ ხარისხის საწვავიც კი შეეთავაზებინა.

ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ იმპორტიორები იძულებული გახდნენ, საწვავი აზერბაიჯანიდან შემოეტანათ და რაც ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა მათთვის, ახლა უკლებლივ ყველა მაკონტროლებელი უწყება უნდა გაიარონ. *„მაშინ ჩინოვნიკი გეუბნებო-*

ფრაზა

ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც საფრთხე იმათ ემუქრება, ვისაც ამ საფრთხის ეშინიათ...

ბერნარდ შოუ

გენიალური

და: შენც ჭამე და მეც მაჭამეო. ახლა კი გადასახადიც უნდა გადაიხადო, ქრთამიც უნდა მისცე ვიღაც-ვიღაცებს, რომ შენი ტვირთი ტერმინალზე დროულად გაატარონ და სახლშიც ვერაფერს შეიტანენ. გადასახადებსა და ყველა ხარჯს თუ გავითვალისწინებთ, ახლა ერთი ლიტრი ბენზინის იმპორტი 90-95 თეთრი გვიჯდება და 10-20 თეთრი აღარ მოვიგოთ? ხომ ხედავთ, მსოფლიო ბაზარზე რა ხდება? ნედლი ნავთობი ყოველდღე ძვირდება და ჩვენ როგორ არ გავზარდოთ ფასები?!“ – აქეთ მისაყვედურა ერთ-ერთი ავტოგასამართი სადგურის მფლობელმა. თითქოს ის კი არა, მე ვყიდდი ერთი და იმავე ხარისხის ბენზინს სხვადასხვა ფასად. თუმცა, რა მისი „ბრალია“, თუ ამას არავინ უკონტროლებს? აი, არასათანადო სანიტარული პირობებისა და ნორმების გამო კი თბილისში 25-მდე ავტოგასამართი სადგური დახურეს, თუმცა, ბადეში არც ერთი ღლავი არ გაბმულა, მხოლოდ ლიფსიტები დაზარალდნენ.

დღესდღეობით საქართველო წელიწადში მხოლოდ 140 ათას ტონა ნავთობს მოიპოვებს. თუმცა საქართველოში ნედლი ნავთობის გადამუშავება იმდენად ძვირად ღირებული პროცესია, რომ მენავთობეებს ურჩევნიათ, მზა ნავთობპროდუქტები სხვა ქვეყნებიდან შემოიტანონ. სწორედ ამის გამოა, რომ საქართველო უმნიშვნელოდაც კი ვერ არეგულირებს ნავთობპროდუქტების ფასებს თავის ბაზარზე და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. *„თუ გენუის (იტალია) ბირჟაზე თვის ბოლომდე ნავთობისა და საწვავის ფასი არ დაიკლებს, საქართველოში ნოემბრიდან ბენზინის ღირებულება საშუალოდ 10 თეთრით კიდევ გაიზრდება“*, – აცხადებენ ექსპერტები. „შავი ოქროს“ ფასი კი მსოფლიო ბაზარზე ჯერ ნამდვილად არ დაიკლებს, მეტიც, იგი ყოველდღიურად ძვირდება. მაგალითად, გასულ კვირას, ელექტრონული ვაჭრობების ბირჟაზე, 1 ბარელი ნავთობის ფასმა რეკორდულ მაჩვენებელს – 54,45 აშშ დოლარს მიაღწია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ გასული თვის განმავლობაში 1 ბარელი ნავთობის ფასი 10 აშშ დოლარით გაიზარდა.

საერთაშორისო ექსპერტებს აღარ ეშინიათ განაცხადონ საჯაროდ, რომ ნედლი ნავთობის ფასი მიზანმიმართულად უახლოვდება 1981 წლის ნიშნულს, როდესაც მძიმე ენერგოკრიზისის პირობებში 1 ბარელი „შავი ოქროს“ ღირებულება 80 აშშ დოლარს შეადგენდა. მათი თქმით, ამის დასტურია ისიც, რომ მხოლოდ გასული ერთი წლის განმავლობაში, ნავთობის ფასი 80%-ით გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ნავთობზე მოთხოვნა გაიზარდა, ოპეკი (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) ნავთობის მოპოვების მოცულობის ანუ კვოტების გაზრდას არ აპირებს (დღეისათვის ეს კვოტა 24,5 მილიონი ბარელია დღე-ღამეში). თუმცა ანალიტიკოსები იმაზეც მიანიშნებენ, რომ კვოტების საკითხი ვირტუალურ ხასიათს ატარებს – ალჟირისა და ინდონეზიის გარდა, ოპეკის წევრი დანარჩენი 11 ქვეყანა ამ კვოტებს არც იცავს. სწორედ ეს ხდის სიტუაციას უმართავს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე. ნავთობის გაძვირების ერთ-ერთ მიზეზად დოლარის კურსის ვარდნაც სახელდება. თუმცა ოპეკი ამ საკითხშიც ჯიუტად დგას და აცხადებს, რომ არაფრით იტყვის უარს დოლარზე, როგორც ნავთობის სანაცვლოდ მიღებულ სავალუტო ერთეულზე.

ყველაზე მეტად ნავთობზე ფასების ზრდა ამერიკელებს აწუხებთ. ჯერ ერთი

ნავთობის ფასზე მოქმედი ფაქტორები:

1. საომარი მოქმედებები ერაყში;
2. ჯანყი და შეიარაღებული შეტაკებები ნიგერიაში;
3. მენავთობეების გაფიცვა ნორვეგიაში. პროფკავშირები მთავრობისგან ქვეყანაში საწვავზე ფასების დაგდებას ითხოვენ;
4. „იუკოსის“ სასამართლო პროცესი რუსეთში;
5. ქარიშხალ „ივანის“ გამო მექსიკის ყურეში ნავთობმოპოვების დონის დაცემა;
6. შარშანდელთან შედარებით ამერიკის და ევროპის ქვეყნების ნავთობმარაგების შემცირება. ამერიკის შემთხვევაში შარშანდელთან შედარებით 6%-ით ნაკლები, ევროპაში კი 3,4%-ით;
7. დოლარის კურსის ვარდნა;
8. საერთაშორისო ტერორიზმის გააქტიურება.

რუსეთი „ლუკოილს“ დაემშვიდობა

რუსეთის მთავრობამ ამერიკულ Conoco Phillips-ს მიჰყიდა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ნავთობკომპანია „ლუკოილის“ აქციების 7,59% 1.988 მლრდ დოლარად. ამერიკელები რუსეთის მთავრობასთან წელიწადზე მეტხანს აწარმოებდნენ მოლაპარაკებას და ისეთი პირობები შესთავაზეს, რომელიც ორივე მხარეს აკმაყოფილებდა. მთავრობამ ნავთობკომპანიის მონორიტარულ პაკეტში (რაც დირექტორთა საბჭოში შესვლის საშუალებასაც კი არ იძლევა) მიიღო თანხა, რომელიც ბოლო 6 თვის საშუალო საბაზრო ფასს აჭარბებს, Conoco-მ მიიღო თავისი ნავთობმარაგის გადიდების ახალი შესაძლებლობა, ხოლო „ლუკოილმა“ – მსხვილი სტრატეგიული პარტნიორი და ერაყში დაბრუნების იმედი. აუქციონის დამთავრებისთანავე „ლუკოილმა“ და Conoco-მ სტრატეგიული ალიანსის შექმნა გამოაცხადეს.

შეთანხმების პირობის თანახმად, ამერიკული კომპანია ორ-სამ წელიწადში „ლუკოილში“ თავის წილს 20%-მდე გაზრდის, შევა დირექტორთა საბჭოში და მიიღებს იმის გარანტიას, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საბჭოს ყველა წევრის თანხმობის გარეშე არ მიიღებენ.

„ლუკოილი“ და Conoco Phillips-ი შექმნიან ერთობლივ საწარმოს, რომელიც რუსეთის ჩრდილოევროპულ ნაწილში 16 საბადოს აითვისებს. ახალ კომპანია „რუსკოში“ რუსეთის კომპანიას აქციების 70% ექნება, ამერიკულს – 30%. „ლუკოილი“ Conoco-ს დაუთმობს ერაყში საბადო „დასავლეთი კურნა-2“-ის ათვისების პროექტის 18,5%-ს. „ლუკოილს“ ამ პროექტში 51% ერგება, მაგრამ კომპანიამ ჯერ უნდა მიაღწიოს იმას, რომ ერაყის მთავრობამ აღიაროს მისი უფლებები საბადოზე. ■

სარეპეტიტორო სკოლა
ს ტ ს
მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი ტესტებისათვის
ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები.
ტელ: 22 69 15
www.sts.caucasus.net

იმიტომ, რომ შარშანდელთან შედარებით, წელს ნავთობპროდუქტების მარაგი ამერიკაში გაცილებით ნაკლებია. მაგალითად, უკანასკნელ ხანს ქარიშხალმა „ივანმა“ საგრძნობლად შეამცირა ნავთობმოპოვება მექსიკის ყურის ამერიკულ ნაწილში და ნავთობკომპანიების პროგნოზის თანახმად, ის კიდევ დიდხანს ვერ დაუბრუნდება უწინდელ დონეს. ამიტომ ამერიკელი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ზამთარში სათბობის დეფიციტის რისკი ნამდვილად არსებობს, ხოლო ფასები მასზე უპრეცედენტო ნიშნულს კიდევ ხანგრძლივად შეინარჩუნებს.

საინტერესოა, რა ხდება ამ თვალსაზრისით მეზობელ რუსეთში? რუსული ნავთობი საერთაშორისო ბაზარზე გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე სხვა ქვეყნების, მოპოვების მასშტაბებიც საკმაოდ შთამბეჭდავი აქვთ. მაგალითად, მხოლოდ 2004 წელს რუსეთს ნედლი ნავთობის ექსპორტმა 55 მილიარდი აშშ დოლარი მოუტანა. უსაფუძვლო არ არის ანალიტიკოსების ვარაუდი, რომ თუ ოპეკის კვოტები გაგრძელდება, ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ეს ალიანსის წილს საგრძნობლად შეამცირებს. გამოთავისუფლებული სივრცე კი შესაძლოა, სხვა მწარმოებლებმა დაიკავონ, მაგალითად, რუსეთმა. ამის კი ამერიკელებს ძალიან ეშინიათ. მაგალითად, როდესაც ამერიკაში ნავთობზე ფასები საგრძნობლად ავარდა, ბუშმა მაშინვე ალასკისკენ გაიხედა, დაკონსერვებულ ნავთობსაბადოებზე მოპოვება ხომ არ განვაახლოო?.. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი თავადაც ერთ-ერთი მსხვილი ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა, საწვავზე ფასები მხოლოდ გასული წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა. ერთნი ამბობენ, რომ რუსეთი ადგილობრივმა ნავთობკომპანიებმა ნაწილ-ნაწილ დაინაწილეს და ჩინოვნიკების ხელშეწყობით ნავთობპროდუქტების ფასებს თავად მართავენ. *„აბა, რატომ უნდა ძვირდებოდეს ბენზინი, როდესაც რუსეთი ნავთობში ბანაობს?“*, – ამბობენ რუსეთის მოქალაქეები.

P. S. 2005 წლის 1-ელი იანვრიდან საქართველოში ამოქმედდება კანონი „ბენზინზე ახალი სტანდარტების შემოღების შესახებ“ (ბენზინის იმპორტიორები ითხოვენ, რომ კანონის ამოქმედება 1 წლით მაინც გადაიდოს). კანონის თანახმად, საქართველოში შემოტანილ ბენზინში ბენზოლის შემცველობა 1%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამჟამად კი ჩვენთვის ბენზინის ყველაზე დიდი მომწოდებელი აზერბაიჯანია, მისი ბენზინი კი ახალ სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, ამიტომ ქართველ იმპორტიორებს ალტერნატიული მომწოდებლების მოძებნა მოუწევთ, თანაც – ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, რადგან მათ მიერ წარმოებული ბენზინი აზერბაიჯანის საწვავისგან განსხვავებით მაღალხარისხოვანია, ოღონდ ძვირიც ღირს. ყოველივეს გათვალისწინებით, ახალი წლიდან ბენზინის ფასი საქართველოში არა 10-ით, არამედ 30-40 თეთრით გაძვირდება. მერე კი უფრო იოლი იქნება მსჯელობა თემაზე: მანქანა ფუფუნების საგანია თუ ყოფითი პრობლემების მოგვარების ელემენტი. ■

ვენესუელის პრეზიდენტის აზრით, ბარელი ნავთობი 126 დოლარი უნდა ღირდეს

ბარელი ნავთობის ფასმა 50 დოლარს გადააჭარბა და ზევით მიიწევს. ლონდონის ბირჟაზე ამ ზღვარს პირველად გადააბიჯა Brent-ის მარკის ნავთობმა. მაქსიმალურმა სანოემბრო გარიგებამ ამ სახის ნავთობზე, ერთ ბარელზე 50,22 დოლარს მიაღწია. ნიუ-იორკში ყველაზე ძვირად ღირებული მარკის, Light-ის ერთი ბარელი 53,6 დოლარი ღირდა.

ნავთობზე სარეკორდო ფასები თავბრუს ახვევს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის – ოპეკის ზოგიერთ წევრს. მაგალითად, ვენესუელის პრეზიდენტმა სენსაციური განცხადება გააკეთა – 1974 წელს ბარელის ფასი 13,6 დოლარი იყო, მას შემდეგ მსოფლიოში ყველა სახის მომსახურება და საქონელი მნიშვნელოვნად გაძვირდა, ამიტომ ბარელი ნავთობიც 126 დოლარად უნდა გაიყიდოსო.

ოპეკის ყველა წევრი არ იზიარებს ვენესუელის პრეზიდენტის აზრს. საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრმა განაცხადა – ჩვენ შეგვიძლია ნავთობის რეწვა დღეში არსებული 9,5 მლნ-დან 11 მლნ ბარელამდე გავზარდოთო და მას მხარი დაუჭირეს ქუვეითისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების წარმომადგენლებმა. მათ განაცხადეს – ნავთობზე ფასის გაზრდა ფუნდამენტურ მიზეზებს არ გამოუწვევია, ნიგერიასა და ნორვეგიაში მენავთობეები გაიფიცნენ. ნავთობის მოპოვება შემცირდა, არც ქარიშხალმა „ივანმა“ დააყარა კარგი დღე სარეწებს, მექსიკის ყურეში ამჟამადაც დღიურ ნორმაზე 25%-ით ნაკლებ ნავთობს მოიპოვებენო.

მომხმარებლებს ნავთობზე ფასების ზრდა ცუდ გუნებაზე აყენებს. „ეს დიდად აზარალებს აშშ-ის ეკონომიკას და ქვეყნის მოქალაქეებს ახალ გადასახადად აწვება“, – განაცხადა აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ჯონ სნოუმ. მისი თქმით, ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ფინანსთა მინისტრებთან მოლაპარაკებისას წამოაყენა ნავთობის რეწვის კვოტების გაზრდის აუცილებლობის საკითხი. მოლაპარაკების მონაწილენი ჯონ სნოუს დაჰპირდნენ, რომ ყველაფერს იღონებენ ნავთობზე ფასების დასაკლებად. თუმცა, ოპეკის ქვეყნების წარმომადგენლები დანაპირებს არ ასრულებენ. ოპეკის პრეზიდენტმა პურნომო იუსტიანტორომ განაცხადა – დეკემბერში ნავთობზე კვოტები შეიძლება კი არ გაიზარდოს, არამედ შემცირდეს კიდეც, რადგან მომავალ წელს მოსალოდნელია მოთხოვნილების შემცირებაო. ■

სიცოცხლე — მოძრაობაშია!

ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი და სახსრებისა და ხერხემლის სხვა პათოლოგიები ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში. ყოველი ადამიანისთვის ეს დაავადებები ასოცირებულია ტკივილის შეგრძნებასთან, მოძრაობის შეზღუდვასთან და საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხის გაუარესებასთან.

ქონდროპროტექტორები უდავოდ რევოლუციური გადაწყვეტაა

სახსრების დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის

ტერაფლექსი (THERAFLEX) ეფექტური კომბინირებული ქონდროპროტექტორია

1 კაფსულა ტერაფლექსი შეიცავს:
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს — 500მგ
ნატრიუმის ქონდროიტინის სულფატს — 400მგ
ბენზოკაინს — 10,3%

ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება უზრუნველყოფს რეგენერაციულ (აღმდგენ), ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს.

ტერაფლექსი

- ახდენს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას;
- აჭრობს ანთებით პროცესს სახსარში;
- ამცირებს ტკივილის ინტენსივობას სახსრებსა და ხერხემალში;
- აუმჯობესებს სახსრების მოქნილობას;
- მოტეხილობების დროს აჩქარებს შეხორცების ძვლოვანი კორძის წარმოქმნას;
- აქვეითებს (ან ზღუდავს) მოთხოვნილებას არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებებზე;
- აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

რეკომენდებული მინიმალური თერაპიული კურსი შეადგენს 6 თვეს.
პრეპარატის მიღებამდე გულდასმით გაეცანით ანოტაციას.

ტერაფლექსი — თავისუფლების ახალი დონე!

„საგმელ"-ი თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას და აქტიურ სრულფასოვან ცხოვრებას.

ელფერ ლაიფი®

საქართველოს შოთამოძაგეების თავგადასავალი იაპონელმა მკითხველმა „გზის" წერილიდან შეიტყო

ჩვენს ჟურნალში („გზა" №31 (112)) დაბეჭდილ ჟურნალისტ ქეთი ჯაყელის წერილს — „როგორ დაუბრუნა სიცოცხლე ქართველმა ბიჭმა იაპონელ ტყვე დიდებულს" გამოხმაურება მოჰყვა იაპონიაში.

ქეთი ჯაყელი

იაპონურმა გაზეთმა — „იაპონია — ევრაზიის მოამბე", საინტერესოდ ჩათვალა თბილისში, კერძოდ, საბურთალოზე არსებულ ტყვეთა ბანაკში მომხდარი ამბავი. იგი ერთი პატარა ქართველი ბიჭის და იაპონელი ტყვე დიდებულის გულის ამაჩუყებელ შეხვედრას ეხებოდა. გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო ამ მასალას.

წერილის ავტორი, საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი კარლო ქველაძე, რომელიც ბევრ სასიკეთოს აკეთებს ამ ორი ქვეყნის დასაახლოებლად და სისტემატურად აწვდის მათთვის საინტერესო მასალებს იაპონელ კოლეგებს, დაწვრილებით აღწერს „გზაში" მოთხრობილ ამბავს.

მკითხველს შევახსენებთ, — წერილში საუბარი იყო იაპონელ ტყვე დიდებულზე, რომელიც მძიმედ გახდა ავად და 9 წლის ქართველი ბიჭის, გენერალ კაპიტონ ნაჭყებიას ვაჟის, ოთარის მირთმეულმა კალმახებმა ამ ქვეყნისკენ შემოაბრუნა.

კეთილშობილი სამურაების შთამომავალმა, რომელსაც, მისივე თქმით, ამ საჩუქარმა არა მარტო სიცოცხლე, არამედ წამით სამშობლოც დაუბრუნა (რადგან წარმოშობით მთიანი ნაგანოდან იყო),

გაზეთის — „იაპონია — ევრაზიის მოამბე" გვერდი, რომელზეც გამოქვეყნებულია კარლო ქველაძის წერილი

オタル・ナチケビア氏

グルジア人の若者が日本人

筆者は非常に興味を持ち、配者とオタル・ナチケビア氏に会おうと決心した。しかし、そんなに簡単ではなかった。私は記者の住所を調べるのに苦労し、ようやく事務所で会いたいと伝えた。

配者のケテウワン・ジャケリ女史は、すぐに旅行社に知し、オタル・ナチケビア氏との懇談をセットしてくれた。そして、ある晴れしい日、事務所に感じの良い、恰好の良い大柄な男性がやってきた。彼こそがオタル・ナチケビア氏であった。

本人も住んで暮していたこの時、オタルはナヒモフ名称海軍学校生で、海軍の制服を着た18歳の少年だった。オタルは海軍学校で、泳ぎ方や魚を捕りに行ったりし、戦争捕虜の収容所の前を過ぎていた。その帰り道、彼は日本人に新鮮な魚をよく差し入れていた。というのも、彼は新鮮な魚が、病気にかかった日本人には最もありがたい贈り物であったことを知っていたからであった。そのことは日本人達の顔を見れば分かった。その大柄な男性がやってきや、その貴重な贈り物を受け取る時の嬉しい表情

伝染病が住民に

なっている。

本人もたくさん暮していたこの時、オタルはナヒモフ名称海軍学校生で、海軍の制服を着た18歳の少年だった。オタルは海軍学校で、泳ぎ方や魚を捕りに行ったりし、戦争捕虜の収容所の前を過ぎていた。その帰り道、彼は日本人に新鮮な魚をよく差し入れていた。というのも、彼は新鮮な魚が、病気にかかった日本人には最もありがたい贈り物であったことを知っていたからであった。そのことは日本人達の顔を見れば分かった。その大柄な男性がやってきや、その貴重な贈り物を受け取る時の嬉しい表情

日本人は新鮮な魚を見る

に私を呼び戻した。途中、知り合いの日本人が

私に近いうち義父と長崎

僧をしてい、病気の上官か

ら感謝と敬意の印にと、

革の入れ物に入れられ

た、鯉が銀の糸でできて

いて鯉が彫られていた

小さな芸術品のものを渡

してくれた。母はペンジ

ンで「海藻」と言った。じっ

とそれを見て、私にこれを

何か知っているかと聞い

た。オタルが知らないと

答えると、母は、お前は

日本人から心をとった

のだと言った。この時、

オタルはひどくショック

を受けた。母が説明する

には、これは名家庭のお

守りで「根付」といい、

危険な不運や不運から身

かもしれない と言っ

た。オタルは非常に心配し、帰宅した。夜に海軍学校に戻らなければならなかったので、急受度を整えるために大きな風呂場へ行った。と、そこに、まるで御伽噺のような、裕福に紅鯛が数匹泳いでいるではないか。それはその友人がその故郷から持って来たものであった。魚を見て、オタルは自所に風呂場を行ったり来たりし始めた。母親がそれに気づき、彼に何を心配しているのかを聞くように言った。母親は病気の捕虜に魚を運ぶ手伝いをすることを決めた。そして大きな鍋に水を入れ、そこに魚を一匹ずつ放り入れ、二人で吸物を作った。オタルが驚くことは、「その日本人は新鮮な魚を見る

ていかけていたのだ。そこでは病人を日本的雰囲気が感じられた。日本人捕虜たちは整列していて、私も海軍学校の制服を着ていたので、まるで私が武士に迎えられたような感じだった。私を送ってきてくれた日本人は、私が病気に伝染しないように、すぐ

TERAFLEX

ТЕРАФЛЕКС

Health Life

60 капсул

ვლადიმერ ქველაძე კიოტოში გამართულ მსოფლიო ფორუმზე გამოსვლისას

მადლობის ნიშნად პატარა მეგობარს თავისი საგვარეულო თილისმა – ნეცკე აჩუქა.

„არ არის გამორიცხული, წერილს ამ ბანაკში მყოფთაგან ან მათ შთამომავალთაგან ვინმე გამოეხმაუროს, ამიტომაც გადავწყვიტე ამ ამბის იაპონელი მკითხველისთვის გაზიარება“, – ამბობს კარლო ქველაძე და იაპონელთა ერთ საინტერესო ინიციატივაზე მოგვითხრობს.

როგორც ცნობილია, II მსოფლიო ომის შემდეგ მოკავშირეების მიერ ხელმოწერილი პოტსდამის დეკლარაციით (1945 წ) იაპონიის განიარაღება და დემილიტარიზაცია მოხდა. ეს ამ ქვეყნის კონსტიტუციის მე-9 მუხლშიც აისახა, სადაც კერძოდ, აღნიშნულია: „...იაპონელი ხალხი სამუდამოდ ამბობს უარს ომზე, როგორც საერთაშორისო დავის გადაწყვეტის საშუალებაზე. ...ამიერიდან არ შეიქმნება საქვეითო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები...“

თუმცა ნელ-ნელა ამგვარი ძალები იქმნებოდა და დღეს იაპონიას საკმაოდ კარგად გაწვრთნილი არმია ჰყავს; ამას, პირველ რიგში, თავად იაპონელები აპროტესტებენ და ცდილობენ, ქვეყნის კონსტიტუციის მე-9 მუხლი მთელი ევრაზიის ტერიტორიაზე გაავრცელონ, რადგან ჯერ კიდევ ახსოვთ ხიროსიმა და ნაგასაკი, – ორი უზარმაზარი „შხამიანი ბაობაბი“, რომელზეც ხომალდ „დედამიწის“ დიდებული მგზავრი, გენიალური მოაზროვნე და მფრინავი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი პატარა პრინცის ენით წინასწარმეტყველივით აფრთხილებდა დედამიწელებს : „ერიდეთ ბაობაბებს! ხშირად გამარგლეთ თქვენი პლანეტა“.

იაპონური არასამთავრობო ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში აგროვებენ ხელმოწერებს ბირთვული იარაღის აკრძალვის თაობაზე. 100 000 ხელმოწერა შეგროვდა საქართველოშიც, საქართველო – იაპონიის ურთიერთობის ასოციაციის თაოსნობით. მისი ვიცეპრეზიდენტი ვლადიმერ ქველაძე 2002 წელს ვრცელი მოხსენებით გამოვიდა იაპონიის ქალაქ კიოტოში ჩატარებულ მსოფლიო ფორუმზე, რომლის დევიზი იყო – „მშვიდობისა და მეგობრობისათვის XXI საუკუნეში“.

„უახლოეს მომავალში დაგეგმილია ამგვარი ფორუმის მეორედ მოწვევა. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი ხელისუფლების თანადგომისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, ის საქართველოშიც გაიმართოს“ – გვითხრა კარლო ქველაძემ და იაპონიიდან გამოგზავნილი საგაზეთო წერილის შინაარსი გაგვაცნო. ■

nobaTi patara aTeneli qarTvelisgan...

ამ დღეებში საბერძნეთის დედაქალაქიდან ჩვენი ერთგული მკითხველის და ფაქტობრივად კორესპონდენტის (ის საბერძნეთში მომხდარ ყველა „ქართულ“ მოვლენაზე წერილსა და ფოტომასალას გვაწვდის ხოლმე), ლიგია მუშკუდიანისაგან მორიგი ბარათი მივიღეთ. ამჯერად მისი კორესპონდენცია არ უკავშირდება ათენში მოქმედი ქართული სათვისტომოს ღონისძიებას ან რომელიმე ქართული მხატვრული კოლექტივის საბერძნეთში გასტროლს. ქალბატონი ლიგია გვწერს:

„ჟურნალი „გზა“ რომ ძალზე პოპულარულია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ამის ნათელი დასტურება ისიც გახლავთ, რომ მას ჩვილი ბავშვებიც კი „კითხულობენ“. გნებავთ ფაქტი? ფაქტი სახეზეა (იხილეთ ფოტო)!.. ამ პატარა საჩუქარს ჩემი ქალიშვილი ანა-მარია გიძღვნით.

გისურვებთ, რომ მკითხველთა სიყვარულს იმკიდეთ მარად! თქვენი ლიგია მუშკუდიანი.

ათენი, 2004 წ. 18 ოქტომბერი.“



ჩვენი დღევანდელი „სასიძო“ საკმაოდ მძიმეწონიანი, ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი სახე, „შიშველი სიმართლის“ მთქმელი გოლა ტყაბლაძე გახლავთ. ის იუმორით სავსე, სასიამოვნო მოსაუბრეა და როგორც თვითონ ამბობს, კარგი მონადირე და მეთევზეა... ალბათ არც კი იცით, რომ გოლა დაბადებიდანვე ვარსკვლავია. მის შესახებ საბჭოთა ტელევიზიის ფლაგმანი — საინფორმაციო პროგრამა „ვრემიაც“ კი მოუთხრობდა მაყურებლებს. რატომ?.. ამას მისი ინ-ტერვიუდან შეიტყობთ.

172 კგ-იანი გოლა თითქმის შიშველ საპაკარაძლოზეც თანაგმაა, ოღონდ...

მარი ხაფარიძე

— გოლა შენი ნამდვილი სახელია?

— გამოდის, რომ ნამდვილი სახელია, რადგან დაბადებამდეც თურმე, გოლა მერქვა. მყავს და, რომელიც ჩემზე ერთი წლით უფროსია. თურმე, დედა ჩემზე ფეხმძიმედ რომ იყო, მაშინ ამბობდა — გოლა უნდა დაიბადოსო. ჰოდა, ეს სახელი დამარქვეს.

— გაგვაცანი შენი ოჯახი.

— მყავს დედა, რომელიც პროფესიით ფერშალია, მაგრამ არ მუშაობს, დიასახლისია; მამა, რომელიც რაიონში სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობს, და, რომელიც გათხოვილია და თბილისში ცხოვრობს. ჩემი მშობლები წყალტუბოში ცხოვრობენ. მე თბილისში მარტო ვცხოვრობ.

— ახლა ორი „საიდუმლო“ გაგვიმხილე: რამდენი წლის ხარ და რამდენს იწონი?

— 22 წლის ვარ. საერთოდ, ადამიანებს ჩვევად აქვთ ქცეული, როცა ჩემი წონის გაგება აინტერესებთ, მეკითხებიან ხოლმე — თუ უხერხული არ იქნება, სხვანაირად არ გაიგო, — რამდენი კილო ხარო?.. სხვანაირად რატომ უნდა გავიგო?.. ბოლოს რომ ავიწონე, „სულ რაღაც“ 172 კილო ვიყავი. ახლა შესაძლოა, ცოტა მეტიც ვიყო, მაგრამ ჩემი წონისა და ჰაბიტუსის გამო, არანაირი კომპლექსი არ მაწუხებს.

— დიეტის დაცვა არასოდეს გიცდია?

— როგორ არა?.. დიეტოლოგს მივმართე და დავიწყე დიეტის დაცვა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ვიტანჯებოდი. შემდეგ ახალი წელი მოახლოვდა და ექიმმა უფლება მომცა, 2 დღით დამერღვია დიეტა. ჰოდა, იმის მერე „შევუბერე“ და ორი დღე კი არა, წელიწადზე მეტი გავიდა...

— მარტო რომ ცხოვრობ, როგორ ახერხებ თავის მოვლას? მოწესრიგებული ადამიანი ხარ? ახლა შინ რომ დამპატიჟო, ხომ არ შეირცხვენ თავს?

— კი, შევირცხვენ, რადგან წუხელ სტუმრები მყავდა. ვიქეიფეთ, დილით შინიდან ნაჩქარევად გამოვედი და სუფრა ისევ აულაგებელი დავტოვე. რაც შეეხება თავის მოვლას — ასე თუ ისე, ვახერხებ. გასარეცხ ტანისამოსს ვაგროვებ ხოლმე და ბოლოს, ჩასაცმელი რომ აღარ მრჩება და სხვა გამოსავალი აღარ მაქვს, ვრეცხავ. კერძების მომზადება მეხერხება. თუ არ მეზარება, მოვიმზადებ. თუ დაღლილი ვარ, მშრალზე გადავალ ხოლმე.

— საყვარელი კერძი რომელია?

— ძალზე მიყვარს შემწვარი ციკანი. მთელ ციკანს ვერ შევჭამ, მაგრამ ნორმალური, კარგი მჭამელი ადამიანი რამდენსაც მოერევა, იმდენს მეც მოვერევი. რაც მთავარია, რასაც შევჭამ, შევირგებ კიდეც. თუ გაბრაზებული ვარ, მაშინ 15 ლიტრი ღვინოც ვერ მათრობს, მაგრამ თუ კარგ ხასიათზე ვარ, შესაძლოა, ორმა ლიტრმაც დამათროს. „პახმელია“ არსოდეს არ მაწუხებს, თუ „საწამლავი“ არ დავლიე და თანაც — დიდი რაოდენობით. მიყვარს მოლხენა, ცეკვა, სიმღერა. არ მესმის იმ ხალხის, დასათრობად რომ სვამს ღვინოს. მე რომ ვსვამ, ვქეიფობ და დროს ვატარებ.

— წყენას იოლად აპატიებ?

— მეგობრებს ვაპატიებ ყველაფერს. მიყვარს სიმართლის პირში მიხლა, თუმცა ამას ხუმრობის ტონით ვაკეთებ. ყველამ იცის, რომ ვხუმრობ, მაგრამ თან სიმართლეს ვეუბნები. შესაძლოა, მწარედ ვუთხრა რამე, მაგრამ იმდენად „უგულოდ“ ვამბობ ამას, რომ არავის სწყინს. ყველამ იცის, რომ მალე გამივლის წყენა. სხვათა შორის, ეს ცუდია. ადამიანს უნდა შეგეძლოს სამაგიეროს გადახდა. არ „ნავარგება“, ყველას ყველაფერს რომ აპატიებ.

— ბილწსიტყვაობ ხოლმე? ხშირად იგინები?

— ვიგინები მაშინ, როცა კარგ ხასიათზე ვარ. ზურგს უკან არავის შევაგინებ, სათქმელს პირში ვეტყვი და მორჩა!

— როგორ მოხვდი „202“-ში?

— ამ ბიჭებს დიდი ხანია, ვიცნობ, ჯერ კიდევ „კა-ვე-ენ“-იდან. შალვა რამიშვილი ტელევიზიის გახსნას რომ აპირებდა, დამირეკა და შემომთავაზა, მათთან მემუშავა. ასე მოვხვდი ამ „გაუგებრობაში“. მიხარია, რომ კარგ კოლექტივში აღმოვჩნდი.

— შენს აღნაგობას გენეტიკური ფესვები ხომ არ აქვს?

— ოჯახის წევრები ჩემსავით მსუქნები არ არიან, მაგრამ დედის მხრიდან

ასეთი გენი ნამდვილად მაქვს. ბაბუაჩემი ჩემზელა ყოფილა, მამამისი კი 200 კილოგრამს იწონიდა და 2 მეტრი სიმაღლის იყო. ასე რომ, გენებმა თავისი ქნა.

— ახლა გვითხარი, როგორი გოგონები მოგწონს?

— ამბობენ, რომ ადამიანის გარეგნობას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მე ასე სულაც არ მიმაჩნია. პირველ რიგში, ქალს ვიზუალურად აღვიქვამ. მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი არა ვარ, შესაძლოა, პრეტენზიაც არ უნდა მქონდეს, მაგრამ რა ვქნა — კარგი გემოვნება მაქვს და ლამაზი გოგონები მომწონს... გოგო არ უნდა იყოს გაუნათლებელი. თუ ფილოსოფოსი არ იქნება, უბრალო თემებზე მაინც უნდა შეეძლოს საუბარი. აუცილებლად უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობაც. სხვაგვარად, მასთან ურთიერთობას ვერ შევძლებ. თუ კარგი დიასახლისი არ იქნება, არა უშავს — მერე ისწავლის, სხვა რა გზა ექნება?!

— მზითვად რა უნდა მოიტანოს შენმა მომავალმა მეუღლემ?

— სუფთა გული და სუფთა გრძნობები!.. ტანზე კი, თუნდაც, მხოლოდ ერთი ხელი სამოსი ეცვას. არც იმაზე მექნება პრეტენზია, თუ შიშველი მოვა. ოღონდ — ასეთ შემთხვევაში, გვიან ღამით მივიყვან შინ, დაბურულმინებიანი მანქანით, რომ ვერავინ დაინახოს, შემდეგ კი ჩავაცმევ...

— შენ რას დაახვედრებ?

— ბინას. მანქანა მყავდა და გავყიდე. ახლა კარგისა და კარგის არჩევანში ვარ და ვეღარ ვიყიდე. კარგ ოჯახს დავახვედრებ, კარგ წინაპრებს. მაქვს ჩემი პატარა ბიზნესი და შემიძლია, ოჯახი ვარჩინო. არ მკითხოთ, რა ბიზნესი მაქვს — ამას ჩემს ცოლს გავუმხელ, შინ რომ მოვა...



ძალიან მიყვარს ნადირობა, ოღონდ, იმ ცხოველების მეშინია, რომლებიც ჩემზე დიდია...

— ჰობი თუ გაქვს?

— კი — ნადირობა და თევზაობა. ძალიან მიყვარს ნადირობა, ოღონდ, იმ ცხოველების მეშინია, რომლებიც ჩემზე დიდია. ამიტომ დათვზე სანადიროდ არ დავდივარ. რომ მომერიოს, მერე რა ვქნა?.. ძირითადად, იხვსა და მწყერზე ვნადირობ ხოლმე. ერთხელ ჭაობთან ახლოს ვნადირობდი. ჩემი მეგობარი ჭაობში შევიდა და იხვი მოკლა. ვიფიქრე — ავშენდი, ბევრი იხვიამეთქი და მეც გაბედულად შევედი ჭაობში. 2 ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ვხედავ — ვიძირები. ლამის კისრამდე ჩავეფალი... თოფიანი ხელი ზევით მქონდა აწეული და — მიშველეთ-მეთქი, — ნაპირზე დარჩენილ მეგობრებს ვეუბნებოდი. ისინი კი იდგნენ და გულიანად იცინოდნენ — ბიჭო, თოფი რა მაგრად გყვარებიაო!.. სხვა დროს, ყინულიც ჩამტეხია და წყალში ჩავვარდნილვარ, შემდეგ 2 საათის განმავლობაში, სანამ ტანისამოსი გაშრებოდა, მანქანაში შიშველი ვმჯდარვარ... მოკლედ, ძალზე ბევრი თავგადასავალი გადამხდენია, მაგრამ ნადირობას თავს მაინც არ ვანებებ.

ხანდახან დედაჩემი მეტყვის — ცოლი რომ მოგეყვანა, უფრო მშვიდად ვიქნებოდიო

— ცნობილია, რომ მონადირეები და მეთევზეები ძალზე ოსტატურად იტყუებიან. შენ თუ გეხერხება ტყუილის თქმა?

— კი, მაგრამ ძალზე უწყინარ ტყუილს ვამბობ ხოლმე. თუმცა, ისე ოსტატურად ვიტყუები, რომ ვერავინ ხვდება.

— ოჯახის წევრები ცოლის მოყვანას ხომ არ გაძალებენ?

— ხანდახან დედაჩემი მეტყვის — ცოლი რომ მოგეყვანა, უფრო მშვიდად ვიქნებოდიო, — მაგრამ ჯერ იმ ასაკში არა ვარ, რომ თუ სასწრაფოდ არ დავქორწინდი, განგაში უნდა ატყდეს. ხდება ისეც, რომ გოგოს მირიგებენ, მაგრამ როგორი ლამაზი და კარგი გოგოც არ უნდა იყოს, თუ დაგაძალებენ, თითქოს არ მოგწონს... თუმცა, როგორც ვაკვირდები, გარიგებით შექმნილი ოჯახი უფრო მყარია...

— მეტსახელი თუ გაქვს?

— კი, ბავშვობაში დონალდოს მეძახდნენ, მარადონას, რადგან 10-ნომრიანი მაისური მეცვა ხოლმე. ასევე მეძახდნენ ბალუს, წრიპას და „მშიას". რამდენჯერმე ისე მოხდა, რომ ერთსა და იმავე „სასტავში" მოვხვდი და ყოველთვის ვთქვი — მშია, რამე მაჭამეთ-მეთქი, — და იმ ხალხმა „მშია" დამარქვა.

— შენი ქორწილი როგორ წარმოგიდგენია?

— წარმომიდგენია ძალზე ლამაზად მოწყობილი და მორთული დარბაზი; იქ ყველა ჩემი ახლობელია თავმოყრილი, არის ძალზე გემრიელი კერძები; მე კოხტად ვარ გამოწყობილი და გვერდით — პატარა, აი, ასეთი პატარა *(ხელით მიჩვენებს 10 სმ სიგრძის მონაკვეთს. — ავტ.)*, თეთრ კაბაში გამოწყობილი პატარძალი მიდგას...

— ასეთი პატარა პატარძალი რად გინდა?

— ასეთი მომწონს და რა ვქნა?! მე თვითონ დიდი ვარ, მაგრამ პატარა გოგონები მომწონს. სხვათა შორის, ერთხელ მკითხეს — ყველაზე პატარა რა წონა გქონდაო? მე ვუპასუხე — 6 კილოგრამი-მეთქი: სწორედ ასეთი წონის დავიბადე. ეს სენსაცია იყო და ჩემ შესახებ „ვრემიამ" გადასცა — ქუთაისის სამშობიაროში გოლიათი ბავშვი დაიბადაო!...

— შენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს თუ გაეცნობი?

— ო-ო, რა თქმა უნდა, გავეცნობი...

აი, ასეთი „სასიძო" გვყავს. მისი გაცნობის მსურველებს კი შეუძლიათ, გამოგზავნონ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გისურვებთ წარმატებას. ■



თუ ამ კვირაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში შეწუხებული სახის გამომეტყველების მქონე ქალი შენიშნეთ, რომლის მობილურიც განუწყვეტლივ რეკავდა, თანაც, როგორც კი პასუხს გასცემდა, დამრეკავი უთიშავდა, ეი. ჩემთან ერთად გიმგზავრიათ... გამოგიტყდებით — მაოცებენ ჩვენი მკითხველები, კერძოდ, „სასიძო“-„საპატარძლოების“ თაყვანისმცემლები: თუ რეკავენ, რაღატომ არ მელაპარაკებიან?.. თუ ლაპარაკი არ უნდათ, რატომ მირეკავენ?.. ან რატომ „მომიგდებენ“ ხოლმე მხოლოდ ერთ სიტყვას — „გადმორეკე?“ ჩემს გასაჭირს იმისთვის გიზიარებთ, რომ შემდგომში მაინც გაითვალისწინონ... ახლა კი, ჩვეულებისამებრ, წინა ნომრის „საპატარძლოს“ — ეკა ტოგონიძის სახელზე მოსულ გზავნილებს გაგაცნობთ.

„ისეთი ლამაზი ლამეა, დავხუჭავ თვალებს და ვინაგრეგ...“

მარი ჯაფარიძე

„ეკა, ძალიან საყვარელი ტიპი ხარ. შენ „რაფაელოს“ და „მოამბეს“ ნამდვილი რეკლამა გაუკეთე. მაგ კურიოზს რომ ჰყვები, უფრო საყვარელი და ჩასაყლაპი ხარ. ნამდვილი „მის პირველი არხი“ ხარ!“

„ეკა, წავიკითხე შენი ინტერვიუ და ძალიან მომეწონა. რაც შემეხება მე, ვარ 23 წლის, უმაღლესი განათლებით, იურისტი და ვმუშაობ ფოთის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრატორად. თუ დაინტერესდები, დამიმესიჯე ნომერზე: 8(93)98.0... ამ მესიჯს მეგობრის მობილურით გიგზავნი“.

„ეკა, მინდა გითხრა, რომ „შენს თავს ვერავინ წამართმევს, ნურც ნურვინ შემეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრი...“ შენ გვერდით ვარ. ჯანო ხ...“

„აუ, რა მაგარი გოგოა ეკა. უმშვენიერესია. ვუსურვებ ბედნიერებას...“

„ძალიან მომეწონა თქვენი „საპატარძლო“. ვარ 25 წლის, იურისტი, ვსწავლობ გერმანიაში, მაგისტრატურაში. ზოდიაქოთი – სასწორი გახლავართ. ძალიან მიყვარს იუმორი და მუსიკა. ეკა მომეწონა და სიამოვნებით გავიცნობდი. ზაზა“.

„ყოველთვის, როცა ოცნებობ, ყოველთვის, როცა მარტო ხარ, გახსოვდეს, რომ მე ვარსებობ, გახსოვდეს, რომ მე მახსოვხარ“.

„ეკა, ძალიან ლამაზი ხარ. ეკრანზე თვალს ვერ გაშორებ. „მოამბეს“ შენი ხათრით ვუყურებ. დამირეკავ?.. პრობლემა: ყველაფრით შენზე უკეთესი არა ვარ... მაინც დამირეკე“.

„ეკა, ძალიან მომეწონა შენი პირდაპირობა და სულიერი სილამაზე. გიძღვნი ლექსს: სილამაზით ანგელოზო, ბრწყინავ, ვითარც მზეო, რა იქნება, დედოფალო, დამირეკო მეო? შენი ლამაზი სიტყვებით გული გამითბეო... ჩემი ქორით დაგიჭერ, მტრედო. მურთაზი“.

„ეკა, სიამოვნებით გაგიცნობ, იმედია, გამომეხმაურები. მე ვარ შალვა მ-შვილი. ოთხშაბათს „მაქსში“ ჩემი ინტერვიუ იქნება, თუ გაინტერესებს.“

„სიამოვნებით გავიცნობდი თქვენს „საპატარძლოს“. მარი, შენი დახმარება მჭირდება. პაატა“.

„ეკა, შენ ერთ-ერთი საუკეთესო მანდილოსანი ხარ ქვეყანაზე, მაგრად მომწონხარ. ირაკლი. წყალტუბო“.

„ქარი ქრის, ოცნების სარკმელში შემოდის რძისფერი სინათლე, ისეთი ლამაზი ღამეა, დავხუჭავ თვალებს და გინატრებ... ალბათ სიზმარია, იქნებ ზღაპარია, რომ დღეს ჩემი გული შენით გამთბარია, ნეტავ, არ გათენდეს, ნატვრა არ გაჩერდეს, მინდა ყოველი დღე ჩემით გაგახსენდეს...“

„ეკას უთხარით, რომ ის არის მარწყვივით გემრიელი, თაფლივით ტკბილი, მზესავით მწველი და მწვერვალივით დასაპყრობი. თაზო“.

„მე ვარ დათო, იურისტი, 26 წლის. ძალიან მინდა ეკას გაცნობა. იქნებ, დამეხმაროთ?“

„ეკა, შენ მიმართ ძალზე დიდი სიმპათია გამიჩნდა. თურმე იშვიათად ტირი, მაგრამ ძალიან მომინდა, შენი ცრემლი ვყოფილიყავი, ჩამოვგორებულიყავი და ბაგეზე დაგკონებოდი. უფროსი ასაკის გოგონები ძალიან მხიბლავს, ჩემს ტოლებს ვერ ვუგებ. გოგა დასავლეთიდან. 18 წლის“.

„მე, აზნაურ შალვას, ამ დედულ-მამულების პატრონს, ინტელექტი, იუმორი და მოხერხებულობა მაკლია?.. ეგ ჯერ კიდევ საკითხავია. ეკა, შენი ტოლი ვარ, ოღონდ – შებრუნებით... პირდაპირ შენთვის ვარ დაბადებული“.

„ძალიან მომეწონა „საპატარძლო“. მაქვს მისი გაცნობის სურვილი. ვარ სპეცრაზმელი, ბათუმის „ობეერში“ გაწვრთნილი. ეკას მოთხოვნებს კი ყველანაირად ვაკმაყოფილებ“.

„ეკუნა, მშვენიერი ხარ. იცი, ზღაპარი გამახსენდა, კოშკში გამოკეტილ მზეთუნახავზე. შენ მზეთუნახავი იქნები, მე – უფლისწული, შენ ოქროს დალალს ჩამოუშვებ სარკმლიდან, მე კი ზევით ამოვცოცდები, ჩაგიხუტებ, ლამაზ თვალებსა და ტუჩებს დაგიკოცნი და ვიცხოვრებთ ტკბილად და ბედნიერად...“

„ასეთი ლამაზი გოგონა იშვიათად მინახავს. თითქოს არამიწიერი სილამაზე აქვს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ცოტა „სტერვა“ უნდა იყოს, უხასიათო და ჯუჯღუნა. მგონი, არ ვცდები“.

„ეკა, ვიცი, შენი გული თავისუფალი არ იქნება. შენ ვინ დაგტოვებს უყურადღებოდ?.. და თუ მაინც არავინ გიყვარს, გულცივი ყოფილხარ. ნუთუ, ვერ ამოარჩიე საუკეთესოთა შორის საუკეთესო? მე გთავაზობ ჩემს გულს. ნუ გაუშვებ ხელიდან ბედნიერების შანსს. იქნებ, მიცნობ?“ ■

ნამალი „მთიანმინდა“

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, მცენარეული საპნები;
- ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობა მარანითით

ქალ: ჭავჭავაძის გაზ. 22, ბაის სახლთან, სამოგზაურო ბიურო ალიანსიაში,
მილეგა ყოველდღე 11-18 სთ-ზე, „მთიანმინდა“ ასევე შეგიძლია შეიძინოთ PSP აფთიაქებში
☎ 30-94-73; 34-35-16 (სალარო); 35-32-62; 893-91-89-17

ქურდულ ორიენტაციას საკი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა

რა დანაშაული უძღოდა წინ, გულგულის სასაფლაოზე ადამიანის წამებას?

35 წლის ზაზა ლაზარიაშვილის სადისტური მკვლელობა, რომლის შესახებაც „გზის“ ფურცლებზე რამდენიმე თვის წინ მოგითხრობდით, უზენაესი სასამართლოს დანაშაულის განხილვის საგანი კვლავ ხდება. ამჯერად, ამ შემზარავ დანაშაულს სისხლის სამართლის საკასაციო პალატა განიხილავს და კოლეგიის მიერ მკვლელებად გამოცხადებული პირების — 34 წლის გელა ჩაკვეტაძისა და 35 წლის დავით პაპუაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენის კანონიერებას გაარკვევს.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის 9 თებერვლის ღამეს, თელავის რაიონში მდებარე ე.წ. გულგულის სასაფლაოზე, გელა ჩაკვეტაძე და მისი თანამზრახველები (პროკურატურის ინფორმაციით, ამჟამად ძებნილი – დავით წულაია, აგრეთვე, დავით პაპუაშვილი და ხვიჩა ოგბაიძე) სადისტურად გაუსწორდნენ თანასოფლელს, ორი მცირეწლოვანი ბავშვის მამას – ზაზა ლაზარიაშვილს და ტანჯვითა და წამებით ამოხადეს სული; ჯერ დანით აჩეხეს, შემდეგ ყელი გამოსჭრეს და როცა ამ სისასტიკეს მორჩნენ, გვამი მანქანით მდინარე ალაზნისკენ წაიღეს, საბარგულიდან ამოიღეს, მოკლულის ტანსაცმელში ქვები ჩააწყვეს, ბაწრით გაკოჭეს და მდინარეში ჩააგდეს...

წყალში ჩაძირული გვამი სოფლის მოსახლეობამ და პოლიციამ მკვლელობიდან მესამე დღეს იპოვეს. როგორც ამბობენ, მათ მდინარის ნაპირთან გამორიყული მამაკაცის ცალი ფეხსაცმელი შეამჩნიეს. მოკლულის ცოლმა ფეხსაცმელი მაშინვე იცნო და თქვა, რომ ის მის ქმარს ეკუთვნოდა...

ამ საშინელ დანაშაულში გელა ჩაკვეტაძე და დავით პაპუაშვილი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ დამნაშავეებად ცნო. რაც შეეხება ხვიჩა ოგბაიძეს, რომელიც ზემოთ ხსენებულ პირებთან ერთად გაასამართლეს, მას მკვლელობაში თანამონაწილეობა არ დაუმტკიცდა.

კოლეგიამ ჩაკვეტაძეს 25 წლით, ხოლო პაპუაშვილს – 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენით უკმაყოფილო ჩაკვეტაძემ საკასაციო პალატაში საჩივარი შეიტანა და მისთვის გამოტანილი სასჯელის გაუქმება მოითხოვა. მისი თქმით, მოსამართლემ ის უკანონოდ და დაუმსახურებლად დასაჯა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაკვეტაძემ ჩადენილი მკვლელობა სასამართლო პროცესზე არ უარყო, მაგრამ განაცხადა, რომ დანაშაული წინასწარი განზრახვით კი არა, აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა ჩაიდინა. პროკურატურამ, ისევე, როგორც სასამართლო კოლეგიამ, მისი სიტყვები არ გაიზიარა, საქმის განხილვისას კი გაირკვა, რომ ამ სადისტურ დანაშაულს კიდევ ორი ადამიანის – დედა-შვილ ჩაკვეტაძეების მუხანათური მკვლელობა უძღოდა წინ. ნანა და იოსებ ჩაკვეტაძეები – გელა ჩაკვეტაძის დედა და უმცროსი ძმა – ზაზა ლაზარიაშვილის მკვლელობამდე 9 თვით ადრე – 2003 წლის 29 მაისს, ამოხოცეს საკუთარ სახლში. სამართალდამცავთა აზრით, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმ სასტიკი დანაშაულისა, რომელსაც შემდგომში, ლაზარიაშვილი ემსხვერპლა.

ზაზა ლაზარიაშვილი

დედა-შვილის მკვლელობის საქმის განხილვა უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე დღის წინ დაიწყო. როგორც გაირკვა, ჩაკვეტაძეების მკვლელობაში ბრალდებულები – 30 წლის ზურაბ ლომიაშვილი და 37 წლის ზაზა მამუკაშვილი გაცილებით გვიან დააკავეს, ვიდრე ჩაკვეტაძე, პაპუაშვილი და ოგბაიძე. ამიტომაც ისინი მხოლოდ ახლა წარდგნენ სასამართლოს წინაშე.

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაულების მთელი ეს რიგი, თანასოფლელებს შორის უბრალო შელაპარაკებას მოჰყვა. 2003 წლის 25 მაისს, თელავის რაიონის სოფელ ართანაში მთვრალი ზურაბ ლომიაშვილი და მისი დეიდაშვილი – კობა მათიაშვილი სოფლის გზაზე შემთხვევით შეხვდნენ ასევე ართანელ გელა ჩაკვეტაძეს. ჩაკვეტაძე ვაჟა ქიტოშვილის ავტომანქანით იყო მისული. ლომიაშვილმა სთხოვა – საქმეზე ვარ წასასვლელი და მანქანით წამიყვანეო, მაგრამ უარი მიიღო. ამის გამო, ლომიაშვილს, მათიაშვილსა და ჩაკვეტაძეს შორის ჩხუბი მოხდა. როგორც ამბობენ, მაშინ მათ ჩაკვეტაძე სასტიკად სცემეს. თუმცა, საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ ცემის შედეგად მან მხოლოდ სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, კერძოდ – სხეულზე ეტყობოდა სისხლნაჟღენთები, სისხლჩაქცევები და ერთი კბილიც მოსძვრა.

მაგრამ ჩხუბი ამით არ დასრულებულა. იმავე დღეს, ჩაკვეტაძე და ლომიაშვილი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს და შელაპარაკდნენ. როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, კვლავ ძველი მიზეზით – ავტომანქანით წაყვანაზე უარის თქმის გამო. ამჯერად, გელა ჩაკვეტაძეს ჩხუბის დროს მისი ძმა – იოსები ეხმარებოდა, ლომიაშვილს კი, მეგობარი – ზაზა მამუკაშვილი.

ამ შემთხვევაში, ჩხუბი ძმები ჩაკვეტაძეების უპირატესობით წარიმართა – მათ ლომიაშვილი და მამუკაშვილი სცემეს, რამაც ორი მეგობარი, ძმებზე შურისძიების სურვილით აღავსო და მათი მოკვლაც კი გადააწყვეტინა.

განზრახვის განხორციელებაზე არც მომდევნო დღეებში აუღიათ ხელი. ჩხუბის ფაქტიდან ზუსტად 3 დღეში – 2003 წლის 28 მაისს, ზურაბ ლომიაშვილი და ზაზა მამუკაშვილი თანასოფლელ ლია კომშიაშვილის ოჯახში იმყოფებოდნენ სტუმრად. იქ იქეიფეს, დათვრნენ და საშინელი გეგმის სისრულეში მოყვანაც სწორედ მაშინ განიზრახეს.

29 მაისს, დილის 4 საათი სრულდებოდა, ლომიაშვილი და მამუკაშვილი 16-კალიბრიანი, ორლულიანი სანადირო თოფით შეიარაღდნენ და ჩაკვეტაძეების საცხოვრებელი სახლისკენ გაემართნენ... ეზოში იოლად შეაღწიეს, შემდეგ, აივნიდან სახლის მეორე სართულზე ავიდნენ და ერთ-ერთი ოთახის ფან-

ჯარაში შეიხედეს. ეს საძინებელი აღმოჩნდა. ოთახში გელა ჩაკვეტაძის ცოლს – მაკა ბეჟანიშვილს მარტოს ეძინა, მისი ქმარი კი არსად ჩანდა. ლომიაშვილი და მამუკაშვილი სახლში შევიდნენ და ხმაურზე გაღვიძებულ მაკა ბეჟანიშვილის ჰკითხეს, თუ სად იყო მისი ქმარი. ქალმა მოპირდაპირე ოთახზე მიუთითა. ლომიაშვილმა და მამუკაშვილმა აღარ დააყოვნეს და იმ ოთახს მიაშურეს, მაგრამ იქ გელა ჩაკვეტაძის ნაცვლად, დედამისი და მისი ძმა – ნანა და იოსებ ჩაკვეტაძეები დახვდათ. როგორც გამოძიების მასალებში წერია, იმით გაბრაზებულებმა, რომ გელა ვერ იპოვეს, მძინარე დედა-შვილის ამოხოცვა გადაწყვიტეს. ლომიაშვილმა თოფიდან იოსებს თავში ესროლა, შემდეგ, სროლის ხმაზე გაღვიძებულ ნანა ჩაკვეტაძესაც დაახალა ტყვია... ნანა და იოსებ ჩაკვეტაძეები ადგილზე გარდაიცვალნენ. ნანა ჩაკვეტაძის სიკვდილი, როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა აღნიშნეს, მუცლის ღრუს ორგანოებისა და მუცლის აორტის ტლანქი დაზიანების შედეგად განვითარებულმა ძლიერმა შინაგანმა სისხლდენამ გამოიწვია. მის შვილს კი, ტყვია მარჯვენა ლოყაში მოხვდა, ზედა და ქვედა ყბის ძვლის, სასის ძვლისა და ქალას ფუძის მოტეხილობები მიიღო, პირის ღრუს რბილი ქსოვილები დაეფლითა და თავის ტვინის დაზიანების შედეგად გარდაიცვალა. რაც შეეხება ლომიაშვილსა და მამუკაშვილს, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ისინი შემთხვევის ადგილს გაეცალნენ და მიიმალნენ. ჩაკვეტაძეების ოჯახის გადარჩენილი წევრები აცხადებენ, რომ იმ ღამით მათ აშკარად დაინახეს ორივე ბოროტმოქმედი და იცნეს კიდეც ისინი.

მაკა ბეჟანიშვილის ჩვენებიდან:

„ჩემს ქმარსა და ლომიაშვილს შორის დაძაბული ურთიერთობა რომ იყო, ვიცოდი. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე იჩხუბეს. იმ ღამით – 2003 წლის 28-29 მაისს, ყველანი შინ ვიყავით. მე სახლის მეორე სართულზე, საძინებელში ბავშვებთან ერთად მეძინა, ჩემს ქმარს კი – სასტუმრო ოთახში. ჩემი საძინებლის მოპირდაპირე ოთახში იწვნენ ჩემი დედამთილი და მაზლი...

შუაღამეზე გამეღვიძა. დავინახე, რომ აივანზე ვიღაც იყო. მერე ფანჯრიდან ზურაბ ლომიაშვილმა შემოიხედა და იკითხა – გელა სად არისო? ამის შემდეგ, სახლში შემოვიდა და ჩემს მოპირდაპირე ოთახში შევიდა. ჯერ გასროლის ხმა გაისმა. ამას მოჰყვა ჩემი დედამთილის შეკივლება და ისევ გასროლის ხმა... ლომიაშვილი ოთახიდან გამოვიდა და მაშინ შევნიშე მის გვერდით ზაზა მამუკაშვილი. თოფი რომელს ეჭირა ხელში, არ დავკვირვებივარ...“

ლევან ჩაკვეტაძე, გელა ჩაკვეტაძის მამა:

„იმ დროს, პირველ სართულზე მეძინა. დაახლოებით დილის 5-ის ნახევარი იქნებოდა, რომ თოფიდან გასროლის ხმამ გამაღვიძა. სროლისა და ქალის კივილის ხმა თითქმის ერთდროულად მომესმა. მაშინვე გარეთ გავედი. აივნის კიბით ლომიაშვილი და მამუკაშვილი ჩამოდიოდნენ. შეშინებულმა ვკითხე – რა ხდება-მეთქი? მათ კი არაფერი მიპასუხეს, ისე გავიდნენ ეზოდან. მეორე სართულზე ავედი ამბის გასაგებად. ოთახში შესულს, ცოლ-შვილი დახოცილი დამხვდა...“

გამოძიების მასალებში არაერთხელაა აღნიშნული, რომ მკვლელობის მიზეზი, ჩაკვეტაძეებს, ლომიაშვილსა და მამუკაშვილს შორის რამდენიმე დღით ადრე მომხდარი ჩხუბი და ორი მეგობრის ცემის ფაქტი იყო. თუმცა, არსებობს დანაშაულის სხვა ვერსიაც: ოფიციალური მონაცემებით, გელა ჩაკვეტაძე სხვადასხვა დანაშაულისთვის წარსულში ექვსჯერ გახლდათ ნასამართლევი. ასევე ნასამართლევი იყო (ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის) ზაზა მამუკაშვილიც. ისინი, ისევე, როგორც ზურაბ ლომიაშვილი (მართალია, აქამდე სამართალში მიცემული არ ყოფილა), ქურდული ორიენტაციის მატარებლები იყვნენ, ე.წ. შავი სამყაროსკენ ისწრაფოდნენ და რაიონში თავიანთი გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ; როგორც ამბობენ, ამ გავლენას ერთმანეთს ეცილებოდნენ კიდეც და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ცდილობდა არა მარტო მოსახლეობის, არამედ ერთმანეთის დამორჩილებას. აღნიშნული ვერსიის თანახმად, ლომიაშვილმა სწორედ ის ვერ აიტანა, რომ გელა ჩაკვეტაძემ მანქანით წაყვანაზე უარი უთხრა, ეს მისთვის მიუღებელ დაუმორჩილებლობად შეაფასა და „საქმის გარჩევა“ დაუწყო. ამ ფაქტს მოჰყვა ჩხუბი, რომლის დროსაც ჩაკვეტაძეებმა ის სცემეს, რასაც, ბუნებრივია, ლომიაშვილი არ აპატიებდა და მისი მოკვლა გადაწყვიტა.

ციხეში დაავადებული პატიმარი გარდაიცვალა

18 ოქტომბერს ღამით ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა განსასჯელი ვლადიმერ გუჯეჯიანი. ამ ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაცია – „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ – და მისი თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე გამოეხმაურნენ. ორგანიზაციის ინფორმაციით, გუჯეჯიანი მძიმე ავადმყოფი გახლდათ, ბოლო დროს კი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. ამის საფუძველზე, კაკაბაძის თქმით, ციხის ადმინისტრაციას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება, გუჯეჯიანის ვადამდე გათავისუფლების შესახებ, რადგან ავადმყოფი პატიმრისთვის ციხის პირობები აუტანელი იყო, მაგრამ ციხის ადმინისტრაციამ გადამჭრელი ზომები არ მიიღო, რასაც ადმინისტრაციის წარმომადგენლები შემდეგნაირად ხსნიან: პატიმარი პასუხისმგებლობისგან ვადაზე ადრე მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, როცა მას განუკურნებელი სენი სჭირს და თანაც, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განაჩენის შესაბამისად, პატიმარს სასჯელის ზომა უკვე განსაზღვრული აქვს. გუჯეჯიანი, განსასჯელი იყო, ამ შემთხვევაში კი, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, მხოლოდ პასუხისმგებლობის გადავადება იყო შესაძლებელი.

ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ სასამართლოში პატიმრის პასუხისმგებლობის გადავადების შუამდგომლობის წარდგენას გამომძიებელი აპირებდა, მაგრამ მან ფორმალური საკითხების მოგვარება ვერ მოასწრო.

პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელობის ინფორმაციით, ვლადიმერ გუჯეჯიანს ფილტვების ანთება, ბარძაყის ვენის თრომბოზი და გულის იშემიური დაავადება სჭირდა.

■

თუმცა, უცნაურია ის ფაქტი, რომ მკვლელებმა ნანა და იოსებ ჩაკვეტაძეების მოკვლის შემდეგ, გელა ჩაკვეტაძის ძებნაზე ხელი აიღეს და სხვა ოთახებში აღარც შეუხედავთ. გამოძიების ვერსიით, დამნაშავეებმა ჩათვალეს, რომ გელა შინ არ იყო. მაკა ბეჟანიშვილი არ აკონკრეტებს, მიუთითა თუ არა ბოროტმოქმედებს მოპირდაპირე ოთახზე. მისი ჩვენებიდან ჩანს, რომ ლომიაშვილს და მამუკაშვილს უბრალოდ, ოთახები აერიათ. ჩადენილი დანაშაული წინასწარი გამოძიების პერიოდში ლომიაშვილმა ასე ახსნა:

„ბრალს ნაწილობრივ ვაღიარებ, მკვლელობა ჩავიდინე, მაგრამ არა ჯგუფურად და არც წინასწარი განზრახვით. 2003 წლის 25 მაისს ჩაკვეტაძესთან ჩხუბის შემდეგ, მას და მის ძმას ისევ შევხვდი, მაშინ გელას და იოსებს ხელში კეტები ეჭირათ. მე გაქცევა მოვასწარი და მათ მხოლოდ მამუკაშვილი შერჩათ ხელში.

29 მაისის ღამეს ჩაკვეტაძეებთან სალაპარაკოდ წასვლა გადავწყვიტე. თოფი სპეციალურად არ წამიღია იმ დღეს, უბრალოდ, თან მქონდა. მამუკაშვილი შესასვლელთან დარჩა, მე კი მეორე სართულზე ავედი...

მისმა ცოლმა მითხრა – გელას მეორე ოთახში სძინავსო. მეც იქ შევედი და ამის შემდეგ რა მოვიმოქმედე, არ მახსოვს. იქიდან რომ წამოვედი, თოფი მდინარეში გადავაგდე და იქაურობას გავერიდე. მომდევნო დღეებში შევიტყვე, გელას დედის და ძმის მკვლელობის შესახებ. დანაშაული რა ვითარებაში ჩავიდინე, არ მახსოვს“.

თამრიკო ლაზარიაშვილი, ზაზა ლაზარიაშვილის ქვრივი:

„ამ ამბის შემდეგ, ლომიაშვილი თელავის რაიონის ერთ-ერთ ტყეში დაიკავა პოლიციამ. მამუკაშვილი კი ვერ იპოვეს, იგი მალულად ცხოვრებას განაგრძობდა და როგორც ამბობენ, ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს, ხან ერთ ადგილს აფარებდა თავს, ხან – მეორეს. იმ პერიოდში ამბობდნენ იმასაც, რომ მამუკაშვილს ნანა და იოსებ ჩაკვეტაძეების მოკვლით შურისძიება საკმარისად არ მიაჩნდა და გელა ჩაკვეტაძის მოკვლა ძველებურად ჰქონდა განზრახული, ამიტომაც იმალებოდა თურმე. ხმა დადიოდა, რომ იგი ჩაკვეტაძეს უსაფრდებოდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა. თავის მხრივ, ჩაკვეტაძეც დაეძებდა მამუკაშვილს და მასთან ანგარიშის გასწორებას ლამობდა...

ჩემი ქმარი სამივეს კარგად იცნობდა – ჩაკვეტაძესთანაც კარგ დამოკიდებულებაში იყო და ლომიაშვილთან და მამუკაშვილთანაც ახლობლობდა. მამუკაშვილი გვენათესავება კიდეც, რადგან ჩემი დედამთილიც ამ გვარის გახლავთ. შესაძლოა, ამიტომაც ჩათვალა გელა ჩაკვეტაძემ, რომ ჩემმა ქმარმა ზაზა მამუკაშვილის ადგილსამყოფელი იცოდა. მე ვერ გეტყვით, იცოდა თუ არა, ჩემთვის მას ამის შესახებ არაფერი უთქვამს. თუმცა, როგორც მოგვიანებით გავარკვიე, სოფელში ძალიან ბევრს სცოდნია, თუ სად იმალებოდა მამუკაშვილი. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ზაზამაც იცოდა...

2004 წლის 9 თებერვალს, მეზობლის ოჯახში ქეიფისას, ჩაკვეტაძემ მოახერხა ჩემი ქმრის, მანქანაში მიტყუება. ასე მოტყუებით სამი თანამზრახველის დახმარებით წაიყვანა იგი გულგულის სასაფლაოზე და იქ შეეცადა, მისთვის მამუკაშვილის ადგილსამყოფელი ეთქმევინებინა. ჩემი ქმარი თურმე ეუბნებოდა, რომ არაფერი იცოდა. როცა მიზანს ვერ მიაღწია, ადგა და მოკლა. არაადამიანურად აწამა ჩემი ქმარი. გვამი საშინლად იყო დასახიჩრებული. ექსპერტებმა მარტო დანით მიყენებული 10 ჭრილობა დაითვალეს მის სხეულზე...“

ამ დანაშაულისთვის დაპატიმრებულმა **გელა ჩაკვეტაძემ** სასამართლო კოლეგიას ასეთი ჩვენება მიმცა:

„მეზობლის ოჯახში ქეიფისას ლაზარიაშვილი თავად მეუბნებოდა, რომ რაღაც ჰქონდა ჩემთვის სათქმელი. უჩემოდ არ წახვიდეო – მითხრა. ქუჩაში გავედით და გზაზე შემთხვევით გამოიარა „ნივით“ დავით წულაიამ. მის მანქანაში ჩავსხედით და პაპუაშვილის სანახავად სოფელ ნაფარეულში წავედით. იქ მოვისურვე სასაფლაოზე გავლა, ბიჭებს ვუთხარი, ნაცნობის საფლავს მივინახულებ-მეთქი. ლაზარიაშვილიც თან გამომყვა. სწორედ იქ მითხრა – დღეს სიკვდილს გადაურჩი, ზაზა მამუკაშვილი იყო ჩასაფრებული, გზაზე გელოდებოდა, უნდა მოეკალიო. მერე დაამატა – შენი ძმა და დედა რომ მოკლეს, მეც იქ ვიყავიო... ამის შემდეგ რა გავაკეთე, არ მახსოვს. მახსოვს, რომ დასაკეცი დანა თან მქონდა, მაგრამ დანაშაული როგორ ჩავიდინე, არ დამიფიქსირებია. ლაზარიაშვილის სიტყვებმა წონასწორობიდან გამომიყვანა და გონება დამაკარგვინა“.

ჩაკვეტაძემ ისიც აღნიშნა, რომ წულაია, როცა მომხდარის შესახებ შეიტყო, იქიდან გაიქცა. პაპუაშვილი კი, მისივე თქმით, შემთხვევის ადგილზე არც ყოფილა – ის ჯერ კიდევ სასაფლაოზე მისვლამდე, გზაში, დის სახლში დატოვეს. ასე რომ, ჩაკვეტაძის თქმით, „ნივაში“ მხოლოდ ხვიჩა ოგბაიძე დარჩა. ის კი მას ვერაფერში დაეხმარებოდა, რადგან ფეხი სტკიოდა, კოჭლობდა და მანქანიდან არც გადასულა. ჩაკვეტაძის ჩვენების მიხედვით, მან დანაშაულიც მარტომ ჩაიდინა და ტანსაცმელში ქვებჩაწყობილი გვამიც სხვის დაუხმარებლად გადააგდო წყალში...

დაზარალებულის მხარე – მოკლული ზაზა ლაზარიაშვილის ოჯახის წევრები იმედოვნებენ, რომ საკასაციო პალატა სასამართლო კოლეგიის განაჩენს დაუჭერს მხარს და განსაზღვრული სასჯელის ზომასაც უცვლელად დატოვებს. რაც შეეხება ზაზა მამუკაშვილს, ლაზარიაშვილის მკვლელობის შემდეგ – ე.ი. მას შემდეგ, რაც მისი მიზეზით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, – თავისი ფეხით გამოცხადდა პოლიციაში. თუმცა, გამოძიებისთვის მას ჩვენება არ მიუცია და დუმილის უფლება გამოიყენა.

პირველ სასამართლო სხდომაზე ლომიაშვილის ადვოკატმა კოლეგიის წინაშე დააყენა შუამდგომლობა, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა და ამის საფუძვლად, გამოძიების მასალებში არსებულ ექსპერტიზის დასკვნებზე მიუთითა. როგორც გაირკვა, ლომიაშვილზე ფსიქიატრიული ექსპერტიზა, როგორც სტაციონარული, ასევე ამბულატორიული, ჯერ კიდევ გამოძიების პერიოდში გახლდათ ჩატარებული. ორივე შემთხვევაში, ექსპერტებმა მიუთითეს, რომ მართალია, ლომიაშვილს ფსიქიკური ნაკლი აღენიშნება (იგი იოლად აღგზნებადია), მაგრამ ამის გამო ის არ შეიძლება ჩაითვალოს ფსიქიკურად დაავადებულად, შერაცხადია და შეუძლია, როგორც საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა, ასევე ჩვენების მიცემაც. ადვოკატი აცხადებს, რომ ამჟამად ლომიაშვილის მდგომარეობა გაუარესდა, ის ზედმეტად აგრესიულია და ციხის საავადმყოფოში იმყოფება. სწორედ ამ მიზეზით, ზურაბ ლომიაშვილი წინა სასამართლო სხდომაზე ბადრაგს არ მიუყვანია. როგორც ადვოკატი ამბობს, ლომიაშვილი იმდენად აგრესიულად იქცეოდა, რომ საავადმყოფოდან მისი გაყვანა ვერავინ გაბედა. მომდევნო სასამართლო სხდომაზე, რომელიც ამ კვირაშია დანიშნული, სავარაუდოა, რომ დაიკითხებიან მოწმეები. სწორედ მათი დაკითხვის შემდეგ შევიტყობთ, თუ რას იტყვიან განსასჯელები ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

■

18 წლის ახალგაზრდის გაგაცვებისა და მკვლელობის საქმეს სასამართლო მეორედ განიხილავს

უზენაესი სასამართლოს მიერ პროკურატურისთვის დამატებით გამოსაძიებლად დაბრუნებული, გახმაურებული მკვლელობის საქმე ისევ სასამართლო განხილვის საგანი ხდება. შემზარავ დანაშაულს, რომელიც 4 წლის წინ ფოთში მოხდა, 18 წლის მიხეილ სიგუას სიცოცხლე შეეწირა. იგი ნაცნობებმა, თანაქალაქელებმა ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს, შემდეგ კი სადისტურად მოკლეს და მალთაყვის ტყე-პარკში, წინასწარ გათხრილ ორმოში ჩამარხეს.

ამ სასტიკ მკვლელობაში პროკურატურამ 4 ფოთელს წაუყენა ბრალი. ამ კვირაში, 30 წლის გიორგი ჯიქიძე, 31 წლის არჩილ კილასონია, 30 წლის თამაზ წილოსანი და 34 წლის კახაბერ ყურაშვილი სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

ფოთის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე 2000 წლის 4 აპრილს აღიძრა. ამის საფუძველი, ფოთში მცხოვრები მზევინარ სიგუას განცხადება გახდა. ქალბატონმა სამართალდამცავებს აცნობა, რომ 2000 წლის 22 მარტს მისთვის უცნობმა პირებმა ფულის, კერძოდ – 20.000 დოლარის გამოძალვის მიზნით, მისი უმცროსი ვაჟი – მიხეილ სიგუა გაიტაცეს. მზევინარ სიგუამ მაშინ ისიც თქვა, რომ რამდენიმე დღე იყო გასული, რაც ბოროტმოქმედებმა მასთან ტელეფონით რეკვა შეწყვიტეს, თავად კი შვილის კვალს ვერსად მიაგნო.

დაზარალებულის განცხადებიდან 2 თვეში, სამართალდამცავებმა ზემოთ ხსენებული პირები დააკავეს. როგორც პროკურატურა აღნიშნავს, სწორედ დაკავებულთა აღიარებითი ჩვენებების საფუძველზე დადგინდა დანაშაულის დეტალები.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ქალაქ ფოთში, წმინდა გიორგის ქუჩაზე მცხოვრებმა გიორგი ჯიქიძემ 2000 წლის იანვარში, იმ დროს ფოთში მცხოვრები, სოხუმიდან ლტოლვილი მიხეილ სიგუა გაიცნო. შეიტყო ისიც, რომ დედამისს ფოთში მაღაზია და თონე ჰქონდა, მისი უფროსი ძმა კი, ამერიკაში იყო სამუშაოდ წასული და იქიდან ეხმარებოდა ოჯახს. მზევინარ სიგუასთან ერთად მუშაობდა ჯიქიძის ნაცნობი კახაბერ ყურაშვილი (წარსულში ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის ნასამართლევი). ყურაშვილმა იცოდა, რომ მზევინარ სიგუას მონაწილეობით, თბილისში 15.000 დოლარად კაფე-ბარი გაიყიდა და თანხაც მას უნდა აეღო. ამის შესახებ ჯიქიძემ არა მარტო ყურაშვილისგან, არამედ თავის თანაკლასელ ჭოჭუასა და თავად მიხეილ სიგუასგანაც შეიტყო.

ჯიქიძემ თანხის გამოძალვა გადაწყვიტა, დაუკავშირდა მეგობრებს – წილოსანს, ყურაშვილს, კილასონიას და მათ მიხეილ სიგუას გატაცება და ამ გზით მისი ოჯახის დაშანტაჟება შესთავაზა. დაჰპირდა, რომ ფულსაც თანაბრად გაინაწილებდნენ.

მიხეილ სიგუა

2000 წლის 22 მარტს განზრახვის სისრულეში მოყვანას შეუდგნენ. მოტყუებით წაიყვანეს სიგუა წილოსანის საცხოვრებელ სახლში, ჯერ „კოკა-კოლაში“ შეზავებული, თვალის დაავადების საწინააღმდეგო „კატაბრომით“ გააბრუეს, ხოლო შემდეგ – ჰეროინი გაუკეთეს ვენაში. მეორე დღეს, გაბრუებული სიგუა კილასონიას ბინაში გადაიყვანეს. ყურაშვილი მთელი ამ ხნის განმავლობაში, სიგუების ოჯახში იმყოფებოდა, როგორც ჯაშუში, მზევინარ სიგუას გვერდიდან არ სცილდებოდა და ისე იქცეოდა, თითქოს მომხდარს ძალზე განიცდიდა. თან არწმუნებდა – ფულის გადახდა აუცილებელია, ხომ იცით, როგორ ხდება? – ჯერ ცოტას მოითხოვენ და მერე თანხას გაზრდიანო!..

ბოროტმოქმედებმა სიგუას მოკვლა გადაწყვიტეს. მართალია, ოჯახს ურეკავდნენ და გამოსასყიდად 20.000 დოლარს სთხოვდნენ, მაგრამ ფულის გადაცემის ადგილის დასახელებისგან თავს იკავებდნენ: ეშინოდათ, რომ მზევინარ სიგუა სამართალდამცავ ორგანოებს დაუკავშირდებოდა. ფიქრობდნენ, რომ მძევლის ცოცხლად დატოვების შემთხვევაში, პოლიცია სიგუას კვალს მიაგნებდა და ის ყველა მათგანს ამხელდა.

გამოძიების მასალების მიხედვით, 2000 წლის 27 მარტს, მალთაყვის უბანში მდებარე ტყე-პარკში ბოროტმოქმედებმა წინასწარ გათხარეს ორმო, მიიყვანეს ნარკოტიკებით გაბრუებული სიგუა და „მაკაროვის“ პისტოლეტიდან ყველამ სათითაოდ (ჯიქიძემ, კილასონიამ და წილოსანმა) დაახალა ტყვია. დამარხვამდე, გვამი გაძარცვეს, შემდეგ ორმოში ჩამარხეს და იქაურობას გაეცალნენ. შემდეგ, მათ დაურეკეს მზევინარ სიგუას და შვილის მობილური ტელეფონის ჩასართავად საჭირო თანხის გადახდა მოსთხოვეს, რათა ფულის გადაცემის ადგილი ეთქვათ მისთვის. მზევინარ სიგუამ დავალიანების თანხა გადაიხადა, მაგრამ ამის შემდეგ, ბოროტმოქმედებს მისთვის აღარ დაურეკავთ...

აღნიშნული საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში 2002 წელს გაიმართა. განსასჯელებმა თავი დამნაშავედ არ ცნეს, ერთმა მათგანმა – თამაზ წილოსანმა კი, პროცესზე განაცხადა, რომ აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც გამოძიების მასალებში გახლდათ ჩაკერებული, მისი ხელით არ იყო დაწერილი.

მზევინარ სიგუა:

„მაშინ კოლეგიას, რომლის თავმჯდომარეც იური ტაბუცაძე გახლდათ, პირადად მე, როგორც დაზარალებულმა, მივმართე შუამდგომლობით, დაენიშნათ ექსპერტიზა და გამოერკვიათ სიმართლე. ასეთივე შუამდგომლობა დააყენა სახელმწიფო ბრალმდებელმაც, თუმცა მოსამართლემ არც ერთი არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, სასამართლომ მიიღო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, საქმის მასალებში არსებული, წილოსანის აღიარებითი ჩვენება განსასჯელის ხელით არ იყო დაწერილი. აღმოჩნდა, რომ მოსამართლემ ჩვენთვის უარის თქმის შემდეგ, საკუთარი ინიციატივით დანიშნა გრაფიკული ექსპერტიზა და დაცვის მხარის სასურველი პასუხიც მიიღო. ამის შემდეგ, კოლეგიამ განჩინება გამოიტანა, გამოაცხადა, რომ აღიარებითი ჩვენებები ყალბია და ამ მოტივით საქმე დამატებით ძიებაში დააბრუნა. ვფიქრობ, რომ ექსპერტებიც მოსყიდულები არიან, რადგან აშკარაა, რომ წილოსანი ცრუობს. სასამართლო სხდომაზე მან განაცხადა, რომ არსებობდა მის მიერ პროკურორისადმი მიწერილი წერილი, სადაც ის აღნიშნავდა – აღიარებითი ჩვენება წამებით დამაწერინესო. წილოსანი თავად მოექცა წინააღმდეგობაში, რადგან თუ დაწერინეს, ე.ი. ის ჩვენება მისი ხელითაა დაწერილი...“

განსასჯელები ბრალს ახლაც კატეგორიულად უარყოფენ. აღსანიშნავია, რომ მათგან პატიმრობაში მხოლოდ წილოსანია, რაც შეეხება კილასონიას, ჯიქიძეს და ყურაშვილს, ისინი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. პროკურორის თქმით, ამის მიზეზი, საგამოძიებო ვადების გასვლა გახდა, რის გამოც, მათ პატიმრობა შეუწყდათ. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეს სასამართლო კოლეგია ამჯერად, სხვა შემადგენლობით განიხილავს. კოლეგიის თავმჯდომარე, მოსამართლე ლოტბერტ კუპატაძე იქნება.

■

ზურა გაჩეჩილაძე — იგივე შონზო — პრეტენზიული ქმარი სულაც არ ყოფილა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ოჯახში ის ძალიან მშვიდი და წყნარია. შინ გვიან, ძალზე დაღლილი ბრუნდება და არც თავისი ტელეპერსონაჟის „საფირმო“ სიტყვას — „მშია!“ — ამბობს ხოლმე... როგორი მამა და მეუღლეა, ამაზე პასუხს მისი უსაყვარლესი მეუღლე — ნინო მამუკაშვილი გაგვცემს.

სიღარიბისგან წუნდებული შონზოს ცოლის გასუქება და შვილის წვალება ჰბრალდება...

ეკა მინდაძე

— ნინო, ჯერ შენი თავი წარმოგვიდგინე...

— პროფესიით ბიოლოგი ვარ, მაგრამ ამჟამად არსად ვმუშაობ. მხოლოდ შვილის აღზრდით ვარ დაკავებული.

— სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

— ერთმანეთი უნივერსიტეტში გავიცანით. მართალია, მე ბიოლოგიურზე ვსწავლობდი, ის კი საინჟინრო-ეკონომიკურზე, მაგრამ სულ ჩვენს კორპუსში იყო, მის უახლოეს მეგობართან ირაკლი ფიფიასთან, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე სწავლობდა. ზურა, მისი ხასიათის წყალობით, ყველას უყვარდა და ამიტომაც, მის გარშემო მუდამ ხალხმრავლობა იყო... ერთ მშვენიერ დღეს, უნივერსიტეტში მისულს, ხარხარის ხმა შემომესმა. დამაინტერესა, გავიხედე და დავინახე მსუქანი მაღალი ბიჭი... ცოტა ხანში პირადად გავიცანი. ეს ბიოლოგების სასადილოში მოხდა და იმ დღიდან მოყოლებული, სულ ერთად ვართ.

— როგორი შეყვარებული იყო ზურა?

— არაჩვეულებრივი. იმ დროს ჰერბარიუმისთვის შხამიან სოკოს ვაგროვებდი, რის გამოც ერთხელ ისე მოვიწამლე, რომ საავადმყოფოშიც კი მოვხვდი. ზურა იმ პერიოდში რადიოს დიჯეი იყო. ჩემი ამბავი რომ შეიტყო, პირდაპირი ეთერი მიატოვა და საავადმყოფოში ჩემს სანახავად გამოიქცა. გავიღვიძე თუ არა, პირველად ზურა დავინახე, საწოლთან ჩამომჯდარი, თუ როგორ ეფერებოდა ჩემს ხელებს. ამის გამო უბედნიერეს ქალად ვგრძნობდი თავს.

— ხშირად განებივრებდა საჩუქრით?

— შეყვარებული ზურა ცდილობდა, ყოველდღე რაიმეთი ვესიამოვნებინე. ერთხელ ფოთიდან უამრავი ნიჟარა ჩამომიტანა. ის ნიჟარები დღესაც შენახული მაქვს.

— ყვავილების მორთმევა თუ უყვარს?

— არა, ის სუნამოს ამჯობინებს.

— სიყვარული სად აგიხსნა?

— მისი პირველი მცდელობა სიყვარულის ახსნისა ჩაიშალა... იმ დღეს დაბადების დღეზე ვიყავით მისულები. როცა აივანზე გავედით და ზურა სიყვარულის ასახსნელად მოემზადა, უეცრად ჩემი მეგობარი მარიკა ბახტაძე გამოვარდა, ხელი სტაცა ზურას და საცეკვაოდ წაიყვანა... მეორე დღეს, კინაღამ მოვკალი მარიკა — კაცი სიყვარულის ახსნას აპირებდა, შენ კი ხელი შეგვიშალე-მეთქი!.. მეორედ სიყვარულის ახსნის შანსი ზურას, ჩემი დაქალის დაბადების დღეზე მიეცა. მან ცალკე ოთახში შემიყვანა და თავისი გრძნობა გამანდო. ოთახის კართან კი, ჩემი გოგოები მელოდებოდნენ — უნდოდათ გაეგოთ, ბოლოს და ბოლოს, გამომიტყდა თუ არა შონზო სიყვარულში.

— ყველაზე მეტად რა მოგწონდა მასში?

— რა ვიცი, კონკრეტულად ამ კაცში რა მომეწონა, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან შემიყვარდა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან თბილი და საყვარელია, დათვივით საყვარელი. ის ბავშვივით გულუბრყვილოა, როგორც შალვა რამიშვილი ამბობს — დიდი ბავშვია... მეც, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ძალიან შევიყვარე. მახსოვს, შეყვარებულობის პერიოდში, მეგობრებთან ერთად ქობულეთში გავემგზავრე. ჩემს გასაცილებლად ზურაც მოვიდა. სამახსოვროდ, მაისური გაიხადა და თან გამატანა. გავიდა 10 დღე და ქობულეთის პლაჟზე უეცრად გამოჩნდა ზურა მეგობრებთან ერთად. გახარებული მასთან მივიჭერი და ვუთხარი — ნახე, შენი მაისური მაცვია, არც კი გამირეცხავს, იმიტომ რომ მინდოდა, შენი სუნი ჰქონოდა-მეთქი... მაშინ ვერ გავითვალისწინე, რომ ჩემს სიტყვებს ვინმე დაიმახსოვრებდა: იმ დღიდან მოყოლებული, ჩემი დაქალი სულ დამცინის — როგორ იყო, 10 დღის გაურეცხავი მაისურით რომ დადიოდიო?..

— შენ რითი მოხიბლე?

— ერთხელ მითხრა — დედაჩემს მიგამსგავსეო, — და ალბათ ამან მოხიბლა.

— ტრადიციების დაცვით დაქორწინდით?

— კი. ზურა მშობლებთან ერთად მოვიდა დასანიშნად და ჩემი ხელის სათხოვნელად.

— რა ნიშანი მოგიტანა?

— საქორწინო ბეჭედი, რომელიც მომიტანეს რამდენიმე წუთში ხელიდან წამძვრა და დამეკარგა, მაგრამ საბედნიეროდ, ზურასა და მისი მშობლების წასვლამდე ვიპოვე.

— რა ასაკში იქორწინეთ?

— მე 24 წლის ვიყავი, ის კი — 23-ის. სულ რაღაც 2 თვით არის ჩემზე უმცროსი.

რა ვიცი, კონკრეტულად ამ კაცში რა მომეწონა, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან შემიყვარდა

— ქორწილი სად გადაიხადეთ?

— ქორწილი სახლში, მე-8 სართულზე, ვიწრო წრეში გადავიხადეთ. მარტო მეგობრები ვიყავით, ახლო ნათესავებიც კი არ დაგვიპატიჟებია. ქორწილი ნამდვილად „გიჟური“ გვქონდა და ბევრიც ვიმხიარულეთ. ისეთი ხმაური იყო, რომ მთელი კვირა წინა კორპუსებიდან დურბინდებით იყურებოდნენ...

— ჯვარი დაიწერეთ?

— კი. ფერისცვალების ეკლესიაში. მამადავითის ეკლესიაში გვინდოდა ჯვრის დაწერა, მაგრამ იმდენად დავაგვიანეთ, რომ არც იქ და არც სხვა ეკლესიაში ჯვარი არ დაგვწერეს; მერე, ფერისცვალების ეკლესიაში დავიწერეთ.

— ნინო, მშობლებმა რა გაგატანეს მზითევში?

— ყველა წვრილმანი, რისი გატანებაც შეიძლებოდა. ხოლო ავეჯი არ მიმიტანია: იმდენად გადატენილი იყო ზურას სახლი, რომ იქ ვერაფერს შევიტანდით. ამიტომ, როცა ბინას ვიყიდით, ჩემი მშობლები მაშინ მიყიდიან ავეჯს.

— საინტერესოა, შონზო ისეთივე ხმაურიანია შინ, როგორიც ტელეეკრანზე?

— არა. გარეთ იმდენად იხარჯება და იღლება, რომ შინ ძალიან დაღლილი, შეიძლება ითქვას, სრულიად გათიშული მოდის. მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობს, ბავშვს მოეფეროს და ეთამაშოს, თუ საჭიროა — ამეცადინოს კიდეც. ისე კი, მას ერთი სული აქვს, როდის დაწვება და დაიძინებს. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ის შინ ძალიან წყნარი, მშვიდი და ამასთანავე, სიტყვაძუნწიცაა...

— მოდი, ცოტა მეჭორავე შენი მეუღლის დადებით და უარყოფით თვისებებზე.

— დადებითი თვისება ბევრი აქვს, ხოლო მისი ერთ-ერთი უარყოფითი თვისება ის არის, რომ 20-ათასჯერ უნდა ჰკითხო ერთი და იგივე, რომ ძლივს გამოჰგლიჯო პასუხი.

— რა დამოკიდებულება აქვს ზურას შენს მშობლებთან?

— მართალია, დედას ზურა თავიდან არ მოუვიდა თვალში (ალბათ იმიტომ, რომ ჩემთვის უკეთესი უნდოდა), მაგრამ მერე მოეწონა. დღეს კი, ორივეს — დედასაც და მამასაც — ჩემს მეუღლესთან გადასარევი ურთიერთობა აქვს.

— ვისთან ერთად ცხოვრობთ?

— ცალკე ვართ, დაქირავებულ ბინაში.

— ეჭვიანი ქმარი გყავს?

— არა, ეჭვიანი საერთოდ არ არის. ხანდახან ვეხვეწები კიდეც, რომ რამეზე იეჭვიანოს *(იცინის)*...

— შენ თუ ხარ მის მიმართ ეჭვიანი?

— არა. ალბათ იმიტომ, რომ ზურა ამის საბაბს არ მაძლევს. სხვათა შორის, მან ისიც კი მითხრა: სასწაული რომ

ის დღესაც ბავშვივით გულუბრყვილოა... — შონზო ბავშვობაში

მოხდეს და ჩვენ ერთმანეთს დავშორდეთ, იცოდე, ჩემს ცხოვრებაში შენს ადგილს სხვა ქალი არ დაიკავებსო...

— ხშირად გეუბნება ქათინაურს?

— არა. რა ვიცი, ასეთია და მეც შეჩვეული ვარ ამას. თავიდან სულ ვეუბნებოდი — ან ის მითხარი და ან ეს-მეთქი, — ის კი ასე მპასუხობდა — ხომ იცი, რომ ასეთი ვარ და ვერ შევიცვლებიო?!.

— შინ შემოსვლისთანავე რას ითხოვს?

— სხვათა შორის, სულაც არ არის პრეტენზიული და მომთხოვნი. ასე რომ, დაღლილი შონზო შინ ჩუმად შემოდის ხოლმე.



ძირითადად, გიორგის გამო ვჩხუბობთ...

— არც იმას ყვირის — მშიაო?!

— არა — იმიტომ, რომ მას ძირითადად, გარეთ უხდება ჭამა. ერთადერთი, რასაც მთხოვს, რომ გავუმზადო, წვნიანი კერძია.

— მისი საყვარელი კერძი რომელია?

— ძალიან უყვარს კატლეტი და როგორც მზესუმზირას, ისე მიირთმევს...

— საოჯახო საქმეები თუ ეხერხება?

— ეხერხება, მაგრამ საამისო დრო არა აქვს. ზაფხულში სარესტავრაციოდ წაღებული სამეული, დღესაც არ მოუტანია. სულ ვეჩიჩინები, მაგრამ ამაოდ...

— ბაზარში ვინ დადის — შენ თუ ზურა?

— როცა სცალია, ყოველთვის ზურა დადის. თუ არადა, აქვე „მარკეტში“ ვყიდულობ ყველა პროდუქტს, რადგანაც ბაზარში წასვლას მიკრძალავს: ვერ იტანს, ქალები მძიმე ჩანთებით დატვირთულები რომ დადიან...

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— თავისუფალ დროს ან მეგობრებთან, ან ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად დავდივართ. ძალიან მიყვარს ჯვარზე და ბეთანიაში წასვლა.

— რაში ვერ ეწყობით ერთმანეთს?

— ზურაში ყველაზე მეტად მაღიზიანებს ის, რომ 20-ჯერ უნდა უთხრა ერთი და იგივე, სანამ მიაღწევ იმას, რომ შეასრულოს. გარდა ამისა, ჩვენ ძირითადად, გიორგის გამო ვჩხუბობთ. ვერ ვიტან, როცა ის გიორგის უყვირის, მიუხედავად იმისა, რომ შვილს მე უფრო ხშირად ვეჩხუბები.

— გიორგი ვის უფრო ჰგავს?

— რა თქმა უნდა, ზურას. ის მისი ბავშვობის ასლია... ისინი ყველაფერში ერთნაირები არიან — ძილშიც კი, ზურა რა მხარეზეც გადაბრუნდება, იმავე მხარეს წვება გიორგიც...

— სიმსუქნეშიც დაემსგავსა...

— კი. ესეც მისი დამსახურებაა: საბავშვო ბაღიდან თურმე, ყოველდღე სახინკლეში მიჰყავდა. ეს ამბავი მხოლოდ

საბავშვო ბაღიდან თურმე, ყოველდღე სახინკლეში მიჰყავდა. ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა შევამჩნიე, რომ კატასტროფულად მოიმატა წონაში

მაშინ გავიგე, როცა შევამჩნიე, რომ კატასტროფულად მოიმატა წონაში.

— **დიეტაზე ხომ არ აპირებთ მთელი ოჯახი გადასვლას?**

— ზურა პერიოდულად დიეტაზე ჯდება, ამიტომაც, ხან ხდება, ხან კვლავ იმატებს. რაც შეეხება გიორგის — ამ ბოლო დროს ვცდილობ, შევუკვეცო კვება. მე კი ნებისყოფა არ გამაჩნია, დიეტაზე რომ დავჯდე... მართალია, ზურა, მსუქანი გავიცანი, მაგრამ ცოლად რომ გავყევი, ძალიან გამხდარი იყო. არც მე ვიყავი მსუქანი. მას შემდეგ, რაც გავთხოვდი, 35 კილო მოვიმატე. სულ იმას ვეუბნები ზურას — მეც თქვენნაირი გამხადეთ-მეთქი...

*ჩვენს საუბარს **გიორგი** შემოესწრო, რომელიც ძმაკაცისგან დაბრუნდა და მეც გადავწყვიტე, რამდენიმე კითხვა მისთვისაც დამესვა. მან წინასწარ გამაფრთხილა — ისევ უნდა წავიდე და ჩქარა გიპასუხებო...*

— **გიორგი, დედიკო უფრო მკაცრია თუ მამიკო?**

— დედიკო.

— **მამიკოსთან ხშირად თამაშობ?**

— დიახ. ხშირად ვჩხუბობთ. ის მერევა იმიტომ, რომ თითებს მიგრეხს. ერთხელ კინაღამ მომტეხა კიდეც...

— **გაკვეთილების მომზადებაში თუ გეხმარება ხოლმე?**

— დიახ. ძირითადად — ბუნებაში და რუსულში მამეცადინებს.

— **სასეირნოდ ხშირად მიჰყავხარ?**

— დიახ. ადრე უფრო ხშირად მივდიოდით პიკნიკზე მამასთან და მის ძმაკაცებთან ერთად. ძალიან მიყვარს ბეთანია. იქ ხშირად ვწვავდით მწვადებს.

— **ყველაზე მეტად რომელი კერძები გიყვარს?**

— მწვადი და ქაბაბი.

— **დედიკოს მომზადებული კერძებიდან, რას გამოყოფ?**

— ხორცის სალათას.

ხშირად ვჩხუბობთ. ის მერევა იმიტომ, რომ თითებს მიგრეხს...

— **ქუჩაში ხშირად გცნობენ?**

— როგორ არა? ქუჩაში მე და მამიკო რომ მივდივართ, სულ იმას ამბობენ — შონზოს შვილი, შონზოს შვილიო!..

— **სკოლაში შენი საყვარელი საგნები რომელია?**

— ქართული და მათემატიკა.

— **მომავალში რა გინდა, რომ გამოხვიდე?**

— საქართველოს პრეზიდენტი.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ მეც ხშირად წავიდოდი საქართველოს საზღვრებს გარეთ.

— **შენ რომ პრეზიდენტი იყო, პირველ რიგში, რას გააკეთებდი?**

— პირველ რიგში, ობოლ ბავშვებს დავეხმარებოდი.

— **ნინო, თქვენ თუ იცით გიორგის სურვილი?**

— კი, როგორ არა?! სულ ვამბობ — ვინმეს არ ეგონოს, რომ ჩვენ დავარიგეთ. გიორგის ეს 2 წლიდან აქვს აკვიატებული...

— **მეორე შვილის გაჩენას თუ აპირებ?**

— რა თქმა უნდა, ზურას ისევ ბიჭი უნდა, მე — გოგო. ბუნებრივია, ზურას პირველიც ბიჭი უნდოდა. ერთხელ ჩემს დაქალს სიზმარში უნახავს, ვითომ მე გოგო მეყოლა. მეორე დღეს, მაშინვე მოვარდა ჩვენთან სახლში და გვითხრა — სიზმარი ვნახე ისეთი, რომ შეიძლება, გოგო დაიბადოსო (სხვათა შორის, მე შეგნებულად არ დავადგინე წინასწარ, ბავშვის სქესი), შონზომ კი მაშინვე უთხრა: ნათია გაგუა, გოგო რომ დაიბადოს, „დაგჩირავ“ და ისე დაგკიდებო!.. ამის შემდეგ, ნათია სულ იძახდა — ნეტავ, ბიჭი დაიბადოს, სად მაქვს შონზოს თავიო?!. სხვათა შორის, გიორგისაც ძალიან უნდა, რომ და ან ძმა ჰყავდეს.

— **როგორც „სტაჟიანი“ მეოჯახე, რას ურჩევთ ახალშეუღლებულებს?**

— ისე, მართლაც რომ „სტაჟიანი“ ოჯახი გვაქვს: 21 ოქტომბერს ჩვენი ქორწინებიდან 8 წელი სრულდება, აქედან გამომდინარე, მეც მაქვს უფლება, რაიმე ვურჩიო მათ. მინდა, ყველა ახალდაქორწინებულ წყვილს ვუსურვო, რომ სიყვარული — ეს უდიდესი გრძნობა, ბოლომდე შეენარჩუნებინოთ.

— **ამბობენ, სიყვარული დროთა განმავლობაში ნელდება და ქრებაო...**

— რა თქმა უნდა, წლების შემდეგ, ის სიყვარული აღარ არის, რომელიც ადრე იყო. მაგრამ სიყვარული კი არ ქრება — უბრალოდ, პატივისცემაში, ურთიერთგაგებაში გარდაიქმნება... ■

თქვენ ამჩნევთ, რომ...

თქვენს ოჯახში კონფლიქტები სულ უფრო და უფრო ხშირად წარმოიქმნება, თანაც აბსოლუტურად უმიზეზოდ? თქვენ არ მოგწონთ, რომ თქვენი მეორე ნახევარი უბრალო წვრილმანებზეც კი გედავებათ და ჯიუტად ცდილობს, თავისი გაიტანოს, ოღონდაც კი ამით თქვენ დაგიპირისპირდეთ? გირჩევთ, ნაჩქარევ დასკვნას ნუ გამოიტანთ, თითქოს თქვენს სიყვარულს ბოლო მოელო — ეს კიდევ უფრო დაძაბავს და დაამძიმებს სიტუაციას. უმჯობესია, გააცნობიეროთ ის, რომ შექმნილ სიტუაციაში ოჯახური ურთიერთობები ბუნებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე იმყოფება, რომელიც თავისთავად გულისხმობს თქვენ შორის ამა თუ იმ უთანხმოების წარმოშობას. ამის გაცნობიერების შემდეგ კი, მაქსიმალურად ეცადეთ, რომ თქვენს სახლში სიმშვიდემ დაისადგუროს. სხვათა შორის, ამას ცოლქმრობის ნებისმიერ ეტაპზე უნდა ელტვოდეთ.

სასიყვარულო ექსტაზიდან — საოჯახო ალბომის თვალიერებამდე

ცოლქმრობის 5 სტადია

პირველი — შერწყმა

რაში მდგომარეობს არსი. მნიშვნელობა არა აქვს, პირველად შექმენით ოჯახი თუ არა. ეს ჯადოსნური ხანა, სულერთია, გვერდს მაინც არ აგივლით; ეს ის პერიოდია, როცა გამუდმებით ერთი რამ გსურთ — საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნა. ამ დროს თქვენს მეორე ნახევართან ხანმოკლე განშორებაც კი ძალზე მძიმე ასატანია. თქვენ ლამის სიამის ტყუპად აღიქვამთ თავს. ბიოლოგებს მიაჩნიათ, რომ წყვილის ეს მდგომარეობა ერთი ორგანიზმის მიერ მეორეზე მოხდენილი ქიმიური რეაქციითაა გამოწვეული. მეცნიერებმა ეს მოვლენა „სასიყვარულო ექსტაზის“ სახელით მონათლეს. სწორედ ამ ქიმიური რეაქციის წყალობით ხდება ის, რომ ორი ადამიანი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, არცთუ ისე კარგად იცნობდა ერთმანეთს, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე სძლევს იმ ურთიერთუნდობლობას, რომელ-

იც ბუნებრივად არსებობდა მათ შორის.

რაში მდგომარეობს პრობლემა. ურთიერთობის პირველ სტადიაზე ერთ-ერთ პარტნიორს შესაძლოა, დაეუფლოს იმის შიში, რომ მეორე ინდივიდთან შერწყმისას, ის თავის ინდივიდუალობას კარგავს. ასეთ დროს, საკუთარი „მეს“ შესანარჩუნებლად ის ძალისხმევას არ იშურებს. ეს კი, თავისთავად გულისხმობს საყვარელი ადამიანისგან გარკვეულწილად ჩამოშორებას, რასაც თან ახლავს მისი დაკარგვის შიშიც. მით უმეტეს, რომ ამ ეტაპზე, ცოლ-ქმარს შორის კავშირი ჯერ კიდევ არ არის მტკიცე.

როგორ გადავწყვიტოთ საკითხი. თუკი თქვენ წვრილმანებზე კამათმა თავი მოგაბეზრათ, თქვენს მეორე ნახევართან დაზავება სცადეთ. აიღეთ ფურცელი და საწერკალამი: ფურცლის მარცხენა მხარეს ჩამოწერეთ ყველაფერი ის, რაზეც ჯერ კიდევ დაქორწინებამდე ეკამათებოდით ერთმანეთს. შემდეგ დაძაბეთ გონება და მარჯვენა მხარეს ჩამოწერეთ ის, თუ რა გზით აღწევდით შეთანხმებას. სავარაუდოა, რომ მაშინდელი და ახლანდელი კონფლიქტების მიზეზები ერთმანეთს ბევრ რამეში დაემთხვეს. ამის შემდეგ გრჩებათ ერთი გზა — ეს პრობლემები სწორედ ისე გადაწყვიტოთ, როგორც ამას წარმატებით ახერხებდით შეყვარებულობის პერიოდში.

მეორე — ბუდის შენების სტადია

რაში მდგომარეობს არსი. თქვენს ცხოვრებაში ერთმანეთისადმი ლტოლვის დიდი ვნებათაღელვა თანდათან ცხრება და შედარებით კონტროლს ექვემდებარება მთელი დღეების საყვარელ ადამიანთან ერთად ლოგინში გატარების სურვილიც. პარტნიორები ამჩნევენ, რომ საინტერესო მოვლენები მათი საძინებლის კედლებს მიღმაც ხდება. მაშინ ისინი მთელ თავის ენერგიას საკუთარი ბუდის მოწყობისაკენ მიმართავენ.

რაში მდგომარეობს პრობლემა. როცა წყვილის ყურადღების კონცენტრირება საოჯახო საქმეებზე ხდება, მეუღლეები კაცობრიობის უბერებელ თემაზე — ქალსა და მამაკაცს შორის ოჯახური მოვალეობების გადანაწილებაზე — იწყებენ კამათს. ამ სიტუაციაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენად პროგრესულები არიან ისინი. შესაძლოა, ორივე მათგანი ძალზე თანამედროვე ადამიანი იყოს, მაგრამ ბავშვობაში ჩადებულმა სტერეოტიპებმა ძალზე მწვავე დაპირისპირება გამოიწვიოს. არცთუ ისე იშვიათად, კონფლიქტი თავს იჩენს ხოლმე მაშინ, როცა ცოლს ან ქმარს წინა ქორწინების გამოცდილება აქვს.

როგორ გადავწყვიტოთ საკითხი. საოჯახო საქმეებში რაც უფრო ადრეულ ეტაპზე ჩართავთ ქმარს, მით უფრო მეტი შანსი გაქვთ, რომ ის ამ მოვალეობებს ყოველგვარი კინკლაობის გარეშე მთელი ცხოვრების მანძილზე შეასრულებს. იდეალურ შედეგს მიიღებთ, თუკი ამას ქორწინების პირველსავე სტადიაზე გააკეთებთ — მაშინ შედეგი გარანტირებული გექნებათ. მაგრამ თუკი უკვე დააგვიანეთ, ნურც ამაზე გაიტეხთ გულს. დააკვირდით თქვენს მეორე ნახევარს და გაარკვიეთ, თუ რას აკეთებს იგი სიამოვნებით; შემდეგ კი, ვითომდა შემთხვევით, მსგავსი საქმის კეთება შესთავაზეთ. თუკი შეამჩევთ, რომ მას ტექნიკასთან ურთიერთობა ეხერხება, შესთავაზეთ, თვალყური ადევნოს იმას, რომ საოჯაზო ტექნიკა ყოველთვის გამართულად მუშაობდეს, ხოლო თუკი საკუთარი სამოსის მოწესრიგებაზე განსაკუთრებულად ზრუნავს, სთხოვეთ, რომ თავის ტანსაცმელთან ერთად თქვენი ნივთებიც წაიღოს ქიმწმენდაში ან სარეცხი მანქანის „მართვა“ მიანდვეთ.

მესამე — თვითდამკვიდრება

რაში მდგომარეობს არსი. თუკი ადრე თქვენ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მზად იყავით, რომ მეუღლის ჰობით თავადაც შეგექციათ თავი ან მისი ხუშტურის გამო იოლად ამბობდით უარს თქვენს ამა თუ იმ სურვილზე, ამჯერად სიტუაცია შეიცვალა. მოულოდნელად საყვარელი საქმის კეთების დაუძლეველი სურვილი დაგეუფლათ. თანაც მისი კეთება მარტოს, ყველასგან დამოუკიდებლად გსურთ.

რაში მდგომარეობს პრობლემა. თუკი ერთ-ერთ პარტნიორს არა აქვს სურვილი, დაკავდეს მისთვის საინტერესო რაიმე საქმით, ხოლო მეორე, პირიქით — რაღაცით თავდავიწყებითაა გატაცებული, პირველს უჩნდება მოტივირებული მიზეზი იმისა, რომ უსაყვედუროს მეორეს — სათანადო ყურადღებას არ მაქცევო.

როგორ გადავწყვიტოთ საკითხი. მეუღლეებმა აუცილებლად უნდა გააცნობიერონ, რომ დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა სულაც არ გახლავთ მოსალოდნელი კატასტროფის ნიშანი — ეს სიყვარულის განვითარების სრულიად ბუნებრივი სტადიაა. ნუ ეცდებით, საკუთარი ჰობით თავდავიწყებამდე გატაცებულ მეუღლეს ხელი ააღებინოთ საყვარელ საქმიანობაზე — წინასწარ უნდა იცოდეთ, რომ ამით მხოლოდ გაანაწყენებთ მას. უმჯობესია, მის მაგალითს მიჰბაძოთ. ხოლო თუკი თქვენ პირველი დაინტერესდით რაღაც საქმიანობით, ეცადეთ, დაეხმაროთ მეუღლეს მისთვის საინტერესო საქმის პოვნაში. არ იფიქროთ, რომ ეს რაიმე სირთულესთანაა დაკავშირებული. თქვენ ხომ უკვე არაერთი წელია, ერთად ცხოვრობთ და შესაბამისად, ერთმანეთის გემოვნებაშიც საკმაოდ კარგად ერკვევით.

მეოთხე — თანამშრომლობა

რაში მდგომარეობს არსი. სტაბილური თანაცხოვრების დროს, მეუღლეებს საკუთარი ყოფის უსაფრთხოებისა და საიმედოობის შეგრძნება ეუფლებათ ხოლმე. ამჯერად მათ შეუძლიათ, მშვიდად მოჰკიდონ ხელი ამა თუ იმ პროექტის განხორციელებას სახლს გარეთ. მაგალითად, განაგრძონ სწავლა ან პროფესიონალური კარიერის შექმნაზე იზრუნონ.

რაში მდგომარეობს პრობლემა. ზოგჯერ ერთ-ერთი პარტნიორი თავისი გეგმების წარმატებით განხორციელებით საგრძნობლად წინ უსწრებს მეორეს. ასეთ დროს „ჩამორჩენილს“ შედარებით იღბლიანი მეორე ნახევრის მიმართ მტრული განწყობა ეუფლება. შექმნილ სიტუაციაში, წარმატებული პარტნიორი თავისი „დაჩაგრული“ მეორე ნახევრისგან არანაირ მხარდაჭერას არ უნდა ელოდეს. ამის გარეშე კი, ბედნიერი ოჯახური წყვილის კავშირი ყოვლად წარმოუდგენელია.

როგორ გადავწყვიტოთ საკითხი. ცნობილია, რომ წარმატებულ ურთიერთობებს საფუძვლად საერთო მიზნები უდევს. თუკი თქვენი პარტნიორი საკმაოდ მაღლა აფრინდა, თქვენ კი უძრაობის ჭაობში ხართ ჩაფლული, ამაში მას ნუ დაადანაშაულებთ. პირველ რიგში, გააცნობიერეთ, რომ მეუღლის კარიერისა თუ ინტელექტუალური ზრდის პროცესი თქვენს ინტერესებშიც შედის. ამიტომ ეცადეთ, რომ თქვენი ნეგატიური ემოციებით ხელი არ შეუშალოთ მის წინსვლას. უმჯობესია, დაეხმაროთ მას — ამით ხომ თქვენ საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას შეუწყობთ ხელს. მეორეც, წაიოცნებეთ თქვენს მომავალზე: სად ისურვებდი ცხოვრებას, როგორი სოციალური სტატუსი გნებავთ რომ გქონდეთ, როგორ საზოგადოებაში ტრიალი გსურთ. ოღონდ, გაითვალისწინეთ, სასურველია, რომ თქვენი ოცნებები რეალურად განსახორციელებელი იყოს — ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ბრიტანეთის სამეფო ტახტზე ოცნება ბევრს ვერაფერს შეგძენთ. შემდეგ კი თქვენს წარმატებულ მეუღლესთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ განახორციელეთ თქვენი ოცნება რეალურ ცხოვრებაში.

მეხუთე — ადაპტაცია

რაში მდგომარეობს არსი. ამ პერიოდში ოჯახური წყვილები თვითგანვითარებაზე მეტად, იმ ცვლილებებთან შეგუებით არიან დაკავებულნი, რომლებიც მათ ოჯახში მათგან დამოუკიდებლად ხდება. მაგალითად, ცდილობენ, შეეგუონ იმას, რომ შვილები უკვე დაზარდეს, მათ საკუთარი გზა აირჩიეს და ახლა უკვე ცალკე, მშობლებისგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ. ცოლ-ქმარი აღარავის აღზრდაზე აღარ ზრუნავს, მათი საზრუნავი ერთმანეთის მოვლა-პატრონობაა. ან შესაძლოა, პირიქით მოხდეს — ცოლ-ქმარი იძულებულია, თავისი თავისუფალი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ხანში შესული მშობლების მოვლა-პატრონობას დაუთმოს.

რაში მდგომარეობს პროგლემა. დისკომფორტმა, რომელიც ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევას ახლავს, შესაძლოა, ერთ-ერთი პარტნიორის პროვოცირება მოახდინოს და იგი ცოლქმრობის უკვე განვლილ სტადიაზე დააბრუნოს. როგორც წესი, მამაკაცები პირველ სტადიას (შერწყმის ეტაპი) უბრუნდებიან, ქალები კი — მეორეს (ბუდის შენების სტადია). ბუნებრივია, ყოველი მათგანი თავის მეორე ნახევრისგან ითხოვს იმას, რა მოთხოვნებიც ზემოთ ხსენებულ სტადიებს ახლდა თან. ხოლო თუკი პარტნიორები ანგარიშს არ უწევენ ერთმანეთის სურვილებს (რამეთუ სხვადასხვა სტადიაზე მყოფთ განსხვავებული მოთხოვნილებები და ინტერესები აქვთ), ეს განაწყენების საბაბი ხდება.

როგორ გადავწყვიტოთ საკითხი. მოაწყვეთ ოჯახური საღამოები: გაიხსენეთ განვლილი ცხოვრების წლები. მოგონებების ასაშლელად მოიშველიეთ ფოტოალბომები ან ოჯახური დღესასწაულების ამსახველი ვიდეოკასეტები. ეს შესანიშნავი მეთოდია წარსულის სასიამოვნო გარემოში დასაბრუნებლად (მაგალითად, გაიხსენეთ უღრუბლო ბავშვობის წლები ან შეყვარებულობის პერიოდი). მოუყევით ერთმანეთს თქვენი ცხოვრების იმ შორეულ წლებში მომხდარი მხიარული ეპიზოდები, როცა თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობდით ერთმანეთს. ასევე ძალზე სასარგებლოა იმის გახსენება, თუ როგორ ჩაისახა თქვენი სიყვარული: თუნდაც ეს სრულიად უმნიშვნელო წვრილმანები იყოს. თქვენს გულებს ეს მოგონებები მალამოდ მოეცხება. ამგვარი საღამოების მოწყობის შემდეგ, თქვენს გულებში კვლავ სიმშვიდე დაისადგურებს ანუ დაგეუფლებათ ის გრძნობა, რომლის დეფიციტსაც განსაკუთრებით განიცდით ამ ეტაპზე. სულიერი სიმშვიდის მოპოვებას კი, შესაძლოა ახალი სექსუალური ურთიერთობების ტალღა მოჰყვეს და თქვენ ისევ გაიხალისებთ სიცოცხლეს, როგორც ეს თქვენი ცოლქმრული თანაცხოვრების პირველ სტადიაზე ხდებოდა. ■

როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როდესაც ბავშვი ეკითხება — საიდან გავჩნდი?...

მცირეწლოვან ბავშვებს ხშირად უჩნდებათ შეკითხვები, რომლებიც მშობლებს საგონებელში აგდებს. მიუხედავად ამისა, დედ-მამა ცდილობს, დააკმაყოფილოს პატარის ცნობისმოყვარეობა. მაგრამ ხდება ისეც, რომ მშობლები უბრალოდ, ვერ პასუხობენ შვილის ამა თუ იმ შეკითხვას.

როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როდესაც ბავშვი ეკითხება — საიდან გავჩნდიო? ამ კითხვამ ჩვენი რესპონდენტები ძალზე დააბნია, მაგრამ მაინც სცადეს, მდგომარეობიდან გამოსავალი მოეძებნათ.

სოფო ყარალაშვილი

რუსა მორჩილაძე:

— ვფიქრობ, რომ ბავშვისთვის ეს თემა დაფარული არ უნდა იყოს, თორემ, შემდეგ ეგონება, რომ დიდი აღმოჩენა გააკეთა. მესამე კლასში ვსწავლობდი, როცა ან და სერჟ გოლონების „ანჟელიკა“ წავიკითხე. მაშინ ეს წიგნი ჩემი თაობისთვის დიდ საიდუმლოდ ითვლებოდა, თავისი ეროტიკულობის გამო. ახლა ეს აღარავის უკვირს. ჩემმა შვილმა იცის, რომ ცხრა თვე ჩემს მუცელში იჯდა, ნელ-ნელა ვითარდებოდა და შემდეგ დაიბადა. მას რომ ვუთხრა — კომბოსტოში გიპოვე ან წერომ მოგიყვანა-მეთქი, — სასაცილოდაც არ ეყოფა... ბავშვს უნდა ავუხსნათ, რომ როცა მამიკო დედიკოს ეფერება, მაშინ ისახება მუცელში ბავშვი.

ზურაბ ვადაჭკორია:

— ბავშვს შეიძლება ავუხსნათ, რომ სიყვარულისგან გაჩნდა. თუ ჩაგაცივდებათ და უფრო მეტად დაკონკრეტებას მოგთხოვთ, უნდა აუხსნათ, რომ სიყვარული ეროსის სხივში მჟღავნდება...

თიკა ფაცაცია:

— ამ დროს, ბავშვს უნდა უთხრა — დედიკომ კანფეტი შეჭამა, მერე მუცელში შენ გაეზარდე, ბოლოს კი, როგორც მგელს, წითელქუდას ზღაპარში, დედიკოსაც მუცელი გაუჭრეს და ამოგიყვანეს-თქო...

კახა აბუაშვილი (კაბუ):

— მშობლებმა რაღაცები უნდა მოატყუონ ბავშვს, მაგალითად — არწივმა ჩამოგაგდოო... მე ასეთი შემთხვევა არ მქონია, მაგრამ ალბათ, შემრცხვება და ბავშვს ვთხოვ, რომ დედიკოს ჰკითხოს... ბავშვობაში, რომ ვკითხე დედას — საიდან გავჩნდი-მეთქი? — მიპასუხა — მაღაზიაში გიყიდეო.

ბუკა მანაგაძე:

— ბავშვს ასაკისდა მიუხედავად, უნდა აუხსნა ყველაფერი, როგორც თანატოლს. იმას, რომ კალათაში იპოვეს, ახლანდელი ბავშვები არ დაიჯერებენ, ეს უფრო, ომისდროინდელი ბავშვებისთვის იყო მოსარგები. მე მაგალითად, ჩემს შვილს ვეტყვი, რომ ის დიდი სიყვარულის ნაყოფია; დეტალები, რასაკვირველია, საჭირო არ არის. ვფიქრობ, ასეთი პასუხი ყველა ბავშვის ინტერესს დააკმაყოფილებს. გარდა იმისა, ვისაც არ ჰყავს დედა ან მამა, ასეთი ბავშვები ვერ გაიგებენ, რომელი სიყვარულის ნაყოფს წარმოადგენენ.

ზალიკო ბერგერი:

— ბავშვს ვეტყვი — გაიზრდები და გაიგებ-მეთქი... შეიძლება, ისიც ვუთხრა, რომ ანგელოზებმა მოიყვანეს და წერომ მოაფრინა.

ვახტანგ ჯაფარიძე, *ფსიქოლოგი:*

— საერთოდ, ბავშვები ამგვარ კითხვებს იმიტომ სვამენ, რომ უჭირთ დასკვნების გაკეთება. ჯობს, ყველაფერი თავიდანვე იცოდეს, რადგან მერე, სულ ცოტა, ტელევიზიის საშუალებით მაინც გაიგებს და მშობლების მიმართ უნდობლობა გაუჩნდება, ან ჩათვლის, რომ დედ-მამამ ამის შესახებ არაფერი იცის... შეიძლება, ბავშვმა ისიც დაუშვას, რომ ისინი არ არიან მისი ნამდვილი მშობლები. ■

უძრავი ქონების სეზონი გრძელდება

ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ჟურნალია — ორი სუპერრუბრიკა

ყველაზე რეალური ინფორმაცია

გარშემო მყოფნი ყოველთვის ყურადღებითა და ინტერესით აკვირდებიან ადამიანს, რომელიც მარცხენა ხელით წერს, ხატავს ან ვთქვათ, ჩოგბურთს თამაშობს, რადგან უმეტესობისთვის მარცხენა ხელის აქტიურად გამოყენება წარმოუდგენელია. როგორები არიან ე.წ. მემარცხენე ანუ ცაცია ადამიანები? რატომ სჯიდნენ მათ საუკუნეების წინ, კოცონზე დაწვითაც კი, რის შედეგად შეიცვალა მათდამი დამოკიდებულება და რას ფიქრობენ ცაცებზე დღეს?..

Cacia — ნაპლი, ღირსება თუ საფრთხის ნიშანი?

მემარცხენეთა დიდი ფანტაზიები, აპვიატებული აზრები და შენელებული რეაქციები

ლელა ჭანკოტაძე

რუსუდან მხეიძე, *ნეიროფსიქოლოგი:*

— მოგეხსენებათ, ცაციებს მარცხენა ხელი მარჯვენაზე უფრო აქტიური აქვთ. ამ მოვლენას, რომელშიც არაფერია არაჩვეულებრივი, თავის ტვინი განაპირობებს: იმ ფუნქციების (მეტყველების, კიდურების მოძრაობის, მიმიკის და ა.შ.) მართვის ცენტრები, რომლებიც მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს თავის ტვინის სხვადასხვა ნახევარსფეროში აქვთ. მაგალითად, მეტყველების ცენტრი მემარჯვენეს მარცხენა ნახევარსფეროში აქვს, ცაციას კი — მარჯვენაში. მემარცხენეობის ფენომენი ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი. ამის შესაბამისად, არც პასუხი კითხვაზე — რა იწვევს მემარცხენეობას? — არ არსებობს. მხოლოდ ერთ საკითხში თანხმდება ყველა მეცნიერი: ამ მოვლენას გენეტიკური ფესვები აქვს. ამდენად, თუ თქვენ ცაცია წინაპარი გყავდათ, დიდია შანსი, რომ მემარცხენეობა თქვენს შვილში ან შვილიშვილში გამეორდეს.

— როგორები არიან ცაციები? მემარცხენეობის გარდა, კიდევ რა თვისებები გამოარჩევს მათ სხვა ადამიანებისგან?

— ისინი არაფრით გამოირჩევიან სხვა ადამიანებისგან, გარდა იმისა, რომ მარჯვენა ხელის ნაცვლად, უფრო აქტიურად იყენებენ მარცხენა ხელს. მსოფლიო ძალზე ბევრ გამოჩენილ ცაციას იცნობდა და იცნობს. მათ შორის არიან ლეონარდო და ვინჩი, ლიუის კეროლი, პოლ მაკარტნი, ბილ კლინტონი. სხვათა შორის, ამ ფენომენს ძალზე საფუძვლიანად იკვლევენ აშშ-ში, სადაც არსებობს დიდი სპეციალური კლინიკა, სადაც ცაციებს ხელის მოძრაობის სრულყოფაში ეხმარებიან, რადგან მაგალითად, წერის დროს, ასოების სწორად გამოყვანა არ გაუჭირდეთ. ჩვენში კი, ძალზე ხშირია შემთხვევა, როდესაც მოზრდილ ადამიანს ბავშვის მემარცხენეობასთან შეგუება უჭირს. ჩემი დეიდაშვილის შვილი ცაციაა. მის მასწავლებელს თურმე, განუცხადებია — მე არ დავუშვებ, რომ ჩემს კლასში მოსწავლე მარცხენა ხელით წერდესო... თუმცა მასწავლებელთა უმეტესობას ეს აღარ აღიზიანებს, მაგრამ მათ არ იციან, როგორ შეუწყონ ხელი ცაციებს სხვადასხვა უნარ-ჩვევის სრულყოფილად დაუფლებაში. არადა, მემარცხენე ბავშვებს ჯდომა, წერის მანერა, კალმის დაჭერა განსხვავებული აქვთ და ეს ყველაფერი ჩვენ უნდა ვასწავლოთ: მაგალითად, უნდა ვუკარნახოთ, თუ როგორ უნდა ედოთ რვეული, რომ სინათლის სხივი სწორად ეცემოდეს. კარგი იქნებოდა, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის საგანგებო ტრენინგები ჩაეტარებინათ, რომლებზეც შეასწავლიდნენ ცაციებთან სწორ ურთიერთობას. მართალია, ვთქვათ, ცაცია ბავშვები თავიანთ თანატოლებს გონებრივი განვითარებით არ ჩამორჩებიან, მაგრამ მათთვის დამახასიათებელია ე.წ. სარკულობის ფენომენი — ისინი ზოგჯერ ასოებს ან რიცხვებს შებრუნებით წერენ. აღსანიშნავია, რომ სარკულობა მხოლოდ წერაში როდი შეიმჩნევა — ის აზროვნებასაც ამჩნევს თავის კვალს: ბავშვები „უკუღმა“ კითხულობენ და გონებაში „აბრუნებენ“ წაკითხულს. ამის გამო მათ კითხვა გაძნელებული აქვთ... დროთა განმავლობაში, ეს სიძნელე აღმოიფხვრება. თუმცა, თუ სწრაფად წერას მოვთხოვთ, შესაძლოა, ზოგიერთმა ცაციამ კვლავ ასოების შებრუნებას მიჰყოს ხელი...

— შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანს მემარცხენეობა არ ემჩნეოდეს?

— არსებობს ე.წ. ფარული მემარცხენეობა. შეიძლება ადამიანი ცაცია იყოს, მაგრამ ყველაფერს მარჯვენა ხელით აკეთებდეს. ყოფილა შემთხვევები, როცა ადამიანმა საკუთარი მემარცხენეობა მძიმე ავადმყოფობის შედეგად შეიტყო. მყავდა პაციენტი, რომელმაც ინსულტი გადაიტანა. მან მეტყველების უნარი დაკარგა, რაც წესით, არ უნდა მომხდარიყო... გამოჯანმრთელების შემდეგ, ამ ქალს ვკითხე: ნუთუ არ იცოდი, რომ ცაცია იყავი-მეთქი? მიპასუხა — მე მხოლოდ ორ რაღაცას ვაკეთებდი მარცხენა ხელით: სარეცხს ვწურავდი და ბოსტანში მუშაობისას, კვალს ვმარგლავდიო... არსებობს ე.წ. წმინდა წყლის მემარცხენეობა — როცა წამყვანია, როგორც მარცხენა თვალი, ასევე ყური, ხელი და ფეხი; ასეთი მემარცხენეობა ძალიან იშვიათია. უფრო ხშირია შერეული მემარცხენეობა — როცა წამყვანია მარცხენა ყური, მარჯვენა თვალი, მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ორივე ხელი ერთნაირად ძლიერად აქვთ განვითარებული და შეუძლიათ, ორივე ხელით აკეთონ საქმე. პროცენტულად მემარცხენეები, მემარჯვენეებზე შედარებით ნაკლები რაოდენობისაა. თუმცა, თუ ზუსტ გამოკითხვას ვაწარმოებთ და ფარულ მემარცხენეებსაც აღვრიცხავთ,

ცაციების რაოდენობა შეიძლება გასამმაგდეს კიდეც.

მხატვარი **გია გულაძე** *იმ იშვიათ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, რომლებსაც ორივე ხელი თანაბრად აქვთ განვითარებული. ის მარცხენა ხელით ხატავს, მაგრამ მარჯვენა ხელით წერს. მშობლები ცდილობდნენ, ცაცია შვილი „გადაეკეთებინათ“, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამის შესახებ ბატონი გია ღიმილით საუბრობს:*

— დედამ ბავშვობაშივე შემატყო, რომ ცაცია ვიყავი და გადაწყვიტა, გადავჩვეოდი მარცხენა ხელით წერას. მახსოვს, მარცხენა ხელს სკამზე მიბამდა, რომ იძულებული გამხდარიყავი, მარჯვენა ამემოძრავებინა. ამიტომაც ვწერ მარჯვენა ხელით. დედა ხატვას არასერიოზულ საქმედ მიიჩნევდა და ხატვის დროს კონტროლს არ მიწევდა... სკოლაშიც მარცხენა ხელი სულ უკან მქონდა წაღებული. მასწავლებელიც გამუდმებით მაკვირდებოდა, რომ მარცხენა არ გამომეყენებინა. ხატვა იმდენად ინტიმური საკითხია ჩემთვის, რომ მთელი გული უნდა ჩავაქსოვო. ხატვისას თავისუფალი ვიყავი და ის თითქოს თვითგადარჩენის, თვითდამკვიდრების იარაღად იქცა ჩემთვის. — სამყაროდ, რომელშიც არ ვიყავი შეზღუდული...

— მარცხენათი წერა არ შეგიძლიათ?

— შემიძლია, მაგრამ უხერხულობის შეგრძნება მეუფლება, კომფორტულად არ ვგრძნობ თავს, როცა კალამი მარცხენა ხელით მიჭირავს. სამაგიეროდ, იმავეს ვგრძნობ, როცა მარჯვენა ხელით ფანქარი მიჭირავს. სხვათა შორის, მხატვრებს შორის, ბევრია ცაცია — მაგალითად, ლეონარდო და ვინჩი, ეჟენ დელაკრუა; ხატვისას ორივე ხელს იყენებდნენ რენუარი და მიქელანჯელო. ამბობენ, მემარცხენეობა გენეტიკურად გადაეცემაო. მაგრამ ჩემი შვილი ცაცია არ არის. მე კი, ბიძა და დეიდა მყავდნენ ცაციები. როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან, მემარცხენეობა გენეტიკურად მომდევს.

— თქვენი დაკვირვებით, გარდა მემარცხენეობისა, რით განსხვავდებით სხვა ადამიანებისგან?

— მე აღმოვაჩინე, თუ რა თვისებები აქვს ცაციას: მას უყვარს რაღაც საკითხის გონებაში დიდხანს აწონ-დაწონა. აკვიატებული აზრივით, სულ ერთსა და იმავეს ვიმეორებ ხოლმე. ეს სხვა ცაციებისთვისაც შემიმჩნევია. აღარაფერს ვამბობ ფანტაზიორობაზე — ცაციები ხომ, როგორც წესი, დიდი ფანტაზიორები არიან... სიმართლე გითხრათ, ბედნიერი არ გახლავართ იმის გამო, რომ მემარცხენე ვარ.

მე აღმოვაჩინე, თუ რა თვისებები აქვს ცაციას...

ხატვის დროს, ძალიან ძალე მეღლება მარცხენა მხარი და იძულებული ვარ ხოლმე, მარჯვენა ხელი მივახმარო...

რა პრობლემები იქმნება ოჯახში, სადაც შეამჩნევენ, რომ მათი პატარა, სათამაშოს მარცხენა ხელით იღებს, მარჯვენას კი თითქმის არ ამოძრავებს. როგორ რეაგირებენ მშობლები შვილის მემარცხენეობაზე? ფსიქოლოგების დახმარებით, შევხვდით რამდენიმე დედას, რომლებიც ამ პრობლემას განსხვავებულად უდგებიან.

თიკო ჭილლაძე, *32 წლის:*

— თავიდან გვეგონა, რომ ბავშვს მარჯვენა ხელი ტრავმირებული ჰქონდა. ვფიქრობდი — სამშობიარო ტრავმის შედეგია, აქტიურად რომ ვერ ამოძრავებს-მეთქი. შინ სხვადასხვა მასაჟისტი მოგვყავდა; მერე ტრავმატოლოგსაც მივაკითხეთ. ბოლოს, პედიატრმა გვითხრა: მგონი, ბავშვი ცაციაა; იქნებ გაიხსენოთ, წინაპრებს



...ამიტომაც ვწერ მარჯვენა ხელით, მაგრამ ვხატავ მარცხენათი

შორის, ვინმე ხომ არ გყავდათ ცაციაო? ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ასეთი ჩვენს ნათესაობაში არავინ აღმოჩნდა. ასე იყო თუ ისე, იმ აზრს უნდა შევგუებოდით, რომ მაკა ცაცია იყო. ჩემი მშობლები გადაირივნენ: სირცხვილია, რომ გაიზრდება, ყველა დასცინებსო, — მეუბნებოდნენ. დედაჩემი იმასაც ამბობდა — მაკას ცოლად ვინ შეირთავს, რომ გაიგებს ცაციაო?! მამაჩემიც იმავე აზრის იყო: რატომ უნდა ჰქონდეს ბავშვს ასეთი ნაკლი, როცა შეიძლება, პრობლემა სწრაფად მოვაგვაროთო?.. 10 თვის ბავშვს ხელი სხეულზე მივუბით!.. ტიროდა, ნერვიულობდა, დამამშვიდებელ წამალს ვასმევდით... მერე ახლობელმა გვირჩია, მარცხენა ხელი მხოლოდ თამაშის დროს გაგვეკოჭა მისთვის... ასე გადიოდა დღეები, თვეები. მაკამ ფეხზე გაიარა, მერე ენა ამოიდგა. მარჯვენა ხელით სათამაშოების აღებაც დაიწყო... გვეგონა, მარცხენა ხელის ხმარებას გადაეჩვია. თურმე, პრობლემები წინ გველოდა: საბავშვო ბაღში რომ მივიყვანეთ, მისმა ძიძამ გვითხრა: მგონი, თქვენს პატარას მარჯვენა ხელი პარალიზებული აქვსო...

— ასე რატომ იფიქრა?

— ბავშვს ძალზე უჭირდა მარჯვენა ხელით პატარა ნივთების აღება. ვერაფრით ვერ შეძლო ფანქრების დაჭერა და ხატვა. ისევ ექიმს მივაკითხეთ. საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ, მაგრამ არანაირი ტრავმა არ აღმოაჩნდა. ჩვენი ოჯახის მუდმივი სტუმარი მასაჟისტი გახდა. ამასობაში, დრო გავიდა. მაკა სკოლის მერხს მიუჯდა...

ლია ელიზბარაშვილი, *პედაგოგი:*

— პირველკლასელებს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ, თითოეულ მათგანს უნდა დააკვირდე, დაუახლოვდე, განსაკუთრებით მათ, ვისი მშობლებიც გეუბნებიან, რომ პატარას რაღაც პრობლემა აწუხებს. მაკამ სრულიად გამოაცა: რამდენიმე თვის მანძილზე ვერ ვასწავლე კალმის დაჭერა და სწორი ხაზების გავლება. აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ბოლოს, უფრო გამოცდილ კოლეგას გავუზიარე ჩემი სადარდებელი. მან მაკას სთხოვა, ყვავილი და სოკო დაეხატა, თან ისე, როგორც თავად უჩვენებდა: მასწავლებელმა დაფაზე დაუხატა სოკო, მისგან მარჯვნივ კი — ყვავილი. მაკამ, როგორც შეძლო, ისე დახატა სოკო და ყვავილი, ოღონდ — შებრუნებით: ჯერ ყვავილი, მისგან მარჯვნივ კი — სოკო. ჩემმა უფროსმა კოლეგამ მაშინვე მითხრა: ბავშვი ცაციაა, ფსიქოლოგის დახმარების გარეშე ვერაფერს გახდებიო. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელი აღმოჩნდა ამაზე მაკას მშობლების დაყოლიება. ისინი ჯიუტად მიმეორებდნენ: ფსიქოლოგი მარცხენა ხელით დააწყებინებს წერას და ბავშვს დაგვიღუპავსო. კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ, რომ მათი შვილი მემარცხენე ყოფილიყო.

— რა გამოსავალი მოძებნეთ?

— სხვა გზა არ იყო — უნდა გვეცადა, მაკასთვის მარცხენა ხელით წერა გვესწავლებინა. მაგრამ უმოძრაობისგან ხელი იმდენად მოდუნებული ჰქონდა, რომ შედეგის მისაღწევად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. ვერც მარცხენა ხელით ახერხებდა წერას და ვერც მარჯვენათი.

თიკო ჭილლაძე:

— ბოლოს, მაკა მივიყვანეთ კლინიკაში, სადაც არსებობს სპეციალური განყო-

ფილოება ცაციებისთვის. იქ ბავშვებთან ფსიქოლოგები მუშაობენ — მარცხენა ხელის სრულყოფილად ამოქმედებას ასწავლიან. მაკას ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო, ასეები სწორად გამოეყვანა... სამწუხაროდ, ჩვენ დიდი შეცდომა დავუშვით. ჩემთვის ახლაც არ არის სასიამოვნო იმ აზრთან შეგუება, რომ ჩემი შვილი ცაციაა. ამას მე და ჩემი ოჯახი სერიოზულ ნაკლად მივიჩნევთ. მაგრამ ჯობდა, სიმართლისთვის ადრევე გაგვესწორებინა თვალი...

სამწუხაროდ, ბევრი მშობელი მიიჩნევს მემარცხენეობას ნაკლად. თუმცა, არიან ისეთებიც, ვისაც მოსწონს, როცა მისი შვილი სხვებისგან რაღაცით გამორჩეულია... პატარა ანუკის დედა ფიქრობს, რომ მისი გოგონა განსაკუთრებული ბავშვია, თუნდაც იმიტომ, რომ ცაციაა.



ცაციების მემარჯვენეებად „გადაკეთება“ არ შეიძლება

ხათუნა ლოსაბერიძე, *39 წლის:*

— ანუკი 2 წლის იყო, მეზობელმა რომ მითხრა — შენი გოგონა ცაციაა, აქამდე როგორ ვერ შეამჩნიეო?!. ბავშვს დავაკვირდი და აღმოვაჩინე, რომ მართლაც, ასე იყო: უფრო აქტიურად ამოძრავებდა მარცხენა ხელს, ხოლო რაღაცა ცალი თვალით რომ უნდა დაენახა, მარჯვენა თვალს ხუჭავდა, თვალის ექიმმა კი გვითხრა — მარცხენა თვალი გაცილებით აქტიური აქვს, ვიდრე მარჯვენაო...

— სხვა თვისებებითაც თუ გამოირჩევა — მაგალითად, სარკულობით?

— წერის დროს, ძ-სა და ხ-ს ერთმანეთში ურევს ხოლმე, ზოგიერთ რიცხვსაც უკულმა წერს... გავიგე, რომ ეს ცაციებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ რაც ყველაზე საოცარია, მას არ ეხერხება მარცხენა ხელით ჭამა — კოვზი ყოველთვის მარჯვენა ხელით უჭირავს. ერთი სიტყვით, ძალიან უცნაური გოგონა მყავს და ამის გამო, ძალზე კმაყოფილი ვარ...

— თქვენი წინაპრებიდან თუ იყო ვინმე ცაცია?

— ბაბუაჩემის ძმა ხის ოსტატი გახლდათ. მთელი გურია იცნობდა, როგორც ცაცია დურგალს. მისი თანატოლები ცოცხლები აღარ იქნებიან, მაგრამ მამაჩემის თაობას მაინც ემახსოვრება ცაცა პავლე — ასე ეძახდნენ შინაურები და თანასოფლელები. 16 წლის ბიჭი ყოფილა, როცა რომელიღაც ხის საჭრელ იარაღს მისთვის მარჯვენა ხელზე 3 თითი მოუწყვეტია. ხომ წარმოიდგენიათ, დურგლისთვის ეს რამხელა ტრაგედია იქნებოდა?.. მაშინ დაუწყია მარცხენა ხელით მუშაობა. თურმე, თავიდან დასცინოდნენ — ვერ შეძლებ მარცხენა ხელით ხის ჭრას და მაგ ხელსაც გაიფუჭებო, — მაგრამ უკან არ დაუხევია და მიაღწია იმას, რომ მარცხენა ხელით ჩუქურთმებსაც კი აკეთებდა.

მაია მაისურაძე, *33 წლის:*

— ჩემი შვილები სხვადასხვა კვერცხუჯრედის ტყუპის ცალები არიან, ამიტომ გარეგნულად ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით არ ჰგვანან. მაგრამ საოცარია ერთი ფაქტი: ანა მემარცხენეა, ნინო კი — მემარჯვენე. როცა ეს აღმოვაჩინე, ნამდვილ სასწაულად მომეჩვენა: წარმოიდგინეთ — ბავშვები ტყუპის ცალები არიან, ერთ მერხთან სხედან და სხვადასხვა ხელით წერენ!..

— თქვენს ცაცია შვილს კიდევ რა გამოარჩევს მემარჯვენე ტყუპისცალისგან?

— ანა განსხვავებული ბუნების ბავშვია. ის ძალიან მეოცნებეა. ამას წინათ, კლინტონზე იყო გადაცემა. მისი პედაგოგი ამბობდა: ბოლო გაკვეთილზე ჩაფიქრდებოდა, გაყუჩდებოდა და ვხვდებოდი — ის კლასში აღარ იყო, გონებით, საკუთარ, გამოგონილ სამყაროში იყო შეჭრილიო. ასეთია ანაც. მარტო დარჩენა ყველაფერს ურჩევნია. ალბათ, ოცნება და განმარტოებისკენ ლტოლვა ცაციებისთვის დამახასიათებელი თვისებაა.

როგორი დამოკიდებულება იყო საზოგადოებაში ცაციების მიმართ ასწლეულების წინ? რა შეიცვალა ამ მხრივ ახლა? როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ჩვენი შვილი ცაციაა?..

რუსუდან მხეიძე:

— საუკუნეების წინ, ადამიანებს მიაჩნდათ, რომ მემარცხენეობა ეშმაკისეული მოვლენა იყო. ბუნებრივია, მშობელი ცდილობდა, რომ არავის შეემჩნია, მისი შვილი ცაცია რომ იყო და ყველა ღონეს მიმართავდა, რომ მას მარჯვენა ხელი გაეაქტიურებინა... მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბდა აზრი, რომ ცაციების მემარჯვენეებად „გადაკეთება“ არ შეიძლება, დღესაც არსებობენ მშობლები და პედაგოგები, რომლებიც ამას მაინც ცდილობენ. არადა, ამან შესაძლოა, ბევრი დარღვევა გამოიწვიოს. ხშირად ვითარდება ბავშვთა ნევროზები, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა) და ენკოპრეზი (განავლის შეუკავებლობა); ძალიან ხშირია ენაბლუობა... გარდა ამისა, ბავშვები ნერვიულობენ და ამბობენ: „მომაცილეთ მარცხენა ხელი! მომკვეთეთ მარცხენა ხელი!..“ ასეთი ფრაზები ხშირად ისმის იმ ოჯახებში, სადაც ცაცია ბავშვის „გადაკეთება“ იდეფიქსად არის ქცეული.

— მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ შევამჩნიეთ, რომ ჩვენი შვილი ცაციაა?

— პირველ რიგში, უნდა განუვითაროთ მარცხენა ხელის ნატიფი მოტორიკა. ამისთვის არაჩვეულებრივი საშუალებაა, სათამაშო მოზაიკა. მარცხენა ხელით ააწყოს მოზაიკა, ძერწოს, ხატოს — ეს საშუალებას მისცემს, დაძლიოს ფსიქოლოგიური პრობლემები. როცა ბავშვი ხედავს, რომ მის ირგვლივ ყველა მემარჯვენეა, ის იბნევა, აღარ იცის, როგორ მოიქცეს და თავადაც ცდილობს, მარჯვენა ხელი „ამუშაოს“, რათა უმრავლესობას დაემსგავსოს. მშობელი უნდა ეცადოს, აუსხნას ბავშვს, რომ ცაციობა სულაც არ არის ნაკლი და ამის გამო, ის არაფრით ჩამორჩება თანატოლებს... ■



სტომატოლოგიური კლინიკა

ჩიჭო-დენტი

1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავისუფლების მოედანი №4ა
(ახალაშენებული სასტუმრო „მერიოტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

ვერაფრით ვაპატიე

„თვალი რომ გადავავლე ჩემს ცხოვრებას, მივხვდი, რომ არ არსებობს დანაშაული, რომელსაც ვერ ვაპატიებდი. ყოველთვის შეიძლება მოიძებნობს ისეთი კუთხე, რომლითაც გაამართლებ დამნაშავეს. თქვენი წყალობით მოხდა ისე, რომ დავურეკე მეგობარს და შევურიგდი. მას 12 წელია, არ ვეკონტაქტებოდი. მეგონა, არასოდეს გამივლიდა წყენა. როდესაც „გზავნილები“ წავიკითხე და ვნახე თემა — „ვერაფრით ვაპატიე“, — მივხვდი, რომ თურმე, პატიება შეიძლებოდა. გამოვასწორე ის, რაც გულში ხინჯად მქონდა. დიდი მადლობა „გზავნილებს“, რომ ბავშვობის მეგობარი დამაბრუნებინა. პატივისცემით, მზია გოგრიჭიანი“. აი, ასეთი მესიჯი მივიღეთ ერთ-ერთი მკითხველისგან. გვიხარია, თუ ერთი ადამიანი მაინც დარჩება ჩვენი მადლიერი, რადგან „გზავნილები“ ხომ სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ მკითხველებმა ერთმანეთს დარდი და სიხარული გაუზიარონ...

„...რომ ქალს ისე უყურებენ, როგორც სამზარეულო „მოწყობილობას“

მარი ჯაფარიძე

ახლა კი პირველ ამბავს გავეცნოთ, რომლის ავტორიც თითქოს უწყინარი ნაძლევის მსხვერპლი გახდა და საყვარელ ადამიანს ვერ აპატია მის გრძნობებზე თამაში, თუმცა ამის გამო, მთელი ცხოვრება თვითონაც „ხარკს იხდის“. 46 წლის გურამი მოგვითხრობს:

მოგებული ნაძლევი და დაკარგული ბედი...

„ისე არ გამიგოთ, თითქოს თავს ვიქებდე. მართლაც, ძალზე კარგი გარეგნობის მამაკაცი ვარ. ახალგაზრდობაში კი, ისეთი სიმპათიური და კარგი ტიპი ვიყავი, რომ არ არსებობდა ქალი, რომელსაც ვერ მოვიხელთებდი. ვფიქრობ, იმის გამო, რომ გარს ყოველთვის უამრავი ქალი მეხვია, სიყვარული ჩემს გულს ახლოს არ ეკარებოდა. ყოველთვის ერთი ღამის სტუმარი მყავდა. არც ცოლის მოყვანას ვჩქარობდი. თითქოს ქალებს გავურბოდი, რადგან მატერიალურადაც საკმაოდ მყარად ვიდექი ფეხზე და ვფიქრობდი, რომ ქალებს მხოლოდ ჩემი გარეგნობა და ფული აინტერესებდათ, ჩემს შინაგან სამყაროს კი ვერ ამჩნევდნენ. ერთ საღამოს, შინ მარტო ვიყავი და ტელევიზორს ვუყურებდი. კარგ ხასიათზე ვიყავი და ალბათ ამის გამო, მოხდა ისე, რომ ტელეფონით უცნობმა გოგონამ დამირეკა და საუბარი გავუბი. შუაღამემდე ვისაუბრეთ. მეორე დილით, კვლავ დამირეკა, შემდეგ — საღამოს... ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. ისე მივეჩვიე მარინას არსებობას, რომ საღამოობით შინ ადრე იმისთვის მივდიოდი, რომ მასთან მესაუბრა. მისთვის არც ტელეფონის ნომერი მიკითხავს და არც შეხვედრა მითხოვია, ისე გავიდა 4 თვე. ძალზე საინტერესო მოსაუბრე იყო მარინა. ძალზე ლამაზი ხმა ჰქონდა და ჩემს თავსაც არ ვუმხელდი, რომ ეს გოგო აშკარად მომწონდა... მაშინ 30 წლის გახლდით, მარინა — 27-ის. ღამეებს ვათენებდი ხოლმე მასთან საუბარში, სამსახურში კი, მუდამ გამოუძინებელი მივდიოდი. ერთხელ, ღამის 3 საათზე, საუბრისას მკითხა — ჩემი ნახვის სურვილი არ გაქვსო? მეც, ანგარიშმოუცემლად ვუპასუხე — თუ ახლავე მოხვალ ჩემთან სტუმრად, დიდი სიამოვნებით გიმასპინძლებ, თუ არა და — არასოდეს შეგხვდები, ასე სატელეფონო ნაცნობებად დავრჩებით-მეთქი. ყურმილი დაკიდა. ვიფიქრე, რომ ვაწყენინე და ძალზე ვინანე, მისი ტელეფონის ნომერი რომ არ ვიცოდი. მინდოდა, დამერეკა და ბოდიში მომეხადა. ნახევარი საათის შემდეგ, კარზე დააკაკუნეს. ზღურბლთან ულამაზესი ქალი იდგა. შავი, ტალღოვანი თმა წელამდე სწვდებოდა, ულურჯესი თვალები კი, ხშირი წამწამებიდან ენებიანად იმზირებოდნენ. შავი, გულამოჭრილი, ტანზე შემოტმასნილი კაბა და შავი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. იმდენად მშვენიერი იყო, რომ მეგონა, მეჩვენება-მეთქი. მაცდურად იღიმებოდა. ისე დავიბენი, შემოპატიჟებაც ვერ მოვახერხე. შუაღამე მშვიდობისა, გურამო! — მითხრა და ხმით ვიცანი მარინა. კართან, ენაჩავარდნილი ვიდექი. ის კი მიბრუნდა და კიბეზე დაეშვა... გიჟივით გამოვედევნე უკან, მაგრამ სადარბაზოდან რომ გავედი, მხოლოდ ტაქსის „სტოპ-სიგნალებს“ მოვკარი თვალი... იმ ღამით ვერ დავიძინე. არც მომდევნო ღამეები მეძინა. დღე და ღამე მარინა მელანდებოდა, ძილი და მოსვენება დავკარგე. ვფიქრობდი, როგორ მეპოვა მარინა, მაგრამ ამაოდ. ის კი აღარ რეკავდა. ტელეფონის ზარის ხმაზე, გიჟივით მივვარდებოდი ხოლმე აპარატს, მაგრამ მარინა არ რეკავდა... ასე გავიდა მტანჯველი 16 დღე. ერთ საღამოს, ტელეფონის ზარს უხალისოდ ვუპასუხე და მისი ხმა რომ გავიგონე, სიხარულით ლამის გადავირიე. ყველანაირად ვეცადე, რომ ვერ მიმხვდარიყო, ასე რომ ველოდი მისი ხმის გაგონებას, მაგრამ 5 წუთის შემდეგ, აღტყინებით ვუხსნიდი სიყვარულს და ვევედრებოდი, ერთხელ კიდევ მოეცა მისი ხილვის შანსი. ისევ უსიტყვოდ დაკიდა ყურმილი და ნახევარ საათში, კვლავ ჩემს კართან იდგა. პატარა ბიჭივით ვცქმუტავდი მის გარშემო. სავარძელში მშვიდად ოკდა, მე კი, მის პირისპირ

მჯდარი, ადგილს ვერ ვპოულობდი. ბოლოს მივუახლოვდი, თვალებში ჩავხედე და სიყვარული ისეთი სიტყვებით ავუხსენი, რომლის მსგავსი მე თვითონაც არსად მსმენია... შენ ისეთ სიტყვებს მეუბნები, რომ შეუძლებელია, ასეთ დროს მუხლზე დაჩოქილი არ იყო... — მითხრა და მეც მაშინვე ჩავიმუხლე მის წინ, თან ვუთხარი — შენ წინაშე მუხლზე დაჩოქილი გევედრები, რომ ხელი არ მკრა და შენს მონად მიგულო-მეთქი... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, როგორც იქნა, დავშშვიდდი, დავწყნარდი, ყავაც შევთავაზე, ხილიც... კარგა ხანს ვისაუბრეთ. წასასვლელად რომ მოემზადა, ვეხვეწებოდი — დარჩი, დღეიდან ჩემი ცოლი გახდი და დედოფლად გაქცევ, შენი ფეხის ნაბან წყალს დავლევ-მეთქი... ვერ დავითანხმე და ღამის 2 საათზე ჩემი მანქანით წავიყვანე შინ. აი, აქ დავუშვი შეცდომა. ნუ გამკიცხავთ, თუ ვიტყვი, რომ უმჯობესი იქნებოდა, ძალა მეხმარა — მაშინ აღარ აღმოვჩნდებოდი სულელურ მდგომარეობაში... მეორე საღამოს, კვლავ მის ზარს ველოდი. ტელეფონმა დარეკა თუ არა, ყურმილს დავწვდი, იქიდან კი ჩემივე ხმა გავიგონე და ის სიტყვები, რომლებსაც წინა საღამოს, მარინას ვეუბნებოდი... ისე დამემართა, თითქოს ცივი წყალი გადამასხეს. ყურმილი დავკიდე და ველოდი, რა მოხდებოდა შემდეგ. მეორე დილით, ჩემმა ძმაკაცმა დამირეკა და რესტორანში დამპატიჟა. ასე, 20 კაცი ვიქნებოდით თავმოყრილი. კუპეში დავსხედით და პირველ სადღეგრძელოდ — ჩვენი თავშეყრის მიზეზს გაუმარჯოსო! — თქვა ნუგზარმა. ამ დროს, კარი გაიღო და მარინა, მთელი თავისი მშვენიერებით გამოგვეცხადა. ვიფიქრე — ცუდად არის ჩემი საქმე, უკვე მოლანდებები დამეწყო-მეთქი. სუფრასთან სიცილი ატყდა. აღმოჩნდა, რომ მარინა ჩემი ძმაკაცის ცოლის მეგობარი იყო. ერთხელ, მათთან სტუმრობისას ჩემი ფოტო უნახავს და დაინტერესებულა, ვინ ვიყავი. ნუგზარს უთქვამს — ტყუილად ნუ გაირჯები, ეგ კაცი ქალებს მხოლოდ ერთი ღამით წყალობს, მაგას თავს ვერ შეაყვარებო. ჰოდა, მაშინ გაჩენილა ნაძლევის იდეა. იმ საღამოს, ჩემთან მოსულ მარინას ჯიბეში დიქტოფონი ჰქონია ჩადებული და ჩემი ბეჟუტურიც ჩაუწერია. ეს პურმარილი კი ნუგზარს წაგებული ნაძლევის სანაცვლოდ უკისრია... 5 წუთში დავტოვე იქურობა და წამოვედი. ვერც ძმაკაცს და ვერც მარინას ვერ ვაპატიე ასეთი საქციელი. მერე მარინა მირეკავდა — მიყვარხარ, უშენოდ ვერ ვძლებ და შემირიგდიო, — მეხვეწებოდა, მაგრამ მე ყურმილს ვუკიდებდი. ვაღიარებ, რომ სიგიჟემდე მიყვარდა და დღესაც მიყვარს ეს ქალი. ის ახლაც გაუთხოვარია. არც მე მყავს ცოლი და ეს იმის გამო, რომ ვერავინ შევიყვარე. მაინც ვერ ვივიწყებ წყენას, მთელი ცხოვრება ვიტანჯები და ვერ ვპატიობ...“

ბატონმა გურამმა თავდაპირველად, რამდენიმე მესიჯი გამომიგზავნა, შემდეგ დამირეკა და ყოველივე ტელეფონით მიამბო. საკმაოდ აღელვებული გახლდათ... საინტერესოა, რა მოხდება, თუ მარინა მის მონათხრობს წაიკითხავს? მოხარული ვიქნები, თუ ცოტა ხანში, გურამი კვლავ დამირეკავს და ამჯერად... ქორწილში დამპატიჟებს...

„ახლა ქალის საქმეში ჩარევა რა ვაჟკაცის საქმეაო?!. — ამბობს დათა თუთაშხია და ჩვენი მოძღვნო რესპონდენტიც მის აზრს იზიარებს. თუმცა, დათა კახპა ქალში ბუდარიხას გულისხმობდა, ჩვენი რესპონდენტი კი — საკუთარ ცოლს... 35 წლის მამაკა გვიამბობს:

„ამის გულისთვის ადამიანს კოცონზე უნდა წვავდნენ...“

„შესაძლოა, იფიქროთ — ეს კაცი გაგიჟებულა, თავისი ოჯახის ჭუჭყიან საცვლებს გარეთ რომ ფენსო, — მაგრამ იქნებ, ჩემმა ყოფილმა ცოლმა წაიკითხოს (სახელს შევცვლი), საკუთარი თავი ამოიცნოს და ერთხელ მაინც გაწითლდეს თავისი საქციელის გამო... მოხდა ისე, რომ ცოლად განათხოვარი, უშვილო ქალი მოვიყვანე. თავიდან, ყველაფერი კარგად მიდიოდა. ვერ გოგონა შეგვეძინა, შემდეგ — ბიჭი. თავს ბედნიერ მამად და მეუღლედ ვთვლიდი. 5 წელი ისე გავიდა, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემს ცოლს ნინელის, სხვისკენ არც კი გაუხედავს. შემდეგ საეჭვოდ დაიწყო სამსახურიდან დაგვიანებით მოსვლა. მაგრამ არ ვიმჩნევდი, თავი მოვიშტერე და თვალყურის დევნება გადავწყვიტე. ჩემთან დამოკიდებულებაშიც შეიცვალა და ბავშვების ბაღიდან მოყვანა და მოვლა-პატრონობაც მთლიანად დედაჩემს გადაბარა. ამის გამო ხშირად ვკამათობდით, მაგრამ — შენს პატიოსნებაში ეჭვი მეპარება-მეთქი, — არ მითქამს და არც მიგრძნობინებია. ვიცი ქალების ამბავი: თუ ფაქტზე არ წაასწარი, აქეთ მოგდებენ შარს და დაგადანაშაულებენ. ამიტომ მთელი მოთმინება მოვიკრიბე, სიმშვიდე შევინარჩუნე და ხელსაყრელ მომენტს დაველოდე. ერთ ზაფხულს მე, ნინელი და ბავშვები დასასვენებლად ზღვაზე წავედით. ნინელი ზღვაში იყო შესული, მე პლაჟზე ნივთებს ვდარაჯობდი. მის მობილურზე მესიჯი მოვიდა. გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და წავიკითხე. წერილი ისეთი შინაარსის იყო, რომ მისი გადმოცემის მრცხვენია, ბოლოს კი, პაემანსაც უნიშნავდა კავალერი, საღამოს 10 საათზე, ბათუმის ერთ-ერთი რესტორნის შესასვლელთან. მე საქმე მოვიმიზეზე და ვუთხარი — ქობულეთში მივდივარ-მეთქი. ვიფიქრე, რომ ბავშვებს მარტო არ დატოვებდა და პაემანზე ველარ წავიდოდა... რესტორნის შორიახლოს, ღია ბარში დავჯექი და დავიწყე თვალთვალი. მაინტერესებდა, ვინ მოვიდოდა. 10 საათისთვის დავინახე, რომ ჩემი ცოლი მოდიოდა. თვალებს არ დავუჯერე. იქვე „მერსედესი“ იდგა და ნინელი მასში ჩაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ, იქიდან მამაკაცი გადმოვიდა, მას ნინელი გადმოჰყვა, კაცს ხელკავი გამოსდო და რესტორანში შევიდნენ. მე ბავშვებთან გავიქეცი. უკვე აღარ მაინტერესებდა, რა მოხდებოდა რესტორანში ან ამის შემდეგ. შევედი ოთახში და რას ვხედავ?.. ბავშვებს სძინავთ, მათ გვერდით კი, არავინაა. თვალთ დამიბნელდა — როგორ გაბედა 5 და 3 წლის ბავშვების მარტო დატოვება?! ორივე გავაღვიძე, ჩავაცვი, ბარგი ჩავალაგე, მანქანაში ჩავსვი და თბილისში წამოვედით... ეს ამბავი შარშან ზაფხულში მოხდა. ბავშვები დედაჩემთან ერთად, რესპუბლიკის გარეთ, საიმედო ადგილას გავგზავნე. ჩემი ცოლი კი დღემდე მედავება — შვილები წამართვიო!.. მისთვის ზედმეტი სიტყვაც არ მითქვამს. ბოზების საქმის გარჩევა მამაკაცის საქმედ არ მიმაჩნია. აბა, როგორ ვაპატიო ცოლს ასეთი საქციელი? ქმრის ღალატი — ერთია, საკუთარი შვილების ღალატი კი — სულ სხვა. ამის გულისთვის ადამიანს კოცონზე უნდა წვავდნენ!“

ბავშვი ცხოვრების შესწავლას ზღაპრით იწყებს. რატომღაც ყველა ზღაპარში დედინაცვალი ნამდვილ ურჩხულად არის წარმოჩენილი. ზოგი გერს სასიკვდილოდ იმეტებს, ზოგი — საუკუნო ძილისთვის წირავს, ზოგი კი, მხეცების სავიჯვნად აგზავნის ტყეში... ალბათ ამიტომაა, რომ დედინაცვლის მიმართ უმეტეს შემთხვევაში, უარყოფითი დამოკიდებულება იჩენს თავს. თუმცა, ჩვენი შემდეგი რესპონდენტისთვის ყველაფერი საპირისპიროდაა. ნატოს დედინაცვალი ნამდვილი კეთილი ფერიაა... რა ხდება მაშინ, როდესაც ნამდვილი დედა საკუთარი უფლებების დაკანონებას ცდილობს?..

„დედინაცვალი უფრო საყვარელი ყოფილა“...

„ალბათ ჩემი ასაკის გოგონები იშვიათად გიმესიჯებენ ან მხოლოდ სასიყვარულო ამბებს გწერენ. მე კი, სიყვარულისთვის ვერ მოვიცალე, რადგან ჩემი გულისთვის ორი დედა იბრძვის. ყველაფერი კი ასე დაიწყო. დედას და მამას ერთმანეთი ძალიან ჰყვარებიათ, მაგრამ მერე როგორღაც ისე მომხდარა, რომ დედას სხვა კაცი შეჰყვარებია და მეორედ გათხოვილა. მე თან არ წამიყვანა, რადგან მამინაცვალს თურმე, ჩემი სახელის ხსენებაც კი არ უნდოდა. ამიტომ ჩემი თავი მამას შეატოვა და 30 წლით უფროს კაცს გაეკიდა... მე მაშინ სულ 3 წლის ვყოფილვარ. ცოტა ხანი მამიდა მზრდიდა, შემდეგ მამამ ცოლი მოიყვანა და მეც

თავისთან გადამიყვანა საცხოვრებლად. დედინაცვალი თავიდანვე დედად მივიღე და 14 წლის რომ გავხდი, მხოლოდ მაშინ შევიტყვე, რომ ის ჩემი ნამდვილი დედა არ იყო. ამის დაჯერება არ მინდოდა, რადგან ისეთი კარგი ქალი იყო, მინდოდა, მისი შვილი ვყოფილიყავი. დღემდე, უზომოდ მიყვარს... თანაც, ეს მაშინ გავიგე, როდესაც მამა დაიღუპა. 40 დღე რომ გავიდა, მამიდამ დედაჩემს უთხრა – დატოვე ნატო ჩვენთან, შენ კი ახალგაზრდა ქალი ხარ, ცხოვრებას კიდევ მოიწყობო... ახლაც ჩამესმის ყურში ჩემი დედინაცვლის სიტყვები. არ დამავიწყდება, როგორ ეჩხუბა მამიდაჩემს – ეს როგორ მითხარი?.. ნატოს როგორ დავთმობ?.. ჩემი გაზრდილია და საკუთარი შვილივით მიყვარსო!.. მე ოთახში შევედი და კატეგორიულად მოვითხოვე, აეხსნათ ჩემთვის ყველაფერი. მაშინ მოვისმინე ჩემი ოჯახის ამბავი. თურმე, დედას მთელი 11 წელი არ გავხსენებივარ. მაგრამ მე იმას უფრო განვიცდიდი, ფატი რომ ჩემი ნამდვილი დედა არ იყო... ამის შემდეგ, უკვე 2 წელია, უმამოდ ვცხოვრობთ. თავს არ ზოგავს ჩემი დედინაცვალი, რომ არაფერი გამიჭირვოს. ერთი წლის წინ კი, ნამდვილი დედაც გამოჩნდა... თურმე, ქმარი მოჰკვდომია და მე გავხსენებივარ. რა ვქნა, როგორც არ უნდა გამკიცხოთ, ვერ ვაპატიებ თავის საქციელს. ჩემი ფატი კი, მთელ ქვეყანას მირჩევნია".

ახლა კი, ტრადიციისამებრ – მოკლე მესიჯები.

„2 წელი ჩვენს სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა"

„ბიჭმა, რომელიც ძალიან მიყვარდა, სიყვარული მთვრალმა ამიხსნა და კოცნა მთხოვა. იცით, როგორ მინდოდა, მეკოცნა?.. მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან მინდოდა, ფიზიზელი ყოფილიყო, როცა მაკოცებდა... იმის შემდეგ მას ჩემთვის სასიამოვნო სიტყვა აღარ გაუმეტებია. არადა, ვიცოდი, რომ მოვწონდი. მე კი გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. ამის შემდეგ, დაქალის დაბადების დღეზე ისევ ამიხსნა სიყვარული. მე ისევ არაფერი ვუთხარი, რადგან ის კვლავ ნასვამი იყო. რომ გამოფხიზლდა, ისევ დადუმდა... აღარ ვიცი, რა ვიფიქრო..."

„ერთ ადამიანს ვერაფრით ვაპატიე, რომ შემიჩვია, მერე კი აღმოჩნდა, რომ ცოლშვილიანი ყოფილა. კარგია, რომ ადრე გავიგე და შეყვარება ვერ მოვასწარი..."

„ერთხელ, დაქალმა მითხრა – შენით დავიღალეო, – და ეს მეგობრობის 12 წლის შემდეგ მოხდა!.. მას მერე, ბევრი დრო გავიდა. მინდა შევურიგდე, მაგრამ იმ სიტყვებს ვერაფრით ვაპატიებ".

„დათო მ-შვილო, არასოდეს გაპატიებ ჩემი სიყვარულის ფეხქვეშ გათელვას. მინდა, შენზე შური ვიძიო და ამას მაინც მივაღწევ. ალბათ მიხვდი, ვინცა ვარ".

„ვერაფრით ვაპატიებ საკუთარ თავს, რომ ვისაც გულწრფელად ვუყვარდი, მას ხელი ვკარი. ჩემი სუფთა გული და უბიწო სხეული უღირსს ვაჩუქე. კაცს, რომელიც უზომოდ მიყვარდა..."

„ჩემს შეყვარებულს 15 აპრილს, სიყვარულის დღეს, შეხვედრაზე უარი ვუთხარი და ეს ვერ მაპატია. ქეთი".

„მე და ჩემმა ქმარმა რამდენიმე თვის წინ ვიჩხუბეთ. მოვკიდე ბავშვს ხელი და დედაჩემთან გადავბარგდი. მალე გავიგე, რომ ჩემი მეუღლე ერთ-ერთი ბარის თანამშრომელს ხვდებოდა. ამის გამო ბევრი ვინერვიულე, ისტერიკა დამემართა. თვითონ მითხრა, ვითომ ჩემს გამოსაჯავრებლად მოიქცა ასე. შევრიგდით, მაგრამ ბოღმა მახრჩობს..."

„ყველაფერი შემიძლია ვაპატიო საყვარელ ადამიანს, ღალატის, უყურადღებობის გარდა. ამას შენს საყურადღებოდ ვწერ, ჩემო სიცოცხლევ".

„ჩემო ბათუმელო „კობრა", ჩვენი ბოლო შეხვედრისას ხომ მომეცი სიტყვა – მარიკო, ჩემო სიცოცხლევ, არავისზე გაგცვლი, შენ ხომ ჩემი პატარა ფერია ხარო?.. – ამ სიტყვების შემდეგ რომ მიღალატო, იცოდე, დედას გიტირებ, არასოდეს გაპატიებ. ქუთაისელი მარი".

„ჩემს დაქალს ჩემი სიყვარულის შესახებ ვუამბე. მან კი „ვამიბაზრა", იმ ბიჭსაც გააგებინა. ეკა, ჩემი ცოდვა არ გაგახარებს. ამას არ გაპატიებ".

„მე და შაქროს ძალზე გვიყვარდა ერთმანეთი. დიახ, გვიყვარ-და! რადგან მე აღარ მსურს მასთან ურთიერთობა, რადგან მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მეც მიყვარდა, გადაწყვიტა, რომ მთელი ცხოვრება დაველოდებოდი და აგერ, უკვე ერთი თვეა, არ შემხმიანებია. ასეთ საქციელს არასოდეს ვაპატიებ".

„იცით, რა ვერ ვაპატიე?.. მეგობარს ღალატი და უნდობლობა ვერ ვაპატიე. ამიტომ უპრობლემოდ დავშორდი. თეონა".

„ერთი ბიჭი მირეკავდა ხოლმე. შემდეგ ერთმანეთი გავიცანით. შემიყვარდა. როგორც გავიგე, მასაც ძალზე მოვწონდი და ხვდებოდა, რომ მის მიმართ გრძნობა მქონდა. დაიწყო თამაში. იცით, მის გამო რამდენი დამცირება და გულის ტკენა ავიტანე?.. მან კი, აი, როგორ დამიფასა... გიო მუხლზე დაჩოქილი რომ მეფიცებოდეს სიყვარულს და პატიებას მთხოვდეს, არასოდეს ვაპატიებ. როცა მისი სიყვარული მჭირდებოდა, გულს მტკენდა. ახლა კი, ჩემი ჯერია".

„ბალუ, მიყვარხარ, ყველაფერს გაპატიებ, ოღონდ ნუ მიმატოვებ. შენი გულისთვის მთელ სამყაროს დავუპირისპირდები. შენი „ცუგო".

„ლამაზი და ბედნიერი ოჯახი მქონდა. 2 წლის წინ, გამოჩნდა ადამიანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტად შემიყვარდა. ახლა კი ვხვდები, რომ მან ცხოვრება დამინგრია. ის ჩემზე გაცილებით უფროსია და რატომღაც მივენდე. თურმე, მიყენებდა. მე შემიძლია, ვაპატიო, მუდამ მეყვარება. „იუდა".

„შეყვარებულმა არ მაპატია ის, რომ თბილად ვექცეოდი... მაგრამ მერე მივხვდი – ალბათ ეგ არ იყო ნამდვილი სიყვარული. თუმცა, 2 წელი ჩვენს სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. მაგრამ ამქვეყნად ყველაფერი წარმავალი ყოფილა. იცით, აღარ ვნანობ. უკეთესმა ბიჭმა მიპოვა. იმას კი – ჰყავდეს „შემტენი" გოგო. „ცუნცულა".

„იცით, ჩემს შეყვარებულს რა ვერ ვაპატიე?.. – ვიღაც გოგომ დაურეკა, ჩემი პაწუკა მას ცოტა ხნით, თანაც ძალზე ცივად ესაუბრა, მაგრამ მე საბოლოდ „პაკა" ვუთხარი. ხომ მაგარი „ფრონტკი" ვარ?.. რას იზამ..."

„ვერაფრით ვაპატიებ კაცთა მოდგმას იმას, რომ ქალს ისე უყურებენ, როგორც სამზარეულო „მოწყობილობას". არასოდეს გავყვები ცოლად იმ ბიჭს, რომელსაც თავის დედიკოიანად ამ თვისების გამო მოვეწონები".

„ჩემს ძმაკაცებს ვერ ვაპატიებ, თუ კიდევ მეტყვიან – მარი გიყვარსო. არადა, მართლა არ მიყვარს, დედას გეფიცებით!"

„შეყვარებული ვიყავი ზურიკოზე. დედაჩემმა კი, სხვაზე გამათხოვა. უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი მალე დამენგრა. ვერასოდეს ვაპატიებ დედას, პირველი სიყვარული რომ დამიკარგა და ცხოვრება დამიმახინჯა. ახლა „ღიპუსა" მიყვარს და არავის გულისთვის აღარ დავთმობ. „ღიპუს", გავიქცეთ სადმე, რა!"

„ერთ დღეს საშინლად ამტკივდა კბილი. მივედი კბილის ექიმთან. მან კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – ხელს ვერ მოგკიდებ, „პახმელიაზე" ვარო. ვერ ვაპატიე და სამაგიეროს გადახდის ნაცვლად, სიგიჟემდე შემიყვარდა. დღეს საკმაოდ სერიოზული რომანი გვაქვს და უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებთ. „პარაზიტო", ან სმას დაანებე თავი, ან პროფესია შეიცვალე, რადგან მეტოქე არ მჭირდება. შენთან კი მრავალი კარგი გოგო დადის, როცა „პახმელიაზე" ხარ. სხვამაც რომ ვერ გაპატიოს და შეგიყვაროს, შენს გაკეთებულ კბილებს დავაცლი. „პარაზიტი".

ამ „ენერგიული" ქალბატონის მესიჯით დავამთავრებთ და მომდევნო ნომრის თემად შემოგთავაზებთ – „ასჯერ გავზომე, ერთხელ გავჭერი და..." გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

გალიებითა და აკვარიუმებით ინტერიერის გალამაზება მოდურ ტენდენციად იქცა. ამ გალიების ბინადრებად კი, ყველაზე ხშირად, თუთიყუშებს იხილავთ, რომელთაც ლაპარაკს ასწავლიან. ეს ფრინველები, იმიტაციის ბუნებრივი უნარის წყალობით, პატრონის ხმით საუბრობენ და ოჯახის წევრები ხშირად შეეყვავთ შეცდომაში.

რატომ იკუტავს tutiyusi bumbuli

ლიკა ქაჯაია

დედამიწაზე თუთიყუშის 315 სახეობა არსებობს. მათ 2 ოჯახად ყოფენ: ლორები ანუ ფუნჯიანები (ოჯახში 60 სახეობაა); გლუფენიანები ანუ ნამდვილი თუთიყუშები (აერთიანებს 255 სახეობას). ამ ფრინველების სხეულის სიგრძე 9,5 სმ-დან იწყება და 1 მეტრამდე აღწევს; წონა 10 გრამიდან – 1 კილოგრამამდე. შეფერილობა მკვეთრი აქვთ, რომელშიც ღია მწვანე ფერი ჭარბობს. აქვთ კაუჭისებრი, მასიური ნისკარტი, მოკაუჭებულბრჭყალებიანი ღონიერი ფეხები, მე-4 თითი უკანაა მიბრუნებული და ძლიერ მოქნილია.

თუთიყუშები მეტწილად გავრცელებული არიან ტროპიკულ სარტყელში – სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, აზიასა და ავსტრალიაში. ზოგიერთ თუთიყუშს (ახალზელანდიური კაკაპო ანუ ბუსებრი თუთიყუში) დაკარგული აქვს ფრენის უნარი. ეს ფრინველები გუნდ-გუნდად ცხოვრობენ. ბუდეს იკეთებენ ხის ფულეროებში, ქვებს შორის ნაპრალებში და სხვა. დედალი დებს 2-8 თეთრ კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 3 კვირამდე. ბარტყი იჩეკება შიშველი, თვალაუხილავი. ტანმორჩილი ჯიშის თუთიყუშის კრუხობა 12-14 დღე გრძელდება, ხოლო დიდის – 20-25 დღე.

თუთიყუშები იკვებებიან მცენარეული (ნაყოფი, თესლი, ნექტარი), იშვიათად – ცხოველური (მწერების) საკვებით. ახალ ზელანდიაში ნესტორი (თუთიყუშის სახეობა, რომელიც ცხოვრობს ველებსა და ნახევრად უდაბნოში) ხანდახან თავს ესხმის ცხვრებს. ზოგი თუთიყუში (არა, ჟაკო) მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას. როცა ამ სახეობის ფრინველი გალიაში გყავთ, ის ძირითადად მარცვლეულით უნდა გამოკვებოთ. საკვები გალიაში სულ უნდა ჰქონდეს, თან – ყოველდღე უნდა გამოუცვალოთ. დაბინძურებულმა საკვებმა შეიძლება ავნოს და რაიმე დაავადება გამოიწვიოს. სხვადასხვა ჯიშის თუთიყუშებს სხვადასხვანაირი საკვები აქვთ. შეიძლება, ვიტამინები ცოცხალი სახით მიაწოდოთ – ბოსტნეული, ხილი, მწვანილი და ა.შ. რაც შეეხება წყალს – სასურველია, რომ უქლორო იყოს, განსაკუთრებით ზამთარში.

თუთიყუშებს გალიაში ხშირად სარკეს უდგამენ. ზოგიერთი მათგანი – მაგალითად, ალექსანდრიული ჯიშის თუთიყუში სარკეში საკუთარ თავს ეპრანჭება, ეკეკლუცება, ეფერება, სიყვარულს უხსნის...

თითოეულ თუთიყუშს ინდივიდუალური ჩვევები აქვს. მეტად საოცარი ფრინველია თუთიყუში-ღამურა, რომელიც ხის ტოტზე კი არ ჯდება, არამედ ღამურასავით თავდაყირა ეკიდება. ეს ფრინველები ადვილად თვინიერდებიან, განსაკუთრებით – კაკადუ.

დიდი ზომის თუთიყუშები, პატარებთან შედარებით უკეთ სწავლობენ ლაპარაკს

ისინი ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებსაც კი სწავლობენ. თუმცა, დიდ მოლაპარაკეებად არ ითვლებიან. მათზე გაცილებით უკეთესად ლაპარაკობს დიდი ჭრელი თუთიყუში – არა. მას შეუძლია არა მარტო გაიმეოროს სიტყვები, არამედ იმიტაცია გაუკეთოს ნებისმიერ ხმას. თუთიყუშმა რომ ლაპარაკი დაიწყოს, დაახლოებით თვე-ნახევრის უნდა იყოს, თანაც – მამალი, რადგან იგი მარტოობას უკეთ ეგუება და სიტყვებსაც უფრო სწრაფად სწავლობს.

თითქმის ყველა თუთიყუში მოლაპარაკეა, თუ არ ჩავთვლით 2-3 მათგანს, რომელთაც მხოლოდ ცალკეული სიტყვების შესწავლა შეუძლიათ. დიდი ზომის თუთიყუშები, პატარებთან შედარებით უკეთ სწავლობენ ლაპარაკს, მაგრამ ამ ჯიშების თუთიყუშები საქართველოში იშვიათობაა. ხუჭუჭა თუთიყუში მშვენივრად სწავლობს ლაპარაკს. შეუძლია 60 სიტყვაზე მეტის დამახსოვრება და გამოთქმა.

საერთოდ თუთიყუშებს მოსწონთ, როცა ბევრნი არიან, მაგრამ თუ გინდათ, რომ თქვენმა ფრინველმა ილაპარაკოს, მაშინ მარტო უნდა იყოს. ამ დროს მას ლაპარაკის სურვილი უჩნდება. თავიდან სასურველია, თავისი სახელის გამოთქმა ასწავლოთ. სიტყვა ხშირ-ხშირად გაუმეორეთ. იგი ადამიანების გარემოცვაში უნდა იზრდებოდეს და ჩიტების გალობა არ უნდა ესმოდეს. მთავარია, ერთი სიტყვა ისწავლოს – მერე თვითონვე შეეჩვევა სიტყვების სწავლას.

თუთიყუშების შეძენისას ყურადღება ფრინველის ნისკარტზე უნდა გაამახვილოთ. იგი შავი ფერის უნდა იყოს. თუ ეს ფრინველი ვინმეს დაუმეგობრდა, მასთან განშორებას ვერ იტანს. დაშორება მათში სტრესს იწვევს და ამას საკუთარი ბუმბულის პუტვით გამოხატავს... თუთიყუშები საოცრად ერთგულები არიან. თუ დედალ-მამალი „შეუღლდა“, მათი დაშორება აღარ შეიძლება, თორემ, ორივე დაიღუპება. ამ ფრინველთაგან ზოგიერთი 100 წელიწადსაც კი ცოცხლობს.

თუთიყუშები ავადდებიან ფსიტაკოზით (ორნითოზია), რომელიც შეიძლება ადამიანსაც გადაედოს. დაავადება გადადის ჰაერ-წვეთოვანი გზით ან პირის, თვალის ლორწოვან გარსზე ვირუსის მოხვედრის შედეგად. დაავადება იწყება მწვავედ. დამახასიათებელი ნიშნებია: დაბალი სიცხე, თავისა და კუნთების ტკივილი, ფილტვების ანთება. ზოგჯერ აღინიშნება გულისრევა, კუჭის შეკრულობა და ა.შ. ორნითოზიის მძიმე ფორმა 2-4 კვირას, საშუალო სიმძიმის – 1 კვირას გრძელდება... და მაინც, მოლაპარაკე თუთიყუში გუნება-განწყობილებას აუმჯობესებს, ზოგჯერ კი – საფრთხის მიმანიშნებელია... ■

აგავა, ალოე და კალანხოე

სახლის სასიამოვნო და მშვენიერი ინტერიერი მარტო ლამაზი და მდიდრული ავეჯით არ განისაზღვრება. საზოგადოების ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოთახის მცენარეებითა და ყვავილებით მორთულ ინტერიერს. ლამაზი ყვავილები, ესთეტიკური სიამოვნების გარდა, მყუდრო, მშვიდი და ჯანმრთელი ცხოვრების საწინდარია.

ლევან ებრალიძე

მაგარი ღუდისა და ღასოს ღასამზადებელი მცენარე

აგავა

დეკორატიულ მცენარეებში გამოირჩევა აგავა. აგავა სამასზე მეტი ჯიშით ცალკეულ ოჯახს წარმოადგენს. მისი სამშობლოა ამერიკა. იქ გვხვდებიან, როგორც ველური, ისე კულტურული – ადამიანთა მიერ გამოყვანილი ჯიშები. მექსიკაში აგავა სოფლის მეურნეობისთვის ძალზედ საჭირო მცენარეა. მისი მეშვეობით მოიპოვებენ ბოჭკოს, აგრეთვე ამზადებენ საკმაოდ მაგარ, მექსიკურ ლუდ – პულკეს. პულკეს აყენებენ აგავას სქელი წვენისაგან, რომელიც 15%-მდე შაქარს შეიცავს.

ამბობენ, თითქოს აგავა 100 წელიწადში ერთხელ ყვავის და შემდეგ კვდებაო. სინამდვილეში კი, აგავების უმეტესობა გაცილებით მალე – 10-დან 30 წლამდე ასაკში ყვავის.

ამერიკულ აგავას (Agave americana) 3 მეტრამდე სიგრძის ფოთლები და 11-მეტრიანი სიმაღლის ღერო აქვს, რომლის წვერში იშლება უზარმაზარზი ყვავილედი, რომელიც ასობით ყვავილისგან შედგება. მათი გაფურჩქვნა 2-3 თვის მანძილზე გრძელდება.

მცენარის ასეთი გრანდიოზული აღწერილობიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ოთახში მხოლოდ პატარა ჯიშები შეგვიძლია ვიქონიოთ. აგავები კარგად ხარობენ ქვიშანარევ, თიხიან მიწაში. ზაფხულში უყვართ სუფთა ჰაერი, მზე და ბევრი წყალი. თუმცა ზამთარში მშრალ და ნაკლებად თბილ ადგილს ამჯობინებენ. 3-დან 8 გრადუსამდე ტემპერატურა და ნათელი ადგილი მათთვის საუკეთესოა.

ცნობილია, რომ აგავას მკვრივი და მოქნილი ბოჭკოსაგან, ინდიელები საუკეთესო ლასოებს, ფოთლის კანისაგან კი, აცტეკები – განსაკუთრებით თხელ ქაღალდს ამზადებდნენ.

ალოე – სამკურნალო წვენის "ჯონა"

ჩვენში ფართოდ გავრცელებული ოთახის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მცენარეა ალოე. მისი სამშობლოა აფრიკა, ოჯახი კი – შროშანისებრთა. ალოეს, ისევე, როგორც აგავას ფოთლებს შორის, ღერო უვითარდება, რომელზეც მტევნისებური, ყვითელი და სტაფილოსფერი ზარის ფორმის ყვავილები იზრდება.

ძველთაგანვე ცნობილია ალოეს წვენის სამკურნალო თვისებები. ის უებარია სხეულის დამწვრობის ან სხვა დაზიანების მოსარჩენად. თუმცა, მისი დალევა ექიმის რეკომენდაციის გარეშე არ შეიძლება. ალოეს წვენი იმდენად მწარეა, რომ აფრიკაშიც არც ერთი ცხოველი არ ჭამს.

ალოე აგავასთან შედარებით სწრაფად იზრდება. მასაც ქვიშიანი მიწა ესაჭიროება, ზამთარში კი – თბილი ოთახი. თბილი გამოზამთრების შემთხვევაში წყალიც შესაბამისად უფრო მეტი უნდა დავუსხათ, ვიდრე სიცივეში ყოფნისას. განსაკუთრებით ხშირი მორწყვაა საჭირო სექტემბრიდან ნოემბრამდე. ზრდასრული ნერგი უკვე იანვარში იწყებს ყვავილობას და რამდენიმე კვირის მანძილზე გვატკბობს სილამაზით. ზაფხულში ალოე ძლიერი მზისგან უნდა დავიცვათ.


ალოე

ალოეს გამრავლება შემდეგნაირად ხდება: მთავარი ღეროს ძირში ამოყრილი პატარა ნერგები უნდა გადავჭრათ, ერთიორი დღის განმავლობაში ჰაერზე გავაშროთ, რათა გამოყოფილი წვენით ძირი არ დაულპეს, ხოლო შემდეგ მოვათავსოთ ქვიშიან, ნესტიან მიწაში 1,5 სმ სიღრმეზე.

აფრიკაში ალოეს ზომები 3-მეტრიან ხეებს უტოლდება. მედიცინაში დღესაც გრძელდება მუშაობა ამ მცენარის წვენის ახალი სამკურნალო თვისებების დასადგენად.

"მაქსიმალისტი" ჯალანხოე

კალანხოე, თავისი გამრავლების უცნაური მეთოდის გამო, „ინკუბატორფოთლიანის“ სახელსაც ატარებს. ეს მცენარე ადრეულ ასაკშივე ფოთლების ნაპირებზე იკეთებს მცირე ზომის ამონაყარებს, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ, „დედაფოთლებიდან“ ცვივიან მიწაზე და ადვილად ფესვიანდებიან. შემდეგ კი დამოუკიდებლად აგრძელებენ ზრდას. ამ ორიგინალურ სუკულენტს ჯერ კიდევ დიდი გერმანელი მწერალი გოეთე აღწერდა.

კალანხოე „მაქსიმალისტია“: უყვარს ბევრი წყალი, ქვიშიანი მიწა და რაც შეიძლება ნათელი ადგილი. ხოლო ზამთარში – სიმშრალე და 6-დან 8 გრადუსამდე ტემპერატურა.

ამ მცენარის მოვლა სირთულეებს არ შეგიქმნით. კალანხოე განსაკუთრებით ადვილად ხარობს. ალოეს მსგავსად, „ინკუბატორფოთლიანიც“ სამკურნალო თვისებებს ფლობს.

„გზის“ შემდეგ ნომერში ძალზე საინტერესო – მტაცებელი, ანუ მწერიჭამია მცენარეების შესახებ მოგითხრობთ. ■

კალანხოე

რძე – სასარგებლო პროდუქტი



რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

რძე სრულყოფილი საკვები პროდუქტია, შეიცავს ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, მინერალურ ნივთიერებებს, ვიტამინებს... 1 ლ რძე აკმაყოფილებს ადამიანის დღიურ მოთხოვნილებას ცხოველურ ცილაზე. რძის ცილებს აქვს ოპტიმალური ამინომჟავური შემცველობა, რომელიც უზრუნველყოფს მის მაღალ ბიოლოგიურ ღირებულებას. ლაქტოზა კი (რძის შაქარი), სხვა ნახშირწყლებისგან განსხვავებით, ნაკლებად იწვევს დუღილის პროცესებს ნაწლავებში და ხელს უწყობს ნაწლავის ფლორის ნორმალიზაციას. 1 ლ რძე აგრეთვე კალციუმის საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმს. ეს მინერალი აუცილებელია ძვლებისა და კბილებისათვის. რძე მდიდარია მაგნიუმითაც, რომელიც ხელს უწყობს კუნთების ნორმალურ მუშაობას, ასევე თირკმლებს, ნაწლავებისა და ნერვული უჯრედების ფუნქციონირებას. გარდა ამისა, რძე შეიცავს ნატრიუმს, ფოსფორს, კობალტს, რკინას, თუთიას, იოდს. მასში არის ცხიმში ხსნადი ვიტამინებიც – A, D, E, K ასევე წყალში ხსნადიც – B1, B2, B6, B12 და ფოლიუმის მჟავა. 1 ლ რძე შეიცავს A ვიტამინის, ადამიანისთვის საჭირო დღიური ნორმის 50%-ს, ამიტომ ეს პროდუქტი მხედველობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. რძეში არის საკვების მომნელებელი ფერმენტებიც და სხვა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

● თუ თქვენი პატარა ცუდად სვამს რძეს – მიეცით ის წყურვილის მოსაკლავად წყლის ნაცვლად.

● თუ უარს ვერ ამბობთ ყავაზე, დაამატეთ მას რძე. ეს კომბინაცია განსაკუთრებით აუცილებელია ოსტეოქონდროზის მქონე ადამიანებისთვის, ქალებისთვის – 50 წლის შემდეგ.

● თუ ჩაი უძილობას იწვევს – მირთვით ის რძით. რძე მსუბუქი საძილე საშუალებაა.

● ნებისმიერი რძე, ცხიმიანობის მიუხედავად, ერთნაირი რაოდენობით შეიცავს კალციუმსა და სხვა საჭირო ნივთიერებებს, სხვაობა მხოლოდ ცხიმისა და კალორიების რაოდენობაშია. ამიტომ, განტვირთვის დიეტაზე ყოფნისას, რაციონში ნაკლებცხიმიანი რძე ჩართეთ.

რძე გამოიყენება სხვადასხვა პათოლოგიის დროს:

თირკმლის დაავადებისას: ყოველდღიურად უზმოზე მიიღეთ ჭიქა რძე, რომელიც შერეული იქნება ახალგაწურული სტაფილოს წვენთან. მკურნალობა უფრო ეფექტური რომ იყოს, ისაუზმეთ ნარევის მიღებიდან 1/2-1 საათის შემდეგ.

მასტოპათიის დროს: მოხარშეთ 100 გ კამის თესლი 0,5 ლ რძეში, შეფუთეთ ჭურჭელი 2 საათით. გადაწურეთ და მიიღეთ დღის განმავლობაში სამჯერ, ჭამამდე 1/2 საათით ადრე. მკურნალობის კურსი სამი კვირაა. ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, შეგიძლიათ, კურსი გაიმეოროთ.

ფსორიაზის დროს: რძე მიიყვანეთ ადუღებამდე და 3-5 წთ ნელ ცეცხლზე გააჩერეთ, შემდეგ სხვა ჭურჭელში გადაასხით. თეთრი ნალექი, რომელიც ჭურჭელზე დარჩა, მოფხიკეთ და მტკივნეულ ადგილზე წაისვით.

შაკიკის დროს: ათქვიფეთ კვერცხი, დაასხით მდუღარე რძე და მიიღეთ. ასე მოიქეცით ერთი კვირა.

ხველების დროს: რძე დადგით ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე, ჩადეთ შიგ გაფცქვნილი ხახვი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე 10 წთ. რძე უნდა დალიოთ ცხელი, თანაც – რამდენჯერმე დღის განმავლობაში.

თმის ცხიმიანობის მომატებისას: დაიბანეთ თმა შამპუნით, გადაივლეთ 1 ჩ/ჭ რძეში გახსნილი 1 ჩ/კ საჭმლის სოდა. რამდენიმე წუთში ცხელი წყლით ჩამოიბანეთ.

ხელებზე კანის აქერცვლის დროს: საღამოობით სისტემატურად გაიკეთეთ რძის აბაზანა ხელებზე.

ფოროვანი კანი დილა-საღამოს წყალში გახსნილი რძით დაიბანეთ.

რძე არ შეიძლება მივიღოთ ზოგიერთ პროდუქტთან ერთად (მაგალითად, მჟავე ხილისა და ბოსტნეულის ჭამიდან ნახევარი საათი მაინც უნდა გავიდეს). არ შეიძლება მისი დალევა ჭამის მერეც: ამ დროს, საჭმლის მონელება ნელა მიმდინარეობს და კუჭში სიმძიმის შეგრძნება ჩნდება. უნდა გვახსოვდეს, რომ რძე დამოუკიდებელი საკვები პროდუქტია და არა სასმელი, რომელსაც დამატებით მირთმევენ ხოლმე. რძე ადვილად მოსანელებელია ტკბილ ხილთან, კენკრასთან და ბოსტნეულთან ერთად.

გაფრთხილდით!

რძის მეშვეობით გადადის ბრუცელოზი, ასევე დიზენტერიის გამომწვევი შიგელები. რძეში შეიძლება იყოს ტუბერკულოზის გამომწვევი მიკრობაქტერიები, რომლებიც იწვევს ნაწლავების, კუჭის, ღვიძლისა და ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზს. აგრეთვე – A ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსი. ამ დაავადებათა გამომწვევები რძეში დაბინძურებული ბალახიდან ან სხვა საგნებიდან ხვდება. ამიტომ აუცილებელია რძის დუღება არანაკლებ 10 წუთისა. ■

სამკურნალო მცენარე ..., იგივეა, რაც ვალერიანი	მსახიობი ... ტაილერი	მეტყველების ორგანო	ნაგებობა მდინარეზე	ქალაქი რაჭაში	იოჰან ... ბახი	ერთგვარ
ბ ა ზ ა ბ ა ც ა ხ ი	ლ ი ვ ი	ბ ი ო ა	ხ ი დ ი	ლ ი ნ ი	ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი	[illegible]
მინაური ცხოველი	...-მასკარადი	ძველის საპირისპირო ცნება	ვაზით გაშენებული ფართობი	ღვინის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში	ზღაპრის გმირები ... და ბუბუ	თურქეთის დედაქალაქი

ეთერი



პასუხი

კითხვა: ბრონქებში მაქვს ნახველი, რომელიც მატულობს ფიზიკური დატვირთვისას, ღამით და განსაკუთრებით სიცივეში გარეთ გასვლისას ჰაერის უკმარისობას იწვევს. დღის განმავლობაში არ მახველებს. ამოსახველებელმა საშუალებებმა არ მიშველა. შეიძლება თუ არა, რომ ეს იყოს შეძენილი ასთმა? რა გამოკვლევები მესაჭიროება დიაგნოზის დასადგენად?

პასუხი: მონათხრობიდან ჩანს, რომ თქვენ ფილტვის ქრონიკული პათოლოგია გაქვთ, რაც ფილტვის სასუნთქი ზედაპირის შემცირების მიზეზი გამხდარა და შედეგად ჰაერის უკმარისობა გივითარდებათ. შესაძლოა, დაავადებას ასთმური ფონიც ახლდეს თან. დღეს ინფექციურ-ალერგიული ასთმა საკმაოდ ხშირია. დიაგნოზის დასაზუსტებლად უნდა მიმართოთ პულმონოლოგს (ფილტვების სპეციალისტს), რომელიც თქვენი ფიზიკური გამოკვლევის შემდეგ განსაზღვრავს, თუ კვლევის რომელი ლაბორატორიული მეთოდები გესაჭიროებათ.

სიცივეში უეცარი გასვლისას ვითარდება ბრონქოსპაზმი, რაც ჰაერის უკმარისობის შეტევის შეგრძნებას იწვევს. საერთოდ, ბრონქების ქრონიკული პათოლოგიის მქონე ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მისთვის არ არის სასურველი ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა. ამიტომ, გარეთ გასვლისას უნდა ეცადოთ, რომ ტემპერატურას თანდათანობით შეეგუოთ – ჯერ კართან შეყოვნდით და რამდენჯერმე ჩაისუნთქეთ, შემდეგ სადარბაზოში იგივე გაიმეორეთ. ყინვაში კი, ცხვირზე რაიმე აიფარეთ.

კითხვა: ნაღვლის ბუშტი მაქვს გადიდებული. ექოსკოპიამ აჩვენა, რომ „კონტურები არამკვეთრია და ყელის არეში ნაკეცი აღინიშნება“. გავიკეთე ნაღვლის ბუშტის ფუნქციური სინჯი და აღმოჩნდა, რომ ბუშტის კუმშვადობა თითქმის ნორმის ფარგლებშია. ამასთან, 5 წელია, რაც ქრონიკული პანკრიატიტის დიაგნოზი დამისვეს. გთხოვთ, ამიხსნათ, მესაჭიროება თუ არა ნაღვლის ბუშტის ოპერაცია? თუ არა – მაშინ, როგორ მოვიქცე?

პასუხი: თუ ნაღვლის ბუშტის კედელში გამოხატული ცვლილებებია, მაშინ მას ამოკვეთენ ხოლმე, ხოლო თუ ქრონიკული პანკრეატიტი გაქვთ, მაშინ ნაღვლის ბუშტის ამოკვეთა არ ხდება. მნიშვნელოვანია ნაღვლის ბუშტის ფუნქცია: თუ კუმშვადობა ნორმალურია და ამასთან, არა გაქვთ კენჭები, – ბუშტის ამოკვეთა ჯერ არ გჭირდებათ. უნდა გააგრძელოთ პანკრეატიტის ინტენსიური მკურნალობა. ■

ამინდის ცვლილება იმუნიტეტზე მოქმედებს

ამინდის მკვეთრი ცვლილება იმუნიტეტის დაქვეითებას იწვევს. ამიტომ ხშირდება ამ პერიოდში, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექცია – ბევრ ადამიანს აქვს სურდო, ხველა, ცემინება. ეს რომ არ დაგვემართოს, პირველ რიგში უნდა გავიკაჟოთ ორგანიზმი და C ვიტამინის გაზრდილი დოზის მიღებით გავიძლიეროთ იმუნიტეტი. სასურველია, ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი რაოდენობით მივიღოთ ნატურალური ვიტამინებით მდიდარი ლიმონი, გრეიპფრუტი, მოცვი, ასკილი, მოცხარი.

შეეცადეთ, ჩაიცვათ სეზონის შესაფერისად – ზაფხული ხომ დიდი ხანია, დაგვემშვიდობა და უფრო თბილად ჩაცმის დროა.

ორგანიზმის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სინათლის დეფიციტი, რაც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საკმაოდ მძაფრად ვლინდება. ეცადეთ, ოთახში რაც შეიძლება მეტი სინათლე შემოუშვათ. სინათლე, თუნდაც ელექტრონათურისა, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს და აძლიერებს მის დამცველ ფუნქციებს.

ხშირად დაიბანეთ ხელები: ვირუსი გადადის არა მარტო ჰაერით, არამედ ჭუჭყიანი ხელების მეშვეობითაც.

ეპიდემიის პერიოდში მაქსიმალურად მოერიდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს.

იმუნიტეტის სტიმულაციისათვის არსებობს საკმაოდ ეფექტური მცენარეული საშუალებები: ექინაცეა, ჟენშენი, იმუნალი. ■

კანფეტი	ან, ..., გან, დონ	ძველი ქართული ცხენოსნობა	ოსური ცეკვა	მდინარე თერგის ხეობა	მწყემსის დიდი ჯოხი	აბრეშუმის თხელი ქსოვილი
						
პირის სცვალ-სახელი	სახელმწიფო აზიაში	ნამუსი	დიდი ქონების პატრონი	მ/ფ-ში „თოჯინები იცინიან“ მარინე თბილელის გმირი	მსხვილი ქვიშა	თავთხელი გადასასვლელი მდინარეზე

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები

ყელის არეში მოთავსებულ პატარა ჯირკვალს რამდენიმე სერიოზული პათოლოგია უკავშირდება და თითოეული მათგანი განსაკუთრებულ, სპეციფიკურ მიდგომასა და მკურნალობას მოითხოვს.

ენდემური ჩიყვი

ფარისებრი ჯირკვლის ეს დაავადება იოდის დეფიციტთან არის დაკავშირებული. ადამიანს დღე-ღამეში 100-200 მკგ-მდე იოდი სჭირდება; თუ ორგანიზმში მისი რაოდენობა მცირდება, მაშინ ფარისებრი ჯირკვლის მიერ ჰორმონების გამომუშავება ფერხდება. ამის საკომპენსაციოდ ჯირკვლის მოცულობა იმატებს, შედეგად ორგანიზმი ჰორმონის ნაკლებობას არ განიცდის, ადამიანი აღარაფერს უჩივის. მას, გარდა გადიდებული ჯირკვლისა, არანაირი სიმპტომი არ აღენიშნება. სამაგიეროდ, თავად ჯირკვალში მიმდინარე ცვლილებებმა შეიძლება, სერიოზული ხასიათი მიიღოს – ქსოვილში კვანძები ვითარდება. ენდემური ჩიყვი მედიკამენტურ მკურნალობას საჭიროებს, მაგრამ თუ ჯირკვალი სწრაფი ტემპით იზრდება ანდა ჯირკვალში არსებულ კვანძებს აბები ვერ უმკლავდება, ქირურგიული ჩარევის საჭიროება დგება.

ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტი

ეს პათოლოგია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს შორის ყველაზე გავრცელებულია. ამ დროს, იმუნური სისტემა განიცდის ისეთ ცვლილებებს, რომლის შედეგად ორგანიზმი „ველარ ცნობს“ საკუთარ ქსოვილს და მას ბრძოლას უცხადებს – გამომუშავებს ე.წ. ანტისხეულებს ქსოვილოვანი კომპონენტების წინააღმდეგ.

ამ დროს ფარისებრ ჯირკვალში ანთებითი პროცესები მიმდინარეობს, რის გამოც ჯირკვალი დასაწყისში, მოცულობაში მატულობს, მაგრამ შემდეგ, სწრაფადვე იწყებს კლებას.

ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტის დროს, ჯირკვალში შესაძლოა, მრავალი კვანძი გაჩნდეს, მაგრამ როგორც წესი, მკურნალობას იოლად ემორჩილება. დაავადების დროს, ორგანიზმში ჰორმონების დეფიციტი ვითარდება, რაც შემდეგი კლინიკური ნიშნებით გამოიხატება:

- კანის სიმშრალე, განსაკუთრებით იდაყვებისა და ქუსლების არეში;
- ფრჩხილების მტვრევა;
- თმის ცვენა;
- მოთენთილობა, ფიზიკური სისუსტე, შრომისუნარიანობის დაქვეითება, დეპრესია;
- ადამიანი მცივანა ხდება;
- ფერხდება კუჭის მოქმედება, აღინიშნება მიდრეკილება ყაბზობისკენ;
- მენსტრუალური ციკლის მოშლა;
- უშვილობა, ნაყოფის სიმახინჯეები, მკვდრად შობადობა;
- ქვეითდება არტერიული წნევა, აღინიშნება ბრადიკარდია (პულსის გაიშვიათება);
- დაავადების საწყის ეტაპზე, შეიძლება გამოვლინდეს ნევროზული ნიშნები: გულის ფრიალი, ყელში ბურთის გაჩხერის შეგრძნება, ჩხვლეტა გულის არეში, ჰაერის უკმარისობა, ემოციური ლაბილობა.

დიაგნოზი სპეციალური გამოკვლევებით დგინდება.

დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი

ამ დაავადებისას, ფარისებრი ჯირკვალი ჰორმონებს ჭარბად გამომუშავებს და ვითარდება მახასიათებელი სიმპტომები:

- წონაში ინტენსიური კლება;
- შინაგანი აფორიაქება, აგზნებადობა;
- არტერიული წნევის მატება, პულსის გახშირება, რასაც მუდმივი ხასიათი აქვს;
- კუჭის მოქმედების გახშირება;
- მომატებული სიცხის შეგრძნება, ხელების ოფლიანობა;
- მენსტრუალური ციკლის მოშლა;
- ეგზოფთალმი (თვალის კაკლების გამოწევა), ცრემლდენა, ქუთუთოების შეშუპება და სხვა.

ასეთი მდგომარეობა სასწრაფო მედიკამენტურ მკურნალობას საჭიროებს. მკურნალობა საშუალოდ 2 წელს მიმდინარეობს და ექიმთან შეუთანხმებლად მისი გაწყვეტა დაუშვებელია. არსებობს რეციდივის (გამეორების) საშიშროება. პათოლოგიის დროს, ფარისებრი ჯირკვალი გადიდებულია, მკურნალობის ფონზე კი ის მცირდება და ნორმის ფარგლებს უბრუნდება. თუ ჯირკვლის შემცირების ტენდენცია არ აღინიშნება, ქირურგიული ჩარევის საკითხი დგება.

დაავადება ინტელექტუალურ მდგომარეობაზე მოქმედებს; ბავშვთა ასაკში ფიზიკური განვითარება ფერხდება, მოზარდებში კი, სქესობრივ მომწიფებაზე ახდენს უარყოფით გავლენას. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებისას ადვილად ვითარდება ათეროსკლეროზი, რაც გულის იშემიურ დაავადებას (ინფარქტი, სტენოკარდია), თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის გაუარესებას იწვევს. ხანგრძლივი იოდდეფიციტის ფონზე, სიმსივნის განვითარების რისკიც მატულობს.

ჩიყვის მკურნალობა ჰორმონული პრეპარატებით ხორციელდება. დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დიაგნოსტირებისთვის კეთდება ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა და ამასთან ერთად, განისაზღვრება სისხლში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები (ტრიიოდთირონინი და თიროქსინი) და თირეოტროპული ჰორმონი.

პროფილაქტიკა

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები დიდი რაოდენობით იოდს შეიცავს. კვების რაციონში ამ ელემენტის ნაკლებობა კი, უარყოფითად მოქმედებს მათ გამომუშავებაზე. ამიტომ აუცილებელია, ადამიანი იოდის შემცველი მარილით ივსებდეს ყოველდღიურ რაციონს.

თუმცა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ დაუშვებელია იოდის პრეპარატების თვითნებური მიღება – ამ დროს ორგანიზმში შეღწეული იოდის დოზა არ კონტროლდება და ეს შესაძლოა, შემდგომში სერიოზული პათოლოგიის მიზეზიც კი გახდეს. ■

რა უნდა ვიცოდეთ საეკლესიო მცნებებთან დაკავშირებით

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს საეკლესიო მცნებებთან დაკავშირებით, რომელთა აღსრულებაც აუცილებლად მოეთხოვება ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანს.

მორენა მერკვილაძე

მეოთხე საეკლესიო მცნება განგვიწესებს სინანულის საიდუმლოს აუცილებლობას – ე.ი. ამ საეკლესიო მცნების თანახმად, მორწმუნე ვალდებულია, აბარებდეს აღსარებას ღვთისმსახურს. სინანულის საიდუმლოს დროს, მონანულზე უხილავად გადმოედინება ღვთიური მადლი, რომლის ძალითაც აღმსარებელი ცოდვებისგან განიწმინდება, მას ცოდვები მიეტევება თვით უფალ იესო ქრისტეს მიერ. ცოდვები ადამიანის სულს „ეკვრის“ და ამძიმებს, რაც ხშირად ხდება სულიერი დაავადებისა თუ სხვა ცხოვრებისეულ განსაცდელთა მიზეზი, რომელიც დაშვებულია უფლისგან, ცოდვათა გამო. ამასთანავე, მოუნანიებელი და მიუტევებელი ცოდვები ადამიანს ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგომის დროს მოეკითხება და მისი მარადიული ტანჯვის მიზეზად იქცევა. სინანულის საიდუმლოს სანაცვლოდ, უფალი ამქვეყნად სულიერ სიმშვიდეს და უშფოთველ ცხოვრებას მოგვმადლებს, ამა სოფლიდან გასვლის შემდეგ კი – ზეციური სასუფევლის მკვიდრს გაგვხდის. აღსარების დროს, არ შეიძლება ყოფით პრობლემებზე საუბარი, სხვადასხვა მიზეზით ცოდვების გამართლება, სხვებზე გადაბრალება, ცოდვების გულგრილად აღიარება. აუცილებელია, რომ ისინი ვაღიაროთ შემუსვრილი გულით და ჩვენს აღსარებას თან ახლდეს ცრემლი, ჩადენილ ცოდვათა გამო. ამასთანავე აუცილებელია მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ჩადენილ ცოდვებს აღარასოდეს გავიმეორებთ და ვიბრძოლებთ ცოდვითი მიდრეკილებებისგან თავის დასაღწევად.

იმის გამო, რომ ადამიანებს ხშირად უწევთ ცოდვათა ჩადენა თავიანთი უძლური ბუნების გამო და იოლადაც ივიწყებენ ჩადენილ ცოდვებს, აღსარება თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩავაბაროთ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მძიმე ცოდვას ჩავიდენთ, აუცილებელია, აღსარება ჩავაბაროთ სასწრაფოდ.

მეხუთე საეკლესიო მცნება განგვიწესებს, რომ „საღმრთო წერილისა“ და მართლმადიდებლური სწავლების შეცნობაში გამოუცდელი ადამიანები არ კითხულობდნენ მწვალებელთა მიერ დაწერილ წიგნებს, არ ისმენდნენ მათ ღვთისმგმობ სწავლებას, არ ესაუბრებოდნენ მათ და არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდეთ მათთან. მწვალებელთაგან განდგომილების აუცილებლობის შესახებ პირდაპირ მიგვითითებს პავლე მოციქული ტიტეს მიმართ მიწერილ ეპისტოლეში: „მწვალებელს, პირველი და მეორე შეგონების შემდეგ განეშორე; იცოდე, რომ ასეთი კაცი გაირყვნა და სცოდავს, თავისით მსჯავრდებულია“ (ტიტ. 3, 10-11).

მწვალებლობა – ეს არის ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ მიმართული მოძღვრება, განხეთქილება სარწმუნოების აღმსარებლობაში, დოგმატურ საკითხებთან დაკავშირებით. მწვალებლებად იწოდებიან ადამიანები, რომლებიც მტკიცედ იცავენ არასწორ სარწმუნოებრივ სწავლებას, ამახინჯებენ ღვთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებას. ნებისმიერი მწვალებლური მოძღვრება – მონოფიზიტობა იქნება ეს, თუ სხვა, მიმართულია ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოების – მართლმადიდებლური სწავლა-მოძღვრების წინააღმდეგ.

მეექვსე საეკლესიო მცნების თანახმად, მართლმორწმუნე ქრისტიანი უნდა ლოცულობდეს ღვთის წინაშე ყველა წოდების ადამიანისთვის. ამის შესახებ მიგვითითებს პავლე მოციქული, ტიმოთეს მიმართ მიწერილ პირველ ეპისტოლეში: „უწინარეს ყოვლისა, შეგაგონებთ ჰყოთ ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი და მადლიერებანი ყველა ადამიანისთვის... ვინაიდან ეს კარგია და სათნოა ჩვენი მაცხოვარი ღმერთისათვის, რომელსაც ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას“ (I ტიმ. 2, 1-3-4). ამ მცნების თანახმად, უპირველესად უნდა ვლოცულობდეთ სასულიერო წოდების – სამღვდლო დასის წარმომადგენელთათვის. ასევე ვალდებულნი ვართ, ვლოცულობდეთ უფლის წინაშე ხელისუფლების წარმომადგენელთათვის და მხედრობისთვის. მეექვსე საეკლესიო მცნება განგვიწესებს აგრეთვე ლოცვას მიცვალებულთათვის (რომლებიც მართლმადიდებლურ რწმენაში აღესრულნენ) და მწვალებლობასა და განხეთქილებაში მყოფთათვის. ასეთი ადამიანებისთვის უნდა ვევედროთ უფალს, რომ გაუნათოს მათ გონება და მოექცნენ ჭეშმარიტ სჯულზე.

მეშვიდე საეკლესიო მცნება განგვიწესებს იმ მარხვათა და ლოცვათა აღსრულების აუცილებლობას, რომლებიც საგანგებოდაა დაწესებული მიტროპოლიტის ან ეპისკოპოსის მიერ თავის ეპარქიაში, რომელიმე განსაკუთრებული საჭიროების გამო – მაგალითად, შიმშილობის, ომის, გვალვისა თუ სხვა განსაცდელთა თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება მრევლს ამა თუ იმ მხარეში.

მარხვა ორგვარია: საზოგადო (საერთო) და კერძო (პირადი). **საზოგადო მარხვას** აღასრულებს მთელი ეკლესია. ის, მიღებული წეს-ჩვეულებების მიხედვით, აღესრულება განსაზღვრულ დროს. საზოგადოა ოთხი დიდი მარხვა და აგრეთვე, ოთხშაბათის და პარასკევის მარხვები. **კერძო მარხვა** კი ისაა, რომელსაც რომელიმე მხარე, ქალაქი, სოფელი ან რომელიმე ეკლესიის მრევლი ინახავს, ეპისკოპოსის ან ეკლესიის წინამძღვრის განწესებით. კერძო მარხვა შეიძლება შეინახოს რომელიმე კერძო პირმაც – კერძო აღთქმისამებრ ან სულიერი მამის (მოძღვრის) განწესებით.

მერვე საეკლესიო მცნება განგვიწესებს, რომ ერისკაცმა არ მიითვისოს საეკლესიო მამული თუ სხვა სახის საეკლესიო ქონება და არ გამოიყენოს პირადი საჭიროებისთვის. საეკლესიო ქონება უნდა განაგონ სასულიერო პირებმა, ეკლესიის საჭიროებისამებრ – შეიძინონ საჭირო საეკლესიო ჭურჭელი თუ სხვა ნივთები. გარდა ამისა, საეკლესიო ქონებით უნდა საზრდოობდნენ და იმოსებოდნენ სასულიერო პირები, ასევე მოხმარდეს ღარიბ-ღატაკებსა და მწირთ.

მეცხრე საეკლესიო მცნება მიგვითითებს, რომ ქორწინება არ აღესრულებოდეს ეკლესიის მიერ აკრძალულ დღეებში. კანონიკური წესის თანახმად, ჯვრისწერა არ აღესრულება მარხვების დროს, მსგეფსში (ხსნილში), სამშაბათსა და ხუთშაბათს (ე.ი. ოთხშაბათის და პარასკევის მარხვების წინა დღეს), დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე. მეცხრე საეკლესიო მცნება მართლმორწმუნე ქრისტიანს ასევე განუწესებს, რომ არ დაესწროს უჯერო სანახაობებს და არ მიიღოს მონაწილეობა წარმართულ წეს-ჩვეულებებში (როგორიცაა: „ჭიაკოკონობა“ აღდგომის წინა დღეებში, სისხლიანი მსხვერპლშეწირვის აღსრულება და სხვა).

■

„გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ინტერვიუ ქურდყოფილთან, სპარტაკ ბურდულაძესთან, სადაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ის ქურდი 15 წლის ასაკში, რა პრობლემას წააწყდა იმის გამო, რომ ნარკოტიკს მიეძალა, რისთვის დააპატიმრეს პირველად და როგორ გადაურჩა არასრულწლოვანთა კოლონიაში დამნაშავეთა რისხვას...

როგორღაც ისე დაემთხვა, რომ სწორედ „გზის“ წინა ნომრის გამოსვლის შემდეგ, რუსეთის ტელეკომპანია HTB-ზე აჩვენეს რუსი კრიმინალის, კანონიერი ქურდის იაპონჩიკის ინტერვიუ. ასეთი რამ პირველად მოხდა... სპარტაკს ვთხოვე, რედაქციაში მოსულიყო და ორიოდე სიტყვით მასზე ესაუბრა..., მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის იაპონჩიკს არ იცნობდა. „ის „სოლნცევოს“ ჯგუფს ხელმძღვანელობდა. მაგრამ ერთმანეთს არასოდეს შევხვედრივართ. როგორღაც, ისე ხდებოდა, რომ როცა მე ვიყავი დაჭერილი, ის გარეთ იყო და — პირიქით... კანონიერი ქურდი წესით, ინტერვიუს არ უნდა იძლეოდეს. რატომ გადაწყვიტა იაპონჩიკმა ტელევიზიით გამოსვლა, არ ვიცი. მე შევხვედრივარ ცნობილ რუს ქურდს ბორია ბრიანსკის, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რუსი ავტორიტეტი გახლდათ...“

ბორია ბრიანსკის შესახებ „გზის“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ. ახლა კი, სპარტაკ ბურდულაძესთან ჩემი საუბრის მეორე ნაწილს გთავაზობთ.



ᲥᲣᲠᲓᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

მარი ᲧᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

პატიმარი 75 კაპიკი ღირდა...

— უკვე გითხარით, რომ პირველი „სროკი“ 16 წლის ასაკში ქურდობისთვის მომისაჯეს და გალის რაიონში, სოფელ სიდაში მდებარე ზონაში გადამიყვანეს. იქ მყოფი 14 ქურდიდან, ბუნებრივია, ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. სიდაში სასჯელს იხდიდა ორი კაცი, რომლებიც დაპატიმრებამდე მტრები იყვნენ და ერთმანეთს ზონაში შეხვდნენ. გადაწყვიტეს, კამათელი — ე.წ. ზარი ეთამაშათ. ერთ-ერთმა, რაც რამ ებადა, ყველაფერი წააგო, მაგრამ მოწინააღმდეგეს არ ეშვებოდა — მეთამაშე და მეთამაშეო... ის ეუბნებოდა — რაღაზე გეთამაშო? უკვე ყველაფერი წააგე, ჯერ წაგებული ჩამაბარე და მერე გეთამაშებიო. წაგებულმა კიდევ — „კონში“ საკუთარ თავს, საკუთარ სიცოცხლეს ჩავდებო... შეთანხმდნენ და ეს ხელიც წააგო. ბუნებრივია, მოგებული თავის მისაღებს ითხოვდა. წაგებული საგონებელში ჩავარდა. შემდეგ ვიღაცას უთქვამს — სპარტაკასთან მიდი, მაგ საქმეს ის გადაწყვეტს, სხვას ნურავის ჩარევო. ისიც ადგა და ჩემთან მოვიდა. ახლა მე ჩავვარდი საგონებელში. როგორ გინდა, ასეთი საკითხი მოაგვარო?.. თან გამიკვირდა — რაღა მაინცდამაინც ჩემთან მოვიდა-მეთქი?.. ასეთ შემთხვევაში, სირცხვილად ითვლება, სხვა ქურდთან რომ გაგზავნო ან ვინმეს რჩევა ჰკითხო. მთელი ზონა სულგანაბული ადევნებდა თვალყურს ამ ამბავს და თავის შერცხვენა არ შეიძლებოდა. მოვაყვანინე მოგებული. ვუთხარი — „გაურაშოტე“-მეთქი — არა, მისაღები უნდა მივიღოო... ავდექი და ორივე მაგრად ვაცემინე. თან, მოგებულს ვუთხარი — შენ იმიტომ მოგზვდა, რომ ამის უტვინო თავზე ითამაშე; კაცი რო თავს წააგებს, ის თავი რაში გამოგადგება-მეთქი?.. წაგებულს კი იმიტომ მოხვდა, რომ ბაყბაყდევი ხომ არ იყო, 9 თავი ჰბმოდა?! ერთი ება და ისიც ზარში წააგო. მიუხედავად ამისა, მოგებული მაინც იძახდა, არ „გავარასხოდებ“, თავანი ჩამაბაროსო. ორივეს მოხვდა კიდევ ერთხელ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ერთ საღამოს, დავიბარე მოგებული, ერთ-ერთი პატიმარი უფროსთან გავგზავნე და ციხის „უსტავი“ ჩამოვატანინე, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ პატიმრის სიკვდილის შემდეგ, მთავრობამ მის ოჯახს უნდა გადაუხადოს 75 კაპიკი — ასე იყო შეფასებული დამნაშავე. მოგებულს მივუბრუნდი და ვუთხარი — ეს პატიმარი მთლიანად ღირს 75 კაპიკი, უტვინო თავი და ხელ-ფეხი რომ გამოვაკლოთ, დარჩება 40 კაპიკი, აქედან 20 კაპიკი, წესის მიხედვით, „ობშიაკში“ უნდა გადაიხადო, დარჩა სულ 20 კაპიკი, აჰა, შენ ეს 20 კაპიკი და თავისუფალი ხარ-მეთქი... ამდგარა და ნაცნობი ქურდებისთვის მიუწერია ეს ამბავი. სოხუმიდან ჩამოვიდნენ გოგია გოგოლაძე და იური ლაკობა, ცნობილი ქურდები, ვისაც მოგებულმა მისწერა, მაგრამ ისინი მის დასახმარებლად კი არა, ჩემს სანახავად ჩამოსულან. მითხრეს — გაოცებული ვართ, ბავშვმა როგორ მოახერხე, ასეთი საქმის გადაწყვეტა; რომ გათავისუფლდები, სოხუმში ჩამოდი, ბინას „ჩაგახუტებთ“, და იქ დარჩი საცხოვრებლადო... მაგრამ ჩემი კახეთი მე ყველაფერს მერჩივნა.

გაქცევა სასამართლოდან

— გავიდა წლები... მე თავისუფალი ვიყავი, მაგრამ სასამართლომ დამინიშნა „ნადზორი“. ეს იმას ნიშნავდა, რომ საღამოს 8 საათის შემდეგ, აუცილებლად სახლში უნდა ვყოფილიყავი. მილიციელებმა შეიტყვეს, რომ თავანი მქონდა ჩასაბარებელი. გადაწყვიტეს, დავეჭირე, რომ ფული ვერ მიმეტანა და ქურდულ სამყაროში ჩემი ადგილი აღარ ყოფილიყო. მომდეს შარი, თითქოს შემამოწმეს და სახლში არ ვიყავი. ამის გამო დამიჭირეს. წესი ასეთია, ორჯერ თუ გამოგიჭირეს „ნადზორის“ წესების დარღვევაში, ჯარიმა უნდა გადაიხადო, მესამედ — გაგასამართლებენ. კანონი ასეთ შემთხვევაში 2 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ძალოვნების მიზანი გახლდათ ის, რომ ეს 2 წელი მოესაჯათ, შემდეგ კიდევ რამეს „შემტენიდნენ“. არადა, მართლა სუფთა ვიყავი და არანაირი დანაშაული არ მქონდა ჩადენილი. გადავწყვიტე, სასამართლოდან გავქცეულიყავი. როდესაც „კამერიდან“ გამიყვანეს, იქ ყველას გამოვემშვიდობე — მე აქ აღარ დავბრუნდები, ან მომკლავენ, ან გავიქცევი-მეთქი. დაჭერამდე რამდენიმე ხნით ადრე, ავარიაში მოვყევი. ფეხი მტკიოდა და ჯოხით დავდიოდი. ამ დროისთვის ფეხი აღარ მაწუხებდა, მაგრამ ციხის თანამშრომ-

ლებს თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს სიარული ძალზე მიჭირდა. სასამართლოსთან მელოდა მანქანა, რომლითაც უნდა გავქცეულიყავი. ჩვენ ხელებით საუბარი გვეხერხება. მანქანიდან მანიშნეს — იარაღი „ბარდაჩოკშია“, ჩვენც ყველაფრისთვის მზად ვართო. მეც ხელით ვანიშნე, წადით, არ მჭირდებით-მეთქი. პროცესზე მოსამართლეს ვუთხარი — ცუდად ვარ-მეთქი. მინდოდა, ტუალეტამდე მივსულიყავი. ვიცოდი, რომ იქ იყო პატარა ფანჯარა. თუ კანალიზაციის გასაწმენდი მსხვილი მავთულიც იქ დამხვდებოდა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა. გამიყვანეს ტუალეტში. თან სამი ბადრაგი გამომყვა. ასეთ დროს ვალდებული ხარ, ტუალეტის კარი ღია დატოვო. მე კი მივიჯახუნე და გადავკეტე. დაიწყეს ბრახუნი. გავაღე კარი — რა მოგვიდათ, თქვე კაი ხალხო, მაცალეთ-მეთქი, — და ისევ ჩავკეტე კარი. კიდევ დააბრახუნეს. ისევ გავაღე — თქვე მამაცხონებულებო, ჩემს გემოზე შემიშვით ტუალეტში, რისი გეშინიათ, ამ გადამტვრეული ფეხით სად გაგექცევით-მეთქი?.. და კარი ისევ ჩავკეტე. ისევ დააბრახუნეს. ახლა უკვე გავბრაზდი, კარი გავაღე და ავყვირდი — ხალხი არა ხართ? ის მაინც მაცალეთ, რომ ტუალეტში მოსვენებით ვიყო-მეთქი! — და ისევ ჩავკეტე. აღარ დაუკაკუნებიათ. მავთული იქ დამხვდა. თავი გადავულუნე, ფანჯარაზე ჩამოვდე, ავძვერი და გარეთ გადავძვერი. თავისუფალი ვიყავი, მაგრამ ახლა იქიდან უნდა დამეღწია თავი. ეს ყველაფერი სიღნაღში ხდებოდა. სასამართლოს წინ არის პატარა ბულვარი. გადავწყვიტე, ხალხში გავრეულიყავი, რადგან თუ ჩემს გაქცევას შეიტყობდნენ და სროლას ატეხდნენ, ხალხში ამის გაკეთება გაუჭირდებოდათ. მივდივარ სკვერში და წინ შემხვდა ერთი მილიციელი, რომელსაც გიული ერქვა. არ გავიქეცი. ერთმანეთს რომ მივუახლოვდით, მივესალმე. რაღაცნაირი, დინჯი ლაპარაკი იცოდა. მკითხა — ჭაბუკო, თქვენ დღეს სასამართლო არ გაქვთო? — კი, მაგრამ დამთავრდა; როგორც იქნა, ერთხელ ჩემს ცხოვრებაშიც სამართალმა პური ჭამა, გამამართლეს და გამიშვეს, ახლა ამ ამბავს რესტორანში აღვნიშნავ, მე ღვინოზე ვარ წამოსული და შენც გეპატიჟები, აუცილებლად მოდი-მეთქი. თავი დამიქნია და გზა განაგრძო. ამის შემდეგ გიული მისულა სასამართლოში და ტუალეტთან ბადრაგი რომ შეუნიშნავს, უკითხავს — რაშია საქმე, აქ ვის ელოდებითო? — სპარტაკის სასამართლოა, ტუალეტშია შესული და იმას ველოდებითო. გიული გაგიჟებულა — ვაი, თქვენს პატრონს, სპარტაკი 5 წუთის წინ ბულვარში მომესალმაო, — უთქვამს მათთვის. ბადრაგმა კარი შეამტვრია და ნახეს, რომ მართლაც, იქ აღარ ვიყავი. ამტყდარა ერთი ამბავი. მე ამასობაში ერთ-ერთ ეზოში გადავძვერი. ვიფიქრე, ვიდრე დაწყნარდებიან, ცოტა ხანს აქ მოვიცდი-მეთქი. შევძვერი საქათმეში. ქათმები აკაკანდნენ, აკრიახდნენ, ზოგი ზედ შემომფრინდა... უცებ, საქათმის კარი გაიღო და ვიღაც ქალმა შეკივლა. დავამშვიდე — არც ქურდი ვარ, არც ყაჩაღი, ვიღაცები საცემრად გამომეკიდნენ, რომ დამიჭირონ, მომკლავენ, ამიტომ თავი აქ შემოვაფარე-მეთქი. მისი ქმარი იქვე, ეზოში რაღაცას ჩხირკედელაობდა. მივედი მასთან. ეს კაცი ძალიან კარგად მომექცა. ბოლოს, გავუმხილე, ვინც ვიყავი. დამეხმარა, სასაფლაომდე მიხვეულ-მოხვეული გზით გამიყვანა. მოგეხსენებათ, სიღნაღი მთის წვერზეა გაშენებული. სასაფლაოდან ქვევით დავეშვი. ტყე-ტყე მივდიოდი, ხანდახან გზის გადარბენა მიწევდა და სწორედ ამ დროს მილიციელებმა შემნიშნეს. მივედი ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც ბროწლიანს ეძახიან. იქ იყო პატარა ეკლესია, რომელსაც ღღესდღეობით სპარტაკის ეკლესიას ეძახიან. ძალზე დაღლილი ვიყავი. შევედი ტაძარში. რაც კი კედლებზე სანთლის ნამწვი იყო, ყველა ავანთე. ღმერთს შევთხოვე, — თუ რაიმე ძალა და მადლი გაქვს, მიშველე-მეთქი! ერთ კუთხეში მივიყუჟე და მესმოდა, როგორ დარბოდნენ მილიციელები და მეძებდნენ. კარი რომ შემოეღოთ, სულ იოლად მიპოვიდნენ, მაგრამ შიგნით შემოხედვა არც უფიქრიათ. ეკლესიის წინ, შემაღლებულ ადგილზე რესტორანი იყო. იქიდან მადის აღმძვრელი სურნელი მოდიოდა. უზომოდ მომშივდა. მილიციელები რომ წავიდწამოვიდნენ, რესტორანში შევედი. სამზარეულოში რომ შევაბიჯე, მიცნეს. „ბუფეტჩიკი“ გადამეხვია. უკვე გაგონილი ჰქონდათ, რომ გამოქცეული ვიყავი. რესტორანს წინ დიდი აივანი ჰქონდა, რომელიც სიღნაღში მიმავალ გზას გადაჰყურებდა. „ბუფეტჩიკმა“ განკარგულება გასცა, სწორედ ამ აივანზე გაეწყოთ სუფრა. გრძელი სუფრის თავში ის დაჯდა, ბოლოში — მე და დავიწყეთ ქეიფი. იქიდან ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ დარბოდნენ მილიციელები, აჩერებდნენ მანქანებს, ჩხრეკდნენ... რას წარმოიდგენდნენ, რომ მე რესტორნის აივანზე ვიყავი გამოჭიმული?! რომ შებინდდა, იქიდან წამოვედი, თან ორი ბოთლი შამპანური წამოვიღე. გეზი სოფელ საქობოს სასაფლაოსკენ ავიღე. სასაფლაოზე ერთი ბოთლი შამპანური გავხსენი და გზადაგზა, მიცვალებულთა შესანდობარს ვამბობდი. სასაფლაოსთან ახლოს მოსახლეობა ცხოვრობს. საღამოს „ბირჟაზე“ იყვნენ გამოსულები და ცეცხლი ჰქონდათ დანთებული. სწორედ მათთან მივედი. ჩემი დანახვა ყველას გაუკვირდა. ერთ-ერთს ვთხოვე, რომ მანქანით სახლამდე მივეყვანე და დედასთან დავბრუნდი. მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო ფეხზე იდგა. მე ვუთვლიდი — ყველას დაგსჯით, ვინც ჩემს დაჭერაში მონაწილეობდით-მეთქი. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გივი კვანტალიანმა შემომითვალა — შემხვდი, უიარაღოდ ვიქნები და ვილაპარაკოთო. ღამით შინ მივადექი მილიციის უფროსს. ვიცოდი, სახლში პატარა ბავშვები ჰყავდა და არ მესროდა. ვკითხე — რაზე უნდა მელაპარაკოს კვანტალიანი-მეთქი? — ვიცით, რომ უდანაშაულო იყავი, დაბრუნდი ციხეში, გაგასამართლებთ და გაგიშვებთ, პირობას გაძლევთო. დავუჯერე. დავთქვით შეხვედრის ადგილი. წინასწარ ის ადგილი კარგად დავზვერე და საეჭვო ვერაფერი ვნახე. შევხვდით. მოიტანეს კონიაკი, საჭმელი. მეც მივედი. მაჩვენეს ჩემი გათავისუფლების ბრძანება და მითხრეს — ხვალ მილიციაში მოდი, ხელი მოაწერე და გაგიშვებთო. მივედი და ვიღამ გამოგიშვა?.. გააუქმეს სანქცია და ისევ დამიჭირეს. ლამის ჭკუიდან შევიშალე. რაღა უნდა მექნა? ხელახლა ჩავიფიქრე გაქცევა და გეგმაც შევადგინე.

გაქცევა მილიციის განყოფილებიდან

— მილიციის განყოფილებაში, საკანში მარტო ჩამსვეს. ლომივით ვბრდღვინავდი და კედლებს ვაწყდებოდი. იატაკს ერთი ფიცარი ავაგლიჯე და რას ვხედავ?.. ქვეშ ბოთლი გდია. უცებ მომივიდა იდეა. ამოვიღე ბოთლი, უკან, ქამარში გავირჭვე. მოვახერხე და ვენები გადავჭერი *(მკლავზე უამრავი ნაიარევი აქვს. — ავტ.)*, ალუმინის კოვზი გადავტეხე და ტარი გადავყლაპე. მილიციელებმა სასწრაფოდ ექიმი მომიყვანეს. შემიყვანეს სამორიგეოში. ხელი შემიხვიეს. ექიმი ქალი გახლდათ. უცებ ამოვიღე ბოთლი და ძირით მაგიდის კიდეს ჩამოვარტყი. ექიმს ხელი ვტაცე, წინ ავიფარე და კისერზე ბოთლის ნამტვრევი მივადე. თან ვიყვირე — არ მომეკაროთ, თორემ „ტრუპს“ დაგიგდებთ-მეთქი. ნელა-ნელა კარისკენ წავედი. გზა დამითმეს. მილიციის განყოფილებიდან ვიწრო ქუჩით უნდა ჩავსულიყავი ცენტრალურ გზამდე. ექიმს მუხლები მოეკვეთა და

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. თბილისში ლენინის ექვსი ძეგლი იდგა.
2. საქართველოს ათ სოფელს ჰქვია ეწერი.
3. ბეთჰოვენის ერთადერთ ოპერას „ფიდელიო“ ჰქვია.

4. კახა ლომაიას რუსული სკოლა აქვს დამთავრებული.
5. ფილიპინები ერთადერთი კათოლიკური ქვეყანაა აზიაში.
6. „ბავშვობა არის გონების ძილი“ – ამბობდა ჟან ჟაკ რუსო.
7. „ტარიელ გოლუა“ ლეო ქიაჩელმა შვეიცარიაში ყოფნის დროს დაწერა.
8. „აზრის გახლეჩა“ – ასე ითარგმნება ბერძნულიდან სიტყვა „შიზოფრენია“.
9. „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუ არს ქართულის გვარისა“ – ამბობდა ვაჟა-ფშაველა.
10. არწივები, რომლებიც საფანტით დაჭრილ ფრინველებს ჭამენ, ტყვიით მოწამვლის მსხვერპლნი ხდებიან.
11. ესპანელი მხატვარი ელ გრეკო წარმოშობით ბერძენი იყო. თეოტოკოპული მისი ნამდვილი გვარია.
12. ვოლანი, რომელსაც ბადმინტონის უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში იყენებენ, ერთი წლის ბატის ბუმბულისაგან მზადდება.
13. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ევსტათი მცხეთელი, წარმოშობით სპარსელი იყო.
14. ჯენიფერ ლოპესს საკუთარი ცხვირის ფორმა არ მოსწონს, რის გამოც უფლებას არ აძლევს ფოტოგრაფებს, პროფილში გადაუღონ სურათი.
15. უზბეკეთში, ქალაქ შახრისიაბზში, იმ ადგილას, სადაც კარლ მარქსის მონუმენტი იდგა, დღეს თემურ ლენგის ძეგლია აღმართული.
16. 1893 წლის 6-12 აგვისტოს ციურიხში ინტერნაციონალის მესამე კონგრესზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, 1-ელ მაისს მშრომელთა სოლიდარობის დღე ეზეიმათ.
17. „გათხოვილი ქალები თმას იჭრიან მოკლედ და მრგვლად, იუფერულებენ მას ტუტე წყლით, ამიტომ ყველა ქალი ქერაა“ – წერდა ერთი უცხოელი, ხევსური ქალების შესახებ.

მკლავზე ჩამომეკიდა. ვამშვიდებ – ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებ-მეთქი, – თან ამ ვიწრო ქუჩაზე ვეშვები. მილიციელები უკან მომყვებიან, ასე 100 მეტრის დაშორებით. ქუჩა ჩავათავე და გზაჯვარედინზე გავედი. მილიციასთან დედაჩემი ყოფილა მოსული. ისიც ფეხდაფეხ მომდევდა და თან ყვიროდა. მე ყურადღებას არ ვაქცევდი. გზაჯვარედინზე ექიმი ღობის ძირში მივაწვინე და გავიქეცი. ეს რომ დაინახეს, მილიციელები მანქანებში ჩასხდნენ და გამომეკიდნენ. დედაჩემი არ დაიბნა, გზაზე დაწვა და მდევარს გზა გადაუკეტა. ამასობაში თვალს მივეფარე. გზას რომ გადაკვეთ, მერე ტყე იწყება და საკმაოდ ციცაბო დაღმართია. უცებ, ფეხი დამიცდა და დავგორდი. ბოთლის ნამტვრევის გადაგდება მოვასწარი, რომ არ დავჭრილიყავი. კლდის ნაპირზე თავი ვერ შეიკავე და საკმაოდ დიდი სიმაღლიდან „გადავფრინდი“. კარგა ხანს ვიფრინე და ბედად, მაყვლის ბუჩქებზე ბეღურასავით მსუბუქად დავეშვი. ვწევარ გულაღმა და ცას შევყურებ. უცებ შევნიშნე, რომ კლდის წვერიდან მილიციელები დამყურებენ. ისეთი პატარები ჩანდნენ, რომ ვერ გაარჩევდით, კაცები იყვნენ თუ ასანთის ღერები. ეს რომ დავინახე, გული მომეცა: აბა, ეს პატარა კაცები როგორ მომერევიან-მეთქი?! – ვიდრე ბუჩქებიდან გადმოვბობღდი, ისინი ბილიკით დაეშვნენ და თავზე წამომადგნენ. დაღლილობისგან ძლივს ვსუნთქავდი, ისინი ჩემზე უარესად ქშინავდნენ. ორნი იყვნენ და აქეთ-იქიდან დამისხდნენ. მეუბნებიან – ბიჭო, ასეთი ტრიუკების გაკეთება კინოშიც უჭირთ, ეს რა გააკეთე?.. ადექი, გამოგვყევიო, – მაგრამ ადგომისა და სიარულის თავი თვითონაც არ ჰქონდათ. მე ვეუბნები – კარგი, რა, გამიშვითმეთქი. – ეეჰ, სპარტაკ, ახლა შენ ნუ გაახურე, ადექი და გამოგვყევიო. ვცადე შებმა – წნორში ჩავიდეთ, იქ მანქანა დავიჭიროთ და სიღნაღში ისე ავიდეთ, მე კიდევ ვიტყვი, რომ ჩემი ნებით ჩაგბარდით და თქვენთვისაც კარგი იქნება და ჩემთვისაც-მეთქი... ვერ შევაბი. ავდექი და გავყევი. მეტი რა გზა მქონდა?!.

„ავტობუსი დავაყაჩაღეთ...“

– ერთხელ, მეგობრებთან ერთად რესტორანში ვიჯექი. მოვიდა ინფორმატორი და მოიტანა ამბავი, რომ ბელაქანში ერთ ოჯახში დიდი ფული და 20 კილო ოქრო ინახებოდა. გადავწყვიტეთ, წავსულიყავით. მანქანებიც გვყავდა და იარაღიც გვქონდა. გარეთ რომ გამოვედით, ერთმა შემოგვთავაზა, ლაგოდეხამდე ავტობუსით წავსულიყავით, მანქანები კი უკან გამოგვყოლოდნენ... უკვე ღამე იყო. ბელაქანში ძირითადად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. იქით მიმავალ ავტობუსშიც სულ ამ ეროვნების ხალხი იქნებოდა. მოგეხსენებათ, მათ ოქრო ძალიან უყვართ, ფულიც ექნებოდათ და გადავწყვიტეთ, ავტობუსი დაგვეყაჩაღებინა. იარაღი ავიღეთ და ავტობუსი გავაჩერეთ. მე სულ უკან, გასასვლელის ბოლოში მდგარ სკამზე დავჯექი, საიდანაც მთელი ავტობუსი ჩანდა. ბიჭები გასასვლელში ჩადგნენ. დაიწყეს ხალხის „გასუფთავება“. მძღოლმა ეს რომ დაინახა, ავტობუსი გააჩერა და გვითხრა – ჩადითო. ერთი ჩემი მეგობარი იარაღით დაემუქრა და გზა ისევ განვაგრძეთ. წინ ერთადგილიან სკამზე ძალზე ლამაზი, გრძელთმიანი გოგო იჯდა. ჩემმა მეგობარმა ჩანთა რომ მოსთხოვა, გოგო დაემუქრა, ვიყვირებო. მოუვიდათ ჩხუბი. ეს რომ გავიგონე, ბიჭი უკან გავუშვი, მე კი ამ გოგოს დავუყვავე – აქ შენი ხელის მხლებელი არავინ არის, რომ იყვირო, ვინ გიშველის? გადახედე მგზავრებს, რომელი გეგულება ვაჟკაცი? მე ვარ შენი მშველელი, რადგან არც ერთ კაცს არა აქვს უფლება, ასეთი ლამაზი თვალების პატრონს აწყენინოს-მეთქი. ეს გოგო ქართველი იყო. შევთავაზე – თუ რომელიმე ქალის სამკაული მოგწონს, მითხარი და შენი გახდება-მეთქი... ამასობაში მძღოლმა ისევ გააჩერა ავტობუსი და გადახტა. ჩემი ძმაკაცები გაეკიდნენ, უკან მოაბრუნეს და ისევ გზა განვაგრძეთ. ამ ავტობუსში მხოლოდ 3 ქართველი იჯდა. არც ერთისთვის არაფერი წაგვირთმევია... ამ საქმისთვის დაგვიჭირეს. დაკითხვაზე მოწმეებად ყველა მგზავრი მოიყვანეს. აზერბაიჯანელები ყველაფერს უარყოფდნენ. იარაღის არსებობაც არ გაამხილეს. ქართველებმა კი ხელი დაგვადეს. ამოსაცნობად მე და რამდენიმე უცხო პირი დაგვაყენეს და სწორედ ის გრძელთმიანი გოგო შემოიყვანეს. პირდაპირ ჩემთან მოვიდა, – გამარჯობაო, – მითხრა და ხელი დამადო, – ეს იყო ერთ-ერთი ყაჩაღიო. ვეუბნები – გოგო, იქნებ, გეშლება და მე არ ვიყავი-მეთქი? – შენს თავს რა დამავიწყებსო?! მილიციელებმა ჰკითხეს – რით იცანიო? – ლამაზი თმით, ლამაზი თვალებითა და კარგი გარეგნობითო... მაშინ დავემუქრე – რადგან ჩემი პატივისცემა ვერ დაინახე, გავთავისუფლდები და მოგივლი-მეთქი... ამ საქმისთვის 10 წელი მომისაჯეს. რომ გავთავისუფლდი, ერთ საღამოს ეს გოგო და მისი ქმარი მოვიდნენ ჩემთან და მთხოვეს, არაფერი დამეშავებინა მათთვის. ეს ამბავი მე უკვე დავიწყებული მქონდა და ხმაც არ გამიცია მისთვის.

უცნაური სენი...

— ამ ამბის შემდეგ, მალევე დამიჭირეს, მაგრამ ისევ უმიზეზოდ. გამასამართლეს და მე-4 ზონაში მიმიყვანეს. ეს ხდებოდა 1983 წელს. ძალზე მკაცრად შეკრული, „წითელი“ ზონა იყო: დილით 6 საათზე დგებოდნენ, სასადილოში სულ სიმღერ-სიმღერით მიდიოდნენ... ამ ზონის უფროსი ვინმე გუჯაბიძე გახლდათ. ისეთი ცხოვრება, როგორიც ამ ზონაში იყო, ჩემთვის მიუღებელი გახლდათ. ერთ დილით, 6 საათზე რომ არ ავდექი, ჩემი საწოლი შეაჯანჯღარეს და საბანი გადამაძვრეს. მაინც არ გავედი გარეთ. მთელი 1500 კაცი გარეთ დგას გაჭიმული და არ შლიან იმის გულისთვის, რომ ჩემს წინააღმდეგ აამხედრონ. მოვიდა ზონის უფროსი. რატომ არ გამოდიხარ გარეთო? — მკითხა. — ცუდად ვარ და იმიტომ-მეთქი. ჩემი სამედიცინო ნაწილში წაყვანის ბრძანება გასცა. თუ მართლა ავად ვიქნებოდი, ხომ კარგი, თუ არა და, 15 დღე — „კრიტი“, მერე 6 თვე — „ბური“. ეს არის ციხე ციხეში... მივედით ექიმთან, ვიცოდი, მაინც ჩამსვამდნენ და გადავწყვიტე, წავეკაიფები-მეთქი. რა გტკივაო? — მეკითხება ექიმი. — მაინც არ დამიჯერებთ, რომ გითხრათ. ისეთი ავადმყოფობა მჭირს, ჯერ რომ არ გაგიგონიათ-მეთქი. ექიმი დაინტერესდა, რა სენი შეგეყარა ასეთიო. — თუ ყურადღებით მომისმენთ და ჩემს მდგომარეობაში შეხვალთ, ყველაფერს მოგიყვებით-მეთქი. ექიმი ძალზე დაინტერესდა. — იცით, რამდენი თვეა, რაც აქ ვარ? არც

ეს „დათვები“ თურმე, იმის „ნამიოკი“ ყოფილა, რომ მეორე დღეს, ჩიტაში, მართლაც, თეთრ დათვებში გადამიყვანდნენ

ერთი ღამე არ მძინებია, ყოველღამე ერთი მაგარი ქალი მესიზმრება-მეთქი; — მერეო? — მერე ის, რომ იმ ქალს შებმა ხომ უნდა? მთელი ღამე „დაბმას“ ვუნდები; რომ გავხდი ტანისამოსს და ყველაზე მთავარი მომენტი იწყება, რუპორი სწორედ მაშინ აყვირდება ხოლმე, მეღვიძება და საქმე ბოლომდე ვერ მიმყავს, ჰოდა, დღეს აღარ ავდექი, რომ როგორმე დაწყებული საქმისთვის თავი მომება-მეთქი... ექიმმა თავი გადააქნია და კარცერში გამიშვა... გავიდა რამდენიმე დღე. ზონაში შემოვლაზე მოვიდნენ სამმართველოს უფროსი და გივი კვანტალიანი. შემოვიდნენ კარცერშიც. ყველას ჰკითხეს — აქ რატომ ზიხარ? ტყუილად ხომ არ დაგსაჯესო? — ყველა თავის ამბავს უყვებოდა. მე კი ფანჯარასთან ვიდექი და ხმას არ ვიღებდი. მომიბრუნდნენ და მკითხეს — სათქმელი არაფერი გაქვსო? — თავი დამანებეთ, ერთს რომ მოუყევი ჩემი გასაჭირი, კარცერში ჩამსვა და ახლა თქვენღა მაკლიხართ-მეთქი!.. არ მომეშვნენ — გვითხარი, რაშია საქმეო? — ჩემი ავადმყოფობის ბრალია, აქ რომ ვზივარ-მეთქი — და მოვუყევი ყველაფერი ის, რაც ექიმს ვუამბე. — მერე, რას ითხოვო? — მკითხეს. — რას და... ერთი ღამე დამაცადეთ, საქმეს მოვრჩები და მერე გამოვალ, მაშ, რას ვიზამ-მეთქი?.. გივის ჩაეღიმა. მართალი ხარო, — მითხრა და ბრძანა — „სანჩასტში“ დააწვინეთ და სანამ იმ ქალს არ გაჟიმავს, არ გამოუშვათო. თან მკითხა — რამდენი დღე დაგჭირდება ამ საქმისთვისო? — 6 თვე მეყოფა-მეთქი. — 6 არა, 9 თვე უნდა, იყო რომ ბავშვის გაჩენაც მოასწროთო... ჰოდა, მართლაც, 9 თვე „სანჩასტში“ ვიყავი; გენერალივით ვცხოვრობდი, ჩემს ნებაზე... 9 თვე მიიწურა და ახალი წელიც მოვიდა. პირველ იანვარს დილით, ზონის უფროსი მოვიდა და შოკოლადი მომიტანა, „დათუნია“ კანფეტები. ეს „დათვები“ თურმე, იმის „ნამიოკი“ ყოფილა, რომ მეორე დღეს, ჩიტაში, მართლაც, თეთრ დათვებში გადამიყვანდნენ. ზონიდან რომ გავდიოდი, მითხრა — მოდი, დაგემშვიდობო, თეთრ დათვებში მიდიხარ და იქნებ, ველარ დაბრუნდეო... — დავბრუნდები და თუ გინდა, დათვის ტყავს საჩუქრად ჩამოგიტან-მეთქი... — ვუპასუხე.

ჩამოუტანა თუ არა დათვის ტყავი, რა ამბები გადახდა თავს შორეულ რუსეთში, როგორ ჩამოიყვანა სათამაშო პისტოლეტით 6 ლენინგრადელი წნორში და როგორ დააჩოქა მისმა ერთ-ერთმა ცოლმა 15 მილიციელი, — ყოველივე ამის შესახებ „გზის“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

■

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲔᲝᲩᲐ ᲓᲔᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ:

18. პირველი საზოგადოებრივი ტუალეტი ლონდონში 1852 წელს, მაღალი ხელოვნების თაყვანისმცემელთა საზოგადოებამ გახსნა.

19. ბირმელთა ტრადიციის მიხედვით, ადამიანს დაბადებისთანავე 60 წლისად თვლიან და ყოველ წელს, მისი ასაკი მცირდება. თუ ვინმემ ნულოვან ასაკს გადააცილა, მას დამატებით 10 წელიწადს აძლევენ, ამიტომ ამ ქვეყანაში სიტყვა „მოხუცი“ ჟღერს, როგორც ორჯერ დაბადებული.

20. დასავლეთ ინდოეთსა და პაკისტანში ზოროასტრიზმის 40000 მიმდევარი ცხოვრობს. ისინი ცეცხლს, წყალს, ჰაერსა და მიწას ეთაყვანებიან და იმისათვის, რათა ზემოთ ჩამოთვლილ სტიქიათაგან არც ერთი არ შერყვნან, საკუთარ მიცვალებულებს, სვავებს უტოვებენ შესაჭმელად.

21. ვაშინგტონის ნაციონალურ პარკში ერთი პერიოდი, ცხოვრობდა ღორი, რომელსაც სახელმწიფო პენსია ჰქონდა დანიშნული. იგი იმით იყო პოპულარული, რომ ერთადერთი იყო იმ სამას ღორთაგან, რომელიც ბირთვული გამოცდის შემდეგ, ცოცხალი გადარჩა.

22. 1969 წელს, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული სატელეფონო საუბარი შედგა. აშშ-ის პრეზიდენტი ნიქსონი მთვარეზე მყოფ არმსტრონგსა და ოლდრინს ესაუბრა.

23. 1914 წელს, თვრამეტი წლის ინგლისელმა ქალიშვილმა ელის ჰაიდენმა პირველმა მოიპოვა „მის მსოფლიოს“ ტიტული. ამისათვის მას ნიჩბოსნობაში, ცურვაში, ცეკვაში, სიმღერასა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრაში საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება მოუხდა.

24. 1994 წელს, სამ ახალგაზრდა ნიუიორკელს, რომლებიც ებრაელების საფლავებზე სვასტიკას ხატავდნენ, სასამართლომ სტივენ სპილბერგის ფილმის — „შინდლერის სიის“ ნახვა მიუსაჯა.

25. 1920 წელს, კუნძულ მილოსის მკვიდრ გლეხ იორგასს საკუთარ მიწაზე მუშაობის დროს, ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. როდესაც გონს მოეგო, აღმოაჩინა, რომ მიწის ქვეშ წელს ზემოთ შიშველი ქალის ქანდაკების გვერდით იწვა. ეს ქანდაკება დღეს ყველასათვის, „ვენერა მილოსელის“ სახელით არის ცნობილი.

■

დონ დიეგო ამხანაგ ფიდელის სამფლობელოში დაბრუნდა

არგენტინის ხელისუფლებისა და ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, დიეგო მარადონამ საწადელი მაინც აისრულა და ცოტა ხნის წინ, სამშობლოდან კვლავ კუბაში დაბრუნდა. ფეხბურთის ქომაგთათვის კარგადაა ცნობილი, რომ ბოლო თვეებში იგი არგენტინის ერთ-ერთ ნარკოლოგიურ-ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობდა და რამდენჯერმე კრიტიკულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა. თუმცა, მასმედიის წარმომადგენელთა მტკიცებით, 1986 წლის მუნდიალის გმირი „კაიფს“ მაინც არ ანებებდა თავს. კუბაში კი, როგორც ჩანს, სამხრეთამერიკელი სუპერვარსკვლავი უფრო თავისუფლად იგრძნობს თავს.

მას შემდეგ, რაც გასულ ზაფხულს მექსიკურმა სპორტულმა გაზეთმა — Record — დიეგო მარადონას კუბაში ცხოვრების ამსახველი სკანდალური ფოტოები გამოაქვეყნა, ყველასათვის ნათელი გახდა, თუ რა არის სოციალისტური კუნძულისადმი ფეხბურთელის უსაზღვრო სიყვარულის ნამდვილი მიზეზი. ერთ-ერთ ფოტოზე დონ დიეგო თავის 20 წლის კუბელ მეგობარ გოგონასთან, ადონაი ფრუტოსთან ერთად სქესობრივი კავშირის მომენტშია აღბეჭდილი. ცნობილია ისიც, რომ ფრუტო სწორედ არგენტინელი სუპერვარსკვლავისგან ნოემბერში ბავშვს გააჩენს. თუმცა, დიეგოს თაყვანისმცემლები და ახლობლები ამას კიდევ აიტანდნენ, რომ არა Record-ის მიერ გამოქვეყნებული მეორე სურათი, რომელზეც თეთრ-ცისფერმაისურიანთა ცოცხალი ლეგენდა იმ მომენტშია გადაღებული, როდესაც მილაკით თეთრ ფხვნილს ისუნთქავს...

ეს სკანდალური ფოტოები მარადონას ერთ-ერთი მეგობრის მიერ გაკეთებული ვიდეოჩანაწერიდანაა ამოღებული. როგორც ირკვევა, ის ჰავანაში მდებარე სამკურნალო ცენტრ „პრადერაში“ გამართულ გასართობ ღონისძიებაში მონაწილეობდა მაშინ, როდესაც იქ არგენტინელი ფეხბურთელი იმყოფებოდა.

ერთი სიტყვით, თუ ზემოთ მოყვანილ ფაქტებს ვენდობით, კუბაში წლების წინ თითქოსდა სამკურნალოდ გადასახლებული დიეგო სინამდვილეში, ძველებურად ცხოვრებას განაგრძობდა (მისივე თქმით, ის ნარკოტიკებს 1982 წლიდან იყენებს).

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის აპრილში „ბოკა ხუნიორსის“ ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას მარადონას სტადიონზე გულის შეტევა მოუვიდა და იქიდან პირდაპირ საავადმყოფოში მოათავსეს. იქ მან ორი კვირა დაყო, რის შემდეგაც გაქცევა მოახერხა. მოუთვინიერებელი ვარსკვლავი მალევე შეიპყრეს და ბუენოს-აირესის ახლოს მდებარე ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. ბუნებრივია, თავად ფეხბურთელი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. უფრო მეტიც — სამედიცინო დაწესებულებიდან თავის დასაღწევად, ის ძმასთან, რაულთან მუშტი-კრივის გამართვასაც არ მოერიდა. თვით ფიფას ხელმძღვანელობამაც კი (ამ ორგანიზაციას ხომ არაერთხელ დაუსჯია ნარკოტიკებსა და დოპინგს მიძალებული დიეგო) არგენტინელისადმი თანაგრძნობა გამოიჩინა და მას შვეიცარიის ნარკოლოგიურ კლინიკაში მკურნალობის შემთხვევაში, ყველა ხარჯის გასტუმრებას შეჰპირდა.

კუბაში მარადონას დაბრუნების მოწინააღმდეგეებს ხელს უწყობდა არგენტინის კანონმდებლობაც, რომლის თანახმადაც, ფსიქიკაშერყეულ ადამიანებზე ვიზის გაცემა დაუშვებელია. დიეგოს კი სწორედ ამ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ.

აგვისტოში მარადონამ საკუთარი თავისუფლებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გააქტიურა და არგენტინის პრეზიდენტ ნესტორ კირხნერთან შეხვედრა მოითხოვა, რათა მისთვის პირადად ეთხოვა კუბაზე გადასვლის უფლება. მიზნის მისაღწევად, დიეგომ არგენტინის მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებაც სცადა და სატელევიზიო გამოსვლისას გულის განმგმირავი ხმით წარმოთქვა: Cry for me Argentina! („იტირე ჩემთვის, არგენტინავ!“). როგორც ჩანს, ამ სიტყვებით ფეხბურთელს ცოცხალ ლეგენდასთან ევიტა პერონთან გატოლება სურდა, მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა ის, რომ ცნობილ სიმღერაში პოპვარსკვლავი მადონა (არგენტინელთა სათაყვანებელი ქალბატონის როლის შემსრულებელი, ევიტას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შექმნილ მუსიკალურ ფილმში) საწინააღმდეგო შინაარსის ფრაზას წარმოთქვამს (Don`t cry for me Argentina!)

„მადლობა ფსიქიატრებს, — უთქვამს სატელევიზიო ეთერში დონ დიეგოს, — მათ იმ დროს შემიფარეს, როდესაც სხვა ყველა, ცხვირწინ კარს მიკეტავდა. მაგრამ მათი დახმარება ახლა აღარ მჭირდება. მდგომარეობა, რომელშიც დღეს ვიმყოფები, გადასახლების ტოლფასია. ჟურნალისტების გართობა სულაც არ მსურს. ისინი ხომ ჩემგან ნამდვილ მონსტრს ქმნიან. მაგრამ დამიჯერეთ, ასეთი სულაც არა ვარ. ჩემი სატკივარი მაწუხებს და ამას სხვებიც გულისხმიერებით უნდა ეკიდებოდნენ...“

სატელევიზიო გამოსვლაში არგენტინელმა ვარსკვლავმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ თავისი ყოფილი მენეჯერის, გილერმო კოპოლას არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამო ამჟამად სრულიად გაკოტრებულია და თუ სამსახური არ იშოვა, ძალიან გაუჭირდება თავის რჩენა. მარადონა ორიოდე სიტყვით ყოფილ მეუღლესთან, კლაუდიასთან დამოკიდებულებასაც შეეხო: „კლაუდიამ თავისი ცხოვრება მოიწყო. ის კეთილდღეობას ნამდვილად იმსახურებს. ის ჩემი ერთადერთი სიყვარულია. ჩვენი კავშირი სწორედ მისი სურვილით დაირღვა და ამაში დამნაშავე მე არა ვარ“.

არგენტინის ხელისუფლებისადმი მიმართვამ შედეგი გამოიღო: დონ დიეგოს საზღვარგარეთ გასვლის უფლება მისცეს, ოღონდ – ორი პირობით: პირველი იმაში მდგომარეობდა, რომ ფეხბურთელს ორი ახლობელი უნდა გაჰყოლოდა, რომლებიც მას თვალყურს ადევნებდნენ. ოჯახური თათბირის შემდეგ, მეთვალყურის მისია ფეხბურთელის ორმა დამ იტვირთა. მეორე პირობის თანახმად კი, მარადონას უარი უნდა ეთქვა ღია სამკურნალო ცენტრ „პრადერას“ მომსახურებაზე (სადაც პაციენტთა ნაცნობ-მეგობრებსაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ შესვლა), რადგან სწორედ ამ დაწესებულებაში ყოფნისას მართავდა მარადონა „პატარა დღესასწაულებს“, რის გამოც ყოველგვარი მკურნალობა აზრს კარგავდა. ამიერიდან მეტისმეტად გასუქებული დიეგო (იგი 102 კგ-ს იწონის) გონებრივად ჯანმრთელი ადამიანებისთვის განკუთვნილ კლინიკაში იცხოვრებს, რომელიც კუბის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ამასობაში კი, „არხენტინას ხუნიორსის“ კუთვნილ სტადიონს, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე „პატერნალს“ უწოდებდნენ, სახელი გადაარქვეს: აგვისტოს შემდეგ, მას „დიეგო არმანდო მარადონა“ ჰქვია. ეს ცვლილება „არხენტინას ხუნიორსის“ 100 წლისთავს დაემთხვა. სტადიონისთვის სახელის გადარქმევას ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ აპირებდნენ და ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად, საფეხბურთო არენის მესვეურებს თავად დონ დიეგოს თანხმობა სჭირდებოდათ. ცოტა ხნის წინ „არხენტინას ხუნიორსის“ ხელმძღვანელობას რაულ მარადონამ ამცნო, რომ მისი სახელოვანი და სკანდალისტი ძმა თანახმა იყო. ■

გაზა სახელს იცვლის

ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა პოლ გასკოინმა პროფესიონალური კრივის ცოცხალი ლეგენდის კასიუს კლეის (მუჰამედ ალი) მსგავსად სახელის შეცვლა გადაწყვიტა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ სახელსა და გვარს დაირქმევს გაზა, თუმცა ცნობილია მიზეზები, რომლის გამოც ვეტერანმა ფეხბურთელმა ამ ნაბიჯის გადადგმა განიზრახა. „დღეს მე სულ სხვა ადამიანი ვარ, – ამბობს ინგლისელი ვარსკვლავი, – არც პოლ გასკოინი ვარ და არც გაზა. ახალი სახელი დამეხმარება იმაში, რომ ხალხმა აღარ გაიხსენოს ის, თუ როგორი ვიყავი ადრე. ადამიანები აღმიქვამენ ისეთად, როგორიც ამიერიდან ვიქნები... ეს აუცილებელია, რათა რეპუტაცია დავიბრუნო. მსურს, კვლავაც პატივისცემით მეპყრობოდნენ. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ სახელი პოლი მოვიშორო“. აღსანიშნავია, რომ პოლ გასკოინი ყოველთვის ექსტრავაგანტური ქცევით გამოირჩეოდა, არ ერიდებოდა საზოგადოებისთვის შოკის მომგვრელ გამონათქვამებს და არასოდეს ემორჩილებოდა სპორტულ რეჟიმს; შეიძლება სწორედ ამიტომაც, ფეხბურთის მიმომხილველები და სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ გაზამ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები სრულიად ვერ გამოავლინა, თუმცა 14 წლის წინანდელ, იტალიის მუნდიალზე მან ყველა მოხიბლა თავისი ფანტასტიკური თამაშით. ■

ბიტი საგონებელშია ჩავარდნილი

„გამოუვალ“ სიტუაციაში აღმოჩნდა „საუთჰემპტონის“ თავდამსხმელი ჯეიმს ბიტი. საქმე ის არის, რომ ბოლო დროს, იგი ძალიან შეაწუხეს თაყვანისმცემლებმა. ამის გამო ფეხბურთელი აღშფოთებას ვერ ფარავს. საკმაოდ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ კი, იგი თურმე ასეთ გადაწყვეტილებამდე მისულა: მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელ ქალებს შორის შეურჩევია სამეული, რომელთაგანაც თავის შესაფერის ლამაზმანს დაასახელებს. დააღწევს თუ არა ამ გზით თავს „საუთჰემპტონის“ მოთამაშე სხვა თაყვანისმცემლებს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ■

(დასაწყისი ის. „გზა“ №26-42)

მცვალებლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

მკვლელობის ბრალდებით დაპატიმრებული ახალგაზრდა ბიზნესმენის ანდრო სვანიძის დასაცავად, მისი საყვარელი დალი ხაჩიძე, წარსულში თავის უახლოეს მეგობარს, ადვოკატ მეგი ლაღიძეს მიმართავს. ანდროს კახეთში მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო უნდა იყოს და მეგი ხვდება, რომ შესაძლოა, ვიღაცები სწორედ ამის გამო ცდილობენ გზიდან მის ჩამოცილებას. ანდროს „ჩაძირვით“, წარსულში მეგის შეყვარებული კახაცაა დაინტერესებული. არც კახამ და არც მეგიმ (რომელიც მშობიარობის შემდეგ მოატყუეს — ბავშვი დაიღუპაო) არ იციან, რომ მათ საერთო შვილი ჰყავთ. ამ ამბავს მეგის, კახას დედა გაანდობს, სიკვდილის წინ. ბედის ირონიით, მეგის შვილი — მიშიკო, ანდროსა და მისი ყოფილი ცოლის — ლანას ოჯახში მოხვედრილა...

ამასობაში, ციხეში ანდროს კრიმინალები დაჭრიან, კახას კი, დედა მოუკვდება. სწორედ ამის შემდეგ შეიტყობს იგი მიშიკოს არსებობის ფაქტს, შინ მიუვარდება მეგის და ეტყვის, რომ შვილის დაბრუნებას აპირებს... მეორე დღეს, ციხიდან პატიმართა ჯგუფი გაიქცევა, მათ შორის — ჭრილობამოუშუშებელი ანდრო სვანიძე, რომელიც ღამით მოულოდნელად, მეგის მიადგება კარზე... მეგი და ანდრო ნახევარ ღამეს საუბარში გაატარებენ. მისდა გასაოცრად, ქალი შეიტყობს, რომ ანდროსთვის ცნობილია, თუ ვინ არის მიშიკოს ბიოლოგიური დედა. ბავშვის მამის ვინაობას კი მეგი მას თავად გაუმხელს. მიუხედავად იმისა, რომ ანდრო ძალზე დასუსტებულია, ის მეორე დილით, ჯერ კიდევ მეგის გაღვიძებამდე მის სახლს დატოვებს. საკუთარ საწოლში, რომელიც დაჭრილ ანდროს დაუთმო, მეგი ბარათს აღმოაჩენს, რომელშიც მისი აღსარებით თავზარდაცემული ანდრო სწერს — სრული სიმართლისთვის მიშიკოს მაინც ნუ გაიმეტებო...

მარიკა პერტაიას გასვენებაში უამრავმა ადამიანმა მიიყარა თავი და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მათი უმეტესობა გამოსვენებამდე დარჩენილ დროს ერთმანეთის მოკითხვასა და ბედის დაუნდობლობაზე ლაპარაკში ატარებდა. მეგიმ შეკრებილთა შორის არაერთ თავის ნაცნობსაც მოჰკრა თვალი. მათ შორის ზოგი ისეთიც ერია, წლების მანძილზე რომ არ ენახა, მაგრამ მაინც ყველას შორიდან მიესალმა და სადარბაზოში სწრაფად გაუჩინარდა.

სუთიძეების ბინის შესასვლელში საგანგებოდ გამოწყობილი კახა იდგა და სამძიმარს იღებდა. მეგის დანახვაზე, მანამდე მჭმუნვარე სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსი გაუკრთა, ქალს ხელი სწრაფად შეაგება და ყურში ჩასჩურჩულა:

— ბოლომდე დარჩი, სალაპარაკო მაქვს...

მეგიმ მამაკაცს ხელი ფრთხილად გააშვებინა და ოთახში უსიტყვოდ შევიდა...

ეზოში ჩასულმა მეგიმ ხალხის ზღვას თვალი ერთხელ კიდევ მოავლო და საკმაოდ მაღალ და წარმოსადეგ მამაკაცთან ლაქლაქში გართული დალი ხაჩიძე დაინახა. დალიმ მას მაშინვე ხელი დაუქნია, აქ მოდიო და თან, მამაკაცს რაღაც გადაულაპარაკა. აქამდე მეგისკენ ზურგით მდგარი მამაკაცი სწრაფად შემობრუნდა და ქალს თავი თავაზიანად დაუკრა.

„ზაზა აბაშმაძე?! — თვალებს არ დაუჯერა მეგიმ. — საინტერესოა, აქ როგორ მოხვდა ან ყოფილ ცოლს ასეთი მონდომებით რაზე ელაპარაკება?!.“

შეფიქრიანებულმა მეგიმ დალის ჟესტებით ანიშნა, აქ დავრჩები, ლაპარაკში ხელს არ შეგიშლიითო, მაგრამ დალი თვითონ წამოვიდა მისკენ და მამაკაციც თან გამოიყოლა.

— სად ხარ, გოგო, ამდენ ხანს? — მოსვლისთანავე აქაქანდა დალი და თან, მამაკაცს მკლავში ხელი შინაურულად ჩაავლო: — იმედია, გახსოვთ ერთმანეთი... ეს მეგია, ჩემი თანაკურსელი, ეს კი ჩემი ყოფილი...

— ზაზა აბაშმაძეს რა დამავიწყებს?! — დალის სიტყვის დასრულება აღარ აცალა მეგიმ და მამაკაცს ხელი გაუწოდა: — ჩვენკენ რა ქარმა გადმოგაგდოთ, ბატონო ზაზა?

ზაზა მას ხელზე ნაზად ეამბორა, შემდეგ თვალებშიც ჩახედა და სახეზე იდუმალი ღიმილი აუთამაშდა:

— ნუ დაკარგავ ძველსა გზასაო, ხომ გაგიგონიათ, ქალბატონო მეგი...

— დიდხანს აპირებთ ბატონო-ქალბატონოთი ლაპარაკს? — საუბარში მალევე ჩაერთო დალი. — თუ უკვე დროა, მოვშინაურდეთ და საწყალ მარიკას რომ მიწას მივაყრით, სადმე, მოყუჩებულში, ჩვენებურად ჩავუსხდეთ!.. ჰა, შენ რას იტყვი?.. — მკლავზე ისევ შინაურულად წაეტანა იგი ზაზას.

— რატომაც არა?! — დალის წინადადება უმალ აიტაცა ზაზამ. — გიჟი უნდა ვიყო, რომ თქვენისთანა მშვენიერ ქალებთან სადმე წასვლაზე უარი ვთქვა!

— ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მე... — დაიწყო მეგიმ.

— კარგი, რა! — გააწყვეტინა დალიმ. — არ დამიწყო ახლა, პროცესზე მივდივარ ან კლიენტი მელოდებაო, თორემ გავაფრენ, იცოდე!

— შეგიძლია, არ გააფრინო! — გაეღიმა მეგის. — დღეს არც პროცესზე მივდივარ და არც კლიენტი მელოდება...

— მადლობა ღმერთს!.. — კინაღამ ტაში შემოჰკრა დალიმ.

— უბრალოდ, ხუთზე ლექცია მაქვს... — საათზე დაიხედა მეგიმ.

— რაის ლექცია? — ყურები ცქვიტა დალიმ. — ნეტავ, ლექტორობა როდისღა დაიწყე?

— ორი წლის წინ, — მშვიდად უპასუხა მეგიმ.

— მერე მე ამას ახლა უნდა ვიგებდე? — იწყინა დალიმ.

— ახლაც ვერ გაიგებდი, სიტყვას რომ არ მოეტანა, — კვლავ მშვიდად უპასუხა მეგიმ.

— ა! — მიუბრუნდა გაგულისებული დალი ზაზას. — უყურე ახლა ამას!.. მერე

კიდევ იტყვის, დაქალები ვართო!..

— ქალებო, ქალებო!.. ჩხუბი არ იყოს!.. — დალის და მეგის ხელკავი ფრთხილად გამოსდო ზაზამ და უკვე ეზოდან გამავალი სამგლოვიარო პროცესიისკენ მიაბრუნა. — მოდით, ჯერ მიცვალებული გავაცილოთ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ, კარგი?

— კარგი... — თითქმის ერთხმად უპასუხეს მეგიმ და დალიმ.

ახალგათხრილ და უსიამოდ პირდაღებულ საფლავთან მდგარი კახა გარშემო შემოკრებილთ ისე გულმოდგინედ ათვალიერებდა, რომ აშკარად ჩანდა, მათ შორის ვიღაცას ეძებდა. უცბად, საფლავისკენ მიმავალ ზაზას მოჰკრა თვალი, მას უკან დალი და მეგი მიჰყვებოდნენ. მეგის დანახვაზე, კახას სახეზე უმალ კმაყოფილება გამოეხატა. სამეული, საფლავის შორიახლოს შედგა. ქალებმა მაშინვე თავები დახარეს, ზაზამ კი, შეძლებისდაგვარად, მჭმუნვარე სახე მიიღო. კახას მათ სწრაფ სახეცვლილებაზე ტუჩის კუთხეებით გაეღიმა, შემდეგ, დედის კუბოსთან ჩაიმუხლა, მიცვალებულს ნიავისგან ოდნავ აწეწილ თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა და აქვითინდა.

კახას შემხედვარე მეგის საკუთარ დედასთან დამშვიდობების ბოლო წუთები გაახსენდა, თვალზე ჯერ ობოლი ცრემლი მოსწყდა, შემდეგ ცრემლები ღაპაღუპითაც წამოუვიდა და მხრებიც ციებიანივითი აუცახცახდა.

— კარგი ახლა, გეყოფა!.. — მხარზე ხელი მსუბუქად წაჰკრა მას დალიმ. — საფლავშიც კი ნუ ჩაჰყვები მარიკა პერტაიას!

— მე მარიკას კი არა, საწყალ დედაჩემს ვტირი... — ალალად აღიარა ბავშვივით ასლუკუნებულმა მეგიმ. — ყველაფერი ისე ცხადად დამიდგა თვალწინ, თითქოს გუშინ მოხდა...

— დედაშენი როდის მოკვდა? — უხეშად გააწყვეტინა დალიმ.

— მალე ათი წელი გახდება... — სლუკუნს განაგრძობდა მეგი.

— ეჰ!.. — ამოიოხრა დალიმ. — მე ვიკითხო, თორემ დედაშენს რა უჭირს?..

— ნეტავ, შენ რაღა შუაში ხარ? — გაღიზიანდა მეგი.

— რა შუაშიო?.. — კითხვა იქით შეუბრუნა დალიმ. — ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, ათი წლისთავზე ჩემს შვილს ჩემი სახელიც აღარ ემახსოვრება...

— მერე ვისი ბრალი იქნება? — ნიშნის მოგებით ჰკითხა მეგიმ.

— ქალებო!.. — ისევ დროულად სცადა სიტუაციის განმუხტვა ზაზამ. — დროა, გასასვლელისკენ დავიძრათ, თორემ ვატყობ, პროცესიას წეღანდელივით კუდში მოვექცევით და აქედან კარგა ხანს ველარ გავაღწევთ...

მეგი და დალი გასასვლელისკენ სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ზაზას უსიტყვოდ აედევნენ. მოგვიანებით, საუბარში გართულ წყვილს მეგიმ ჯერ ფრთხილად გაუსწრო, შემდეგ კი გასასვლელისკენ სწრაფად გასწია.

სასაფლაოს ჭიშკარში გამოსულ მეგის უცბად ვიღაცამ მხარზე ხელი ფრთხილად შეახო. მეგიმ მაშინვე მიიხედა და კახა დაინახა.

— დალი და ზაზა რა იქნენ? — ჰკითხა მან ქალს.

— არ ვიცი... — დაიბნა მეგი. — მგონი, უკან დარჩნენ...

— ზაზა მანქანით არის, ხომ?

— ჰო, აქ იმან ამოგვიყვანა.

— მაშინ დაელოდე და ოც წუთში სამივე, რესტორანში გაჩნდით!

— რომელ რესტორანში?

— „ფორტუნა“ ჰქვია, აქვე ახლოს არის...

— კახა!.. — დაიწყო მეგიმ. — მე ალბათ...

— არავითარი ალბათ! — გააწყვეტინა კახამ. — იცოდე, ძალიან მეწყინება, რომ სუფრაზე არ დარჩე!.. თანაც, თამადაც მე უნდა ვიყო და ცოტათი მაინც შემიბრალე!..

— არ მესმის, შენი თამადობა რაღა აუცილებელია? — გაკვირვებასთან ერთად, გაღიზიანებაც ვეღარაფრით დამალა მეგიმ.

— აუცილებელი არც დედაჩემის სიკვდილი იყო... — ბოღმიანად ჩაილაპარაკა კახამ.

— საწყენად ნამდვილად არ მითქვამს, — შეწუხდა მეგი. მაგრამ კახა მას ყურს აღარ უგდებდა:

— თამადობა კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ არ მინდა, დედაჩემის ჭირის სუფრაც, სხვა ქელეხებივით ბოლოს, გიტარასა და ჩქარ ტაშში გადაიზარდოს!.. მხოლოდ აუცილებელ სადღეგრძელოებს ვიტყვი, მერე ხალხს მადლობას გადავუხდი, დავემშვიდობები და თუ ვინმე საქეიფოდაა მოსული, ეს უკვე მის სინდისზე იყოს!.. თუ უნდა, დილამდე დარჩეს!.. რესტორანი მთელი ღამით მაქვს ნაქირავები და საჭმელ-სასმელიც თავზე საყრელადაა...

კახამ სუფრა მართლაც, მალე დაშალა, თუმცა ჭირისუფალთან დამშვიდობების პომპეზური ცერემონიალი თითქმის ნახევარი საათი კიდევ გაგრძელდა და ჩვენს სამეულსაც კარგა ხანს მოუხდა ლოდინი.

დამშვიდობებისას, კახამ მეგი განზე გაიხმო და თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა:

— ის ვაჟბატონი წუხელ შენთან ხომ არ იყო?

მეგის გულმა რეჩხი უყო, მაგრამ გარეგნულად მაინც არაფერი შეიმჩნია:

— რომელი ვაჟბატონი? — მშვიდად იკითხა მან.

— კარგად იცი, ვისზეც გეკითხები!.. — ბოღმიანად გამოცრა კახამ. — შალიკომ მითხრა, სვანიძე გათენებამდე ქალაქიდან არ გასულაო...

— აჰ, მაშ, შალიკომ გითხრა, ხომ?.. — თვალები ბოროტად დააკვესა მეგიმაც. — სუფრაზე გვერდიდან იმიტომ აღარ მოგცილდა, რომ შენთვის ტვინი ბოლომდე აერია?..

— ჩემს ტვინს თავი დაანებე და კითხვაზე მიპასუხე! — გააწყვეტინა კახამ.

— კი, ბატონო, გპასუხობ! — უცბად, თავი ხელში აიყვანა მეგიმ. — ის ვაჟბატონი წუხელ ჩემთან არ ყოფილა და არც ის ვიცი, ქალაქიდან როდის გავიდა. ეს მე კი არა, ჯერ ციხის უფროსმაც არ იცის!.. ყოველ შემთხვევაში, ამ დილით, როცა მე ციხეში ამბის გასაგებად მივედი, ჯერ არავინ არაფერი იცოდა... დანარჩენი კი იქნებ, ისევ ოშხერელისთვის გეკითხა, როგორც ვატყობ, ეგ არის შენი მთავარი ინფორმატორი... ახლა კი წავედი, თორემ უკვე ყველა გაოცებული მოგვშტერებია... — მოშორებით მდგარ ზაზასა და დალიზე ანიშნა მან კახას.

— ერთი მაგათიც!.. — ჩაიბურტყუნა კახამ. — შენ ის მითხარი, ჩვენი შეთანხმება ხომ არ დაგავიწყდა?

— რომელი შეთანხმება?.. კიდევ რა მოიგონე? — თავი შორს დაიჭირა მეგიმ.

— რა და ყველაფერი დედაჩემის დასაფლავების შემდეგ რომ უნდა გაგვერკვია...

— რა ყველაფერი? — თავი ბოლომდე მოისულელა მეგიმ.

— არ გეჩვენება, რომ ცეცხლს ეთამაშები? — თვალებიდან თავადაც კინაღამ ნაპერწკლები გადმოსცვივდა გაცოფებულ კახას.

— შენ კი არ გეჩვენება, რომ ცეცხლზე უკვე ნავთსაც ასხამ? — ცივად მიუგო მეგიმ და მაშინვე ზურგიც აქცია...

— აუ, მაინც რა ვართ ეს ქართველები! — ზაზას მანქანის წინა სავარძელში მოკალათებისთანავე აქაქანდა დალი. — ყველაფერში პოზიორობა გაგონილა?

— რას გულისხმობ? — მანქანის მოტორი სწრაფად აამუშავა ზაზამ და თან, უკანა სავარძელში ნაცემი ბავშვივით მოკუნტულ მეგის, მანქანის სარკეში თვალი გამომცდელად შეავლო.

— რას და ყველაფერს! — განაგრძო დალიმ. — ვერ გავიგე, გასვენებაში ვიყავით თუ თეატრში... ქელეხი ხომ მთლად წინასწარ დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა...

— მერე მაგაზე წუწუნებ? — მხარზე ხელი ნაზად შეახო ქალს ზაზამ. — არა მგონია, თეატრში ხშირად დადიოდე...

— ხშირად კი არა, ბოლოს როდის ვიყავი, აღარც კი მახსოვს, — აღიარა დალიმ.

— მაგრამ ასეც ხომ არ შეიძლება?! კახას თამადობამ მართლა ყველას და ყველაფერს „მოუჯოკრა“! პირველად ვნახე, კაცს საკუთარი დედის ქელეხში ეთამადოს...

— სხვათა შორის, ცუდად ნამდვილად არ გამოსვლია... — სასწრაფოდ გამოესარჩლა კახას ზაზა. — ერთი-ორჯერ ისეთი გულის მომკვლელი სიტყვებიც კი თქვა, რომ თვალზე კინაღამ ცრემლი მომადგა.

— კარგი! — მოულოდნელად შემოჰკრა ტაში დალიმ. — გასვენებებს და ქელეხებს მოვეშვათ და ახლა ის გადავწყვიტოთ, ჩვენ სად წავიდეთ?

— სადაც თქვენ იტყვით, — უპასუხა ზაზამ და კიდევ ერთხელ შეავლო მეგის თვალი სარკეში.

— პირადად მე, ისე დავიღალე, რომ... — დაიწყო მეგიმ, მაგრამ დალიმ აღარ აცალა:

— კარგი, რა, მართლა და მართლა, რა დაგემართა?.. საყვარელ სტუდენტებთან უკვე დაგაგვიანდა, სახლში კი ჯერჯერობით, არავინ გელოდება... წავიდეთ, ცოტა თვალი ჩვენც გავახილოთ...

— აუ, შენ რომ ადამიანს გადაეკიდები, ხომ საშველს აღარ მისცემ! — შეუღრინა მეგიმ დალის. — რა გაეწყობა, წავიდეთ!..

— ეგრე, რა! — კიდევ ერთხელ შემოჰკრა ტაში დალიმ და მაშინვე ზაზას ეცა: — ზა-აზ, სადმე ძაან მაგარ „პონტში“ წაგვიყვანე, რა!..

— „პონტისა“ რა გითხრა და რესტორანი მართლაც კარგი ვიცი... — დაიწყო ზაზამ. — ოღონდ, მანამდე, იქნებ, სადმე ბენზინიც ჩაგვესხა.

— აგე, იქ, მგონი „კალონკა“ უნდა იყოს, — ქუჩის ბოლოსკენ ანიშნა მას დალიმ.

როგორც კი ზაზა ბენზინის ჩასასხმელად გადავიდა, დალი მაშინვე მეგის ეცა:

— ე, გოგო, მართლა და მართლა, რას „ჩაიხვიე“ — არ მინდა და ვერ წამოვალო?..

— ჩახვეულ-გადახვეულები შენკენ მოიკითხე! — აღარ დაუთმო მეგიმაც. — მე პატიოსნად ვცდილობ, ამდენი ხნის უნახავ კაცთან მარტო დაგტოვო, შენ კი...

— შენ დარდი ნუ გექნება! — გააწყვეტინა დალიმ. — მე და ამ კაცს მთელი ღამე წინ გვაქვს...

— მადლობა ღმერთს! თორემ ვიფიქრე, სანთელიც მე არ დამაჭერინონ-მეთქი! — მაინც წაკბინა ქალს მეგიმ.

— აუ, ხანდახან, მაინც რა გველი ხარ!.. — თავი ბრაზიანად გაიქნია დალიმ, თუმცა უმალვე გაეღიმა: — იცი, რომ ზაზა ცოლს გაეყარა?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე?.. — უპასუხა მეგიმ, — თუმცა, სულით და გულით გილოცავ!

— კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ? — თავი შორს დაიჭირა დალიმ.

— თავს ნუ იკატუნებ, რა! — ისევ შეუღრინა მეგიმ. — კაცთან ღამე დარჩენაც კი უკვე გადაწყვეტილი გაქვს და მაინც იმას ამბობ, მე რა შუაში ვარო?

— რას გეტყვი, იცი? — თვალები ეშმაკურად მოჭუტა დალიმ. — სხვისი არ ვიცი და მე ორ კაცთან ყოფნაც არ გამიჭირდება!.. თანაც...

— ნუ უხამსობ, რა! — გააწყვეტინა მეგიმ.

— ჯერ დამამთავრებინე და ეპითეტებით მერე შემამკე! — აღარ დაუთმო დალიმაც. — სანამ ანდრო ციხეშია, ზაზასთან რომ ვიყო, ვითომ ამით რამე დაშავდება?

— შენთვის, ალბათ, მართლა არაფერი... — ხელი უნუგეშოდ ჩაიქნია მეგიმ.

ამასობაში, ზაზამ მანქანის კარი გამოაღო და ქალებმა კამათი სასწრაფოდ შეწყვიტეს.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — უცბად გაჩუმებულ ქალებს შეპარვით ჰკითხა ზაზამ.

— არა, რას ამბობ?!. — მაშინვე იუარა დალიმ. — ჩვენ მხოლოდ საჩვენო, დედაკაცურ პრობლემებზე ვლაპარაკობდით... თანაც, პრინციპში, უკვე ყველაფერი გავარკვიეთ, ხომ, მეგი? — მიუბრუნდა ის მეგის.

— რა თქმა უნდა... — კერი დაუკრა მან.

— მაშინ, წავედით! — თქვა ზაზამ და მანქანა დაძრა.

მალე მან ქალები სანაპიროზე, ხეების ჩრდილში შემალულ პატარა, კოპწია რესტორანში მიიყვანა და ოფიციანტს საკმაოდ დახვეწილი სუფრაც სწრაფად გააშლევინა. სუფრასთან დალიმ გულით მოილხინა, მეგი კი ისევ ცივი სახით იჯდა და ერთმანეთთან მოკურკურე ქალვაჟს გულგრილად აკვირდებოდა.

— გინდა, ვიცეკვოთ? — ჰკითხა უეცრად ზაზამ ფიქრებში წასულ მეგის.

— მე მეუბნები? — გაუკვირდა მეგის.

— ჰო, რა იყო? — ლაპარაკში სასწრაფოდ ჩაერთო დალი. — იქნებ, უკვე ცეკვაც დაგავიწყდა?

— არა უშავს! — სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა ზაზა და მეგიც თან აიყოლა. — დიდი მოცეკვავე არც მე ვარ! თანაც, ამას თქვენ ცეკვას ეძახით?.. — თვალით ანიშნა მან ერთმანეთს ჩაკონებულ რამდენიმე წყვილზე, რომელიც წყნარი მუსიკის ჰანგზე სულ ოდნავ თუ ირხეოდა...

როგორც კი ზაზამ მეგის წელზე ხელი შემოხვია, დარბაზში სწრაფი მუსიკის ხმა გაისმა და აქამდე უსიცოცხლოდ მოქანავე წყვილებმაც მაშინვე სასაცილო ძიგძიგი დაიწყეს.

— მე ამ მუსიკაზე ვერ ვიცეკვებ! — სასწრაფოდ გააპროტესტა მუსიკის შეცვლა მეგიმ.

— მერე ვინ გაიძულებს?! — წელზე მეორე ხელიც შემოხვია ქალს ზაზამ და თავისკენ მიიზიდა. — მეც ასე მირჩევნია.

მეგიმ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ხელები ზაზას მხრებზე მსუბუქად დააწყო.

— ასე არ სჯობს? — ყურში ვნებიანად უჩურჩულა ზაზამ.

— რას გულისხმობ? — თავი განზე გასწია მეგიმ.

— ვითომ ვერ ხვდები?.. მთელი საღამო მინდოდა შენი დამარტოხელება, რომ მეთქვა, როგორ დამშვენებულხარ... — კვლავ ვნებიანად ჩასჩურჩულა ზაზამ. — მიკვირს, ადრე თვალები სად მქონდა?..

— ზუსტად იქ, სადაც ახლა! — თვალი თვალში ბრაზიანად გაუყარა მამაკაცს მეგიმ. — არ გეჩვენება, რომ ერთ საღამოს ორი ქალის და თანაც, დაქალების „მოხსნა“ ცოტა უხერხულია?

— კარგი ერთი... — წარბიც არ შეუხრია ზაზას. — რაღა დროს დალის „მოხსნაა“?.. უკვე მთელი კვირაა, ისევ ერთად ვართ.

— მართლა? — გაუკვირდა მეგის.

— მართლა, მართლა! — დაუდასტურა ზაზამ.

— შერიგდით?

— არც არასდროს გვიჩხუბია.

— მე სხვა შერიგებაზე გეკითხები..

— მაშინ ჩემი პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია: არა! დალის მე არ...

— გასაგებია!.. — გააწყვეტინა მეგიმ. — ყოფილ ცოლს არ შეურიგდები, მაგრამ მის დაქალს...

— არ გინდა, რა! — ახლა ზაზამ აღარ აცალა სიტყვის დასრულება. — სად შენ და სად დალი?!. მე შენთან დაკავშირებით სულ სხვა გეგმები მაქვს!

— საინტერესოა, გეგმების დაწყობა როდისღა მოასწარი?

— მთელი დღე აბა, სხვას რას ვაკეთებდი?.. გიყურებდი და ვფიქრობდი...

— სულ ტყუილად! მაგ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა!

— რატომ?.. სხვა გიყვარს?

— კი.

— ვინ?

— ჩემი შვილი...

— შვილი? — გაკვირვება ვეღარ დაფარა ზაზამ. — შენ რა, გათხოვილი ხარ?..

— შენისთანა კაცისგან არ მიკვირს, ამას რომ მეკითხები? შვილის გაჩენას გათხოვება რად უნდა? — აგდებულად ჰკითხა მეგიმ.

— კი, მაგრამ დალის რომ ამაზე საერთოდ არაფერი უთქვამს?

— დალიმ არც არაფერი იცის და იმედია, შენც ენას კბილს დააჭერ...

— კი... რა თქმა უნდა... — დაბნეულად



ჩაილაპარაკა ზაზამ. — მართალი გითხრა, არ მეგონა, თუ შენც...

— მეც... მეც... — კვერი დაუკრა მეგიმ. — ასე რომ, სანამ დროა, გონს მოდი და საკუთარი შვილის დედას მაინც დაუბრუნდი!..

— არა! — თავი უარის ნიშნად, რამდენჯერმე გადააქნია ზაზამ. — ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შევალ!..

უკვე კარგა გვიანი იყო, როცა ზაზამ მანქანა მეგის სადარბაზოსთან დაამუხრუჭა, მანქანიდან სწრაფად გადახტა და მეგის გადასვლაში მიეხმარა.

— ბინამდე მიგაცილებ! — შესთავაზა მან შემდეგ. — თორემ, სადარბაზოში ისე ბნელა, რომ...

— არ არის საჭირო! — იუარა მეგიმ. — ამ კიბის ყველა საფეხური ზეპირად ვიცი და საკუთარ ბინას თვალდახუჭულიც კი სულ თავისუფლად მივაგნებ.

— კიბეზე ვინმე რომ დაგხვდეს? — თავისას მაინც არ იშლიდა ზაზა.

— ე, ბიჭო!.. შეეშვი რა! — გამოსძახა მანქანიდან უკვე ზომაზე მეტად გაღიზიანებულმა დალიმ. — დახვდება და დახვდეს!.. ბოლოს და ბოლოს, მაგასაც ეშველება და ჩვენც!..

დალის ღვარძლიანი სიტყვების გამგონე ზაზას შეეშინდა, გაცოფებულ ქალს კიდევ რამე უარესიც არ წამოეყრანტალებინა, ამიტომ მეგის სწრაფად დაემშვიდობა და დალის გვერდში მორჩილად მიუჯდა...

მეგიმ თავის ბინამდე მართლაც, მშვიდობიანად ააღწია, ხელჩანთა ჰოლში მიაგდო, სასტუმრო ოთახში შეირბინა და ფანჯარაში გაიხედა. ზაზა და დალი უკვე წასულიყვნენ.

— მადლობა ღმერთს, ეს გიჟები მაინც მოვიშორე! — შვებით ამოისუნთქა მეგიმ, შემდეგ ტანსაცმლის გასახდელად, საძინებელში შევიდა და თვალში მაშინვე, საწოლზე მიგდებული, ანდროს წერილი ეცა.

მეგიმ ტანსაცმელი დინჯად გაიხადა, ხალათი ჩაიცვა, წერილს ხელი წამოავლო, ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა და გვერდიგვერდ მდგარი სავარძლებიდან ერთ-ერთში მოწყვეტით ჩაეშვა.

უცბად, შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ ნერვიულად დააკაკუნა. მეგიმ მაშინვე ყურები ცქვიტა. კაკუნი გამეორდა. მეგი ჰოლში გავიდა და კარს მიუახლოვდა:

— ვინ არის? — შიშნარევი ხმით იკითხა მან.

— ანდრო ვარ, — მოისმა კარს იქიდან მამაკაცის მისუსტებული ხმა.

— ანდრო?!. — გული კინაღამ საგულიდან ამოუხტა მეგის, კარს დაუფიქრებლად ეცა, ყველა საკეტი ერთმანეთის მიყოლებით დახსნა, კარი ფართოდ გამოაღო და მაშინვე ტყვიანაკრავივით გაშეშდა: ზღურბლზე უცნაურად მოქანავე კახა სუთიძე იდგა...

— არ მელოდი, ქალბატონო? — კბილებში ბოროტად გამოცრა მან.

შიშით უმალ გონს მოსულმა მეგიმ კარის მიკეტვა დააპირა, მაგრამ კახამ კარს ფეხი დაახვედრა. ცოტა ხანს ასე იდგნენ და ერთმანეთს თვალებით ბურღავდნენ. შემდეგ, ბედს შერიგებული მეგი განზე უსიტყვოდ გადგა, კახა კი ჰოლში ბარბაცით შევიდა, კარი მიაჯახუნა და წონასწორობის შესანარჩუნებლად, კარს ზურგით მიეყრდნო.

— ყველა სიკეთესთან ერთად, მგონი, უგონოდ მთვრალიც ხარ! — ზიზღით აათვალიერ-ჩაათვალიერა ის ქალმა.

— მგონი კი არა, მართლა მაგარი მთვრალი ვარ... — კარს რამდენჯერმე გაეხახუნა კახა და შემდეგ პირდაპირ მეგისკენ დაიძრა.

დამფრთხალი მეგი მაშინვე კედელს აეკრა, კახა კი ხელებით ჰაერსღა წაეპოტინა და ბოლო წამს სასტუმრო ოთახის კარის ჩარჩოს რომ არ ჩასჭიდებოდა, იატაკზე ბრაგვანსაც მოიღებდა.

— აქა მშვიდობა და ხალხთა შორის სოლიდარობა! — ცოტა ხანს ახლა სასტუმრო ოთახის ზღურბლზე იქანავა კახამ. ბოლოს, გვერდიგვერდ მდგარ სავარძლამდე ბარბაცით მიაღწია, ერთ-ერთში მოწყვეტით ჩაეშვა, მეორეზე კი ხელი დაატყაპუნა და მეგი თავისთან შინაურულად მიიხმო: — მოდი აქ, ჩემ გვერდით დასკუპდი!

— არც იოცნებო! — კარში ძეგლივით ჩადგა მეგი.

— ვიოცნებო?.. — ქალი ამრეზით შეათვალიერა კახამ. — ვისზე?.. შენზე?.. არც მიფიქრია...

— რატომ? — გულხელი დემონსტრაციულად დაიკრიფა მეგიმ. — ვითომ, ჩემზე უკეთესებზე ოცნებობ?

— არა!.. — პატიოსნად აღიარა კახამ. — უბრალოდ, შენ, სხვებისგან განსხვავებით, ძალიან მაგარი გიჟიც ხარ!

— უკვე საკუთარ სახლშიც მლანძღავ? — ხმას აუწია მეგიმ.

— ჩ-ჩუ-უ! — პირთან საჩვენებელი თითი ძლივს მიიტანა კახამ, — რა გაყვირებს?.. ხომ შეიძლება, მეზობლებმა გაიგონონ, რომ შუაღამისას, შენისთანა პატიოსან ქალთანაც...

— ჩემს პატიოსნებას თავი დაანებე! — უხეშად გააწყვეტინა მეგიმ. — და ის გამაგებინე, ამ შუაღამისას აქ რისთვის მოხვედი?

— კარგი კითხვაა!.. — სავარძელში არხეინად გადაწვა კახა და რუსულად დაუმატა: — Молодец, девочка!

— მე არ მეხუმრება! — ხმას აუწია მეგიმ.

— არც მე! — კბილებში ბოროტად გამოცრა უცბად კახამ და სიმთვრალისგან ისედაც ზომაზე მეტად ამღვრეულ თვალებში რაღაც ველურიც გაუკრთა.

აქამდე საბრძოლველად შემართული მეგი მამაკაცის გამოხედვამ აშკარად დააფრთხო და სათქმელიც უმალ შეარბილა:

— ამდენი მაინც, რატომ დალიე?.. დღეს, დედაშენის ქელეხში სხვებს უშლიდი დალევას და მერე ისეთი რა მოხდა, რომ...

— მოხდა! — გააწყვეტინა კახამ. — ამიტომ ავდექი და დავლიე!

— ხომ ვერ მეტყვი, რა მოხდა? — შეპარვით ჰკითხა მეგიმ.

— გეტყვი... ოღონდ, ჯერ ჩემთან მოდი! — სავარძელზე კიდევ ერთხელ დაატყაპუნა ხელი კახამ.

მეგიმ მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და კახას პირდაპირ, კედელთან მდგარი ტახტის კიდეზე ჩამოჯდა. დაჯდომისას კაბა წამოეწია და ლამაზი მუხლისთავები გამოუჩნდა.

— გისმენ!.. მითხარი, რა გინდა? — კაბის ბოლო სასწრაფოდ დაბლა დაქაჩა მეგიმ, მაგრამ როგორც კი ხელი უშვა, მუხლისთავები ისევ მოუშიშვლდა.

— ვერ ხვდები, რაც მინდა? — ქალის

უშედეგო მცდელობამ აშკარა სიამოვნება მოჰგვარა კახას.

— რომ ვიცოდე, ხომ აღარ გკითხავდი, — არაფერი შეიმჩნია მეგიმ.

— ის ახვარი წუხელ აქ იყო, ხომ? — უცბად, თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა მას კახამ.

— რომელი ახვარი? — გამტკნარდა მეგი.

— რომელიც წეღან მე გეგონე და ამიტომაც, კარი სასწრაფოდ გამიღე! — ხმას აუწია კახამ.

— არ გეჩვენება, რომ ახლა შენ ყვირი? — სიტყვა ბანზე აუგდო მეგიმ. — რა?.. ჩემი პატიოსნება უკვე აღარ გაღელვებს?

— შენ იმაზე მიპასუხე, რაც გკითხე! — ხმას კიდევ უფრო აუწია კახამ. — ანდრო ახვარი წუხელ აქ იყო-მეთქი?!

— ანდრო სვანიძე ჩემთვის ახვარი კი არა, ფულიანი კლიენტია... — პირდაპირ პასუხს ისევ აარიდა თავი მეგიმ.

— ამიტომაც ჩაიგორე, ხომ, ლოგინში? — თვალები დაუბრიალა მას კახამ.

— ეგ საიდანღა მოიტანე? — ახლა კი მართლა იფეთქა მეგიმ. — ჯერ საქმე ისე ნამდვილად არ გამხდომია, რომ პატიმრებს თავი გავუყადრო!.. მეტიც!.. ანდრო მე თვალითაც კი არ მინახავს! — საკმაოდ დამაჯერებლად იცრუა მან ბოლოს.

— მართლა? — თვალები გამომცდელად მოჭუტა კახამ.

— მართლა! — წარბიც არ შეუხრია მეგის...

— აბა, მიშიკო დაიფიცე!

— რა თქვი?.. — ხმა ჩაუწყდა მეგის.

— რაც გაიგონე!.. შვილი დაიფიცე-მეთქი!

— ნუ სულელობ, რა! — ისევ მოითქვა სული მეგიმ. — რადგან გეუბნები, არ მინახავს-მეთქი, ესე იგი, არ მინახავს! ხომ იცი, რომ მსგავსი სისულელისთვის მე შვილს არ დავიფიცებ?!

— მაშ, სისულელისთვის, ხომ?..

— დიახ, სისულელისთვის, რომელიც მხოლოდ შენი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია! — სიფრთხილე საბოლოოდ დაავიწყდა მეგის.

— ესე იგი, უკვე ავადმყოფიც ვარ?

— როგორც გინდა, ისე გაიგე! — ფეხზე დემონსტრაციულად წამოდგა მეგი და თან, კედლის საათს შეხედა: — უკვე ძალიან გვიანია. ხვალ კი ადრე ვარ ასადგომი... ასე რომ, ღამე მშვიდობისა!

— მოიცა! — გააწყვეტინა კახამ. — მე ჯერ ლაპარაკი არ დამიმთავრებია!

— მე კი დავამთავრე! — სასწრაფოდ კართან გაჩნდა მეგი. — ახლა საბაზანოში შევდივარ და რომ გამოვალ, იცოდე, აქ აღარ დამხვდე, თორემ მთელ სამეზობლოს შეგიყრი!..

გაგრძელება იქნება

ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის 2000 წლის „ოსკარის“ მფლობელი ფილმში „ბიჭები არ ტირიან“, 29 წლის ჰილარი სუონკი ქალის თეთრეულის — Calvin Klein Sensual Support ახალი ხაზის სახე გახდა. „ჩვენი სარეკლამო კამპანიისათვის ჰილარი იდეალური არჩევანია, — ამბობს ფირმის მთავარი ვიცე-პრეზიდენტი კიმ ვერნონი. — იგი შესანიშნავად გადმოსცემს ჩვენთვის საჭირო შეგრძნებებს, ჩვენს ფოტოებზე ის სრულიად განსხვავებულია, ასეთი ჰილარი ჯერ არავის უნახავს“. კოლექცია Calvin Klein Sensual Support მაღაზიებში ამა წლის ივლისში გამოჩნდა.

ჰილარი სუონკი
ოლიმპიადის ამბავი

ჰილარი სუონკი 1974 წლის 30 ივლისს ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბელინგემში დაიბადა. ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როდესაც მშობლები ერთმანეთს გაეყარნენ. ბავშვობაში სპორტით იყო გატაცებული, ტანვარჯიშში ჩემპიონობა მოიპოვა და ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე მოცურავეთა ნაკრების წევრიც კი იყო (სხვათა შორის, უკვე ცნობილი მსახიობი, მოდების



პოპულარული ჟურნალის „მარი კლერ“ ფოტოგადაღებებზე ცირკის აკრობატებთან ერთად ტრაპეციაზე ვარჯიშობდა და ეს იმდენად მოეწონა, რომ საცირკო წარმოდგენებშიც კი აპირებდა მონაწილეობას). ჰილარიმ სკოლა სამხრეთ პასადენაში დაამთავრა და 16 წლისამ, უზღვავი ენერგიის დასაოკებლად და ამბიციების დასაკმაყოფილებლად ლოს-ანჯელესს მიაშურა. მისი კინოკარიერა 1991 წელს ტელესერიალებში ეპიზოდური როლებით დაიწყო. პროდიუსერებმა მალე შეამჩნიეს მისი განსაკუთრებული ნიჭი და უკვე 1992 წელს ეკრანებზე პირველად გამოვიდა ფილმი „ბაფი – ვამპირთა გამანადგურებელი“ ჰილარი სუონკის მონაწილეობით. ორი წლის შემდეგ, პირველად მიიღო მთავარი როლი სათავგადასავლო ფილმში „კარატეს კიდევ ერთი ლეგენდა“, სადაც აღმოსავლური ორთაბრძოლებით გატაცებული 17 წლის გოგონა განასახიერა. ფილმის გადაღებების დაწყებამდე, ჰილარიმ საფუძვლიანად შეისწავლა საბრძოლო ხელოვნება. ცნობილ მწვრთნელებთან დღეში 5 საათს ვარჯიშობდა, მაგრამ სამწუხაროდ, იმ კინოფილმმა მას პოპულარობა ვერ მოუტანა. მომდევნო წლებში ახალგაზრდა მსახიობი ძირითადად ნაკლებად ცნობილ ფილმებში მონაწილეობდა, რასაც ახალგაზრდულ სერიალში – „ბევერლი ჰილზი 90210“ – კარლი რეინოლდსის როლი მოჰყვა და ჰილარი სუონკის კარიერაში აღმასვლა დაიწყო. ითამაშა ფილმებში: „საშინელება ოჯახში“ (1996), „ყალბი ფულის მჭრელები“ (1996), „ზოგჯერ ისინი ისევ ბრუნდებიან “(1995). მსახიობის საუკეთესო ნამუშევრად ტინა მერი ბრენდონის როლს მიიჩნევენ ფილმში „ბიჭები არ ტირიან“ (1999), რომელსაც 1994 წელს ნებრასკაში მომხდარი ამბავი დაედო საფუძვლად. სუონკის გმირი გოგონა თავს მუდამ ბიჭად გრძნობდა, თმას მოკლედ იკრეჭდა, ბრენდონი დაირქვა და სქესის შეცვლა გადაწყვიტა. ღამის ბარებში დროს მხიარულად ატარებდა, ხელჩართულ ბრძოლებში მონაწილეობდა. ერთხელაც ორი ყმაწვილისა და მათი გოგონების ჯგუფს დაუახლოვდა და ერთ-ერთი გოგონა, ლანა შეუყვარდა. ტინას ოცნებას – ბრენდონად გადაიქცეს – ასრულება არ უწერია, მას კლავენ. ტინა-ბრენდონის როლი მნიშვნელოვან ეტაპად იქცა სუონკის კარიერაში. მან ერთ პიროვნებაში ორი სხვადასხვა ადამიანის განსახიერება შესანიშნავად შეძლო. „ჩვენი უპირველესი ამოცანა, ფილმისათვის მთავარი როლის შემსრულებლის პოვნა იყო, – ამბობს პროდიუსერი ჯეფრი შარპი – ჩვენი ეჭვები მაშინ გაიფანტა, როდესაც სინჯებზე ჰილარი სუონკი მოვიდა, ოფისის ვესტიბიულში შემოვიდა, გრძელი თმა კოვბოური ქუდის ქვეშ დამალა და რეგისტრატორს ჩაუარა. რეგისტრატორმა მოგვახსენა – გასინჯვაზე ახალგაზრდა მამაკაცი მოვიდაო. სწორედ ამან დაგვარწმუნა, როლი მისთვის მიგვეცა“.

როლმა ჰილარი საოცრად შეცვალა, მან ხომ იშვიათი შანსი მიიღო, საპირისპირო სქესის ცხოვრებით ეცხოვრა. კუნთების დასაყენებლად და ხმის ტემბრის შესაცვლელად სახმო სიმების ვარჯიშებს ექვსი კვირა დასჭირდა, ბოლოს, გრძელი თმაც მოკლედ შეიკრიჭა... „ქუჩაში ხალხს ბიჭი ვეგონე, გულდასმით ვაკვირდებოდი მათ თვალებსა და რეაქციას. მაგარი იყო, როდესაც მამაკაცად აღმიქვამდნენ. ეს დამეხმარა, ბრენდონისათვის გამეგო, რადგან ეს მხოლოდ თამაში კი არა, ჩემი ცხოვრებაც იყო“ – იგონებს მსახიობი. ამ როლისათვის ჰილარი სუონკმა ათამდე ჯილდო და პრემია მიიღო, მათ შორის, ნანატრი „ოსკარი“ და „ოქროს გლობუსი“. ერთი წლის შემდეგ კი, როგორც მომავლის ყველაზე „კაშკაშა ვარსკვლავს“, პრემია Sho West მიანიჭეს.

2002 წელს ეკრანებზე გამოვიდა რეჟისორ სემ რეიმის სურათი „საჩუქარი“, სადაც ჰილარი სუონკმა ეპიზოდური როლი ითამაშა. მისი პარტნიორები კეიტ ბლანშეტი და კიანუ რივზი იყვნენ. ფილმმა კრიტიკოსების მოწონება დაიმსახურა და „ოსკარზეც“ იყო წარდგენილი.

სულ ცოტა ხნის წინ, ეკრანებზე კიდევ ერთი ფილმი გამოჩნდა ჰილარის მონაწილეობით. ეს გახლდათ „ამბავი ყელსაბამისა“ – სადაც მსახიობი სრულიად ახალ ამპლუაში წარმოგვიდგა. მისი გმირი – ჟანა გალუა – XVIII საუკუნის მომხიბვლელი ფრანგი ქალია, რომელმაც ინტრიგათა ქსელში მრავალი არისტოკრატი გააბა, მარია ანტუანეტა და ლუდოვიკო XVI ეშაფოტზე აიყვანა და 800-წლიანი აბსოლუტური მონარქიის დამხობის მიზეზი გახდა.

ჰილარი სუონკის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია დეტექტივ ელენ ბერის როლი კრისტოფერ ნოლანის ფილმში „უძილობა“, ალ პაჩინოსა და რობინ უილიამსთან ერთად. კარატისტი, ინტრიგანი, იდეალისტი დეტექტივი – ასეთია მისი ახალი სახე, რომელმაც მსახიობს ძლიერი, გამბედავი, თავდაჯერებული გმირების ამპლუაში დაუმკვიდრა ადგილი. ■

70 მილიონად ღირებული „ძირითადი ინსტინქტი“

თავის დროზე გახმაურებული ამ ფილმის სიქველი, ბოლოს და ბოლოს, სასტარტო ნიშნულს უახლოვდება: როგორც დასავლური პრესა იუწყება, უკვე გადაწყვეტილია მის გადასაღებად, 70 მლნ დოლარის გამოყოფა. კომპანიის – International Media – მესვეურთა თქმით, საქმის ფინანსურ მხარეს გერმანული კინოფონდი – IMF3 მიადევნებს თვალს. მაგრამ როდის დაიწყება გადაღებები – ამის შესახებ ჯერ-ჯერობით თავად კინემატოგრაფისტებმაც არ იციან. ჯერ ისიც უცნობია, თუ ვინ გაუწევს პარტნიორობას მშვენიერ შერონ სტოუნს, რომელსაც ორ ძირითად მოთხოვნას უყენებენ: საკმარისად სექსუალურად უნდა გამოიყურებოდეს, მაგრამ არა იმდენად ახალგაზრდულად, რომ შერონის გვერდით, ღლაპად გამოჩნდეს...

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

„ოსკარის“ ცერემონიას კრის როკი გაუძღვება

ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს გადაცემის ცერემონიას, რომელიც 2005 წლის 27 თებერვალს გაიმართება, კრის როკი გაუძღვება. შოუს პროდიუსერის ჯილ გეიტსის თქმით, ცნობილ კომიკოს მსახიობზე არჩევანის შეჩერება, მისმა ენამახვილობამ და სხარტმა გონებამ განაპირობა. „კრისი კომედიური ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე მსახიობია და ყოველთვის კარგად იცის, თუ რა უნდა თქვას“, – აღნიშნა გეიტსმა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ცერემონიის წამყვანი, ასევე კომიკოსი მსახიობი ბილი კრისტალი გახლდათ, რომელმაც ეს როლი უკვე მერვედ მოირგო. კრის როკი შოუს წამყვანად პირველად მოგვევლინება. საწამყვანო გამოცდილება მან შარშან, MTV-ის ჯილდოების გადაცემის ცერემონიაზე მიიღო. აი, როგორც ლაურეატს კი, კრისს უკვე ხუთჯერ მოუხდა სცენაზე ასვლა: ის „ემის“ სამგზისა და „გრემის“ ორგზის მფლობელი გახლავთ.

■

მიშელ პფაიფერი ქმარს გულს სტკენს

ცნობილ ამერიკელ ტელეპროდიუსერს დევიდ კელის ძალზე სწყინს, რომ მისი სახელგანქმული ცოლი – ჰოლივუდის ვარსკვლავი მიშელ პფაიფერი უარს ამბობს მასთან ერთად მუშაობაზე. კელის სურს, რომ მიშელმა მონაწილეობა მიიღოს ახალ პროექტში – „ბოსტონელი ადვოკატები“, რომელიც აშშ-ში პოპულარული სერიალის – „პრაქტიკის“ გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ პფაიფერი თურმე, ამაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ფილმის გადაღებას მის მეუღლეს ჩამოაცილებენ. როგორც ჟურნალისტები ამბობენ, შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყოს, რომ მიშელი წარსულში, მსახიობისა და რეჟისორის პიტერ ჰორტონის ცოლი იყო და მასთან შემოქმედებითი ურთიერთობაც აკავშირებდა; პფაიფერს არ სურს, რომ ისტორია გამეორდეს, ამიტომ უფრთხის ქმართან ერთად მუშაობასო, – აღნიშნავენ მწარე ენის პატრონი ჟურნალისტები.

■

კორტნი თავის სახეს ავრილს ანდობს...

კანადელი მსახიობი გოგონა აქტიურად ემზადება ნორჩი კორტნი ლავის ეკრანზე განსახიერებისათვის და უკვე თმაც კი შეიღება ქერად – ზუსტად ისე, როგორც კურტ კობეინის ქვრივს სიყმაწვილის წლებში ჰქონდა შეღებილი. ფილმში მოთხრობილი იქნება უბრალო ამერიკელი გოგონას ამბავი, რომელიც ლეგენდარული მუსიკოსის ცოლი გახდა, მისი თვითმკვლელობის შემდეგ, საკუთარ თავში იპოვა ძალები, რომ დამოუკიდებლად შეექმნა კარიერა და თავადაც ვარსკვლავად ქცეულიყო... ავრილ ლავინი აღფრთოვანებულია იმით, რომ ამ როლის შესრულება სწორედ მას ანდვეს. თავად კორტნი კი, „დიდსულოვნად“ დათანხმდა ეკრანზე მისი სახის გაცოცხლების იდეას და არც ამ როლის შემსრულებელი დაუწუნია.

■

კანადელი ჯიმ კერი ამერიკელად იქცა

წარმოშობით კანადელი ჯიმ კერი, მსახიობური კარიერის მიუხედავად, წლების მანძილზე, ვერ ახერხებდა აშშ-

ის მოქალაქეობის მიღებას; შესაძლოა, იმის გამო, რომ კანადის მოქალაქეობაზე უარის თქმა არ სურდა. „არ ვაპირებ, კანადურ წარსულსა და ყველასა თუ ყველაფერ იმაზე უარის თქმას, რასაც ჩემს წარმატებებს უნდა ვუმადლოდე. კანადაში გავიზარდე, იქ ჩამოვყალიბდი, როგორც პიროვნება და მუდამ სიამაყით ვილაპარაკებ ამაზე“, – აღნიშნა ინტერვიუში კინოვარსკვლავმა, რომელმაც როგორც იქნა, მიაღწია საწადელს: კანადის მოქალაქეობაც შეინარჩუნა და აშშ-ის მოქალაქეც გახდა. ■

გვინეტ პელტროუ მოჩვენებებით სავსე სახლში ცხოვრობს

ცოტა ხნის წინ, ვარსკვლავურმა წყვილმა – გვინეტ პელტროუმ და როკმუსიკოსმა კრის მარტინმა მეორე ვარსკვლავური წყვილისგან – კეიტ უინსლეტსა და სემ მენდესისგან 5,7 მლნ დოლარად შეიძინა სახლი, რომელიც იქ გადასვლამდე უნდა შეეკეთებინა. მაგრამ მეზობლებმა ცოლ-ქმარს აუწყეს, რომ ამ სახლს პარანორმალურ მოვლენებთან დაკავშირებული ისტორია აქვს და ამის გამო, ყველას, ვინც კი იქ დაბინავებულა, ოჯახური პრობლემები გასჩენია; უინსლეტმა და მენდესმაც ასე მალე, სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს სახლის გაყიდვა: როგორც ჩანს, მათ იგრძნეს ბოროტი ძალების არსებობაო... ■

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების გამარჯვებებმა ჩვენს გულშემატკივრებს დიდი სიხარული მოუტანა, თუმცა უკმარისობის გრძნობაც დარჩათ. ყველაზე დიდი იმედით თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა გამოსვლების ტელერეპორტაჟებს ველოდით, მაგრამ მათ შორის პრიზიორი, მხოლოდ რამაზ ნოზაძე გახდა, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. 20 წლის ჭაბუკისთვის ეს უდავოდ დიდი მიღწევაა. სხვა ფალავნებმა კი, სამწუხაროდ, იმედები გაგვიცრუეს. რა იყო ჩვენი ათლეტების ამგვარი გამოსვლის მიზეზები, მათ შორის ობიექტური სჭარბობს თუ სუბიექტური? ამ და ჩვენთვის საინტერესო სხვა კითხვებზე პასუხების მისაღებად, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბეჟა დარჩიას შევხვდით.

ამრეზპირებული – ფილა, ახალი წესები იანვრიდან და რასტმ აწუხებთ ქართველ ფალავნებს წინის პრობლემა

გოგი ფრანგიშვილი

— ათენში თქვენ მესამედ ხელმძღვანელობდით საქართველოს ნაკრებს. საინტერესოა, რომელი ოლიმპიური თამაშები იყო პირადად თქვენთვის ყველაზე რთული?

– ოლიმპიური თამაში, ყველა რთულია. ადვილად ვერც ერთ მათგანზე ვერ გაიმარჯვებ. თუმცა, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როდის როგორი პირობები გვქონდა, რამდენად გაგვიმართლა, რა შედეგებს მივაღწიეთ, ოლიმპიადებს შორის მაინც არის განსხვავება. 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის ძალზე რთულ პირობებში ვემზადებოდით. ამასთანავე, ძველი თაობა უკვე ანებებდა თავს ჭიდაობას, ახლები ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადოდ დაოსტატებულნი. არც სავარჯიშო პირობები გვქონდა ნორმალური და უსახსრობის გამო, ვერც საერთაშორისო ტურნირებზე მივემგზავრებოდით. ატლანტის ხალიჩაზე სულ 4 მოჭიდავე გავიყვანეთ. მათგან ძველი სკოლა მხოლოდ კობა გულიაშვილს ჰქონდა გავლილი და ყველაზე კარგი შედეგიც კობას ჰქონდა. გულიაშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა, თუმცა ბრინჯაოც შეეძლო აეღო, ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი... 4 წლის შემდეგ, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე უკვე ბრინჯაოს 2 მედალი მოვიპოვეთ. ავსტრალიაში მუხრან ვახტანგაძე და აკაკი ჩაჩუა გახდნენ პრიზიორები. ამასთან, აკაკი აშკარად დაგვიჩაგრეს: ნახევარფინალში რუსეთის წარმომადგენელ ვარტერეს სამურგაშვილთან ორთაბრძოლისას, ამ უკანასკნელის მფარველებმა, რომლებსაც კარგად იცნობენ მოჭიდავეთა სამყაროში, რუმინელი მსაჯის შემწეობით, ჩვენს ფალავანს წააგებინეს... თუ შევადარებთ ამ ოლიმპიადებს და ათენში გამართულ ასპარეზობებს, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის დედაქალაქში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ამჯერად ვერცხლის მედლის მოპ-



უძლიერესის ტიტულის დაცვა, ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება, მით უმეტეს, როდესაც არც კენჭისყრაში გიმართლებს და არც მსაჯები გწყალობენ

ოვება შევძელით, ეს ტურნირი მთლიანობაში ყველაზე რთული აღმოჩნდა ჩვენთვის. ამის მთავარი მიზეზი, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, საერთაშორისო არენაზე ჩვენი ავტორიტეტია: საფრანგეთში გამართულ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გამარჯვების შემდეგ, ყველა დარწმუნდა, რომ ათენში ქართველები უმაღლესი ხარისხის მედლებისათვის იბრძოლებდნენ და ჩვენს წინააღმდეგ საჭიდაოდ განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. ელინთა სამშობლოში ჩვენს ნაკრებს „მრბოლელთა გუნდიც“ კი შეარქვეს, მაგრამ უძლიერესის ტიტულის დაცვა, მოგეხსენებათ, ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება, მით უმეტეს, როდესაც არც კენჭისყრაში გიმართლებს და არც მსაჯები გწყალობენ. თუ გავიხსენებთ, წონითი კატეგორიების მიხედვით ქვეჯგუფებში ჩვენს ფალავნებს ძალიან ძლიერ მეტოქეებთან მოუწიათ ჭიდაობა. გასაგებია, რომ თუ ოლიმპიური ოქროსათვის იბრძვი, ყველას უნდა სძლიო, მაგრამ ერთია, როდესაც შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებთან გამარჯვების შემდეგ, ნელ-ნელა შედიხარ შეჯიბრების რიტმში და თანდათან ფორმაში დგები და სულ სხვაა, როცა თავიდანვე მთავარ ფავორიტებთან ორთაბრძოლა გიწევს. ავიღოთ თუნდაც, მანუჩარ კვირკველიას სასტარტო ორთაბრძოლა თურქ მოჭიდავესთან, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ სერიფ ეროღლუსთან. მანუჩარი და სერიფი ათენამდე ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს სხვადასხვა ტურნირში. პირველი 3, თურქის გამარჯვებით დასრულდა, შარშან კი მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენებურმა იმარჯვა. ათენის ხალიჩაზე თურქი ფალავანი წესიერად არ ჭიდაობდა: მსაჯებისაგან მალულად თითებს უმტვრევდა მანუჩარს, ერთიორჯერ თავიც მიარტყა. არადა, ხალიჩის გარეთ ისინი მეგობრობენ კიდეც... სხვათა შორის, მეტოქის მოსალოდნელი ხრიკების შესახებ მე ვაფრთხილებდი კვირკველიას. ვიცოდი, ოლიმპიადაზე ბევრი მიმართავდა ასეთ ფანდებს, მაგრამ მანუჩარს ნერვებმა უმტყუნა. აღელვებულმა ჯერ მეტოქეს მიუზღა საკადრისი, ხოლო შემდეგ – მსაჯებს, ამის შედეგად კი, ის შეჯიბრებიდან მოხსნეს და ოქროს მედლის რეალური პრეტენდენტი სტარტზევე გამოეთიშა ასპარეზობას... ამ ოლიმპიადაზე თავისი როლი ითამაშეს მსაჯებმაც. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ამა თუ იმ სპორტსმენის წარუმატებლობა არბიტრების არაობიექტურობას გადავაბრალო, მაგრამ დღეს უკვე ყველა ხედავს, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (ფილა) პრაქტიკულად არაფერს აკეთებს მიკერძოებული მსაჯობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის გამო ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის ფალავნები იჩაგრებიან. პირადად მე ამ ოლიმპიადაზე ირაკლი ჭოჭუასა და აკაკი ჩაჩუას დამარცხებულებად არ ვთვლი. ორივე, არაობიექტური, უსამართლო მსაჯობის გამო გამოეთიშა ტურნირს. ამ ოლიმპიადაზე მსაჯებმა ისე გაგვამწარეს, ერთი პირობა ვიფიქრეთ, პროტესტით მიგვემართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის, მაგრამ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შემდეგ, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირი იწყებოდა და შესაძლებელი იყო, რომ ჩვენს საჩივარს მათთვის შეეშალა ხელი. საერთოდ, ფილა იმდენად კორუმპირებული ორგანიზაციაა, რომ ზოგჯერ მიფიქრია კიდეც – ღირს კი, ფილას ეგიდით გამართულ ტურნირებში მონაწილეობა?! იქ ისეთ სოლიდურ თანხებზეა ლაპარაკი, რომ ვერც წარმოვიდგენთ. ამიტომაც მენანება ჩვენი ფალავნების შრომა, რადგან მათი ბედი, მრავალწლიანი ვარჯიშის შემდეგ, მსაჯების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

ამ ასაკში ვერცხლის მედალიც უდავოდ, დიდი მიღწევაა მისთვის და მჯერა, რომ მომავალში, რამაზ ნოზაძე კიდევ ბევრჯერ გაახარებს ქართველ გულშემატკივრებს.

— ჭიდაობის მოყვარულთ კარგად ახსოვთ, ფილას პრეზიდენტის — რაფაელ მარტინეტის სტუმრობა საქართველოში და ჩვენი ფალავნებისთვის მის მიერ მიცემული დაპირება — ათენის ოლიმპიურ თამაშებზე არაობიექტური მსაჯობით არ დაიჩაგრებითო...

– საქმე ის გახლავთ, რომ მარტინეტი ასეთ პირობას ყველა ქვეყნის ფედერაციას აძლევს, მაგრამ შემდეგ თავისი გეგმით მოქმედებს. რა უდევს მის გეგმას საფუძვლად, ამის დამტკიცება შეუძლებელია, თუმც წლების განმავლობაში, ჩემი თაობის მწვრთნელებისაგან თუ სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციის წარმომადგენლებისაგან კულისებს მიღმა საუბრებში მსმენია ფილას მაქინაციების შესახებ. თანამედროვე სპორტში იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთი მოჭიდავე მეორეს, რომ იტყვიან, 10 თავით სჯობნის. ახლა ხალიჩაზე პრაქტიკულად თანაბარ ძალთა ბრძოლა მიმდინარეობს ხოლმე და ამ თანაბარ პაექრობაში მსაჯის ერთ გადაწყვეტილებასაც კი შეუძლია, განსაზღვროს ორთაბრძოლის შედეგი. რა თქმა უნდა, ყველაფერს მსაჯებს ვერ დავაბრალებ, შეცდომები ჩვენს ფალავნებსაც ჰქონდათ. მაგალითად, ჩვენს ნაკრებში რამაზ ნოზაძისა და მირიან გიორგაძის გარდა, გუნდის ყველა წევრს ჰქონდა წონის პრობლემა. რას ნიშნავს შეჯიბრების წინ 8-10 კილოგრამის დაკლება – ეს სპეციალისტებმა ჩინებულად იციან. პროფესიონალი სპორტსმენი არ შეიძლება, გამუდმებით ამ პრობლემის წინაშე იდგეს. ადრე თუ გვიან, ეს კრიზისამდე მიგვიყვანდა. სამწუხაროდ, ასეთი მომენტი ოლიმპიურ თამაშებს დაემთხვა, რის გამოც მრავალი წლის ნაშრომი ფაქტობრივად, წყალში ჩაეყარათ. იგივე მანუჩარ კვირკველია ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენია. ის 3 წლის წინ გამოჩნდა საერთაშორისო არენაზე და მაშინ, მოსკოვში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალოსანი გახდა. მომდევნო სეზონში, უკვე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მაგრამ მას გამუდმებით წონის დაკლება უხდებოდა. ახლა კი ოლიმპიადაზე, როგორც გითხარით, სწორედ იმ თურქ ფალავანთან წააგო, რომელისაც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე 7:3 მოუგო. დასანანია, ოლიმპიური თამაშები შარშან რომ ჩატარებულიყო, დარწმუნებული ვარ, მანუჩარი ჩემპიონი გახდებოდა...

— ახლა რამაზ ნოზაძის შესახებ ვისაუბროთ, რომელმაც მართლაც, ჩინებულად იჭიდავა. სამწუხაროა, რომ რამაზმა ფინალში ეგვიპტელ

კარამ იბრაჰიმთან წააგო, თუმცა თავიდან უკეთ გამოიყურებოდა. საინტერესოა თქვენი აზრი, ჰქონდა თუ არა რამაზს მოგების შანსი?

— რამაზი ნიჭიერი და პერსპექტიული ფალავანია. პირველ სერიოზულ წარმატებებს საერთაშორისო არენაზე მან სამკაოდ ახალგაზრდა ასაკში მიაღწია. 1998 წელს მოსკოვის ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. მომდევნო სეზონში ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა კადეტთა მსოფლო პირველობაზე. 2002 წელს ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობაზე იმარჯვა, ხოლო შარშან, ბელგრადში ევროპრის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. გარდა ამისა,საფრანგეთში გამათულ მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე პრიზიორი გახდა, ყაზახეთში კი, მსოფლიო თასს დაეუფლა. რამაზი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდაა. იგი ამ რამდენიმე დღის წინ — 17 ოქტომბერს გახდა 21 წლის და დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვებისათვის ბოლომდე მომზადებული არ არის. სხვათა შორის, ათენის ოლიმპიადის ფინალში, ხალიჩაზე რომ გამოვიდნენ ფალავნები, ორთაბრძოლის დაწყების წინ რამაზის მეტოქის კარამ იბრაჰიის თვალებში შიში შევნიშნე, ნოზაძე კი უფრო მხნედ გამოიყურებოდა... ეგვიპტელი ფიზიკურად ძალზე ძლიერია, ამიტომ მასთან ტაქტიკურად სწორი ჭიდაობა იყო საჭირო. ჩვენმა ფალავანმა თავიდან კარგად დაიწყო ჭიდაობა, მაგრამ მალე შერჩეულ ტაქტიკას გადაუხვია და ამის გამო წააგო კიდეც... არა უშავს, ამ ასაკში ვერცხლის მედალიც უდავოდ, დიდი მიღწევაა მისთვის და მჯერა, რომ მომავალში, რამაზ ნოზაძე კიდევ ბევრჯერ გაახარებს ქართველ გულშემატკივრებს.

— **წინასაოლიმპიადო მზადების ციკლით თავად თქვენ თუ იყავით კმაყოფილი. როგორი პირობები გქონდათ?**

— სიდნეის ოლიმპიური თამაშებისაგან განსხვავებით, ამჯერად ბევრად უკეთესი პირობები გვქონდა. საერთაშორისო ტურნირებში გვქონდა მონაწილეობის საშუალება და საქართველოშიც მოვაწყვეთ საწვრთნელი შეკრებები. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ მოჭიდავეებს არსად არა აქვთ საკუთარი ბაზა. არადა, ჩვენი ქვეყნის კლიმატური და გეოგრაფიული პირობები ამის ჩინებულ საშუალებას იძლევა. ლიკანში, სადაც მოჭიდავეებთან ერთად ძიუდოისტებიც ემზადებიან ხოლმე, დარბაზში რიგრიგობით ვცვლით მოჭიდავეთა ხალიჩასა და ძიუდოისტების ტატამს. შეკრებების მოსაწყობად საჭირო სავარჯიშო ბაზის პრობლემა მომავალშიც არაერთხელ შეგვიშლის ხელს, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ახლავეა საჭირო ამ საკითხის მოგვარება. საქართველო ფალავანთა ქვეყანაა და თუ გვინდა, კვლავაც გვყავდეს ჩემპიონები, ახალი ბაზის გამოძებნა და შესაფერისი პირობების შექმნა აუცილებელია.

— **ამ ოლიმპიადაზე თვალნათლივ გამოიკვეთა და ეს ტელერეპორტაჟების დროს ყველამ ვიხილეთ, რომ თქვენთან დაოსტატებული ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები სხვადასხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობდნენ. ორმა მათგანმა — ალექსანდრე დოხტურიშვილმა და გიორგი წურწუმიამ ოლიმპიური მედლებიც მოოიპოვეს. აქედან გამომდინარე, ალბათ თქვენც უკმარისობის გრძნობა გიჩნდებათ, რომ ეს ფალავნები თქვენს გუნდში არ ირიცხებოდნენ...**

— ორივეს წასვლა საქართველოდან, რა თქმა უნდა, ჩვენი ნაკრებისათვის სერიოზული დანაკლისი აღმოჩნდა და შესაბამისად, მეც გული მწყდება, თუმცა ისინი იმ დროს, საქართველოს ნაკრებში ვერ ხვდებოდნენ. 74 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ალექსანდრე დოხტურიშვილს ბადრი ხასაიას სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავდა. 2002-03 წლებში ბადრი პირად შეხვედრებს ყოველთვის უგებდა დოხტურიშვილს, რომელიც მაშინ ვერ ხვდებოდა საქართველოს ნაკრებში. ამიტომ მთხოვა — გამიშვით უზბეკეთში, ოლიმპიადაზე ამ ქვეყნის სახელით გამოვალ და შემდეგ, ისევ საქართველოში დავბრუნდებიო. აქ წმინდა ადამიანურმა მომენტმა ითამაშა უდიდესი როლი. როგორც წესი, სპორტსმენი 10-15 წელი ემზადება ცხოვრების უმთავრესი ასპარეზობისათვის, კარიერაში მას შეიძლება, მეორედ არც მიეცეს ასეთი შანსი და მეც აღარ გამიწევია წინააღმდეგობა... ყველამ იცის, რომ ის ქართული საჭიდაო სკოლის აღზრდილია და ამით ჩვენი ავტორიტეტიც გამოჩნდა საერთაშორისო არენაზე. რაც შეეხება გიორგი წურწუმიას, ყველაზე მეტად მე ვიყავი მისი გაშვების წინააღმდეგი. მართალია, მირიან გიორგაძე საქართველოს ჩემპიონატებზე უგებდა გიორგის და როგორც იცით, ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც მოუგო მას, მაგრამ ვიცოდი — მოვიდოდა დრო, როდესაც გიორგი პირველი გახდებოდა და ამიტომაც ვიბრძოდი მის დასატოვებლად. როგორც ჩანს, წურწუმიას აქაური პირობები არ აკმაყოფილებდა. ბევრჯერ მისაუბრია მასთანაც და გიორგის დედასთანაც, მაგრამ პირადად მე, მის საყოფაცხოვრებო პრობლემებს ვერ მოვაგვარებდი და გიორგიმაც ყაზახეთში ამჯობინა კარიერის გაგრძელება. იქ კი, როგორც იცით, ოლიმპიური ვერცხლი მოიპოვა.

— **სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— მომავალი გეგმები მსოფლიო თასის გათამაშებასთანაა დაკავშირებული, რომელიც თბილისში 6-7 ნოემბერს უნდა ჩატარდეს, ხოლო გაისად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები გველის. ალბათ ნაწილობრივ შეიცვლება ჩვენი ნაკრების შემადგენლობა, მით უმეტეს, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალი წესები შემოდის და ისინი საკმაოდ შეცვლიან ორთაბრძოლების ტაქტიკასა და თავად ფალავნების სტრატეგიას. იანვრიდან ახალი წესების თანახმად, ჭიდაობა 3 პერიოდად დაიყო და თითოეულის ხანგრძლივობა 2-2 წუთი იქნება. აღარ იქნება მისჯითი ჩობქჯენი. ეს ცვლილებები ალბათ გაზრდის ორთაბრძოლების ტემპს, ამასთან დგომში ტექნიკურ ფალავანს ექნება გარკვეული უპირატესობა. გარდა ამისა, პირველ ორ პერიოდს ვინც მოიგებს, ის გამოცხადდება გამარჯვებულად. იმ შემთხვევაში, თუ პირველ პერიოდს ერთი სპორტსმენი მოიგებს, ხოლო მეორეს — მისი მეტოქე, საერთო ანგარიშს მნიშვნელობა აღარ ექნება და ორთაბრძოლის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდება. სამწუხაროდ, არ შეიცვლება წონითი კატეგორიები, რაც ისევ ზედმეტი წონის პრობლემის წინაშე დაგვაყენებს და ალბათ ჩვენს ორ მსოფლიო ჩემპიონს — მუხრან ვახტანგაძესა და მანუჩარ კვირკველიას ზედა წონაში გადასვლა მოუწევთ. როგორ მოერგებიან ამ ახალ წესებს ჩვენი ფალავნები, ამას დრო გვიჩვენებს. მომავალი წლის დასაწყისში საქართველოს ჩემპიონატს სწორედ ახალი წესებით ჩავატარებთ და პირველ შედეგებსაც მაშინ მივიღებთ, მერე კი ამის მიხედვით გავაგრძელებთ მზადებას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის. ■

Porsche ყველას ახალგაზრდაა...

სამი ათეული წლის წინ – 1974 წელს, პარიზის ავტოსალონზე შედგა იმ ავტომობილის დებიუტი, რომელიც დღემდე, სისწრაფის სინონიმად რჩება. ეს გახლდათ Porsche 911 Turbo, რომელიც „ჩვეულებრივი გზებისთვის გათვალისწინებულ სარბოლო მანქანად“ შერაცხეს. „პორშეს“ ინჟინრებმა პირველად გამოიყენეს ტურბოდაბერვის სისტემა, რომელიც მანამდე, მხოლოდ ავტოსპორტისთვის განკუთვნილი მანქანების „საკუთრებად“ რჩებოდა.

პირველი Porsche 911 Turbo-ს სიმძლავრე 260 ცხ.ძ-ს შეადგენდა. მისი 6-ცილინდრიანი ძრავას სამუშაო მოცულობა 3 ლ-ს, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ს აღწევდა. თავდაპირველად, ფირმა სულ 1000 მანქანის წარმოებას გეგმავდა. მაგრამ მოთხოვნამ წინადადებას გადააჭარბა და 1977 წელს 2876 Porsche 911 გამოუშვეს. ამ წელსვე გამოვიდა მოდელის მეორე თაობა, რომლის აგრეგატის მოცულობა 3,3 ლ-მდე, სიმძლავრე კი – 300 ცხ.ძ-მდე იყო გაზრდილი.

თანდათან, „პორშეს“ ინჟინრებმა მანქანის ეკონომიურობასაც დაატყვეს ხელი: 1982 წელს შეიქმნა მოდიფიკაცია, რომელიც ქალაქის პირობებში ყოველ 100 კმ-ზე 15,5, ხოლო ტრასაზე 120 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას, სულ 11,8 ლ საწვავს ხარჯავდა. 1987 წელს კაბრიოლეტისძარიანი ვარიანტი დააპროექტეს. 1989 წლისთვის, დილერებს სულ 21 ათასი Porsche 911 Turbo ჰქონდათ გაყიდული. შემდგომი 2 წლის მანძილზე, ამ მოდელს არ აწარმოებდნენ. 1991 წელს კი, ასპარეზზე 911-ის ახალი თაობა გამოჩნდა. თავდაპირველად, მისი სიმძლავრე 320 ცხ.ძ-ს შეადგენდა, მაგრამ მალე, ის 360 ცხ.ძ-მდე გაზარდეს. მომდევნო მიჯნა 1995 წლით თარიღდება. ამ მოდიფიკაციის მახასიათებლები ასეთია: სიმძლავრე – 408 ცხ.ძ., 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების დრო – 4,3 წმ. 2000 წლიდან კი, ფირმა სრულამძრავიან, 420 ცხ.ძ-ის მქონე ვერსიას აწარმოებს. ამჟამად, ქალაქ ვეისახში მდებარე კვლევით ცენტრში მორიგი მოდიფიკაციის შემუშავება მიმდინარეობს. ასე რომ, Porsche 911 Turbo-ს ოდისეა გრძელდება. ■

Ferrari შლანგებში გაიხლართა

ცოტა ხნის წინ, იტალიურმა ავტოგიგანტმა გამოაცხადა, რომ 2003 წელს გამოშვებული მოდელები – 360 Modena და 360 Spider – და 2004 წლის სამოდელო რიგის ნიმუში – 360 Challenge Stradale – გამოითხოვა ბაზრიდან. კომპანიის მესვეურებმა ამის მიზეზად, საჭის მექანიზმის ჰიდროგამაძლიერებელში შესაძლო ხარვეზები დაასახელეს. როგორც მექანიკოსებმა დაადგინეს, ჰიდროსისტემა არ გამოირჩევა სათანადო ჰერმეტულობით, რაც გამაძლიერებლის გამართულ მუშაობას უშლის ხელს. მანქანის მოძრაობისას შესაძლოა, მკვეთრად გაიზარდოს დატვირთვა საჭეზე. იმის გათვალისწინებით, რომ „ფერარი“ სპორტული ავტომობილია და მისი ექსპლუატაცია ზღვრული სიჩქარით მოძრაობას უკავშირდება, იქმნება საფრთხე, რომ საჭის გამაძლიერებელი ვერ უზრუნველყოფს მკვეთრ მოსახვევში მანქანის მდგრადობის შენარჩუნებას...

პროფილაქტიკური სამუშაოს შესრულებისას, „ფერარის“ სერვისული სადგურების მექანიკოსებს მოუწევთ მაღალი წნევის შლანგების გამოცვლა, რომლებიც საჭის მართვის კვანძს გამაძლიერებლის ტუმბოსთან აკავშირებს.

ხინჯიანი მანქანების ზუსტი რაოდენობა ფირმის ხელმძღვანელებს არ დაუსახელებიათ. ერთადერთი ციფრი აშშ-შია გამოცხადებული: ამ ქვეყნის სერვისის პუნქტებში 487 წუნდებულ „ფერარის“ „გამოაჯანმრთელებენ“. როგორც ცნობილია, ამ იტალიური მარკის მანქანები – ძვირად ღირებულ, ექსკლუზიურ პროდუქტს წარმოადგენს: მათ ინდივიდუალური შეკვეთით მცირე პარტიებად აწარმოებენ და კლიენტებს სულ ცოტა, 200 ათასი ევრო უჯდებათ. ■

ზოგჯერ ჩვეულებრივი, ყოფითი ცხოვრება ადამიანს უჩვეულო სიურპრიზებს სთავაზობს და ესეც ერთგვარი გამოცდა გახლავთ, რომელსაც ზოგი წარმატებით აბარებს, ზოგიც — სერიოზულ მარცხს განიცდის. საინტერესოა, როგორ მოიქცეოდნენ ქართველი ელიტარები ექსტრემალურ სიტუაციებში, რომლებსაც ნახევრად ხუმრობით, ერთგვარი ფსიქოლოგიური ტესტის სახით ვთავაზობთ. პირველ გამოცდას „გამძლეობასა“ და გამჭრიახობაზე დეპუტატი ლადო გეგელაშვილი აბარებს. მისი ფსიქოტიპის შეფასებას კი ფსიქოლოგი მოახდენს, რომელმაც რასაკვირველია, წინდაწინ არ იცის, თუ ვინ იქნება მისი „პაციენტი“...

რაში დახარჯავს დეპუტატი ლადო გეგელაშვილი 2 მილიონ დოლარს?

„შეიძლებელია ვსვითი რაღაც... ცოცხალი შეყითხვა“

სოფო ყარალაშვილი

— ბატონო ლადო, წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ უღრან ტყეში. გსიამოვნებთ ტყეში ფოთლების შრიალი და შორიახლოს ჩამომდინარე წყაროს ჩუხჩუხი. საცალფეხო ბილიკზე თქვენს შესახვედრად მოდის ლადო გეგელაშვილი. რას მოიმოქმედებთ?

— ვფიქრობ, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ სარკე, რომელშიც ჩემი გამოსახულება ჩანს და არა რეალური ადამიანი. თმას გადავივარცხნი და ბილიკიდან გადავალ...

— დაასრულეთ წინადადება: ჩემი ცხოვრება ჰგავს...

— ფეხბურთელს ანუ მცველს, რომელიც უნდა მოატყუო!

— წარმოიდგინეთ, რომ დიქტატორულ სახელმწიფოში ცხოვრობთ და ქვეყნის მმართველის განკარგულებით სახრჩობელაზე აჰყავხართ. გეძლევათ 2 წუთი უკანასკნელი სიტყვის წარმოსათქმელად. რას ეტყოდით იქ შეკრებილ ხალხს?

— გიყვარდეთ სიცოცხლე, მაგრამ მის შესანარჩუნებლად ნუ ჩაიდენთ სულმდაბლობას!

— მიდიხართ უდაბნოში, თაკარა მზეა, დაიღალეთ და გწყურიათ. დაინახეთ წყლით სავსე ჭურჭელი. როგორია ეს ჭურჭელი და როგორ დალევთ წყალს?

— ლურჯი ფერის თერმოსია. წყალს კი ძალიან ფრთხილად დავლევ, გამოვიზოგავ.

— მიადექით მთას, რომელსაც ვერ შემოუვლით. როგორ გამოიყურება იგი და როგორ გადალახავთ მას?

— მაღალი კლდეა, სვეტებიანი... ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს მის მწვერვალზე რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი მელოდება. მივაგნებ ადგილს, საიდანაც ყველაზე იოლი იქნება ასვლა.

— იქიდან როგორ ჩამოხვალთ?

— უკვე ნაცნობი და გაკვალული ბილიკით.

— გზა განაგრძეთ. დგას სახლი, რომელიც იცით, რომ თქვენია. როგორ გამოიყურება?

— პატარაა, კოტეჯის ტიპის, წითელი კრამიტით გადახურული. სახლი ქვისაა, გარშემო, დაახლოებით 100 მეტრის რადიუსში, ყვითელი პემზა ყრია. სახლს აქვს საშუალო ზომის ფანჯრები, ხის დარაბები...

— ამ სახლში ცხოვრობთ. ერთ დღეს, მოგდით შეტყობინება, რომ გარდაგეცვალათ მდიდარი ნათესავი, რომელმაც ცხენების რემა გიანდერძათ. რას იზამთ?

— გავყიდი...

— ერთი ცხენი მაინც უნდა დაიტოვოთ? საინტერესოა, რომელს აირჩევთ?

— შავ, არაბულ ბედაურს.

— ამ ბედაურთან ერთად მიუყვებით გზას და უცბად აღმოჩნდებით მოჯადოებულ წრეში, რომელსაც იცავს ბოროტი ჯადოქარი, რომელიც თანახმაა, ერთ-ერთი თქვენგანი გაუშვას... როგორ მოიქცევით?

— ჯადოქარს შევებრძოლები. თუ კარგი ბედაურია, არ მიმატოვებს და თუ კარგი პატრონი ვარ, არც მე დავტოვებ განსაცდელში...

— წარმოიდგინეთ, რომ ხართ ზღვისპირა სასტუმროში...

— ძლივს არ მოვხვდი ნორმალურ ადგილას?!

— რიჟრაჟია. იღვიძებთ და სასთუმალთან უცნობ, ლამაზ ქალს ხედავთ. რას მოიმოქმედებთ?

— გააჩნია, როგორ ზის... გამოვფხიზლდები, გონებას მოვიკრებ... მერე გავარკვევ, რას აკეთებს ჩემს სასთუმალთან და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას.

— წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დილას, თქვენს საბანკო ანგარიშზე აღმოაჩინეთ ორი მილიონი დოლარი, რომლის წარმომავლობაზე წარმოდგენაც არა გაქვთ...

— არ დავიჯერებ! შეიძლება დავხარჯო, მაგრამ ვერ მოვისვენებ, სანამ არ გავარკვევ, რატომ მიზის ანგარიშზე 2 მილიონი!

— თქვენი ბავშვობის მეგობარი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იძებნება და აი, ღამით მოგიკაკუნათ კარზე და თავშესაფარი გთხოვათ. რას იზამთ?

— ეგ დაახლოებით ისეთი შეკითხვაა: ვთქვათ, გზაზე მიდიხარ და აქეთ ვაჟკაცობაა, იქით კი ფული, რომელს აირჩევო?.. თუ მეგობარს შევიფარებ, კანონს დავარღვევ, თუ შესაბამის ორგანოებს ჩავაბარებ, მაშინ მორალურ კანონს დავარღვევ... არა, ჩემი მეგობარი მძიმე დანაშაულს არ ჩაიდენს. ასეთი მეგობრები მე არ მყავს!

— ჩამოთვალეთ ათი მცნება:

— გიყვარდეს დედ-მამა... გიყვარდეს მოყვასი შენი... არა კაც კლა, არ იმრუშო... არ აგინო დედასა და მამას... არ გამოცადო უფალი... თუ არ ვცდები, ძირითადი მცნებები გავიხსენე.

— ბოთლი და საცობი ერთად

ღირს 10 თეთრი. ბოთლი 8 თეთრით ძვირია საცობზე, რა ღირს ბოთლი და რა ღირს საცობი ცალცალკე?

— შეუძლებელია ასეთი რაღაც... საოცარი შეკითხვაა. თუ ვიტყვი, რომ ბოთლი ღირს რვა თეთრი და საცობი ორი თეთრი, გამოდის, რომ ბოთლი 6 თეთრით ძვირია საცობზე.. მაშინ შემიძლია გითხრათ, ასე: ბოთლი ღირს 8 თეთრი, საცობი უფასოა და სითხე, რომელიც შიგ ასხია, 2 თეთრი ღირს...

— **რომელი ავტორის რომელი ნაწარმოები იწყება სიტყვებით: „რობერტ კონი ოდესღაც კრივის ჩემპიონი იყო პრინსტონის კოლეჯში“...**

— ამერიკელი მწერალია აუცილებლად? ჰემინგუეია? ალბათ, „მშვიდობით, იარაღო!“ არა, არ მახსოვს ნაწარმოები.

— **ვისი ტილოა „აბსენტის მოყვარული ქალი“?**

— აბსენტის მოყვარული ქალი... ამწუთას გეტყვით... ფრანგი ფერმწერია... ვან გოგი? გოგენი? არა... პიკასოა!

ფსიქოლოგი **ვახტანგ ჯაფარიძე:**

— როგორც ყველა თანამედროვე ადამიანს, ამ ადამიანსაც აქვს მთელი რიგი შინაგანი პრობლემები. თუმცა, მათთან გამკლავებას თავისით ახერხებს. მას აქვს ჯანმრთელი მიზანსწრაფვა ცხოვრებისკენ და ამავდროულად, მყარი ნებისყოფაც. მიზნებს საკმაოდ მაღლა აყენებს. მის აღქმაზე დაყენებულია „ფილტრი“, რომელიც მის სამყაროში არ უშვებს ისეთი სახის ინფორმაციებს, რომლებმაც შეიძლება, დრამატული ცვლილებები გამოიწვიოს. ამან შეიძლება ნეგატიური როლი ითამაშოს დასახული მიზნების მისაღწევად საკუთარი მოქმედებების კორექტირებისას. ეს ადამიანი ცხოვრების მანძილზე მოხვდება ისეთ სიტუაციებში, სადაც ვიღაც მის მოტყუებას შეეცდება. ეს ტყუილი მიმართული იქნება მისი სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფისაკენ, ამიტომ ფრთხილად უნდა იყოს. ის კონტაქტურია, მაგრამ გარკვეულწილად მაინც იკეტება საკუთარ თავში. როდესაც ძველი სამსახურის მიტოვება უწევს, სარგებლობს ერთი, მისთვის დამახასიათებელი სტრატეგიით. ინტიმურ ურთიერთობებში საღი აზრით ხელმძღვანელობს. უყვარს სიამოვნების გახანგრძლივება. პარტნიორის მიმართ ერთგულია. მისი შეფასების კრიტერიუმები, უპირველეს ყოვლისა, ვიზუალურია. მისი აზროვნება უფრო მეტად აბსტრაქტულია, ვიდრე კონკრეტული.

■

დილის სატელევიზიო ეთერში ნატო ნიშარაძის გამოჩენა, ყოველთვის მხიარულ განწყობაზე აყენებს მაყურებელს. თურმე, ასეთივე განწყობა შეაქვს მას ოჯახშიც... ნატომ მომავალი მეულლე 4 წლის წინ, ბათუმში გაიცნო. შავი ზღვის სანაპიროზე აღმოცენებული სიყვარული დღემდე გრძელდება. მის პირველ პაემანზე სასაუბროდ მისულებს, ნატომ პირველ რიგში, შემდეგი დარიგება მოგვცა: „არასდროს მესმოდა ადამიანების, რომლებიც უსიყვარულოდ თხოვდებიან. ბედისწერა ნამდვილად არსებობს. ამიტომ, დაელოდეთ სიყვარულს და ის აუცილებლად მოვა“.

„ბედისწერა ნამდვილად არსებობს... დაელოდეთ სიყვარულს...“

მერი კობიაშვილი

— პირველად, პაემანზე ფიქრი მაშინ დავიწყე, როცა „ქეთო და კოტე“ ვნახე. მაშინ 3 წლის ვიქნებოდი. ძალიან მომეწონა ქეთოს ერთ-ერთი კაბა. ბებიაჩემს ვეხვეწებოდი — ზუსტად ასეთი შემიკერე-მეთქი. მინდოდა, იმ კაბით ეზოში ჩავსულიყავი და ერთ ბიჭს დავენახე. სამთვლიანი ველოსიპედი ჰქონდა და ვიმედოვნებდი, რომ მათხოვებდა... დეიდაჩემმა არაჩვეულებრივი კაბა შემიკერა. იასამნისფერ ფონზე წითელი ალუბლები ეხატა. ვერ წარმოიდგენ, როგორ ველოდი იმ ბიჭთან შეხვედრას. მაგრამ ამაზე სულ ტყუილად ვოცნებობობდი. ეზოში სათამაშოდ არ მიშვებდნენ. ჩემს ბიძაშვილებთან და დასთან ერთად დავდიოდი ხოლმე სასეირნოდ. თან უფროსიც გვახლდა, რასაკვირველია.

— **სკოლაში უფრო გიმართლებდა? თაყვანისმცემლებთან შეხვედრის საშუალება გქონდა?**

— ჩემი პირველი პაემანი შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო მერხთან შედგა. კლასელ ბიჭს მოვწონდი, რომელიც გაკვეთილის დამთავრებისთანავე ჩემს მერხთან დგებოდა. მაგარი მოჩხუბარი ვინმე იყო. ყველა გვერდზე მჯდომი გალახული ჰყავდა. ბოლოს გამოტყდა, რატომ იქცეოდა ასე. თუ ნატოს გვერდით დამსვამთ, აღარავის ვცემო, — თქვა. მისი ყურადღება მსიამოვნებდა, მაგრამ მაინც ცხვირაბზუებული ვჯდებოდი მერხთან, თან ვბუზღუნებდი — რა ჩხუბისთავიამეთქი!.. ისიც მინდა გითხრათ, რომ იმ ბიჭის გრძნობა დიდხანს არ გაგრძელებულა: მესამე კლასის შემდეგ, ჩემ მიმართ ყურადღებას აღარ იჩენდა.

ისიც მინდა გითხრათ, რომ იმ ბიჭის გრძნობა დიდხანს არ გაგრძელებულა

— პირველად სერიოზულად ალბათ, 14-16 წლის ასაკში შეგიყვარდა, არა?

— სიყვარულს ყოველთვის არასერიოზულად ვუყურებდი. აი, რომანტიკულ ფილმებს კი, დიდი სიამოვნებით ვნახულობდი. მაშინ ხშირად გადიოდა „სამი კაკალი კონკიასათვის", რომელიც ძალიან მომწონდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ კაკლებში მართლაც ულამაზესი კაბები ინახებოდა... რომანტიკული ფილმების ნახვისას, უმეტესად, გოგოს ჩაცმულობას ვაქცევდი ყურადღებას და არა გოგო-ბიჭის ურთიერთობას. ცხოვრებაში კი, ძირითადად, სხვების სასიყვარულო ამბებს ვიყავი გადაყოლილი.



ასე რომ, როცა ამბობენ — საკურორტო რომანები ხანმოკლეაო, — არ უნდა დაიჯეროთ (ნაგო ნიკარაძე უფროს ქალიშვილთან ერთად)

— ანუ — ხანუმობას ეწეოდი?

— არა. გოგოებს ჭკუას ვარიგებდი, ვეუბნებოდი — სისულელეა, ვიღაც ბიჭის გამო ცრემლების ღვრა-მეთქი!.. ბავშვობაში ბევრ ლიტერატურას ვკითხულობდი, ამიტომ კარგად ვიცოდი, რომ მამაკაცები ხშირად, სასტიკად იქცევიან; თან, სულ ვამბობდი, რომ სკოლის ასაკში სიყვარული სისულელეა... მაგრამ თაყვანისმცემლები, რასაკვირველია, მყავდა.

— შენ მიმართ ყურადღებას როგორ გამოხატავდნენ?

— ზოგი ყვავილებს მიძღვნიდა, ზოგი — ნახატს. ერთმა კი, თავისი დაწერილი ლექსებით სავსე რვეული მაჩუქა. უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, თეატრალურ დასში შევედი. იქაც იყვნენ ბიჭები, რომლებსაც მოვწონდი. მაგრამ იქ ჩემს სადარაჯოზე იდგნენ ჩემი დეიდაშვილი და მისი ძმაკაცები, რომლებიც ყველა ჩემს თაყვანისმცემელს უბათქუნებდნენ. მათ ვეუბნებოდი — მაცალეთ ადამიანთან გავლა და გაცნობა-მეთქი! მაგრამ მათთან არანაირი ხვეწნა არ ჭრიდა...

— პაემანზე წასვლას ალბათ, მაინც ახერხებდი. ამ საპასუხისმგებლო ნაბიჯისთვის როგორ ემზადებოდი?

— ჩაცმულობას ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდი. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ტანსაცმელი ჩემი ხასიათის და ამინდის შესაფერისი ყოფილიყო. უპირატესობას სპორტულ სტილს ვანიჭებდი.

— შენი სასიყვარულო ურთიერთობა ოდესმე იმდენად თუ გამწვავებულა, რომ საქმეში მამის ჩარევა გამხდარიყო საჭირო?

— ბიჭებთან ურთიერთობას მე თვითონაც ვაგვარებდი. თუ ბიჭი არ მოგწონს, არ შეხვდები, არ დაელაპარაკები და თავს დაგანებებს. მართალია, არსებობენ სხვა კატეგორიის ბიჭებიც, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, საქმე განსაკუთრებულად არასდროს გართულებულა.

— მეუღლე როგორ გაიცანით?

— მე და ლევანმა ერთმანეთი 4 წლის წინ, ბათუმში გავიცანით. ძალიან ბევრი საერთო ნაცნობი და მეგობარი აღმოგვაჩნდა. პირველად რომ ვნახე, მახსოვს, გავიფიქრე — რა ნათელი სახე და თვალები აქვს-მეთქი!.. ერთი კვირის მერე, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ცოლად გავყვებოდი. მაგრამ ეს ნაბიჯი გაცნობიდან ერთი თვის შემდეგ გადავდგით. ძალიან კარგად მახსენდება ის პერიოდი. მეგობრებთან ერთად გვიანობამდე ვისხედით სანაპიროზე. მაშინ თემო რცხილაძის „Желанная моя" იყო ძალიან პოპულარული და ჩვენც დაუღალავად ვცეკვავდით წვეულებებზე. ამ სიმღერას რომ ვუსმენ, ახლაც ძალიან კარგი განწყობა მეუფლება და ის დღეები მახსენდება. ასე რომ, როცა ამბობენ — საკურორტო რომანები ხანმოკლეაო, — არ უნდა დაიჯეროთ.

— ტელევიზიაში მუშაობას ყოველთვის მოჰყვება თაყვანისმცემლების მომრავლება. შენს შემთხვევაში როგორ იყო? შეწუხებული იყავი მათი ყურადღებით?

— ჩემმა მეუღლემ გაცნობიდან რამდენიმე დღეში მითხრა — რას ვიფიქრებდი, გოგონა, რომელიც ტელევიზორში ასე მომწონდა, სანაპიროზე ჩემ გვერდით იწვებოდა და „ზაგარს" მიიღებდაო?!. ეს ქათინაური ძალიან მესიამოვნა...

— როგორ ფიქრობ — რატომ ნერვიულობენ გოგონები პირველ პაემანზე წასვლის წინ? და რა რჩევებს მისცემდი მათ?

— მათ ვურჩევდი, არასდროს ჩაიცვან სხვისი რჩევის გათვალისწინებით, არჩევანი ყოველთვის თავიანთი გემოვნებით გააკეთონ, რათა თავი კარგად იგრძნონ. მამაკაცებს, როგორც წესი, ხიბლავთ არა კაბა და თმის ვარცხნილობა, არამედ მთლიანად ქალის შარმი. ისინი ვერასდროს გეტყვიან, თუ რა ფერის თვალები აქვს გოგონას, რომელთანაც რამდენიმე საათის წინ პაემანი ჰქონდა. მამაკაცებთან ურთიერთობისას უკეთესია, იყო კარგი მსმენელი, ვიდრე მოსაუბრე. ამიტომ ჯობს, გოგონებმა პაემანზე არ ინერვიულონ და შეეცადონ, რომ თავიანთი შინაგანი სილამაზე მაქსიმალურად გამოავლინონ. ■

«დ ე ლ ტ ა»
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრებისა და
ლამინირებული ავეჯის
დამზადება
ბრტყელი გადასურვები
მის: მ.ლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

ცნობილი პარაფსიქოლოგი დალი ავაგუმაშვილი, პოპულარული ქართველი მომღერლის (ანსაბლ „ოთხი გია“) გია ავაგუმაშვილის და, კარგა ხანს ვერ დავიანხმეთ ინტერვიუზე, რადგანაც ბევრი ხალხი ჰყავდა და დაკავებული იყო, მაგრამ როცა ვთხოვეთ, გაეთვალისწინებინა მისი ინტერვიუებით დაინტერესებულ მკითხველთა სურვილი, უარი ვეღარ გვითხრა შეხვედრაზე. დალი ავაგუმაშვილის მოსაცდელში ყოველთვის უამრავი ადამიანია, ისინი სასწაულებს ჰყვებიან ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონის ლოცვის ძალის შესახებ.

ქალბატონი დალის ლოცვა სასწაულებს ახდენს

ნანა სისაური

— ქალბატონო დალი, ჩვენს ბისზნესმენებს აინტერესებთ, შეგიძლიათ თუ არა მათთვის დახმარების აღმოჩენა?

— რა თქმა უნდა! ჩემთან ბიზნესმენებიც დადიან... სხვათა შორის, ჩემს ძმას და მის მეგობრებს — ანსამბლის „ოთხი გიას“ წევრებს ხშირად აწუხებენ ხოლმე, ქალბატონ დალისთან მიგვყევით შინაურულადო... მათ საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვის სჭირდება დახმარება, ყველას ერთნაირად ვემსახურები, არავის ვარჩევ. მე თითოეული პაციენტი მიყვარს, ნებისმიერი მათგანი ღვთის შვილია, რა უფლება მაქვს, გაჭირვებული ადამიანები რაიმე ნიშნის მიხედვით ერთმანეთისგან განვასხვავო, ამას ღმერთი არ მაპატიებს!.. ამას წინათ, გიამ მომიყვანა საკმაოდ გავლენიანი ქართველი ბიზნესმენი, რომელიც ამჟამად რუსეთში საქმიანობს. საშინელ დღეში იყო ჩავარდნილი...

— რა სჭირდა?

— რაღაც საქმეში დიდი ფული ჩადო, მაგრამ ერთმა აფერისტმა ქართველმა გადაგდო. კაცი ისე იყო აღგზნებული, შეძლო მკვლელობა ჩაედინა ან საკუთარი თავისთვის მოესწრაფებინა სიცოცხლე.

— იპოვა გადამგდები?

— დიახ, მოძებნა და კინაღამ მოკლა, ძლივს გააგდებინეს თურმე ხელიდან.

— რით დაეხმარეთ მოტყუებულ ბიზნესმენს?

— ლოცვებით დავაწყნარე, დავამშვიდე... ფსიქოლოგიური სტრესის შედეგად დაბინძურებული აურა გასუფთავდა ნეგატიური მუხტისგან და კაცმა შიანგანი სიმშვიდე დაიბრუნა. საერთოდ, როცა ადამიანის ბიოველი უარყოფით ენერგიას ასხივებს, კოსმოსიდან ბნელ ძალას იზიდავს და მისი საქმეც უარესობისკენ მიდის, ლოცვებით გაწმენდილი აურა კი, დადებითად იმუხტება და შესაბამისად, კოსმოსიდან სუფთა ენერგიას იზიდავს, რაც ადამიანს წარმატების მიღწევაშიც ეხმარება. მოტყუებულ ბიზნესმენს, გარდა იმისა, რომ მედიკამენტების გარეშე გამოვიდა სტრესული მდგომარეობიდან, საქმეც კარგად წაუვიდა. ორი კვირის წინ ერთმა ბიზნესმენმა შემომჩივლა, რამდენიმე თვეა, ჩემი ქალიშვილი თავის ოთახში ვეღარ ჩერდება, მიზეზი არ ვიცი, იქნებ გვესტუმროთ და გაარკვიოთ, რა ხდებაო. ოჯახის გამოლოცვის დროს გოგონამ დაბადების დღეზე ნაჩუქარი ნახატი რატომღაც კედლიდან ჩამოხსნა და ჩარჩო დაამტვრია.

— რას ერჩოდა ნახატს?

— როგორც გაირკვა, რამდენიმე თვის წინ გოგონამ ნაჩუქარი ნახატი თავის ოთახში, კედელზე დაკიდა, სწორედ ამის შემდეგ დაეუფლა უცნაური შეგრძნება, შიგნით შესვლა აღარ სურდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რატომ. ოჯახის გამოლოცვის დროს ბინის აურა გაიწმინა და გოგონამაც ღვთის ნებით მიზეზს მიაგნო. როცა ნახატს ჩარჩო შემოაცალა, უკანა მხარეს წმინდა ნიკოლოზი დავინახეთ და ყველაფერი ცხადი გახდა... ხატმა ტყვეობიდან გათავისუფლება მოინდომა და ნიშანი მისცა — სიმშვიდე დააკარგვინა, ააფორიაქა, როგორც კი ოთახში შედიოდა, თავს ცუდად გრძნობდა. ჩემი რჩევით, იყიდეს ახალი ჩარჩო, სურათი შეატრიალეს და შიგ ჩასმული ხატი გოგონას ოთახში დაბრძანეს.

— მკითხველებს აინტერესებთ, როგორ ხსნით ჯადოს?

— მხოლოდ ლოცვებით! მერწმუნეთ, ლოცვაზე ძლიერი იარაღი არ არსებობს, ჭეშმარიტი ქრისტიანის ლოცვა სასწაულებს ახდენს... რამდენიმე დღის წინ ერთმა ქალბატონმა მომიტანა მგლის ქონით გაჟღენთილ ქაღალდში გახვეული ჯადო — ბირკის ეკლებზე თმა საგულდაგულოდ იყო დახვეული.

— სად იპოვა?

— ქმრის შარვალში... ცოლს ეჭვი ჰქონდა, რომ მის მეუღლეს სხვა ქალი ჰყავდა, სიყვარულით შექმნილი ოჯახი დანგრევის პირას იყო მისული. გამუდმებით ჩხუბობდნენ, ერთმანეთს ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი აყენებდნენ. კაცი შინ იშვიათადღა მიდიოდა. გამწარებული ქალი ჩემთან მოვიდა დახმარების სთხოვნელად. ოჯახი რომ გამოვლოცე, ცოლმა თვითონ იპოვა ქმრის შარვლის ტოტში ჩაკერებული ჯადო, რომელიც კაცს საყვარელმა გაუკეთა... ლოცვის ძალა ნამდვილ სასწაულებს ახდენს! ღმერთი ყოველთვის უნდა უყვარდეს ადამიანს, ჭირშიც და ლხინიც, განსაკუთრებით კი განსაცდელის ჟამს. 1.000 ლარი თუ გვაქვს, ვადიდებთ უფალს, მაგრამ როცა 10 ლარი გვიდევს ჯიბეში, ვსაყვედურობთ? ნუ მიჰყიდით სულს ეშმაკს, გწამდეთ, გაჭირვებისგან ლოცვა-კურთხევა გიხსნით!

— ხშირად გვირეკავენ მკითხველები, რომელთაც აინტერესებთ, შესაძლებელია თუ არა გამოლოცვა, როცა ადამიანმა არ იცის ამის შესახებ?

— შეუძლებელია! თუ პიროვნებამ არ იცის, ვერ გამოვლოცავ! როცა თვითონ ადამიანს არ უნდა, მიიღოს უფლის მადლი, მარტო ახლობლების წადილი სასურველ შედეგს ვერ მიიტანს, 100 სანთელიც რომ დავანთო.

— ქალბატონო დალი, თქვენზე ლეგენდები დადის, ბევრი მადლიერი პაციენტი მირეკავს, ზოგი თქვენი შვილობილია, ზოგიერთებმა ბავშვები მოგანათვლინეს; მოკლედ, იმდენად პოპულარული ბრძანდებით, ხალხს ჰგონია, რომ ორგანულ დაავადებებსაც კურნავთ...

— სხვათა შორის, ზოგს სწყინს, როცა უარს ვეუბნები დახმარებაზე. ვისაც ორგანული დარღვევები აქვს, ექიმს უნდა მიაკითხოს, თუ ადამიანი ჩემი პაციენტი არ არის, პასუხისმგებლობა როგორ ავიღო საკუთარ თავზე? მე ტყუილად ხელზე არავის დავიხვევ, ლოცვით მხოლოდ ენერგეტიკული დაავადებები იკურნება. მას, ვისაც ჩემი დახმარება სჭირდება, უარს არასოდეს ვეუბნები, უფალმა რისი ნიჭიც მიბოძა, მუდამ უშურველად ვიყენებ. თუ ლოცვაა კაცის წამალი, ვუშველი, მაგრამ სადაც ტრადიციული მედიცინის ჩარევაა საჭირო, მე უძლური ვარ.

— რას ნიშნავს ენერგეტიკული დაავადება?

— გათვალვა, წყევლა, აურის დაბინძურება, კარმული დარღვევები და ჯადო იწვევს ენერგეტიკულ დაავადებებს. ანუ ჩივილების მიზეზი არის მავნე ენერგიის ზემოქმედება და არაორგანული დარღვევები.

— ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან ურთიერთობაში შექმნილ პრობლემებს, წარუმატებლობასა და უბედურ შემთხვევებს ხშირად მაგიური ზემოქმედების შედეგად მიიჩნევენ. საინტერესოა, რა სიმპტომებით ვლინდება ჯადო და როგორ იგებთ, არის თუ არა ადამიანი მავნე ენერგიის გავლენის ქვეშ?

— ზოგიერთი მკითხავი ადამიანებს აშინებს, ჯადო გაქვთ გაკეთებულიო. თუ მართლა არ იმყოფება პიროვნება მაგიური ზემოქმედების ქვეშ, არ მესმის, ტყუილად

რატომ უნდა გაუხეთქოს კაცმა გული? მე თავად უფალმა მიბოძა ჯადოს ამოცნობის ნიჭი, ვიწყებ თუ არა გამოლოცვას, ჩემი პაციენტები მაშინვე პოულობენ ნამჩხიბავს. საერთოდ, მაგიური ზემოქმედება ხშირად ვლინდება ხოლმე შემდეგი სიმპტომებით: მოჯადოებულს აქვს გულისრევის შეგრძნება, უმადობა, ნასიცხარივით წვრილი გამონაყარი ტანზე, კარგავს ძალასა და ენერგიას, ეწყება ტკივილები მუცლის, თავისა და გულის არეში, იტანჯება უძილობით, კოშმარებით. თუ დროულად არ მოხდა მავნე ენერგეტიკული ზემოქმედების განეიტრალება, ჯადოს მსხვერპლის მდგომარეობა თანდათან გაუარესდება.

— რაში ვლინდება მოსალოდნელი გართულება?

— ჯადოს მსხვერპლს ესმის უცნაური ხმები და აღიქვამს ტელეპათიურ სიგნალებს. უარყოფითი პროგრამა, რომელიც ადამიანის ხელოვნურად გარღვეულ აურაში შეიტანა მჩხიბავმა, მუშაობს და მსხვერპლს შთააგონებს, ზიანი მიაყენოს საკუთარ თავს ან სხვებს. როცა ჯადო სასიკვდილოა, ადამიანს ეწყება ხილვები, მას ზოგჯერ ეცხადებიან მიცვალებულები, რომლებიც თავისთან იხმობენ. ჯადოს მსხვერპლი ხშირად ვარდება ღრმა დეპრესიაში და ცხოვრება მისთვის აუტანელი ხდება. ზოგჯერ სასიკვდილო ჯადოს ზემოქმედება იწვევს უკურნებელ დაავადებას, ჩვენ კი აზრადაც არ მოგვდის, სენი შავ მაგიას დავუკავშიროთ... რა თქმა უნდა, არ შეიძლება, ოჯახური პრობლემები, ტრაგიკული შემთხვევები და წარუმატებლობა პირად ცხოვრებაში მხოლოდ ჯადოს მივაწეროთ. კარმისა და აურის დიაგნოსტიკის გარეშე წარმოუდგენელია ჭეშმარიტი მიზეზის დადგენა. უსიამოვნებათა გამოწვევა შეუძლია აგრეთვე, გათვალვას, წყევლას, აურის დაზიანებას, კარმულ დარღვევებს, ასე რომ, ყველა უბედურების წყაროდ მარტო ჯადოს ვერ მივიჩნევთ. სხვათა შორის, ოჯახურ პრობლემათა გამომწვევი მიზეზი ხშირად აურის უკიდურესი დაბინძურება ხდება. ამ რამდენიმე თვის წინ ჩემთან მოვიდა ხნიერი ქალბატონი, ერთადერთი ვაჟის დედა, რომელსაც შვილთან ურთიერთობა ისე დაეძაბა, რომ თავის მოკვლა სცადა.

— რამ მიიყვანა მოხუცი თვითმკვლელობამდე?

— ერთადერთი ვაჟის დაოჯახების შემდეგ, დედა-შვილს შორის ურთიერთობა თანდათან აუტანელი გახდა.

— ცოლმა აამხედრა ქმარი მოხუცის წინააღმდეგ?

— არა, რძალ-დედამთილს არაფერი ჰქონდათ გასაყოფი, დედა კმაყოფილი იყო შვილის არჩევანით. მიუხედავად ამისა, მოხუცი ეჭვობდა, რომ მისი ვაჟი ცოლმა გადარია.

— მაშ, რამ დაძაბა დედა-შვილის ურთიერთობა?

— ახალგაზრდა კაცს აურა იმდენად დაუბინძურდა ნეგატიური ინფორმაციით, რომ თავად დაიწყო უარყოფითი მუხტის გამოსხივება. ახალმოყვანილ მეუღლეს ვერ გაუბედა, სამგიეროდ, დედა დაიბრიყვა, რადგანაც მასთან ჩხუბის დროს ნეგატიური მუხტისგან იცლებოდა.

— რა სიმპტომებით ვლინდება აურის დაბინძურება?

— აურის უკიდურეს დაბინძურებას ისეთივე სიმპტომები აქვს, როგორიც ნევროზს, ამიტომ ხშირად წლების განმავლობაში უშედეგოდ მკურნალობენ ხოლმე პაციენტს ქიმიური პრეპარატებით... ვიმეორებ, ენერგეტიკულ დაავადებას ექიმი და წამალი ვერ შველის, ის მხოლოდ გამოლოცვით, ანუ ნეგატიური მუხტის განეიტრალების შედეგად იკურნება.

— როგორ მოგვარდა კონფლიქტი დედა-შვილს შორს?

— დაბინძურებული აურის განწმენდამ სასურველი შედეგი გამოიღო. ახალგაზრდა კაცი დაწყნარდა, დამშვიდდა, დაიბრუნა დაკარგული სულიერი სიმშვიდე და დედა-შვილს შორის ძველებური ურთიერთობა აღდგა. ოჯახში ერთი ადამიანიც რომ აღმოჩნდეს ნეგატიური ენერგიით დამუხტული, სრულიად საკმარისია კონფლიქტების შესაქმნელად, რადგანაც იგი მუდამ ჩხუბის საბაბს ეძებს და პოულობს კიდეც. კონფლიქტების, წარუმატებლობისა და უბედური შემთხვევების მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე, კარმული დარღვევები.

— ამბობენ, რომ გახშირდა ჯადოთი გამოწვეული ინტოქსიკაციის შემთხვევა, მართალია თუ არა?

— სამწუხაროდ, მართალია!.. ამას წინათ, საკმაოდ დიდი თანამდებობის მქონე პირის თანაშემწემ ჩემი ძმის პროტექციით მომაკითხა და საავადმყოფოში წამიყვანა. მისი უფროსი ძალიან ცუდად იყო, მაგრამ ექიმებმა დიაგნოზი ვერ დაუსვეს... სამწუხაროდ, გახშირდა შემთხვევები, როცა მაღალჩინოსნებს სასმელში, ან საჭმელში ჯადოს უყრიან.

— გამოლოცვა თუ შველის დეპრესიას?

— რა თქმა უნდა! ჩემთან უამრავი დეპრესიაში ჩავარდნილი ადამიანი მოდის. საუბედუროდ, დღეს მეტ-ნაკლებად ყველას აქვს დეპრესია, მისგან თავი ლოცვით უნდა დავიცვათ. როცა სული ძლიერდება, პიროვნებას ენერგია ემატება, შებრძოლების უნარი უჩნდება, მაგრამ ვისაც მოერია, ვინც დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდა მას და დეპრესიის ჭაობში ჩაითრია, გამოლოცვა სჭირდება. თუ კაცი ჯანმრთელობისთვის ლოცვით იბრძოლებს, უფალი მასთან იქნება. აქვე მინდა დავამატო, რომ ზოგჯერ დეპრესიაში ჩავარდნილი ადამიანები კი არა, ისეთი პაციენტები მოჰყავთ ჩემთან, ვინც ფსიქიატრიულშია ნაწოლი და ათ წელზე მეტია ექიმები მედიკანეტებით მკურნალობენ. ასეთი ავადმყოფების პატრონები ტყუილად ნუ დამირეკავენ, მე მათ ვერ ვუშველი.

— ნარკომანების მშობლებს აინტერესებთ, შვილების დაუსწრებლად თუ შეგიძლიათ მათი გამოლოცვა?

— სიამოვნებით დავეხმარები ნარკომანს, მაგრამ თვითონ უნდა მოვიდეს, სხვის მაგივრად არავინ მთხოვოს დახმარება, არ შეიძლება!.. პიროვნებამ თავად უნდა მოისურვოს ღვთიური მადლის მიღება და გამოჯანმრთელება. აზარტული თამაშის მოყვარულებიც მოდიან დახმარების სათხოვნელად... წინასწარ ვაფრთხილებ ყველას, გამოლოცვის შემდეგ, თუ ნარკომანი წამალს გაიკეთებს, სიკვდილი უწერია, თუ მოთამაშე კაზინოში წავა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს. ერთი არაჩვეულებრივი პიროვნება, ჩემი ოჯახის ახლობელი, უწვალებლად, „ლომკის“ გარეშე გადავაჩვიე ნარკოტიკულ ნივთიერებებს. 2 წლის განმავლობაში მშვენივრად იყო, მაგრამ ერთხელაც ისევ მოხვდა ძველ ნაცნობებში და წამალი გაიკეთა. საბრალო, მაშინვე მოკვდა. არ ვიცი, რატომ არ დამიჯერა, წინასწარ გავაფრთხილე, რაც დაემართებოდა. უფალი გაჭირვების ჟამს არ ტოვებს ადამიანს, მასთან არის, მაგრამ თუ ღვთიურ მადლს არ მიიღებს კაცი, არაფერი გამოვა, ასე რომ, ოჯახის წევრების ხათრით, ნახევარი რწმენით ჩემთან ნურავინ მოვა.

— მკითხველებს აინტერესებთ, გაქვთ თუ არა ნათელხილვის უნარი?

— ზოგჯერ ლოცვების დროს, უფლის კარნახით წინასწარ ვამბობ, რა უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამის გამო ნუ მომნათლავენ მარჩიელად, ნათელმხილველსა და მკითხავს ნუ შემადარებენ. წინდაწინ ვაფრთხილებ ყველას, ყველაფერი უფლის ნება-სურვილით ხდება და არა ჩემი მეცადინეობით.

— შეპყრობილებსაც ლოცვით ათავისუფლებთ ავსულთაგან?

— დიახ, ეშმაკს ეშინია ლოცვის, ვერ იტანს ღვთიურ მადლს, რომელიც შეპყრობილზე გადმოდის და ტოვებს მას...

— პოლიტიკური ვითარება თუ ახდენს ზეგავლენას აურის დაბინძურებაზე?

— რა თქმა უნდა, ახდენს! ჩემი რჩევაა, ლოცვებით გაძლიერდნენ... პოლიტიკაზე სხვა დროს ვისაუბროთ, როცა ხალხი აზრზე მოვა. მერწმუნეთ, მხოლოდ ლოცვა გადაგვარჩენს, მივიღოთ მადლი უფლისგან, რომ მტერმა ვერ დაგვამარცხოს.

P.S. ქალბატონი დალი წინასწარ ჩაწერის გარეშე არავის იღებს! ჩაწერა ხდება ტელეფონით. დარეკეთ ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 9 სათიდან 16 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონებია: 96.79.00; 8(99) 10.73.06; 8(77) 71.97.67.

ცნობილი მომღერლების ალმზრდელი ციცინო ციცქიშვილი საკუთარი მანქანის საპოვნელად ტაქსის ქირაობდა

ბევრს დიდ სიხარულს და სიამოვნებას ჰგვრიდა 60-იანი წლების ვოკალური დუეტი, ციცინო ციცქიშვილისა და ეთერ გვაზავას შემადგენლობით. სცენიდან წასვლის შემდეგ, ციცინო ციცქიშვილი ათწლეულების მანძილზე, პიონერთა — ამჟამად, მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, ბავშვთა ვოკალური აღზრდის განყოფილებაში. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენგან წასული, ღვაწლმოსილი მომღერლისა და პედაგოგის გასახსენებლად მის თანამშრომლებს და ყოფილ მოსწავლეებს შევხვდით.

1999 წელი, მუმგაიდის ბაღი

ნუცა თოფჩიშვილი

ლეილა კაკაურიძე, *მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ესთეტიკური აღზრდის განყოფილების გამგე:*

— მრავალი წელი გვაკავშირებდა ერთმანეთთან, ბავშვთა ვოკალურ აღზრდაში დიდია მისი ღვაწლი. ასეთი კვალიფიციური პედაგოგი დღესაც არ მეგულება სასახლეში. მისი აღზრდილები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ესთეტიკური გემოვნებით, სიმღერის შესრულების მანერით და სცენაზე ქცევით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი ბავშვების მიღების უფლება არ გვქონდა, გამონაკლისს მაინც უშვებდა. დაგისახელებთ ეკა კახიანს. ეკა 3 წლის იყო, ციცინოსთან რომ მოიყვანეს. როგორც ჩანს, მასში განსაკუთრებული ვოკალური მონაცემები დაინახა. ციცინო ყველა ბავშვისადმი ერთნაირად ყურადღებიანი და გულისხმიერი იყო. ძალიან ბევრი აღზარდა, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა...

კახა ცაბაძე, *კომპოზიტორი:*

— საოცარი პიროვნება გახლდათ. ასეთი ღირსეული ადამიანი იშვიათად შეგხვდება. სანამ ასეთი ხალხი ცოცხალია და მათ გვერდით ხარ, თითქოს ვერ ამჩნევ როგორ გავსებენ? როცა ამ ქვეყნიდან მიდიან, მაშინ გრძნობ, თუ როგორი გამორჩეული ურთიერთობა დაგაკლდა. თაობები აღზარდა ბუნებით გულუბრყვილო, ალალმა და კეთილმა ადამიანმა და მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. მისი წყალობით იქცა ჩემი ბავშვობის ბედნიერ დღეებად სამშაბათი და პარასკევი — ამ დღეებში გვქონდა მასთან გაკვეთილები. საოცარი იუმორის გრძნობით გამოირჩეოდა. ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო. ციცინო მანქანით მივიდა ერთ პანაშვიდზე. უკან რომ გამოვიდა, თავისი მანქანა ვერსად იპოვა. ეძება, ეძება და რომ ვერ მიაგნო, ტაქსი გააჩერა და მძღოლს უთხრა — აქ სადღაც მანქანა დავაყენე, ვერ ვპოულობ, შემომატარე ეს ტერიტორია და მაპოვნინეო. მძღოლმა ბევრი ძებნის შემდეგ აპოვნინა მანქანა. ციცინომ ფულის გადახდა რომ დააპირა, მძღოლმა უთხრა — ქალბატონო, თქვენ ისეთი სიამოვნება მომანიჭეთ და იმდენი მაცინეთ, ფულს როგორ გამოგართმევთო?.. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ციცინოს, როგორც მომღერლის მნიშვნელობას. ქართული ესტრადის განვითარებას მან უდიდესი ღვაწლი დასდო. მერე აქციეს პოპულარულობად ტელევიზიებმა,რადიოებმა და კლიპებმა მომღერლები. რაც არ უნდა ლამაზი იყოს სახლი, თუ მყარი საძირკველი არა აქვს, თავზე დაგენგრევა. სწორედ ამ საძირკვლის ფუნქცია ჰქონდა ციცინოს.

ინგა ბერაძე, *მომღერალი:*

— 3 წლის ასაკში მივედი პიონერთა სასახლეში, ციცინოს ჯგუფში. ჩემი პირველი სიმღერა, „ციფუ-ციფუ“ იყო. მაშინ სასახლის მთავარი რეჟისორი ბიჭიკო (ნოდარ) ჩხეიძე გახლდათ. ერთხელ, ციცინოსთან მივიდა და უთხრა — მინდა, ინგა გამოვიყვანო სცენაზე და ხომ არ იტირებსო? — რას ჰქვია, იტირებს?! უკვე ჩამოყალიბებული მომღერალიაო! — უპასუხა ციცინომ. ისეთი თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ჩვენთან, ბავშვებთან, რომ პიონერთა სასახლეში მისვლა ჩვენთვის ზეიმი იყო. უკეთილშობილესი ადამიანი გახლდათ. ბოლომდე ჩვენს მესაიდუმლედ დარჩა და ყველაფერი იცოდა ჩვენ შესახებ. მისი მოწაფეები იყვნენ: კახა ცაბაძე, თემო რცხილაძე, ეკა კახიანი, ლელა წურწუმია, თამრიკო ჭოხონელიძე, ხათუნა დუნდუა, ლელა სიხარულიძე, მსახიობები ნათია კავსაძე, კაკი ხიდაშელი. ამჟამად სახელგანთქმული ტენორი ბადრი მაისურაძე.

— ვიცი, რომ ხშირად დადიოდით გასტროლებზე, იქნებ, გაიხსენოთ რამე შემთხვევა.

— სწორედ მაშინ შემოვიარეთ იმდროინდელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქი. საქართველოს ყველა ქალაქში ვმართავდით კონცერტებს, გვიწვევდნენ სამთავრობო ღონისძიებებზე. გახსენებით კი, მოსკოვში გამართული საქართველოს დღეები მინდა გავიხსენო. მე და ნათია კავსაძე, 8-9 წლის ბავშვები, გამოჩენილ ქართველ ხელოვნებთან ერთად გავემგზავრეთ. ციცინომ გიული დარახველიძეს და ინოლა გურგულიას ჩაბარა ჩვენი თავი — ბავშვებს განსაკუთრებით მიხედეთო. კონცერტის წინ გავცივდი, ყელი ამტკივდა. მივედი გიული დარახველიძესთან და ვეუბნები — გიული დეიდა, ყელი მტკივა, ვერ ვიმღერებ, ხმა არა მაქვს-მეთქი. გიულიმ მითხრა — ახლა მე შენ ისეთ წამალს მოგცემ, უცებ ამღერდები — ხმის მოსაყვანი წამალია, ციცინომ გამომატანა და მითხრა — თუ ინგას ყელი ასტკივდა, დაალევინე და მორჩებაო... დამალევინა გიულიმ რაღაც უბრალო წამალი, ის არც გაცივების საწინააღმდეგო იყო და არც ყელის ტკივილის. მაგრამ, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურად ისე განვწყვე ციცინოს წამლისადმი, რომ მეორე დღეს, მართლაც, დამიბრუნდა ხმა... თბილისში რომ ჩამოვედით, ციცინომ ამ შემთხვევის გამო ძალზე იმხიარულა.

ეთერ გოგატიშვილი, *ციცინო ციცქიშვილის კონცერტმაისტერი:*

— ჩვენ მარტო საქმიანობა როდი გვაკავშირებდა — ეს მეგობრობაც იყო და დედაშვილობაც. მის ხელში გავიზარდე. მე და ციცინომ 43 წელი ვიმუშავეთ ერთად. რაღაც ენით აღუწერელი აურა ჰქონდა, ბავშვებთან მისთვის დამახასიათებელი,

ენით აღუწერელი აურა ჰქონდა, ბავშვებთან მისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული ხერხით მუშაობდა

განსაკუთრებული ხერხით მუშაობდა. სიმღერას თავი რომ დაანება, პედაგოგიურ მუშაობაში ისე ჩაეფლო, აღარც ახსოვდა, ოდესმე თუ მღეროდა.

— როდის და რატომ დაანება თავი სიმღერას?

— ეთერ გვაზავასთან ერთად მღეროდა დუეტში. ეთერის გარდაცვალების შემდეგ, ძალიან გაუჭირდა სიმღერის გაგრძელება. მართალია, ცოტა ხანი, ნათელა მკერვალიძესთან ერთად მღეროდა, მაგრამ გლანდების ოპერაციის შემდეგ, ყელის სიმშრალე დაეწყო და ამის გამო გამოეთხოვა ესტრადას. საშუალო დონეზე ვერ ვიმღერებო, — თქვა.

კახა ცაბაძე:

— ძალიან მინდა, ერთი შემთხვევა გავიხსენო. ერთხელ, სასახლეში შემხვდა, სიცილით კვდება და მეუბნება — ნეტავ, იცოდე, რა დამემართაო? ერთმა ჩემი მოსწავლის მამამ დამირეკა და მეკითხება — ჩემი ბავშვი როგორიაო? გვარით ვერ გავიხსენე, რომელ ბავშვზე მეუბნებოდა; რა უნდა მეთქვა? — ვაქე ბავშვი და მერე მივაყოლე — ხანდახან აცდენს-მეთქი, ისე ვთქვი, ყველა პედაგოგის მსგავსად, რომ ბავშვს უფრო ბეჯითად ემეცადინა... ბავშვის მამა გაგიჟებულა — რას ჰქვია, აცდენს? ჩემს მეუღლეს დაჰყავს, თუ აცდენენ, მაშ, სად დადიანო?.. — და ციცინომ მითხრა — მგონი, ოჯახში უსიამოვნება ჩამოვაგდეო...

ეთერ გოგატიშვილი:

— ამ ამბის გაგრძელებას მე მოგახსენებთ. მოვიდა მეორე დღეს ამ ბავშვის დედა, შეწუხებული მეუბნება — გადარია ქალბატონმა ციცინომ ჩემი ქმარიო. — არადა, მისი შვილი ჯგუფში გამორჩეული იყო. არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენია...

— 70-იან წლებში „მზიურის“ ბუმი იყო, თან თქვენი ჯგუფებით გასტროლებზეც ხშირად გიწევდათ წასვლა. თუ სთხოვდნენ ისეთი ბავშვის ჯგუფში მოწყობას ან გასტროლებზე გაშვებას, რომელიც ღირსი არ იყო?

— ბავშვის ნიჭის გარდა, მისთვის არაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა — არც მშობლის სახელს და არც მის თანამდებობას... ლენინგრადში გასტროლებზე წასასვლელად ვემზადებოდით. 14 ბიჭი მიგვყავდა. ერთ-ერთი მათგანი შედარებით ცუდად მღეროდა და მისი გაშვება არ უნდოდა. ქვეყანა შეაწრიალეს ამ ბავშვის მშობლებმა და როგორც ჩანს, სასახლის დირექტორთანაც გამოძებნეს პროტექტორი — ქალბატონ ციცინოს სთხოვეთ, ბავშვი გასტროლებზე გაუშვასო. ის ოთახი, სადაც რეპეტიცია გვქონდა, ნახევრად ჩაბნელებული იყო და კარიდან შემოსული ადამიანის სახე არ ჩანდა. ერთ დღეს, შემოვიდა სასახლის დირექტორი და ციცინოს მიმართა — თუ შეიძლება, დაგელაპარაკოთო? ციცინომ ვერ იცნო, მშობელი ეგონა, თან ვერ იტანდა, როცა გასტროლების წინ მშობლები ბავშვების წაყვანა-არწაყვანის საკითხზე აწუხებდნენ და ცივად შეხვდა. დირექტორმა მორიდებით ჰკითხა სწორედ იმ ბიჭის შესახებ. ციცინომ მოუჭრა — არ ვარგაო, — და დასძინა — მეტი არაფერი გნებავთო? — არა, ქალბატონო ციცინოო. — ჰოდა, კარგად ბრძანდებოდეთ, დაკავებული ვარ და ხელს ნუღარ მიშლითო... მივხვდით, რომ სასახლის დირექტორი ვერ იცნო და როცა ის გავიდა, ვუთხარით, რომ მშობელი კი არა, დირექტორი იყო.

— რაო? დირექტორიო? აბა, ხვალიდან, გაგდებული ვარ სამსახურიდანო... ბიჭიკო ჩხეიძეს შესჩივლა და სთხოვა — მიდი დირექტორთან და უთხარი, რაც დამემართაო. წაიყვანა სიცილისგან ჩაბჟირებულმა ბიჭიკომ დირექტორთან და აუხსნა — მშობელი ეგონე, თანაც, სახეზეც არ მოეწონე და იმიტომ არ მიგიღოო... დირექტორმა უთხრა — ქალბატონო ციცინო, ძალიან სწორად მოიქეცითო. გახარებულმა ციცინომ წამოიძახა — ე.ი. სამსახურში ვრჩებიო?!.

— მისი პირადი ცხოვრების შესახებაც გვიამბეთ. როგორც ვიცი, არცთუ ისე დალხენილი ცხოვრება ჰქონდა...

— დალხენილი ცხოვრება ნამდვილად არ ჰქონდა. მამამისი არც უნახავს — 1924 წლის რეპრესიების დროს დააპატიმრეს და დახვრიტეს... შვილი 3 წლის ჰყავდა, როცა ლენინგრადში გასტროლებზე მყოფ ციცინოს მეუღლემ — ცნობილმა მეცნიერ-ქიმიკოსმა ემელიანე გიორგაძემ ჩააკითხა და უეცრად იქ გარდაიცვალა. ასე რომ, შვილი — ნანა გიორგაძე მარტომ გაზარდა. ციცინოს შვილიშვილმა, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა ნინიკო კერესელიძემ, რომელიც ბებიაზე უზომოდ იყო შეყვარებული, მას მსოფლიოს „ბებიების დედა“ უწოდა... ოჯახის მთელი ტვირთი აწვა მხრებზე. ოთხ ადგილას მუშაობდა და სულ ვხუმრობდით — სადაც კი ტროლეიბუსი ჩერდება, ყველგან ციცინო მუშაობსო. ყველაფერს ასწრებდა. თეატრალური ინსტიტუტი და სასახლე უყვარდა ძალიან. სასახლიდან რომ გამიშვან, სახლამდე ვერ მივაღწევო, — ამბობდა.

ფეხბურთი უყვარდა განსაკუთრებულად... ზიდანი და რონალდო მოსწონდა.... (ციცინო ციცქიშვილი (მარჯვნივ) კონცერტმაისტერთან ეთერ გოგატიშვილთან ერთად)

— მუსიკის და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, თუ იყო რამით გატაცებული?

— ფეხბურთი უყვარდა განსაკუთრებულად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში მაღალი წნევა აწუხებდა, ყველა თამაშს უყურებდა. სულ ფეხბურთზე ლაპარაკობდა. ძმებ არველაძეებზე იყო უზომოდ შეყვარებული. ზიდანი და რონალდო მოსწონდა. კარგად ესმოდა ფეხბურთი. სამსახურში მხოლოდ ფეხბურთის გამო შეიძლებოდა დაეგვიანა.

— დაბოლოს, მომავალი წლის აპრილში სრულდება 80 წელი ქალბატონი ციცინოს დაბადებიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად რაიმე ხომ არ იგეგმება?

— მისი დაბადების დღე 12 აპრილსაა. არ უყვარდა დაბადების დღის გადახდა, აღიზიანებდა ის, რომ წლები ემატებოდა. მისი ნამდვილი სახელი ნინო გახლდათ და ნინოობას ყოველთვის მეგობრებთან ერთად აღნიშნავდა. სასახლის კინოკაბინეტის გამგეს ციცინოს ცხოვრების ამსახველი კარგი მასალები აქვს. უკვე დავიწყეთ მზადება, რადიოს ჩანაწერებსაც გამოვიყენებთ. გვინდა, 12 აპრილს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გავმართოთ, სადაც ციცინოს აღსაზრდელთა ჯგარი დადგება... ამას ჩვენ ვაპირებთ, მთავრობა რას გააკეთებს, არ ვიცი.

■

კვირის (25-31 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: თუ თქვენ მეცნიერი ხართ, წარმატება გელით. შეიძლება ამ კვირაში ახალი აღმოჩენის ავტორი გახდეთ. თუ მეცნიერი არ ხართ, მაშინ შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ.

მამაკაცი: ნუ დაელოდებით წარმატებას შინ, ტახტზე წამოკოტრიალებული. მიდექით-მოდექით, ხელი გაანძრიეთ, გონებასაც ძალა დაატანეთ და შემდეგ კვირაში დატკბით მიღწეული შედეგით.

კუნრო – 21/IV-21/V

ქალი: ნუ გაიფუჭებთ განწყობილებას მხოლოდ იმის გამო, რომ საყვარელმა მამაკაცმა ტყუილების თქმას მოუხშირა. თუ ხელოვანი ხართ, ჯობს ეს კვირა საკუთარ შემოქმედებას დაუთმოთ.

მამაკაცი: სიყვარულში გაწბილებული დარჩებით, თუ ეჭვიანობის სენით ხართ შეპყრობილი. ამ კვირაში თქვენი ეჭვები ზენიტს მიაღწევს და შეცდომის დაშვების რისკის ქვეშ იმყოფებით.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: ყურადღებით დააკვირდით გარშემომყოფთ. თქვენ ირგვლივ პიროვნებები ხომ არ ჭარბობენ. მეტი პატივისცემით მოეპყარით მათ, ვისაც აქვს უნარი, თამამად გამოხატოს თავისი აზრი.

მამაკაცი: სასიყვარულო ასპარეზზე ახალი თავგადასავალი ჩნდება. ამ კვირაში ის მანდილოსანი, რომლის გულის მონადირებასაც წლების განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდით, ბედნიერად იგრძნობს თავს, თუკი შეეხმიანებით.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. აკონტროლეთ ემოციები. დაუფიქრებელი გამონათქვამით ნუ გაანაწყენებთ მეგობრებს.

მამაკაცი: საქმიან ქაღალდებთან მეტი სიფრთხილე გმართებთ. თუ მდიდარი ხართ, შეიძლება თქვენი პერსონით კრიმინალური სამყარო დაინტერესდეს.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: მაღაზიაში თუ შებრძანდებით, კარგად დაითვალეთ ხურდა და ყურადღებით დაათვალიერეთ ის ნივთები, რის შეძენასაც აპირებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება შინ ცალ-ცალი ფეხსაცმელი ან სახელმორღვეული პიჯაკი მიიტანოთ.

მამაკაცი: თავი შორს დაიჭირეთ ქალებისგან, რომელთაც აჩნევთ, რომ თქვენი მოხიბლვა ანგარების მიზნით სურთ. მათ, თქვენი ფინანსური ან სამსახურებრივი მდგომარეობა უფრო ხიბლავთ, ვიდრე თქვენი პიროვნული თვისებები.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: მოუსმინეთ მეგობრების რჩევას. ნუ შეგიპყრობთ განდიდების მანია. საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების შეფასებაში იყავით ობიექტური.

მამაკაცი: შეეცადეთ იუმორით შეხედოთ ყველაფერს, რაც კი გაღიზიანებთ. ნუ მიეცემით უიმედობას. გახსოვდეთ, რომ ყველა დაღმართს აღმართი მოსდევს.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: მოერიდეთ კონფლიქტებს. თქვენს წინააღმდეგ სერიოზული პროვოკაცია იგეგმება. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და დაელოდეთ მოვლენების შემდგომ განვითარებას.

მამაკაცი: ამ კვირაში თოვლის ბაბუის როლი მოგიხდებათ. ჰკითხეთ ოჯახის წევრებს რაზე ოცნებობენ ისინი და შეძლებისდაგვარად აუსრულეთ სურვილები.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ნუ მოსწყდებით რეალობას, მოვლენების წორად აღქმა, სწორი გადაწყვეტილების მიღების გარანტია. გირჩევთ ამ კვირაში ფინანსური გარიგებისგან თავი შეიკავოთ. ნუ ეტყვით მეგობარს უარს, თუკი ის ბუნებაში გასეირნებას შემოგთავაზებთ.

მამაკაცი: მომჭირნეობისკენ მოგიწოდებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უახლოეს მომავალში ფულის სესხება მოგიწევთ. კარგად დაფიქრდით, დარწმუნებული ხართ იმ ქალის საპასუხო გრძნობებში, ვისი გულისთვისაც მზად ხართ, გაკოტრდეთ?

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: წინ სასიამოვნო სიურპრიზი გელით. მოულოდნელი სიხარულით გამოწვეული განწყობილება მთელი კვირის განმავლობაში გაგყვებათ. ამ კვირაში ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებს ბრწყინვალედ გაართმევთ თავს.

მამაკაცი: მიუხედავად ძალიან გადატვირთული კვირისა, პირადი ცხოვრებისთვისაც გრჩებათ დრო და ეს დრო ჭკვიანურად გამოიყენეთ. იყავით უფრო აქტიური და წარმატებაც არ დააყოვნებს!

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ამ დღეებში ნუ დაგეგმავთ შორეულ მხარეში მოგზაურობას. ჯობს ეს საქმე შემდეგი კვირისთვის გადადოთ. იყავით განსაკუთრებით ყურადღებიანი ახლობლების მიმართ.

მამაკაცი: სასიყვარულო ურთიერთობებში სრული ჰარმონია გელით. დაპატიჟეთ თქვენი რჩეული რესტორანში. რამდენიმე ჭიქა შამპანურის შემდეგ ჰკითხეთ რომელ ვარსკვლავზე ისურვებდა მოგზაურობას და პირდაპირ იმ ვარსკვლავისკენ აიღეთ გეზი.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: წარმატება ნუ გაგათამამებთ. კარგად დაფიქრდით, ნაადრევი ხომ არ არის ახალი გეგმების შესახებ ხმამაღლა განაცხადოთ? მოკლედ, გირჩევთ ჯერ იმით დატკბეთ, რასაც უკვე მიაღწიეთ.

მამაკაცი: სიყვარულში გიმართლებთ, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს, მსუბუქი ფლირტით უფრო ხართ გატაცებული, ვიდრე სერიოზული ურთიერთობებით. კი მაგრამ, რამდენ ხანს შეიძლება ასე გააგრძელოთ?

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ენდეთ ინტუიციას. ის მართლაც კარგი მრჩეველია. ამ კვირაში ნებისმიერი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ. მიენდეთ მხოლოდ საკუთარი გულის და გონების კარნახს, მომავალში კი შეეცადეთ, მალე დაივიწყოთ ამ კვირაში დაშვებული შეცდომები.

მამაკაცი: სასტიკად გეკრძალებათ დარდიმანდობა. ამ კვირაში თქვენმა საქმისადმი მიდგომამ, აქტიურობამ და ორგანიზებულობამ შეიძლება თქვენი ცხოვრება მთლიანად შეცვალოს.

საზოგ. საპირ-ფარეშო ქალაქებში	რ	სტადიონი რიო-დე-ჟანეი-როში	ვულკა-ნის ყელი	კ	პ	ერთგვარი საზაფხუ-ლო ქუდი	ჩინეთის ფულის ერთეული	საქართველო-ში დაბად-ული რუსი პოეტი	მ
ს	ე	მ	ი	რ	ა	მ	ი	დ	ა
დაკიდე-ბული ბაღების პატრონი	ტ	ა	რ	ა	ნ	ტ	უ	ლ	ი
შხამიანი ობობა	ი	რ	ე	ტ	ა	კ	ა	რ	ა
ე	რ	ა	კ	ე	მ	პატარა ვემი, კატარღა	ნ	თუთიყ-უშის სახეობა	კ
საუკეთესო ხარისხის ბროლი	ბ	ა	კ	ა	რ	ა	ფეხბურ-თელის ამპლუა	ი	ბ	ო

ჯამორჯანილი აღაქმანჯის ამოსგრეჯული ჯამონაშეჯამები

სად არის დახვეწილი საზოგადოება

ერთმა აგრესიულმა საეკლესიო მსახურმა გააფრთხილა ბერნარდ შოუ — თქვენი ნაწარმოებების გამო, ჯოჯოხეთში მოხვდებითო. დრამატურგმა დაუფიქრებლად მიუგო:

— ეს სულაც არ მაშინებს. ჯოჯოხეთს, ისევე, როგორც სამოთხეს, თავისი დადებითი მხარე აქვს: სამოთხეში საუცხოო კლიმატია, ჯოჯოხეთში კი — დახვეწილი საზოგადოება.

შეყვარებული მუსიკოსი

გამოჩენილ მუსიკოსს მსტისლავ როსტროპოვიჩს ჰკითხეს:

— უცნაურია, რომ თავის დროზე, სრულიად ნორჩმა, მაინცდამაინც ვიოლონჩელი აირჩიეთ. რატომ მოხდა ასე?

— იმიტომ, რომ ის ქალივით შემიყვარდა — რუსულ ენაში ხომ „ვიოლონჩელი“ მდედრობითი სქესის სიტყვათა რიგს განეკუთვნება?!. და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შევიტყვე, რომ ფრანგულში ის მამრობითი „სქესისაა“. ამან ლამისაა, შოკში ჩამაგდო! ეს რომ სიჭაბუკეში მცოდნოდა, არ ვიცი, რომელ საკრავს ავირჩევდი...

ცნობარების მოყვარული გენიოსი

ერთხელ აინშტაინს ედისონმა შესჩივლა — ვერაფრით მიპოვია თანაშემწეო. აინშტაინი დაინტერესდა — რა კრიტერიუმებით არჩევდა იგი შესაფერის კანდიდატურას. ედისონმა უჩვენა კითხვარი, რომელიც საგანგებოდ ჰქონდა შედგენილი კანდიდატთა გამოსაცდელად. „რა მანძილია ნიუ-იორკიდან ჩიკაგომდე?“ — წაიკითხა აინშტაინმა და კოლეგას უთხრა:

— პასუხი სარკინიგზო ცნობარში წერია...

მეორე კითხვა: „რისგან ამზადებენ უჟანგავ ფოლადს?“

— ეს ხომ მეტალურგიულ ცნობარში წერია?!. — შეიცხადა აინშტაინმა და დასძინა: — არც კი გეკითხებით, ისე ვხსნი ჩემს კანდიდატურას თქვენი თანაშემწის პოსტზე...

ანეკდოტები

***

ცოლი ქმართან სამსახურში მივიდა და მის მაგიდაზე ლამაზ ჩარჩოში ჩასმული, საკუთარი სურათი დაინახა.

— საყვარელო, ეს სურათი მუდამ გიდგას მაგიდაზე?

— დიახ... როცა უფროსთან სერიოზული პრობლემა მაქვს, შენს სურათს ვუყურებ და გულზე მეშვება: შენ გიძლებ და იმას როგორ ვერ გავუძლებ?..

***

— ჩემს სიდედრს ალერსიანად ვეძახი ხოლმე: ჩემო ბაჭიავ, ჩემო ლიფსიტავ, ჩემო ჩიტუნავ...

— ვაა... მაგარი ხარ!.. ის რაღას შვრება?

— ყურებს ცქვეტს, თვალებს კარკლავს და ნისკარტს ათამაშებს...

***

— დედი, — შეშინებული ამბობს ბიჭუნა, რომელიც ფანჯარაში იყურება, — აი, მამიკო მოდის. რა ვაჩვენოთ პირველად — შენი ახალი კაბა თუ ჩემი დღიური?..

***

ორი ჯიბგირი ბარში ზის. ერთ-ერთი, ჯიბიდან მოდების ჟურნალს იღებს და ათვალიერებს.

— რას შვრები, გაცისფრდი, შე უპატრონო? — ეკითხება მეორე.

— გავცისფრდი კი არა, გავლურჯდი კიდო... „პროსტო“ მაინტერესებს, ამ სეზონზე ჯიბეებს რა ადგილებზე იკერებენ.

***

— რა სამართებელს უშობენ ე შობელძალლები!.. — ბრაზობს ანზორა. — ორი დღის წინ ვიყიდე და უკვე წვერს აღარ პარსავს.

— რა ვიცი, კარტოფილს და სტაფილოს კარგად თლის და... — უკვირს თალიკას.

***

შინ დაბრუნებულ ბიჭიკიას საკუთარი ძაღლი გაავებული ყეფით შეხვდა.

— რა უთხარი, ქალო, ამისთანა? გოუმხილე, ხომ, ქუჩიდან აყვანილი რომ მყავს?!.

***

ქართულმა კომპანიამ კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო ეკონომიკურ ინიციატივაზე. გაიმარჯვა ანზორამ, რომელმაც კომპანიის დირექტორს 1.000-დოლარიანი პრემიის ნაცვლად, 100-დოლარიანის დაწესება შესთავაზა!

***

022-ის ოპერატიული მონაცემები:

„თავისუფლების მოედანთან გახსნილ სტრიპტიზ-ბარში რაჭველ სტრიპტიზიორ გოგონას სამუშაო იარაღზე, სტრიპტიზ-მილის წვეროში ჩამოეძინა. შემთხვევის ადგილას 3 წთ-ში მისულ საპატრულო პოლიციელებს და მეხანძრეებს მის ჩამოსაყვანად ზუსტად 39 წმ დასჭირდათ.“

***

KBH-ური შეკითხვა:

— შესაძლებელია თუ არა, ადამიანი გავიდეს საპირფარეშოში და აღარ დაბრუნდეს?..

— შესაძლებელია... თუ ეს ადამიანი მძღ..ია...

***

— დედიკო, გახსოვს ის ჩინური ფაიფურის ვაზა, რომელიც ჩვენს ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა?

— როგორ არ მახსოვს?! რატომ მეკითხები?

— ჩემმა თაობამ ეს ტრადიცია დარღვია...

***

აბრა ჩინეთის სამშობიაროს შესასვლელთან:

„კმარა!“

***

მორიგი სკანდალის შემდეგ, ცოლი ქმარს უყვირის:

— მე დედაჩემთან მივემგზავრები, მაგრამ დაიმახსოვრე — ჩვენ დავბრუნდებით!..

***

— ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ...

— ექიმო, დაანებეთ ჩემს კბილებს თავი.

***

ფოტოგრაფი — ფოტომოდელს:

— ახლა მიიღეთ დაბნეული სახე. ამაში მეც დაგეხმარებით. რამდენია 7X6?

ხასიათის თავისებურებანი და იდეალური პარტნიორები

თქვენ წინაშეა ამქვეყნად არსებულ ტესტებს შორის უმოკლესი ტესტი. ლაკონიურობის მიუხედავად, ამ ტესტის მეშვეობით, თქვენ შეძლებთ ზედმიწევნით ზუსტად გაერკვეთ ადამიანის ხასიათის თავისებურებებში და რაც მთავარია, შეიტყობთ იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს თქვენი საუკეთესო პარტნიორი.

მაშ ასე, ყური უგდეთ თქვენს შინაგან ხმას და უპასუხეთ ორად ორ შეკითხვას: რომელი გირჩევნიათ — ა) კიტრი თუ პომიდორი; ბ) ნესვი თუ საზამთრო? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, დააწყვილეთ თქვენ მიერ არჩეული ბოსტნეული და ბაღჩეული და შესაბამისი წყვილი მოიძებნეთ ტესტის პასუხებში.

ტესტის შედეგები

კიტრი და ნესვი. როგორც წესი, ამგვარ არჩევანს მამაკაცები უფრო ხშირად აკეთებენ, ვიდრე ქალები. ამ ტიპის მამაკაცები სერიოზულები და მამაცები არიან. ისინი იშვიათად ექცევიან ვინმეს გავლენის ქვეშ და არც ალკოჰოლიზმისკენ აქვთ მიდრეკილება. მათ შორის ბევრია სპორტსმენი და მოგზაურობის მოყვარული. ამ ტიპის მამაკაცების გვერდით, ქალები საოცრად დაცულად და იმედიანად გრძნობენ თავს – მათი პასუხისმგებლობა ოჯახურ ურთიერთობებზეც ვრცელდება. ისინი საოცრად მიზანდასახულები არიან და საკმაოდ იოლადაც აღწევენ დასახულ მიზანს. თუმცა მათ ნაკლიც აქვთ – კიტრისა და ნესვის მოყვარული მამაკაცები ნაკლებად რომანტიკულები არიან. ამიტომ, თუკი ქალს სურს, რომ თავისი რჩეულისგან ოდესმე საჩუქრად ყვავილები მიიღოს, უმჯობესი იქნება, თუ ის ამაო ლოდინის ნაცვლად, სატრფოს მიანიშნებს, რომ საჩუქრად სწორედ თაიგულის მიღება უნდა. კიტრისა და ნესვის მოყვარული ქალები, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები ხდებიან, მაგრამ საოჯახო საქმეების კეთებისას ბავშვებივით უმწეოდ გამოიყურებიან – ისინი საკმაოდ ცუდი კულინარები არიან, არ უყვართ ჭურჭლისა და სარეცხის რეცხვა, არც ოჯახური ბიუჯეტის სათანადოდ განაწილება ხელეწიფებათ. სამაგიეროდ, თუკი მამაკაცი ამ ტიპის ქალს დაუკავშირებს ბედს, მისი სახით ერთგულ და გამგებიან მეუღლეს შეიძენს.

პომიდორი და საზამთრო. ამ ნაყოფების მოყვარული ადამიანები მხიარულები და აქტიურები არიან. გამოირჩევიან კომუნიკაბელობით, მაგრამ ყველას ერთნაირად კარგად როდი ექცევიან; ფიცხი ხასიათის გამო, ზოგჯერ სკანდალამდეც კი მიჰყავთ ხოლმე საქმე. ამ ტიპის მამაკაცები გურმანები არიან, სიზარმაცე ახასიათებთ და ამიტომ, როგორც წესი, ზურგჩანთასა და საძილე ტომარას, ჩუსტებსა და ხალათს ამჯობინებენ. პომიდვრისა და საზამთროს მოყვარული ქალები ემოციურები არიან, უყვართ ცხოველები და ოჯახური კერა; მათ ირგვლივ ყოველთვის სითბოსა და სიმყუდროვის შეგრძნება სუფევს. ისინი მოკლებულნი არიან ინტრიგების ხლართვის უნარს, მაგრამ ზოგჯერ შესაძლოა უტაქტოდაც მოიქცნენ, რადგან თითქმის ყოველთვის ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ. პომიდვრისა და საზამთროს მოყვარული ადამიანების ძირითადი ფსიქოლოგიური თავისებურება გულწრფელობა და უეშმაკობა გახლავთ.

კიტრი და საზამთრო. ამ ტიპის ადამიანები გამუდმებით სულიერად შფოთავენ. მათი გარეგნული სიმშვიდისა და თავშეკავების მიღმა შინაგანი დაძაბულობა იმალება. სწორედ ამგვარ მამაკაცებზეა ნათქვამი: იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობსო. კიტრისა და საზამთროს მოყვარულ ადამიანთან ცხოვრება, მოქმედ ვულკანთან ცხოვრებას ჰგავს, რადგან მის გვერდით არასოდეს იცი, თუ რა მოგელის ხვალ და რა აზრები უტრიალებს გამუდმებით მას თავში. ამ ტიპის ქალები წვრილმანების გამო არასოდეს აწყობენ სკანდალებს, ისინი ბოღმასა და წყენას გულში იხვევენ და ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ისეთი ამბავი ატეხონ, რომ ოჯახში ერთი მთელი თეფშიც კი აღარ დარჩეს (თეფშების ძირითად სამიზნეს, როგორც წესი, მეუღლე წარმოადგენს ხოლმე). კიტრისა და საზამთროს მოყვარულნი, შემოქმედ ადამიანთა ტიპს განეკუთვნებიან. ისინი გამოირჩევიან ნათელი გონებით და მათ შორის ხშირად შეხვდებით მეცნიერებსა და გამომგონებლებს. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: ვინმეს ეს ტესტი კვაჭი კვაჭანტირაძისთვის რომ გაეკეთებინა, ის აუცილებლად კიტრისა და საზამთროს მოყვარული ადამიანების ბანაკში ამოყოფდა თავს.

პომიდორი და ნესვი. თუკი თქვენ სწორედ ამ ორი ნაყოფით იხიბლებით, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ გაწონასწორებული, ტაქტიანი და მშვიდი ადამიანი ხართ. თქვენ შინაგანი ტაქტის გრძნობითა და მგრძნობიარე ნატურით გამოირჩევით. გიყვართ ლამაზი ნივთები და საუცხოო გემოვნებაც გაქვთ. პომიდვრისა და ნესვის მოყვარული მამაკაცები, ცოტა არ იყოს, ქალებივით მგრძნობიარენი არიან. ხშირ შემთხვევაში, ისინი მხატვრისა და მუსიკოსის პროფესიას ირჩევენ და საერთოდაც, ხელოვნების სფერო მათთვის ძალზე ახლობელია. მგრძნობიარე ნატურით გამორჩეულ ამ ტიპის ქალებს, ადვილად უყვარდებათ მამაკაცები. ამასთან, მათ ვნებიანობა და ერთგულება ახასიათებთ. პომიდვრისა და ნესვის მოყვარული ქალები, როგორც წესი, ერთგული, ნაზი და მზრუნველი ცოლები არიან. აი, ამ ტიპის მამაკაცები კი, შესაძლოა საკუთარ თავზე შეყვარებულ ეგოისტებად მოგვევლინონ.

P.S. იდეალური პარტნიორები არიან:

1) მამაკაცი — „კიტრი-ნესვი“ და ქალი — „კიტრი-საზამთრო“;
2) მამაკაცი — „პომიდორი-ნესვი“ და ქალი — „კიტრი-საზამთრო“;
3) მამაკაცი — „კიტრი-საზამთრო“ და ქალი — „პომიდორი-საზამთრო“;
4) მამაკაცი — „პომიდორი-საზამთრო“ და ქალი — „პომიდორი-ნესვი“.

ჰილარი კლინტონი 20$ ეღირება

ამერიკულ სათამაშოების ბაზარზე მალე ამერიკის ყოფილი პირველი ლედის – ჰილარი კლინტონის თოჯინა გამოჩნდება. მისი შეძენა მომხმარებელს ინტერნეტის საშუალებით, 20$-ად შეეძლება. თოჯინას სამხედრო-საზღვაო ოფიცრის ლურჯი ფორმა, ცისფერი პერანგი და შავი ფეხსაცმელები ეცმება. გარდა ამისა, ის რამდენიმე ფრაზასაც წარმოთქვამს. მათ შორის ერთ-ერთი ასეთია: „2008 წელს უეჭველად გავიმარჯვებ!“. როგორც ცნობილია, ჰილარი კლინტონი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას გეგმავს.

ცოტა ხნით ადრე სათამაშოების მწარმოებელმა კომპანია Herobuilders.com-მა თანამედროვე პოპულარულ მოღვაწეთა მთელი სერია გამოუშვა. ჯორჯ ბუში, ტონი ბლერი, ნიუ-იორკის ყოფილი მერი, რუდი ჯულიანი – აი, არასრული სია იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც სათამაშოთა „ასორტიმენტში“ შედიან. Herobuilders.com-ს არც ცნობილი ბოროტმოქმედების – უსამა ბინ ლადენის, სადამ ჰუსეინისა და მისი უფროსი ვაჟის, უდეის – თოჯინების კოლექციაში შეტანა დავიწყნია. ■

პოლიცია პატიოსან მძარცველს დაეძებს



აღმოსავლეთ ინდოეთის, ორისის შტატის დედაქალაქ ბუბანესვარის პოლიცია გამწარებული დაეძებს უჩვეულოდ „პატიოსან“ მძარცველს, რომელიც, ადგილობრივი პრესის განცხადებით, დანაშაულის ჩადენის ადგილზე საბოდიშო წერილს ტოვებს. ბოროტმოქმედმა უკვე გაძარცვა დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარე რამდენიმე მაღაზია და ყველგან, სალაროს აპარატზე ერთი და იმავე შინაარსის წერილი დატოვა – სადაც მაღაზიის მფლობელს ბოდიშს უხდის და დასძენს, რომ სხვა გზა არ ჰქონდა, თორემ ასე არ მოიქცეოდა.

ჯერჯერობით, პოლიციის მცდელობა უშედეგოა. ■

ჩელსი აბრამოვიჩი მიუზიკლის გმირი ხდება

რუსი ოლიგარქის, რომან აბრამოვიჩის ცხოვრების შესახებ მიუზიკლი – „წითელი რომი“ მზადდება. მის დადგმას შოუბიზნესის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი პროდიუსერი, მუსიკოსის როდ სტიუარტის ყოფილი დირექტორი ბილი გეფი აპირებს. „ჩელსის“ მფლობელის ცხოვრებით გეფი მას შემდეგ დაინტერესდა, რაც კრის ჰატჩინსის წიგნი – „აბრამოვიჩი: მილიარდერი არსაიდან“ – წაიკითხა. მიუზიკლი როკის სტილში დაიდგმება. პროდიუსერის ჩანაფიქრის მიხედვით, სცენაზე ისეთი პერსონაჟებიც გამოჩნდებიან, როგორებიც აბრამოვიჩის მეუღლე, ვლადიმირ პუტინი და „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი ჟოზე მაურინიო არიან. მომღერალთა გუნდი მაყურებლის წინაშე ფეხბურთელთა ფორმაში გამოწყობილი წარდგება. მიუზიკლისთვის, რომლის დადგმაც პროდიუსერს როკის სტილში აქვს გადაწყვეტილი, მუსიკას ელტონ ჯონი დაწერს. გეფი აპირებს, რომ დადგმაში ესტრადის ვარსკვლავებს – როდ სტიუარტს, ბოი ჯორჯსა და ლეგენდარული ჯგუფის Queen-ის მუსიკოსებს მიაღებინოს მონაწილეობა. ■

ლატარიაში მოგებულებმა 97 მილიონ დოლარზე უარი თქვეს

ამერიკული საგამომცემლო კომპანიის Sussex Printing Corp-ის (დელავარის შტატი) თანამშრომელთა ჯგუფი, რომელმაც ლატარია Powerball-ის ბილეთების პარტია 165 დოლარად შეიძინა და მთავარი პრიზი (ჯეკპოტი) მოიგო, თანხის დაუყოვნებლივ მიღებას მოითხოვს. ამგვარად, 33 მოგებულმა უარი თქვა 214,2 მილიონის განვადებით (29 წლის მანძილზე) მიღებაზე. ახლა 33 ადამიანი, რომელმაც მომგებიანი ბილეთი შეიძინა, საერთო ჯამში 117 მილიონ დოლარს მიიღებს; თითოეულს კი 3,2 მილიონი დოლარი შეხვდება. გამოდის, რომ მათ 97 მილიონ დოლარზე უარი თქვეს.

ლატარიაში გამარჯვებულთა ვინაობა უცნობია. CNN-ის კორესპონდენტი ეცადა გამომცემლობის ოფისს დაჰკავშირებოდა, მაგრამ სატელეფონო ზარებს არავინ უპასუხა. თანამშრომელთა ეს ჯგუფი Sassex Printing Corp-ის მომსახურე პერსონალის დაახლოებით სამ მეოთხედს შეადგენს. ■

ფოტოკუთხეები



67/42

Beauty de ბომონდი

რა ელით რუსთავი 2-ის იმ ჟურნალისტებს, რომლებსაც ნიკა ტაბატაძე არ ნყალობს?!

რატომ დაშორდა ბედნიერი ნყვილი?

ვის ატყუებს პირდაპირი ეთერიდან დიმა ობოლაძე?

თიკო: „მე და სოსო ცოტა ვიკამათეთ და ცალ-ცალკე ვცხოვრობთ“

№363 20.10 26.10
ფასი 1 ლარი

☐ ყველაფერი ბომონდის მესაზ

☐ ყოველ სამშაბათს!